

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Center for Israel Studies

**კულტურის ისტორიისა და  
თეორიის საკითხები**

**XXXVII**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE**

**XXXVII**



**კულტურის ისტორიისა და  
თეორიის საკითხები**

**XXXVII**

**Ivane Javakishvili Tbilisi State University  
Center for Israel Studies**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE**

**XXXVII**

**Tbilisi 2023**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისრაელის ცენტრი

# კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXVII



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა



**რედაქტორი** – მარია მშვილდაძე, თსუ პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**Editor** – Marika Mshvildadze Doctor of  
Historical Sciences, Professor

**სარედაქციო კოლეგია:** მარია მშვილდაძე (რედაქტორი, საქართველო), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), მამუკა ბუცხრიკიძე (საქართველო), ელენე გეგეშიძე (საქართველო), ნანა გელაშვილი (საქართველო), ლალი გულედანი (საქართველო), ზაირა დავარაშვილი (საქართველო), რუსუდან დოლიძე (საქართველო), ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი), ზვიად კვიციანი (საქართველო), კონსტანტინე ლერნერი (ისრაელი), ქეთევან ლორთქიფანიძე (საქართველო), იაკობ ოფირი (ისრაელი), გურამ პაატაშვილი (საქართველო), ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგი (გერმანია), მანანა რუსიეშვილი (საქართველო), მარია ჩაჩიბაია (საქართველო), დავით ყოლბაია (პოლონეთი).

**Editooral Board:** Marika Mshvildadze (Editor. Georgia), David Braund (Great Britain), Mamuka Butskhrikidze (Georgia), Trevor Cartledge (Great Britain), Marika Chachibaia (Georgia), Zaira Davarashvili (Georgia), Rusudan Dolidze(Georgia), Elene Gegeshidze (Georgia), Nana Gelashvili (Georgia), Lali Guledani (Georgia), David Kolbaya (Poland), Zviad Kvitsiani (Georgia), Konstantin Lerner (Israel), Ketevan Lortkipanidze (Georgia), Jacob Offir (Israel), Guram Paatashvili (Georgia), Annegret Plontke- Lüning (Germany), Manana Rusieshvili (Georgia).

*გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით  
Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2023

ISSN 1512-0694

## შინაარსი

## CONTENTS

გურამ ლორთქიფანიძე - 85 ..... 11

### ლერი ჯიბლაძე, ზვიად კვიციანი

ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურათა

ელემენტების კვება კოლხეთის მთიანეთში

(ზოგადი მიმოხილვა) ..... 16

### Leri Jibladze, Zviad Kvitsiani

THE INTERSECTION OF ELEMENTS OF ARCHAEOLOGICAL

CULTURES OF THE BRONZE AGE IN THE COLCHIAN HIGHLANDS

(GENERAL OVERVIEW) ..... 34

### ნინო ოთხვანი

რელიგიის ნიშნები პრეისტორიული საზოგადოების

სახელობო სამიანობაში ..... 37

### Nino Otkhvani

SIGNS OF RELIGION IN THE CRAFT

ACTIVITIES OF PREHISTORIC SOCIETY ..... 58

### მარია მშვილდაძე

ღმთაება ნემესისის კულტი გვიანანტიკური

პერიოდის ქართლში ..... 60

### Marika Mshvildadze

THE CULT OF THE DEITY NEMESIS IS OF THE PERIOD OF

LATE ANTIQUITY IN KARTLI ..... 65

### ემზარ კახიძე, თამარ შალიკაძე

რომაული აკულტურაციის ნიშნები აფსაროსის

ციხის მიდამოებიდან ..... 68

<b>Emzar Kakhidze, Tamar Shalikadze</b> SIGNS OF ROMAN ACCULTURATION TRACED AT THE VICINITY OF THE FORT OF APSARUS .....	78
--	----

<b>ნინო თომაძე</b> ბაკრელი მამლუქების მმართველობის ხანისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის ურთიერთმიმართებისათვის .....	80
--	----

<b>Nino Tomadze</b> ON RELATIONS BETWEEN THE HISTORY OF CHRISTIAN EAST AND THE PERIOD OF BAHRI MAMLUK RULE .....	91
--	----

<b>ლალი გულედანი</b> ქართველ ებრაელთა მიერ დანახული ქუთაისი .....	94
--	----

<b>Lali Guledani</b> KUTAISI SEEN THROUGH THE EYES OF THE GEORGIAN JEWS ....	116
---	-----

<b>ელენე გეგეშიძე</b> განათლება საქართველოს ებრაულ დიასპორაში .....	119
--	-----

<b>Elene Gegeshidze</b> EDUCATION IN THE JEWISH DIASPORA OF GEORGIA .....	136
--	-----

<b>მერაბ კალანდაძე</b> დიმიტრი უზნაძე „ხუთ კარგ იმპერატორზე“ .....	138
---	-----

<b>Merab Kalandadze</b> DIMITRI UZNADZE ON "FIVE GOOD EMPERORS" .....	168
--	-----

<b>ავთანდილ ნიკოლეიშვილი</b> ებრაული თემა XX საუკუნის პირველი მესამედის ქართულ ლიტერატურაში .....	170
---	-----

**Avtandil Nikoleishvili**

JEWISH THEME IN THE GEORGIAN LITERATURE OF THE  
FIRST THIRD OF THE 20<sup>TH</sup> CENTURY ..... 195

**ინგა ზაბახიძე**

არაბული ქვეყნები ისრაელის ახლადშექმნილი  
სახელმწიფოს წინააღმდეგ ..... 197

**Inga Zabakhidze**

ARAB COUNTRIES AGAINST NEWLY CREATED STATE OF ISRAEL .. 208

**სოფიო გუგუნავა**

პოლიტიკური და კულტურული ცვლილებები  
იაპონიაში XX საუკუნის მიწურულს ..... 210

**Sopio Gugunava**

POLITICAL AND CULTURAL CHANGES AT THE END OF THE  
20<sup>TH</sup> CENTURY IN JAPAN ..... 215

**თინა აბულაშვილი**

აკად. ბორის კუფტინის დაბადებიდან  
130 წლისთავის გამო ..... 216

**Tina Abulashvili**

ON THE 130<sup>TH</sup> ANNIVERSARY OF ACADEMICIAN BORIS KUFTIN .. 224

**მანანა რუსიეშვილი-კარტლეჯი**

ბრიტანეთი ბრექსიტის შემდეგ ..... 229

**Manana Rusieshvili-Cartledge**

BRITAIN AFTER BREXIT ..... 234

**იზოლდა ბელთაძე, თამარ ხინიკაძე-გვარამია**

საქართველოს ცივილიზაციური არჩევანი ..... 235

<b>Izolda Beltadze, Tamar Khinikadze-Gvaramia</b>	
GEORGIAN CIVILIZATIONAL CHOICE .....	240

<b>ხატია ცეცხლაძე</b>	
ეთნოლოგიური კვლევა, ქორწინების ინსტიტუტი და მისი ძირითადი ელემენტები ძველ თბილისში .....	242

<b>Khatia Tsetskhladze</b>	
TBILISI MARRIAGE .....	246

### **ახალი ნიშნი**

<b>გურამ პაატაშვილი</b>	
აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“ .....	248

<b>Guram Paatashvili</b>	
THE WORLD OF MAESTRO'S THOUGHTS .....	307

წინამდებარე კრებული ეძღვნება ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორის, ეროვნული  
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის,  
გურამ ლორთქიფანიძის 85 წლისთავს





## გურამ ლორთქიფანიძე – 85

წელს საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გურამ ლორთქიფანიძეს 85 წელი შეუსრულდებოდა. ბატონი გურამი იყო ქართველ არქეოლოგთა შესანიშნავი წარმომადგენელი, მრავალი სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი, დიდი მეცნიერი, მკვლევარი და პედაგოგი, არქეოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელი, ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი...

გურამ ლორთქიფანიძე დაიბადა 1938 წლის 14 სექტემბერს ქალაქ ბათუმში, ოღლა ვახტანგიშვილისა და ამბროსი ლორთქიფანიძის (გრიგოლ ლორთქიფანიძის – დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრის თანაშემწე) ოჯახში. სწავლობდა ბათუმის №1 საშუალო სკოლაში. მისი ოჯახის საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ, ბატონმა გურამმა დაამთავრა თბილისის 68-ე საჯარო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, რომელიც 1961 წელს დაამთავრა არქეოლოგიის სპეციალობით. სხვადასხვა წელს მონაწილეობდა ვანის, ფოთის, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 1961 წლის ნოემბრიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის („კოლხეთი ძვ.წ. II-I სს.“, ხელმძღვანელი პროფ. ვ.დ. ბლავაცკი) დაცვის შემდეგ, 1965 წლიდან – მეცნიერ-თანამშრომლად; 1977 წლიდან, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, გარდაცვალებამდე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად.

1970 წელს გამოდის ბატონ გურამ ლორთქიფანიძის პირველი მონოგრაფია „К истории древней Колхиды“. Издательство



«Ганатлеба», Тб., 1970 (რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი), რომელიც მიეძღვნა პირველი არქეოლოგი ქალის, ნინო ხოშტარას ხსოვნას; 1978 წელს კი გამომცემლობა მეცნიერებამ დაბეჭდა მისი სადოქტორო დისერტაცია «Колхида в VI-II вв. до н.э.». Тб., 1978 (რედაქტორი საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი), რომელიც საქართველოს აკადემიის პრემიით აღინიშნა.

1974-2000 წლებში იყო ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. ბატონი გურამის დიდი ძალისხმევით, 1985 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე დაარსდა ქართული კულტურის ისტორიის კათედრა, რომელიც შემდგომ გაფართოვდა და კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა ეწოდა. ამით საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას საქართველოში. აღნიშნულ კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები. 1995 წელს ბატონი გურამის ინიციატივითა და ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაარსდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ჟურნალი „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, რომელიც დღესაც გამოდის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნულ კათედრაზე დაიცვეს არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია; მომზადდა ორი სახელმძღვანელო: ქართული კულტურის ისტორია (1997) და კულტუროლოგია (2003, 2005). მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაიცვეს რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია, იყო რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-კონსულტანტი.

ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად სხვადასხვა უნივერსიტეტში. 1987-1988 წლებში იგი მინვეული იყო ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის

ისტორიის ფაკულტეტზე ვულბრაიტის ფონდით, 1990 წელს კი სლოვაკიაში, კარდელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც კითხულობდა ლექციებს ანტიკურ არქეოლოგიაში; მოხსენებებით გამოდიოდა: ამერიკაში, ჩეხეთში, გერმანიაში, ინგლისში, სლოვაკეთში, რუსეთში, უკრაინაში...

2006 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული პროფესორია. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონმა გურამ ლორთქიფანიძემ თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე დაწერა ახალი სასწავლო დისციპლინა – „ბიბლიური არქეოლოგია“, რომელიც წარმატებით იკითხება არა მარტო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არამედ თბილისის სასულიერო აკადემიაშიც; გამოსცა პირველი სახელმძღვანელო ბიბლიურ არქეოლოგიაში (თსუ გამომცემლობა, თბ., 2012), რომელიც მიეძღვნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

ბატონ გურამ ლორთქიფანიძის შემოქმედება უაღრესად მრავალფეროვანია. მას გამოქვეყნებული აქვს: 13 მონოგრაფია, 220-ზე მეტი სამეცნიერო სტატია საქართველოსა და საზღვარგარეთ, 9 სახელმძღვანელო და სასწავლო მეთოდური ლიტერატურა; იყო არაერთი მონოგრაფიის რედაქტორი და პერიოდული გამოცემის რედაქლეტის წევრი. ქართულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის ბატონი გურამ ლორთქიფანიძე 2009 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავ-

მჯდომარედ. ბატონ გურამს მიღებული აქვს არაერთი სახელმწიფო ჯილდო და საპატიო წოდება.

დიდა ბატონი გურამ ლორთქიფანიძის ღვანლი ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების საქმეში. მის მიერ აღზრდილია მეცნიერთა მთელი პლეადა არქეოლოგიაში და კულტუროლოგიაში, რომლებიც წარმატებით იღვნიან ქართული მეცნიერების სასიკეთოდ.

ბატონი გურამ ლორთქიფანიძის, როგორც დიდი მეცნიერის აღიარებად უნდა მივიჩნიოთ მისი არჩევა: იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაცია „სეფერის“ აკადემიური საბჭოს (მოსკოვი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის (MAAH) ჟიურის (მოსკოვი), ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალის „Pro Georgia“ სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრად. იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალის „ჩვენი მეცნიერება“ სარედაქციო კოლეგიის, სამეცნიერო შრომების კრებულის „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული „არქეოლოგიური კომისიის“ წევრი, თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი (2008 წლიდან გარდაცვალებამდე). თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990-2004) იგი იყო თსუ-ში უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი; 2002-2004 წლებში საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავმჯდომარე. მისი, როგორც მსოფლიოში აღიარებული

რებული მეცნიერის მოღვაწეობა და ცხოვრების გზა სამუდამოდ დარჩება ერის სამსახურის ნიმუშად.

ბატონ ბადრი პატარკაციშვილთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ბატონი გურამ ლორთქიფანიძე ითვლება თბილისის ებრაელთა სათემო სახლის ერთ-ერთ დამფუძნებლად; აქტიურად მონაწილეობდა ებრაული დიასპორის ამსახველი უცნობი საარქივო მასალის გამოვლენასა და გამოქვეყნებაში.

გურამ ლორთქიფანიძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით; ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილისა და მიხეილ ლერმონტოვის მედლებით.

**ლერი ჯიბლაძე**  
**ზვიად კვიციანი**

**ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურათა**  
**ელემენტების კვება კოლხეთის მთიანეთში**  
**(ზოგადი მიმოხილვა)**

დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში მდებარეობას, შედარებით მკაცრ ბუნებრივ კლიმატურ პირობებს და ძნელად მისადგომ ადგილებში ცხოვრებას, თითქოსდა უნდა განეპირობებინა მთიანი სვანეთისა და მთის რაჭის<sup>1</sup> ერთგვარი გამიჯვნა და კარჩაკეტილობა გარე სამყაროსგან. თუმცა ეს მხარე ბრინჯაო-ადრერკინასა და უფრო მოგვიანო ხანაში მეზობელ რეგიონებთან კონტაქტების თვალსაზრისით აქტიურა-

---

<sup>1</sup> მთის რაჭა მოიცავდა მდ. რიონის ხეობის სათავეებს, გლოლასა და ჭანჭახის წყლებს შორის არსებულ ტერიტორიას, რომელსაც ეკავა დაახლოებით 640 კვ.მ. ფართობი [16.35]. ეს მხარე წარსულში დაახლოებით VIII ს-ის დასასრულიდან, XV-XVI-ის მიჯნამდე სვანებს ეკუთვნოდა [3.24;12.32-33;6.44;17.147]. მთის რაჭაში შემავალი სოფლები: ბრილი, ზედქალაქი (ღებისა და გლოლას ცენტრალური უბნები, ზედქალაქის სახელს ატარებდენ) [9.118], თევრეშო, ღები, შოდა, ჩუეშო, ჭიორა, ბუბა (ნასოფლარი კურორტ შოვთან, მდ. ჭანჭახის ხეობა), გლოლა თავისი ეკლესიებითა და თავდაცვითი ნაგებობებით [2.139] სვანებმა სისხლის საფასურში გადასცეს რაჭის ფეოდალ ჯაფარიძეებს, რაც დოკუმენტურად აისახა იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ 1503 წ. მიღებულ სიგელში (წიგნში): სასისხლო საქმე ბარს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის. გარდა ამისა, ამ სიგელში რაჭველების კუთვნილება გამხდარა მდ. ცხენისწყლის სათავეებში მდებარე სოფ. ხიდარი ორი მონასტრით [5.19]. ამჟამად ღებს ზემოთ მდებარე სოფლები განადგურებულია [19.24]. სიგელის მიღების თარიღად ასახელებენ სხვადასხვა წელს: 1434 წ. – მ.ბროსე; 1493 წ. – ს.მაკალათია; 1490-1503 წწ. – ს. კაკაბაძე, ივ. ჯავახიშვილი, პ.ინგოროყვა [5.41-42]. ამჟამად მიღებულია 1503 წლით დათარიღება.

დაა ჩართული, რომელიც კარგად იკვეთება ზოგიერთი ლითონის ინვენტარის მიხედვით.

კოლხეთის მთიანეთი აღნიშნულ პერიოდებში მეზობელ რეგიონებს უკავშირდებოდა საკომუნიკაციო გზების საშუალებით, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიონის უძველესი მაგისტრალების სისტემაში. შესაძლოა, მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში ამ მხარის სწორედ ასეთ დამაკავშირებელ გზებზე მდებარეობამ განაპირობა მისი კავშირები სხვადასხვა რეგიონთან (ჩრდილო კავკასია, შიდა ქართლი, იმერეთის პლატო-საჩხერის რაიონი, კოლხეთის ბარი).

აღსანიშნავია, რომ სვანეთში დღემდე არ არის აღმოჩენილი ბრინჯაოს სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარი. უეჭველია ისინი აქ არსებობდნენ, რასაც უნდა ადასტურებდეს მოხსენიებული ხანის შემთხვევით აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ლითონის ინვენტარი, რომელთა ჩამომსხმელი უნდა ყოფილიყო ამავე ეპოქის ნასახლარებზე მცხოვრები უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადი სვანურენოვანი მოსახლეობისა.

ჩვენი ცოდნა საკვლევე მხარის ბრინჯაოს ხანის კერამიკულ მასალაზე, რომელიც ხელს შეგვიწყობდა გვემსჯელა თიხის ნაწარმის მიხედვით გარე სამყაროსთან კონტაქტების არსებობაზე, შეზღუდულია. ძალზე მცირე კერამიკული მასალა (ბოგრეში, ვიჩნაშის გორა, ჭუბერი, ეცერი და სხვ.), რომელიც ძველი კოლხური კულტურის გავრცელების არეალში უნდა შედიოდეს, ამ მხრივ არსებულ სურათს ვერ ცვლის.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლითონის ინვენტართა შორის, ამავე რეგიონში დადასტურებულ ყუნწიან და უყუნწიან შუბისპირებთან ერთად (იფარის თემი, ჟახუნდერი, ქვემო ლუჰა), ყველაზე ადრეულია სპილენძის სამი ფართოპირიანი ყუადაქანებული ცული, რომლებიც აღმოჩენილია იფარის თემში – სოფ. წვირიში, ჭუბერის ხეობასა და ქვემო ლუჰაში – მდ. ენგურში ოქროს ძიებისას [27.46; 14.22-30]. აღნიშნული ყუა-

დაქანებული ცულები უახლეს პარალელებს პოულობენ ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე და ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩრდილო კავკასიისა (გვიანმაიკოპური კულტურის უძველესი ცულები – ნოვოსვაბოდნაია, კოსტრომსკაია და სხვ.) და მტკვარ-არაქსის კულტურის ანალოგიურ ნიმუშებთან (ზაჰსეი-ავჭალა, იალბუზი, ბდაძორო, ქულბაქევი, თისელის სერის ნამოსახლარი და სამაროვანი და სხვ.) [29.91, სურ. 20; 31.112; 44. 192, ტაბ. 47-7,10,12,15; 28. 42-26, 59-62; 22.312, 326, ტაბ. XV; 7.110-118; 48. სურ. 2-2-3].

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთიდან მომდინარე, ამ რიგის არტეფაქტები (ათარა არმიანსკაია, ყულანურხვა), მორფოლოგიური ნიშნებით, ასევე ახლოს დგას სვანეთისა და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ ყუადაქანებულ ცულთან [32. 130,136].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა, კოლხეთის დაბლობის არახელსაყრელი გეოკლიმატური პირობების გამო, მის სიღრმეში ვერ აღწევს. ამის გამო ამ კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფი გვერდს უვლის კოლხეთის დაბლობის ქაობიან ზოლს და მისი ნაკვალევი უკვე ჩანს ზემო სვანეთის ტერიტორიაზე [30. 292]. თუმცა რამდენად რეალურია ეს მოსაზრება, ძნელი სათქმელია. მაგრამ ზემო და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი სწორღეროიანი და ღილისებურდაბოლოებიანი<sup>1</sup> შუბისპირების (ასევე მხედველო-

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მაიკოპური კულტურის წრეში შემავალ პსეკუპსკის სამაროვნიდან (სამარხი N2) მომდინარე ყუნწიან შუბისპირს, სვანეთის-ყახუნდერის ანალოგიური არტეფაქტის მსგავსად, ღილისებური დაბოლოება გააჩნია [47.185,სურ.55-4]. ღილისებურდაბოლოებიანი შუბისპირები ანტოლიაში გავრცელებულია ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში და უფრო მოგვიანო პერიოდშიც [39. ტაბ. 89-12, ტაბ.94]. საინტერესოა, რომ ამ დეტალის მიხედვით სვანეთში გამოვლენილი ამ ვარიანტის შუბისპირი ღილისებურდაბოლოებიან ტიპად მიიჩნიეს [30:134]. თუმცა ეს მოსაზრება არ გაიზიარეს და ჩათვალეს, რომ ღილაკის ფორმა იარაღს არა ტექნიკური

ბაში გვაქვს აქ გამოვლენილი ბდაძოროსა და იალბუზის ტიპის სპილენძის ყუადაქანებული ცულები) წარმომავლობის გარკვევას ერთგვარი ახსნა უნდა მოეძებნოს [56. ტაბ. X-1,2,3; ტაბ. XI-1,4; ტაბ. XV-1,2] .

მკვლევართა ნაწილი მტკვარარაქსული ცულების ზოგერთი ნიმუშით შორეულ პროტოტიპებს ხედავს სამხრეთ მესოპოტამიის უძველესი ცულების ჩამოსასხმელი თიხის მოდელების სახით (ჯემდეთ-ნასრი, ური) [52.30; 28.92]. ფრთხილად შენიშნავენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სპილენძის ყუადაქანებული ცულები (ასევე გულისხმობენ ცულ-წერაქვებს, შუბისმაგვარ იარაღებს და ა.შ.), მიუხედავად წინააზიურ ანალოგებთან მსგავსებისა, მაინც ადგილობრივი კავკასიური სახესხვაობა, მეტალურგიული წარმოების ნაყოფი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე ფიქრობენ, რომ ეს ნიმუშები მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში უნდა ჩამოყალიბებულიყო [31.12]. იმასაც შენიშნავენ, რომ ამ ტიპის ცულები იშვიათადაა მესოპოტამიაში [ 22. 146].

ამრიგად, მიუხედავად აღნიშნულ ცულებთან მსგავსებისა, ჩვენ მაინც დასაშვებად მიგვაჩნია, სვანეთის ტერიტორიაზე ამ ტიპის იარაღების დამზადება ვიგულისხმოთ, ადგილობრივი სპილენძის ნედლეულის ბაზაზე, აქ მაცხოვრებელი უძველესი ქართველური ეთნიკური ნაკადის, სვანურენოვანი მოსახლეობის მიერ, რომელიც საკვლევ მხარეში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს ძვ.წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული. როგორც ჩანს, ადრებრინჯაოს ხანაში სვანეთი, მოხსენიებული არტიფაქტებით, წინა აზიის კულტურათა გავლენების სივრცეში ექცევა.

---

განუვითარებლობით, არამედ უფრო დეფორმაციის შედეგად უნდა ჰქონოდა მიღებული [20. 84]. ჩვენში ლილისებურბოლოიანმა შუბისპირებმა გავრცელება ვერ პოვეს. როგორც თვლიან, ეს დეტალი უფრო შუბისპირების სატარეში ჩამაგრების ტექნოლოგიურ მხარესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.



დიდი და მცირე კავკასიონის მთებში უღელტეხილებზე გამავალი კოლხეთის დამაკავშირებელი გზა-ბილიკები ფუნქციონალური თვალსაზრისით დღესაც არის შემორჩენილი. უძველეს პერიოდებში სვანეთის კონტაქტები გარე სამყაროსთან ხორციელდებოდა ხევისპირა, გვერდითი და უღელტეხილებზე გამავალი გზებით, რომელთა რაოდენობა 50 აღემატება [28.15-35].

ზემო სვანეთიდან ჩრდილო კავკასიაში კავშირები ხორციელდება საუღელტეხილო გზების მეშვეობით, რომელთა რაოდენობა 15-ს აღემატება. მათ შორის ყველაზე გამოყენებადი უნდა ყოფილიყო: ქლუხორის, ჭუბერის, ნაკრას, ტვიბერის, ბეჩოს საუღელტეხილო გზები [13.53-63; 36.22-61]. შესაძლოა ზოგიერთის მეშვეობით ძვ.წ. III ათასწლეულიდან გარკვეული კონტაქტები ხორციელდებოდა ჩრდილო კავკასიის მხარესთან (მაიკოპური კულტურა – ნოვოსვაბოდნაიას ეტაპი). იქნებ, შორეულ წარსულში, სვანეთის რეგიონზე გამავალი საუღელტეხილო გზები წარმოადგენდა ერთ-ერთ უმოკლეს დამაკავშირებელ მონაკვეთს ჩრდილო კავკასიის, შიდა ქართლისა და ზემო იმერეთის ტერიტორიებზე გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურებს შორის.

სვანეთის ტერიტორიაზე საჩხერული ტიპის ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულების სხვადასხვა ვარიანტი, ზემო იმერეთის ტერიტორიის შემდეგ, ყველაზე მრავლადაა გამოვლენილი [28.46-51]. მათ შორის გვხვდება საჩხერული ტიპის ვინროტანიანი და სქელტანიანი ყუადაქანებული ცულები, რომელთა უახლესი პარალელები ცნობილია ამავე სახელწოდების ყორღანულ სამარხებში და აფხაზეთის (კიურ-დერეს) დოლმენებში [56-ა. ტაბ. XXXII-1,2; 27.34-38, ტაბ. II-VI; 28.47]. ამ ტიპის ცულები ჩვენში გავრცელებული ჩანს ადრებრინჯაოს ხანის განვითარებულ ეტაპზე, რომლებიც ტიპოლოგიურად ახლოს დგას სვანეთის მომდევნო პერიოდის შუაბრინჯაოს ხანის

ცულებთან. ასევე შორეული პარალელები შეინიშნება დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, კარპატებში ნაპოვნ ანალოგიურ ნიმუშებთან [29.48].

სვანეთში განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი საჩხერული ტიპის ვინრო და თხელტანიანი ყუამილიანი ცულები. როგორც აღნიშნავენ, ისინი ყველაზე უხვადაა წარმოდგენილი საჩხერულ ყორღანულ სამარხებში. მათი აზრით ასევე გარკვეული პარალელები შეინიშნება საქართველოში გავრცელებულ ამ რიგის ზოგიერთ ნიმუშთან.

სვანეთის ყუამილიან ცულებში ტიპოლოგიურად ცალკე სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს მდ. ცხენისწყლის ხეობაში, დაბა ლენტეხის ტერიტორიაზე გამოვლენილი ცულები (3 ერთეული). ისინი ხასიათდება ძლიერ მორკალური თხელი ტანით, გრძელი, ირიბი რელიეფური ხაზებით შემკული სატარე მილით და, რაც განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ამ ნიმუშებს, პირზე გამოყვანილი ღრმა რკალისებური შეჭრილი სამუშაო პირით [56. ტაბ. XIII; 28.51, ტაბ. XIV; 32.129].<sup>1</sup> ეს არტეფაქტები არაერთხელ გამოქვეყნდა, მოიძებნა შესაბამისი პარალელები, ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

საინტერესოა სვანეთის ტერიტორიაზე რა მიზეზებით უნდა აიხსნას ასეთი სიმრავლე საჩხერული ტიპის ყუადაქანებუ-ლი და ყუამილიანი ცულების, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ზუსტი ორეულების არსებობა. ვფიქრობთ, ეს ცულები დამზადებული უნდა იყოს სვანეთში, ოღონდ მომდინარე გავლენები არ უნდა გამოვრიცხოთ ზემო იმერეთის პლატოდან, სადაც ამ რიგის იარაღების დამზადების ცენტრი უნდა ყოფილიყო

---

<sup>1</sup> ეს ცულები შემთხვევით ნაპოვნია ლენტეხში რესტორან „ლილეს“ მშენებლობისას, ერთი მეტრის მიწის სიღრმეში. იქ დასაქმებული მუშების გადმოცემით, ცულებთან ერთად უპოვიათ ადამიანის ჩონჩხი და თიხის ჭურჭელი, რომელიც შემდეგ დაკარგულა [28. 51, ტაბ. XIV].

(საჩხერის ყორღანული სამაროვნები). შესაძლოა, შორეულ წარსულში, სვანეთსა და ზემო იმერეთის ზეგანს შორის, ასეთი კონტაქტები ხორციელდებოდა რაჭის ქედზე გამავალი საკომუნიკაციო ბილიკებით. იქნებ, საჩხერული ტიპის ყუამილიან ცულებთან ერთად, აქ ამის დასტურია აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ცულების აღმოჩენაც, რომლითაც გარკვეული კონტაქტები უნდა ვიგულისხმოთ მეტადრე შიდა ქართლის რეგიონთან.

კოლხეთის მთიანეთში, სვანეთის გარდა, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები აღმოჩენილია რაჭა-ლეჩხუმშიც (ტბეთი, ახალსოფელი, ცაგერას განძი – ადგილი ჩიხე) [20.8-10; 33.230, ტაბ. III-1; 35.21-30]. გვხვდება მათგან რამდენადმე განსხვავებული ჰიბრიდული ცულებიც ღარიდან<sup>1</sup> და ქვემო რაჭიდან, რომელთა წარმომავლობის ზუსტი ადგილი უცნობია.

კოლხეთში ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების მოხვედრა მიაჩნიათ (მათ შორის სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში) აღმოსავლური ქართული ტომების ექსპანსიის შედეგად [51.331-332]. ჩვენ უფრო მისაღებად ვთვლით მეორე მოსაზრებას, რომლის თანახმად საკვლევ მხარეში ამ ტიპის ცულების გამოვლენა უნდა მიუთითებდეს მოსაზღვრე ტომების მიერ გაც-

---

<sup>1</sup> ღარის კოლექცია (დაახლოებით 38 ერთეული) თავდაპირველად აღუწერია პ.უვაროვას, შემდეგ კი გამოაქვეყნა ბ.კუფტინმა, რომელსაც იგი სამარხეულ ინვენტარად თვლიდა [52.44-48, ტაბ. XXIX-XXXI]. ცნობილ მეცნიერს ღარის ნივთი მიაჩნია კოლხურისა და აღმოსავლურ-ქართული ცულის შეჯვარების შედეგად წარმოქმნილად, აღმოსავლური ქართული ცულის განვითარებულ ფორმად [24.25]. მაგრამ ღარის ტიპის ჩუგლუგები უფრო ადრეულ ხანაში დიდ ტერიტორიაზე მოიაზრება. ეს ფაქტი კი ეჭვის ქვეშ უნდა აყენებდეს ბ.კუფტინის მოსაზრებას ჰიბრიდული ტიპის ცულის რაჭის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებაზე. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უფრო ლოგიკური უნდა ჩანდეს ამ ტიპის ცულების გავრცელება ვიგულისხმოთ კოლხეთის მთიანეთში, აღმოსავლურ-ამიერკავკასიურ ცულთან ერთად და მისი წარმომავლობის ცენტრი ვეძიოთ აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ცულების ჩამოყალიბების ზონაში [35.21-30].

ვლა-გამოცვლის პროცესებს ან საწარმოო გამოცდილების ურთიერთგაზიარებას [25.169].

საერთოდ, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასახელებული პუნქტების გარდა, ძირითადად ცნობილია განძების შემადგენლობაში (ბეჟათუბანი – 5 ერთეული, ზემო სიმონეთი, პერევი, ზუნდაგი, მდ. აჭარისწყლის ხეობა, ასევე მეხჩის ციხე). ისინი ძირითადად ამ რეგიონში გვხვდებიან ყუაზე შვერილების გამოსახულების გარეშე. აქ იშვიათია, როდესაც ყუაზე ასეთი დეტალია დატანილი (ცაგერას განძი).

ზემო სვანეთში იშვიათად გვხვდება დიგორიის პროტოკობანური კულტურისათვის (დაახლოებით ძვ.წ. XV-XIV სს-ები) დამახასიათებელი ელემენტები, როგორცაა ბრინჯაოს დაფანჯრულთავიანი საკიდი, საკულტო დანიშნულების შტანდარტი, ბოგრემის სამარხის ბრინჯაოს ზოგიერთი ინვენტარი. ეს ელემენტები მრავლადაა წარმოდგენილი ზემო რაჭაში ბრილის სამაროვნის ადრეულ კომპლექსებში [4.57-59; 23. 39-48; 34.17-18].

ბრილის სამაროვნის ადრეული სამარხების მასალების (დაახლოებით ძვ.წ. XV-XIV სს-ები) ურთიერთობამ ჩრდილო ოსეთის მაღალმთიან, დასავლეთ მხარეში მდებარე დიგორიის ხეობის სამაროვნების (ფასკაუ, ზემო რუთხა, დოგუი ხუნთა, დონიფარსი და ა.შ) პროტოკობანური ხანის მასალებთან, თავიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება და არაერთი მოსაზრება გამოითქვა. მეცნიერთა ნაწილი ამ ორი რეგიონის მასალებს შორის, განსაკუთრებით ბრინჯაოს ინვენტარის მიხედვით, დიდ მსგავსებას ამჩნევს, თუმცა არ აღნიშნავენ მათ შორის ერთიანი კულტურის ან მეტალურგიული კერის არსებობას [4.50-51]. გამოყოფილ იქნა დიგორიის კულტურა თავისი გავრცელების არეალებით (ყაბარდო-ბალყარეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი და დასავლეთი რაიონები, მთის რაჭა,ზე-

მო სვანეთი) [49.17; 50. 89-90; 54.91-102; 55. 188-196] და ამ ორი მეტალურგიული რაიონის (კომპლექსის, ჯგუფის) ძეგლები [40. 81; 42.79; 43.275]. ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, დიგორიის კულტურა გავრცელებული იყო მხოლოდ დიგორიის ხეობაში, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ რეგიონის ბუნებრივი გეოგრაფიული კარჩაკეტილობით [51.88; 52.148-149]. ამის საფუძველზე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში დიგორიაში და რაჭაში არსებობდა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი დამოუკიდებელი კულტურა. ბრილის ადრეული პერიოდის სამარხები და დიგორიის ხეობის სამაროვნების პროტოცობანური პერიოდის მასალები გაერთიანებულ იქნა რაჭა-დიგორიის ერთი კულტურის წრეში [38.17]. უფრო გვიან ეს ტერმინი გაზიარებული და რამდენაღმე დაზუსტებულ იქნა იმ განსხვავებით, რომ მასში სვანეთის ჩრდილოეთი რეგიონიც გააერთიანეს [23. 44; 34.47].

ვ. კოზენკოვას აზრით, დიგორიის ტიპის ლითონის კომპლექსები მართლაც არის, მაგრამ ის არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით არქეოლოგიურ კულტურას. ამიტომ მას უფრო მართებულად მიაჩნია საუბარი დიგორია-თლია-რაჭის, როგორც მეტალურგიისა და ლითონდამუშავების, სამკუთხედზე [41.127]. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ დიგორი ადრებრინჯაოს დასასრულისათვის და შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისისათვის სამოსახლოდ ათვისებული უნდა ყოფილიყო სამხრეთ კავკასიიდან მოსული ტომების მიერ, პირველ რიგში, სპილენძის მადნის საბადოებისა და ხელსაყრელი საუღელტეხილო გადასასვლელების გამო [38.17]. ეს შეხედულება არ გაიზიარეს და ჩათვალეს, რომ, მიუხედავად ამ ორი რეგიონის აღნიშნული პერიოდის მასალებს შორის არსებული პარალელებისა (ლითონის ინვენტარი, დაკრძალვის წესი და სხვ.), კერამიკული კომპლექსები უნდა მიუთითებდეს ძვ.წ. II ათასწლეულში

დიგორიის ხეობის მოსახლეობის ჩრდილოკავკასიურ წარმომავლობაზე [43.88].

კოლხეთის მთიანეთის (მთის რაჭა) კონტაქტები<sup>1</sup> ჩრდილო კავკასიის მხარესთან ხორციელდებოდა ცენტრალური კავკასიონის ქედზე გამავალი საულელტეხილო გზებით (დიგორი, დვალეთი, ბალყარეთი). ფასის მთისა (გეზეს, გეზივცეკის) და მაჩხაფარის (შავრიცეკის ანუ შდულის) უღელტეხილებით ბალყარეთში (ჩერეკის ხეობა) ხვდებოდი, ხოლო მამისონის (ანუ ჭანჭახის) უღელტეხილით კი არდონის ხეობაში – დვალეთში გადადიოდი. ლებიდან მდ. ჩვეშურას ხეობის აყობებით, კირტიშოს მთის (ლებივცეკის) უღელტეხილით ურუხის ხეობაში – დიგორიაში გადადიოდი. მეორე გზა ჭიორიდან, მდ. ნონარას ხეობას მიუყვებოდა და, ჭიორის მთის (გურჯივცეკის უღელტეხილი) გავლით, მდ. ურუხის შენაკად კარაგომის ხეობაში ეშვებოდა.

კოლხეთის მთიანეთი შედიოდა წინარეკოლხური და ძველი კოლხური კულტურების გავრცელების არეალში, რაც დასტურდება როგორც ლითონის ინვენტარის ცალკეული აღმოჩენებით (შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ვარიანტის ყუამილიანი და კოლხური ცულები, ნამგლები, თოხები, სატეხები, ბაბილეს ბრინჯაოს კოლექცია, ბრინჯაოს ზოომორფული ქანდაკებები და ა.შ), ისე ბრილის, ქართვეანისა და უფრო მოგვიანო პერიოდის ლარილარის სამაროვნების ურთიერთმართებით კოლხეთის დაბლობის ამავე პერიოდის სამაროვნების მრავალრიცხოვან მასალებთან; მიცვალებულთა დაკრძალვის ზოგიერთი წესის არსებობით (კრემაცია). ასევე კოლხური

---

<sup>1</sup> გარე სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა სოფ. თხმორის (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) ძვ.წ. XI-IX ს. კოლხური განძის შემადგენლობაში შემავალი ბრინჯაოს ექვსწახნაგა ორყურა კელტი, რომელსაც კიმერიული კულტურისათვის დამახასიათებელ ელემენტს უკავშირებენ [21.35-44]. ეს არტეფაქტი ჩრდილო კავკასიიდან უნდა იყოს მოხვედრილი მდ. რიონის ზემო წელზე.

გვიანი ბრინჯაოს ხანის განძებით, რომლებიც, სვანეთისაგან განსხვავებით, მრავლადაა წარმოდგენილი რაჭა-ლეჩხუმში [21; 20; 15. 192-194; 18.31-41; 26.11, 13, 24, 29, 32-36, 41].

კოლხეთის ბართან მჭიდრო კონტაქტები განსაკუთრებით კარგად იკვეთება სპილენძის ზოდებით, რომლითაც ბარში არსებული ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები მარაგდებოდნენ მთიანეთიდან, მათ შორის ზარგააშისა და ზემო რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან [10.66-88; 11.57-61]. პირველ რიგში, ამ სამთო წარმოების ძეგლებიდან სპილენძის ნედლეულით მომარაგება უნდა ვივარაუდოთ მდ. ენგურ-რიონის ქვემო წელისა და ალბათ ზემო იმერეთის პლატოს ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების. ეს კავშირურთიერთობები ხორციელდებოდა საკომუნიკაციო გზების საშუალებით, რომლებიც ალბათ მდინარეთა ხეობებს მიუყვებოდა.

კოლხეთის მთიანეთის მჭიდრო კონტაქტები ბართან ჩანს სპილენძის ზოდებით მომარაგებაში. ისინი გვხვდებიან ცალკეული აღმოჩენების მიხედვით, ასევე შედიან განძების შემადგენლობაში. კოლხეთში ზოგჯერ წარმოდგენილია მარტო ზოდებისგან შემდგარი განძები (დაახლოებით 15-16 ერთეული). ასევე ისინი დასტურდებიან სხვა ფუნქციონალური დანიშნულების ნივთებთან ერთად შერეული სახით (34-35 ერთეული).<sup>1</sup>

საინტერესოა, კოლხეთის მთიანეთსა და ბარს შორის გაცვლა-გამოცვლების მიმდინარეობისას, ზოდები თუ შეიძლება ყოფილიყო გადახდის ერთგვარი ეკვივალენტი. განსაკუთრე-

---

<sup>1</sup> კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები აღმოჩენილია 166 პუნქტში [15.192-194]. აქედან საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიაზე 149 პუნქტშია გამოვლენილი, ხოლო დანარჩენი 16 კი მის ფარგლებს გარეთაა ცნობილი. ამ ძველ განძებს უნდა დავამატოს ჭუბურხინჯის, ზვანდრიფშის, ფიჩორის (4 ბორცვი), საკაციას, ილემის და სხვა განძები. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები სრულყოფილად აქვს გადმოცემული ჯ.აფაქიძეს [1. 66-87].

ბით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, როდესაც იზრდება ბარისა და მთის მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირები. პირველ რიგში, ეს ფაქტი უნდა გამოიხატებოდეს მთიდან ბარში ბრინჯაოს ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში სპილენძის ზოდების მომარაგების მასშტაბებში.

საფიქრებელია, რომ კოლხეთის მთიანეთში, ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად ცენტრებში, რომლებიც საკმაოდ დაშორებულია ზღვისპირა ზოლისგან, უნდა დაემზადებინათ ტრანსპორტირებისთვის უფრო მოსახერხებელი ფორმისა და წონის ზოდები. მაგრამ, ისმის კითხვა: რა უნდა მიეღოთ ზოდების სანაცვლოდ მთის მობინადრეებს ბარის მოსახლეობისგან, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ამ ორ რეგიონს შორის მიმდინარე ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლითი პროცესები? იქნებ მარცვლეული კულტურა – ხორბლეულის სახით, რომელიც, როგორც ჩანს, იმდროინდელ კოლხეთის ბარში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რაც არაერთხელ დადასტურდა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვითაც. ანდა, შესაძლოა კალა, რომლითაც მთა, ბართან შედარებით, უფრო ძნელი მოსამარაგებელი უნდა ყოფილიყო. არ უნდა გამოვრიცხოთ, ბარის მოსახლეობისგან გაცვლა-გამოცვლების პროცესებში ჩართული ყოფილიყო ქვის მძივ-სამკაულების დასამზადებელი ნედლეული მასალებიც, რომელთა სანარმოო სახელოსნოები ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე ცნობილია ძვ.წ. VIII-VII სს-ებში (მუხურჩის ნანისქვილარი, ნოქალაქევი, ოჩხომური) [8. 160-167].

ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა ყოფილიყო მთის მოსახლეობისთვის მეტად გამოსადეგი, საჭირო ნივთი.

კოლხეთის მთისა და ბარის მოსახლეობას შორის გაცვლა-გამოცვლების მიმდინარეობისას, როგორც გადახდის ეკვივალენტი, სპილენძის ზოდების გარდა, შესაძლოა გამოყენებულიყო ბრინჯაოსგან დამზადებული რაიმე სხვა სახის არ-



ტეფაქტი. იქნებ, სულაც, განსხვავებული ფორმის სპილენძის ზოდები. ამ მხრივ საყურადღებია ქვიშარის, ცხინვალისა და მეხჩის ციხის განძებში შემავალი ბრინჯაოს დიდი ზომის მასიური რგოლები, რომელთაც საეჭვოა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდათ. იქნებ ეს არტეფაქტები ზოდის ფუნქციის მატარებელი – გადახდის ერთგვარი ეკვივალენტი ყოფილიყო. შესაძლოა ასეთი დატვირთვა კოლხეთში სხვა ნივთებსაც ჰქონდა. მაგალითად, კოლხეთში ბრინჯაოს სეგმენტს თვლიან გაცვლის ერთეულად, რომელთა ფუნქციონალური დანიშნულება, მიუხედავად გამოთქმული მრავალი მოსაზრებებისა, მაინც ბოლომდე გარკვეული არ არის. ვფიქრობთ, ეს ნივთები შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო კოლხეთის მთისა და ბარის მოსახლეობას შორის გაცვლა-გამოცვლების დროს, როგორც ერთ-ერთი გადახდის ეკვივალენტი.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხეთის მთიანეთიდან ბარში სპილენძის მადნის ტრანსპორტირებისას ჩვენთვის უფრო მისაღებია ცალფაულლიანი ხარის გამოყენება ზედ გადაკიდებული ტყავის ტომრებით. ეს ცხოველი უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო ასეთი სამუშაოების წარმოებისათვის, კერძოდ, მდინარეთა ხევისპირა ან ხეობათა ფსკერზე გამავალი მოუხერხებელი საცალფეხო ბილიკებით გავლისას.

კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ხარი წმინდა ცხოველად – ტოტემად ითვლებოდა, რომლის კულტზე და გამწევი ძალის გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს არაერთ ძეგლზე აღმოჩენილი თიხის, ბრინჯაოს ქანდაკებები, ხის სახვნელები და ა.შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი კერებიდან მეორად კერებში სპილენძის მადნის ტრანსპორტირებისას, ამ მეტად მძიმე და შრომატევად სამუშაოებში მონაწილეობას ღებულობდნენ სპეციალურად გამოყოფილი და დასაქმებული ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ მკაცრ შრო-

მით ორგანიზაციაზე დაფუძნებულ სასოფლო თემურ დასახლებებში. ისინი ბართან დამაკავშირებელ საკომუნიკაციო გზებზე, სავარაუდოდ, არსებული საშუამავლო პუნქტებით ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ადამიანთა ერთი ჯგუფი მიიტანდა სპილენძის ნედლეულს გარკვეულ ადგილზე, რომელსაც შეენაცვლებოდა მეორე ჯგუფი და, სავარაუდოდ, ასე მიმდინარეობდა ეს შრომატევადი და მეტად მძიმე სამუშაოები.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. აფაქიძე ჯ., აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, აფხაზეთი I, თბილისი, 2006.
2. ბერაძე თ., რაჭა ფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, N5, თბილისი, 1975.
3. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქაში, თბილისი, 1966.
4. გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952.
5. გობეჯიშვილი ვ., ლები, თბილისი, 2000.
6. გობეჯიშვილი ვ., ჩემი თვალთ დანახული რაჭა, თბილისი, 2017.
7. გოგოჭური გ., ორჯონიკიძე ალ., თისელის სერის მტკვარ-არაქსის ნამოსახლარი და სამაროვანი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 2010.
8. გოგაძე ელ., დავლიანიძე ც., ფანცხავა ლ., ლომიტაშვილი დ., ქვის სანარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან. ძიებანი, N19, თბილისი, 2010.
9. თოფჩიშვილი რ., დვალეთი და დვალეები, თბილისი, 2016.

10. ნანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში), თბილისი, 2010.
11. ინანიშვილი გ., ჯიბლაძე ლ., ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, თბილისი, 2019.
12. ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვ. მეორე, ტექსტები, თბილისი, 1941.
13. კვიციანი ზ., საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის საკომუნიკაციო სისტემები (სამიმოსვლო გზები). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, VIII, თბილისი, 2000.
14. კვიციანი ზ., ჯიბლაძე ლ., უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები), თბილისი, 2015.
15. ლორთქიფანიძე ოთ., განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა). კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი VI, დამატება V) თბილისი, 2001.
16. მაკალათია ს., მთის რაჭა, თბილისი, 1987.
17. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1980.
18. პაპუაშვილი რ., ჯიბლაძე ლ., ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. საკეციაში (ამბროლაურის რაიონი), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXIII, თბილისი, 2018.
19. რეხვიაშვილი ს., ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, 1977.
20. სახაროვა ლ., ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბილისი, 1976.
21. ლამბაშიძე ო., თხმორის განძი, თბილისი, 1963.
22. ლამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში, თბილისი, 2010.

23. ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი N12 სამარხის დათარიღებისათვის, ძიებანი, თბილისი, 2001.
24. ქორიძე დ., გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII-B, თბილისი, 1954.
25. ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. ნაწილი პირველი (ენეოლით გვიანბრინჯაოს პერიოდი), თბილისი, 1955.
26. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
27. ჩართოლანი შ., სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1977.
28. ჩართოლანი შ., ძველი სვანეთი, თბილისი, 1996.
29. ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961.
30. ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1976.
31. ჯაფარიძე ო., ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში. თბილისი, 2013.
32. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის ადრე- და შუაბრინჯაოს ხანის ყუახვრელიანი ლითონის ცული. აფხაზეთი, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, 2011.
33. ჯიბლაძე ლ., ბუაძე შ., ბრინჯაოს იარაღების ერთი ჯგუფი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან. კრებული კავკასიოლოგიური ძიებანი, N8, თბილისი, 2016.
34. ჯიბლაძე ლ., დავლიანიძე რ., გობეჯიშვილი გ., ბრილის ე.წ. შუაბრინჯაოს ხანისა და დიგორიის პროტოკობანური პერიოდის მასალების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თბილისი, 2017.

35. ჯიბლაძე ლ., დავლიანიძე რ., ჩხარტიშვილი ნ., ბრინჯაოს არტეფაქტები ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების ძირითადი ფონდიდან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, VIII-53-B, თბილისი, 2018.
36. ჯიბლაძე ლ., კვიციანი ზ., კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული ნარმოების პირველად, მეორად კერებსა და გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზები (ისტორიულ-გეოგრაფიული, არქეოლოგიური მიმოხილვა, თანაავტორი ზ.კვიციანი), კრებული „ამირანი“, XXXVI, თბილისი, 2022.
37. ჯიბლაძე ლ., ჯალაბაძე მ., ბრინჯაოს შუბისპირი ქუთაისიდან, კრებ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXVI, თბილისი, 2022, გვ.9-23.
38. Motzenbäcker I ., Sammlung Kossnierska, Berlin.1996.
39. Müller-Karpe M., Anatolisches Metallhandwerk. Offa-Bücher, Band 75, Neumünster: Anatolisches Metallhandwerk. offa-Bücher, Band 75,Neumünster. 1994.
40. Иессен А., Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. МИА №23, Москва-Ленинград, 1951.
41. Козенкова В., Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития Кобанской культуры), Москва, 1996.
42. Марковин В., Культура племен Северного Кавказав эпоху бронзы (II тыс. дон.э), МИА 93, Москва, 1960.
43. Марковин В. Долмены западного Кавказа. Археология эпохи бронзы Кавказа и средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, 1994.

44. Мунчаев Р., Майкопская культура. Археология Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва, 1994.
45. Мошинский А. П., Дигорская культура и Дигорско-Рачинский Металлургический очаг. Древность: историческое знание и специфика источника. Материалы международной научной конференции посвященной памяти Эдвина Арвидовича Грантовского и Дмитрия Сергеевича Раевского, вып. IV, Москва, 2009.
46. Мошинский А.П., Дигорская культура. Проблемы выделения и хронологии, Древность: историческое знание и специфика источника: Материалы международной научной конференции посвященной памяти Эдвина Арвидовича Грантовского и Дмитрия Сергеевича Раевского, выпуск 12-14 декабря 2011 года, Москва, 2011.
47. Корневский С., Древнейшие Земледельцы скотоводы Предкавказья. Москва, 2004.
48. Корневский С., Древнейший металл Предкавказья. Типология историко-культурный оспект. Москва, 2011.
49. Крупнов Е., Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода МИА №23, Москва – Ленинград, 1951.
50. Крупнов Е., Древняя история Северного Кавказа. Москва, 1960.
51. Куфтин Б., К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. XII-V, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, Тбилиси. 1944.
52. Куфтин Б., Археологическая маршрутная экспедиция в юго-осетию и имеретию Тбилиси. 1949.
53. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, Т. I, Тбилиси. 1949-а.
54. Скаков А. Ю., Об одной категории протокобанских украшений, Росийская археология N1. Москва, 2003.

55. Скаков А.Ю., Протокобанская эпоха на Кавказе. Кавказ: история, культура, традиции, языки. Материалы гуманитарных и международной научной конференции, посвященной 75-летию Абхазского института исследований им. Д.И. Гулиа 28-31 мая 2001 г. Сухум, 2004.
56. Чартолани Ш., К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тбилиси, 1989.

**LERI JIBLADZE  
ZVIAD KVITSIANI**

**THE INTERSECTION OF ELEMENTS OF ARCHAEOLOGICAL  
CULTURES OF THE BRONZE AGE IN THE COLCHIAN HIGHLANDS  
(GENERAL OVERVIEW)**

**Summary**

The location in the high mountains of Western Georgia, the relatively harsh climatic conditions, and living in hard-to-reach places, seemed to have led to isolation of the mountainous Svaneti from the outside world. However, this area was actively connected with the neighbouring regions in the Bronze Age, which is well proven by the discovery of numerous metal objects. Proximity to the passes connecting different regions led to the diversity of the Svaneti region in the Bronze and Iron Ages.

Distant contacts can be observed between Svaneti and the neighbouring regions since the 3rd millennium BC, it is evidenced by lop-eared and wide-mouthed axes, which are known for the Maykop and Kura-Araxes complexes.

Svaneti is the first region after Zemo (Upper) Imereti where different variants of the so-called Sachkhere type lop-eared and socket-eared axes are abundantly recovered. Some contacts are observed with the Shida Kartli region, which is reflected by the discovery of the so-called Central Transcaucasian axes in the mountainous Colchis (Svaneti and Racha-Lechkhumi). Perhaps, contacts in the past between Zemo Imereti and Svaneti regions were made through the paths on the Racha ridge.

Characteristic elements of the early complexes of Brili cemetery and Digoria Proto-Koban culture can be found in the materials discovered in Zemo Svaneti. Some scientists, namely, A. Yesen, V. Markovin, A. Moshinsky, and A. Skakov. See the similarities between the materials of these two regions, especially the bronze artifacts. According to this, the Digoria culture and the sites of these two metallurgical regions are distinguished. Links between the mountainous Colchis (Racha) and the North Caucasus were made through the passes on the Central Caucasus ridge.

Svaneti, as well as other parts of mountainous Colchis (Racha-Lechkhumi), was included in the distribution area of pre-Colchian and ancient Colchian cultures, which is evidenced by individual finds of metal objects, as well as by Colchian Late Bronze Age hoards and numerous materials from the Brili cemetery and some burial customs such as cremation.

The close contact between the highlands and lowlands of the Colchis world is especially seen in the discovery of copper bars in the lowlands, thus the existing metal casting workshops were supplied from the mountains, including the mining sites Zaargash and Zemo Racha.

During the exchange of goods between the Colchian highlands and lowlands, copper bars may have been an equivalent of the payment. In addition to copper bars, other types of bronze artifacts could have been used in this regard. From this point of view, the massive



bronze rings included in the hoards of Kvishari, Tskhinvali, and Mekhchi fortresses are noteworthy and doubtful to have had a practical purpose. These objects, known as ring rods, are believed to be equivalent to the payment. Bronze segments may have had the same function. It is interesting to see what the mountainous people could receive in exchange for rods from the lowland people, as this must have been a common exchange between these two regions. Perhaps tin, which should have been harder to supply the highlands than the lowlands. Besides, the raw materials for the manufacture of stone beads-jewellery could have also been included in the process of exchange with the mountainous people because the workshops of these jewellery are known in the territory of central Colchis dated to the 8th-7th centuries BC.

## წინო ოთხვანი

### რელიგიის ნიშნები პრაქტიკული საზოგადოების სახელობო საქმიანობაში

ტრადიციულ საზოგადოებაში ნედლეულის ამოღების შემდგომი მოგების, რიტუალური და სოციალური ყოფის განსაზღვრა ბევრად სცილდება უბრალოდ მადნის მოპოვების პროცესებს. წარმოება პირდაპირპროპორციულია მწარმოებლის და დამკვეთის მენტალურ-სოციალური ურთიერთობებისა, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების რელიგიურ ფაქტორს. მადანმოპოვებელთა კოლექტივები დღემდე გარკვეულ წმინდანებს სამთო საქმიანობაში მფარველებად მიიჩნევენ და გარკვეულ ტრადიციულ რიტუალებსაც ასრულებენ მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად [20.119]. საყდრისის მალარო და ძეძვების სახელოსნო სადგომის აღმოჩენები გვაძლავს გადავხედოთ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ადრე ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის საქმიანობის უკვე მიღებულ, აღიარებულ ჩვევებს და გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ შეხედულებებში, რომლის მიხედვითაც მტკვარარაქსის კულტურის კუთვნილი საზოგადოება მკაცრად მინათმოქმედ-მესაქონლე ერთობად არის წარმოდგენილი და აქცენტები გადავიტანოთ სახელობო დარგების ჩამოყალიბებაზე, კონკრეტულად, ლითონწარმოებაზე, რომელიც უკვე მათი საქმიანობის გამოკვეთილი, ცალკე მდგომი დარგია. ყურადღება გავამახვილოთ ლითონის, ოქროს, მოპოვება-დამუშავების პრობლემებზე. სამთო საქმიანობა რომ უკვე გამოკვეთილი სახელობო დარგია, ამაზე მეტყველებს საყდრისის სამთო ობიექტზე არქეოლოგიური კვლევების პროცესში გამოკვეთილი მთელი რიგი ნიუანსები, რაც მანამდე, სხვა შემთხვევებში, საყ-

დრისის აღმოჩენებამდე, არ შეგვხვედრია. არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგები საყდრისში გვაიძულებს ახლებურად შევხედოთ 5000 წლის წინანდელ სამთო-მომპოვებელთა წესჩვეულებებს და დავსვათ მთელი იგი კითხვები: რამდენად შეგნებული და არა სპონტანური ხასიათი ჰქონდა მელითონეობას მტკვარ-არაქსის ხანის საზოგადოებაში და შეგვიძლია თუ არა განვსაზღვროთ ის თავისებურებები, რაც ამ ქმედებებს რელიგიურ და სულიერ თვისებებს მიანიჭებდა [11.19; 20.119]? გამომდინარე აქედან, საყდრისის აღმოჩენების პარალელურად აქცენტები გაკეთდა გარკვეულ ნიშან-თვისებებზე, რათა გასაგები გამხდარიყო, თუ რა როლს თამაშობდა მელითონე საზოგადოების ყოფის ყოველდღიურობაში რელიგიური და სულიერი აზროვნება, რისი მოლოდინები ჰქონდა პრეისტორიულ სამთოელს სამუშაოს დანყების პროცესებში და როგორ გამოხატავდა იგი უზენაესი მფარველებისადმი, თუ მსგავსი ობიექტი არსებობდა, მაღლიერების გრძნობას.

საყდრის-ძეძვების კომპლექსი მიეკუთვნებოდა პრეისტორიული სამყაროს ოქროს მომპოვებელ უმნიშვნელოვანეს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლს. მრავალწლიანი ეტაპობრივი კვლევების შედეგად, ქართულ-გერმანულმა სამეცნიერო ჯგუფმა მტკვარ-არაქსის კულტურის მელითონეობაში როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ასპექტების შემცველი უმნიშვნელოვანესი მონაცემები მოაგროვა [12; 15; 18; 20]. არქეოლოგიური კვლევების პარალელურად, სამეცნიერო ჯგუფმა ჩაატარა სხვადასხვა ტიპის მრავალი კვლევა (ლაბორატორიული, სამთო, ექსპერიმენტული და სხვ.) მუშა პროცესების სურათის აღდგენის მიზნით [17.103-138]. სამთო საქმიანობისათვის განკუთვნილი სამუშაო იარაღების შესწავლამ მოგვცა შესაძლებლობა თანმიმდევრულად აღდგენილიყო მელითონეთა საქმიანობის უწყვეტი ჯაჭვი, მადნის მოპოვებიდან მოყოლებული, მისი დაფქვა-რეცხვით დასრულებული. კვლევები პარალელურად ითვალისწინებდა

სამთოელთა დასახლების მოძიებას, სადაც ამოღებული ნედლეულის საბოლოო გადამუშავება და მისი პროდუქტად ქცევა უნდა მომხდარიყო. საყდრისის მალაროდან 2 კმ-ზე მიგნებულ იქნა თანადროული დასახლება და სამარხთა ჯგუფები, რომელთა მასალაც საყდრისის აღმოჩენებს აზრობრივად ებმოდა. გაირკვა, რომ შრომატევადი საქმის უდიდესი ნაწილი, ოქროს მადნის დაქუცმაცება-დაფქვა, სწორედ ძეძვების ტერიტორიაზე წარმოებდა. ძეძვების სამთოელთა სადგომი-ნამოსახლარი განსხვავებულია მტკვარ-არაქსის კულტურის აქამდე ცნობილი ნამოსახლარებისაგან. აქ, მინათმოქმედ-მესაქონლეთა სტანდარტული ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, სახელობო იარაღებიდან სახეზეა უმეტესად სამთო საქმიანობისათვის დამახასიათებელი ინვენტარი. შეიძლება ითქვას, რომ ძეძვების ნამოსახლარის (დროებითი სადგომების) ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები დაკავებული იყვნენ მხოლოდ ლითონის მოპოვებით და არ მისდევდნენ ინტენსიურ აგრარულ მეურნეობას. ოქროს მოპოვება-გადამუშავება-წარმოება ტექნიკური პროცესების მკვეთრ დეფინიციას და შრომის დანაწილებას გულისხმობს [19.79-81]. საყდრისის გამოკვლეულ მალაროებში ოქროს შემცველი ძარღვების ნიადაგში ჩასვლის მაქსიმალური სიღრმე 30 მეტრამდე აღწევდა. როგორც გაირკვა, უძველესი სამთოელი მიუყვებოდა სწორედ ამ მაღალი შემცველობის ძარღვს, ათავისუფლებდა მას და შედეგად რჩებოდა სწორედ იმ სიფართის შტრეკები, რამხელაც იყო ძარღვი [20.120]. მოგვიანებით ეს გამოთავისუფლებული სივრცეები საგანგებოდ ივსებოდა გადამუშავებული ნარჩენებით [14.97-99; 13.71-77]. პერიოდულად, სიტუაციიდან გამომდინარე, უძველეს სამთოელს ერთხელ გამოტანილი და უკვე გადახარისხებული მასის, გარკვეულ სანარმოო და ყოფით ნარჩენებთან ერთად, უკან, მალაროებში შეტანა უნევს. შტრეკების საგანგებოდ შევსება ე.წ. „სანარმოო ნაგვით“ გათხრების პროცესში არაერთხელ იქნა დაფიქსირებული. რაც შეეხება შევსების სახეს – მას არ ჰქონდა

ტექნიკური (მახტის სტაბილიზაცია, ნაგვის დაბინავება) ხასიათი. საყდრის-ყაჩალიანის გეოლოგია მყარი ქანებით იყო წარმოდგენილი და ნებისმიერი შევსება ოქროს ძარღვების გამოლევა-დამუშავების პროცესში მხოლოდ ხელის შემშლელი უნდა ყოფილიყო. გამომდინარე აქედან, ერთხელ უკვე გამონგრეული ქანის არამომგებიანი მასის ხელმეორედ მოხვედრა მაღაროებში, სხვა კულტურულ ნაგავთან ერთად, მიზანმიმართული ქმედება უნდა ყოფილიყო. მას, როგორც ჩანს, პერიოდულად მიმართავდა პრეისტორიული სამთოელი, რათა შეექმნა გარკვეული მყარი პლაცდარმები მიუწვდომელი მონაკვეთებიდან ოქროს ძარღვის სრულფასოვნად გამოლების მიზნით. მსგავსი პლაცდარმების მოსაწყობად სწორედ ამით უნდა აიხსნას მსგავს ფენებში ინერტულ მასალასთან ერთად კერამიკის ფრაგმენტებისა და ძვლის იარაღების ჩართულობაც. საყდრისის სამთო-არქეოლოგიური ობიექტის კერამიკა, შრომის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, პირველ რიგში გამოიყენებოდა, როგორც სასმისი ინვენტარი და სითხის მარაგის შემნახველი ჭურჭელი [2.6-29], მაგრამ უკანასკნელმა კვლევებმა მათი მეორადად გამოყენების კვალიც დაადასტურა [3. 2019, სპეკალი №13]. კერამიკის ფრაგმენტების უდიდესი ნაწილი ჩასასვლელების ზედა მონაკვეთებში გვხვდება, რაც საფქვავ-გასამდიდრებელ მოედნებს, სავარაუდოდ, მის ძირითად ადგილსამყოფლად მოგვააზრებინებს, ხოლო მაღაროებში ალტერნატიული, გამძლე ჭურჭლის გამოყენებაზე [2. 6-29] უნდა ვიფიქროთ (მაგ.: ტყავის მათარები და ტიკები). თ. შტოლნერი არ გამოორიცხავს მაღაროების ჩასასვლელებთან მონეობილ პირველადი დამუშავების მოედნებზე მონოტონური შრომის შესამსუბუქებლად ალკოჰოლური სასმელის მიღებასაც [20. 121]. რამდენად ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, სხვა საკითხია, მაგრამ, მეორე მხრივ, კოლექტიური შრომის პრაქტიკა, როგორც ბევრი ქვეყნის და მათ შორის ქართული ეთნოლოგიური მასალიდან ჩანს, არცთუ იშვიათად მიდის მცირე ალკოჰოლის და შრომის

მოტივებზე შექმნილი სიმღერების ფონზე. ასეთ ღრმა წარსულში, მაშინ, როდესაც შესაფერისი არგუმენტები არ გვაქვს, მოსაზრების საფუძვლად მხოლოდ ეთნოლოგია თუ გამოდგება. გამომდინარე აქედან, მოსაზრებას ვერც უარყოფთ და ვერც მტკიცების სახით დავადასტურებთ. მოსაზრებას კი, როგორც სამუშაო ვერსიას, ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. მიწის ზევით, მალაროების ფერდებზე, საფქვაკი და სანაყი ორმოების არსებობა ამოღებული ნედლეულის დახარისხებაზე მიუთითებს. სავარაუდოდ, მალაროელს მიწის ქვეშ უჭირდა მადნის ხარისხის განსაზღვრა (ოქროს მალალი თუ დაბალი შემცველობის დადგენა) და სწორედ ამ პროცესებს ემსახურებოდა სამუშაო ობიექტები მალაროს თითქმის მთელ ზედაპირზე, დედაქანში, ამოღებული საფქვაკ-დასაქუცმაცებელი სანაყი ორმოები (ე.წ. ამბოსები) და ფხვნილადქცეული მადნის გასარეცხი აუზი. ასეთი მიწისზედა პირველადი გადასამუშავებელი სანაყები (ე.წ. ამბოსები) აღმოჩნდა მალაროს ყველა ჩასასვლელთან. მადნის პირველადი შემომება უნდა მომხდარიყო ყველაზე ინტენსიურ სარეცხ-საფქვაკ მოედანზე, რომელსაც კვლევების პროცესში **A** ჩასასვლელი ეწოდა. ყველაზე ნათლად რიტუალების არსებობაზე მიწისქვეშა გამონამუშევრების გალერეებში აღმოჩენილი სამთო იარაღები მეტყველებს. **2005-2011** წლებში მიწისქვეშა არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა უროები, რომლებიც ადგილზე საგანგებოდ დატოვებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირველად მსგავსი შემთხვევა **A** ჩასასვლელის მე-2 შახტის ჩრდ. დას. ნიშის **№25011** შრეში იქნა მიკვლეული. აქ ნაპოვნი იქნა **4** მოზრდილი მთელი (**№3908, 3909, 3910, 3911**) და ერთი ც ფრაგმენტული (**№3892**) სანგრევი ურო. თავდაპირველად მთელი უროები გამოუყენებლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ტრასოლოგიურმა კვლევამ მათზე ნამუშევარი კვალი დააფიქსირა. ამ უროთაგან ორი (**№3909** და **№3910**) გამოირჩევა სიდიდით, **№3010** კი გამორჩეული ფორმისაა. მას, ფორმის ტიპოლოგიური თვალსაზრისით, საყ-

დრისის ტერიტორიაზე ანალოგი არ გააჩნია. უროთა აღმოჩენის ადგილზე, გვერდით, გამონამუშევარი მთლიანად შევსებული იყო სანარმოო ნაგვით. მსგავსი დასაწყობება ინვენტარისა დაფიქსირებული იყო A 1/2 ჩასასვლელის შრე №№24022, 24069-5, ჩასასვლელი A 1/3 შრე №23005 და ბოლოს A 1/2 ჩასასვლელის ჩრდილოეთ უკიდურეს გაფართოებაში, სადაც №24043 შრეში, ძარღვის სრულად ამოღების შემდეგ, დაუტოვებიათ სამუშაო იარაღები. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ნაპოვნი უროები მოზრდილი ზომისაა და უხმარის შთაბეჭდილებას ტოვებს – აღნიშნავს მკვლევარი [20. 121], რომელიც სამთოელთა სახელობო ჩვევებზე საუბრობს და უროთა დატოვებას დასრულებულ ობიექტზე შესაწირის სახით საგანგებო რიტუალის ნაწილად თვლის. გარდა ქვის ინვენტარისა, მკვლევარი სარიტუალო დანიშნულებისად მიიჩნევს A 1/2 ჩასასვლელის უკიდურეს სამხრეთ ნაპირში ცეცხლის კვალსა და სანარმოო ნაგავს შორის აღმოჩენილ ძვლის იარაღზეც. მსგავს დასკვნას მკვლევარი მაღაროს სტრატეგრაფიულ ქრილზე დაყრდნობით აკეთებს, სადაც ჩანს, რომ უროთა დატოვება წინ უსწრებს დასრულებული ობიექტის სანარმოო ნაგვით საგანგებოდ ამოვსებას.

რაც შეეხება მადნის სრულფასოვან პროფესიულ დონეზე დამუშავებას, იგი ძეძვების ნამოსახლარის ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო [13. 71-77], სადაც მადნის დაფქვა, როგორც ჩანს, ხდებოდა არა მარტო უშუალოდ სახელოსნო ადგილებზე, არამედ მის გარეთ ეზოებშიც, რაც მადნის ქარბი ოდენობით და სახელოსნოების გადატვირთვით უნდა ყოფილიყო გამოწვეული [20.119-120]. ძეძვების ნამოსახლარზე გამოვლენილია რამდენიმე სახელოსნო უბანი (II,2; III,5). აღნიშნულ სახელოსნოებში პირველად ოქროს დნობის პროცესების მტკიცებაა ჩირს, მიუხედავად III,5 უბანზე ნაცრით სავსე ორმოში აღმოჩენილი სადნობი ტიგელისა, რომელშიც დაფიქსირდა სუფთა სპილენძისა და დარიშხანიანი სპილენძის დნობა [20.120]. გა-

მომდინარე აქედან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ მიმართულებად სადნობი კონცენტრატის მინერალოგიური შემადგენლობა იქცა. ცდებმა აჩვენა, რომ საკვლევად უნდა აღებულიყო ჰემატიტის მაღალი შემცველობის ნიმუშები როგორც საყდრისის სამთო-არქეოლოგიური, ისე ძეძვების სახელოსნო ობიექტებიდან. ამ მხრივ საინტერესო გამოდგა II,8 უბანზე აღმოჩენილი სახლი №4, ცილინდრული ფორმის სტაციონარული, თიხით ამოლესილი ორმო (კერა?) №38046, რომელშიც ჩადგმული იყო ტაფისებური, გვერდშეზნეილი, შეზნევის ადგილას ხელმოსაკიდშვერილიანი, ბრტყელძირა ტაფისებური ჭურჭელი. სტილისტურად ამ ფორმის ჭურჭელი ძეძვების ნამოსახლარზე ერთადერთია, მსგავსებით კი ყველაზე ახლოს დგას თისელი სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნიმუშთან [1.110-132]. ჭურჭლის ფსკერის ლაბორატორიულმა კვლევამ ოქროს კვალზე მიგვითითა. ოქროს შემცველი მიკროსკოპული ნაწილაკები კონცენტრატის გარეცხვის შემდეგ უნდა ჩარჩენილიყო ტაფისებური ჭურჭლის ფორებში. ცალკე საკითხია უკვე მწყობრიდან გამოსული ინვენტარის საგანგებოდ კერა-სამსხვერპლოში მოთავსება. ნაგებობა №4-ში პარალელურად აღმოჩენილი იყო უჩვეულოდ დიდი ოდენობის სასრეს-საფეკავი იარაღი. ყოველივე ერთად გარკვეული რიტუალური ცერემონიის აღსრულების შთაბეჭდილებას ტოვებდა [20. 120-121]. მსგავსი მოსაზრება პარალელურ რეჟიმში აჩენს კითხვებს, თუ როდის სრულდება ეს რიტუალი, სამუშაოს დაწყების წინ თუ დასრულებისას? რისთვის სრულდებოდა იგი, მფარველი ღვთაების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად თუ წარმატებით დასრულებული სამუშაოს მადლიერების ნიშნად? აქვს თუ არა მსგავს შემთხვევებს ადგილი სხვა ცნობილ სამთო-მომპოვებელ ობიექტზე? თუ აქვს, რა სახისაა ისინი? დავინწყით თანმიმდევრულად მოპოვების პროცესებით:



როგორც კვლევებმა გვიჩვენა, საყდრისის მალაროს სეზონური გამოყენების სახე უფრო აქვს, ვიდრე მისი მთელი წლის განმავლობაში აქტიური ექსპლუატაციისა. ალბათ ამანაც განსაზღვრა რიტუალების სახასიათო ელემენტების შედარებით მცირე ოდენობით პონა-გამოვლენა. უძველესი ფენების დაზიანება უნდა მომხდარიყო ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში, როდესაც სამთოელი დიდი პაუზის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა საყდრის-ყაჩალიანის ობიექტს. ამ შემთხვევაში ძეძვების სახელოსნო სადგომების ინფორმაციები კრავს ყოფაცხოვრების სახასიათო ჩვევების ჯაჭვს, სადაც გარკვეული ურთიერთდამოკიდებულებაა სახეზე ოქროს მოპოვება-დამუშავების პროცესებისა და სოციალური მენტალობის კოლაბორაციისა. ამის მაგალითად გამოდგება სახლი №2, სადაც არასრულწლოვანის №7 სამარხი გამართული იყო მადნის დასაფქვავი ორი დიდი დაფის ქვეშ, რომელთაც ხანგრძლივი ფუნქციონირების კვალი ეტყობათ. საფქვავი დაფა უშუალოდ სამარხს ებჯინება ძეძვები II,3-ის ტერიტორიაზე №3 სახლში აღმოჩენილ №5 ქვაყუთის ტიპის სამარხის შემთხვევაშიც. თუ სამარხი №7 გამართული იყო უშუალოდ სახელოსნო ნაგებობაში, №5 სამარხის ერთ-ერთ კედლად გამოყენებული იყო უფრო ადრეული ნაგებობის კედელი. ამ შემთხვევაშიც მადნის საფქვავი ფილების სამარხის კედლებად ან სახურავად გამოყენება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. მკვლევრები მათზე დაკვირვებით აკეთებენ ერთგვარ დასკვნას: სამარხების უმრავლესობა კოლექტიური სახისაა და მოზრდილ ინდივიდებს ეკუთვნის, გარდა ერთი შემთხვევისა, სადაც მოზრდილებთან ერთად ერთი არასრულწლოვანი განსაკუთრებული პატივითაა დაკრძალული. უმრავლესობა მათგანი (№2 სამარხის გარდა) მტკვარ-არაქსის კულტურის მეორე ნახევრით თარიღდება [13.80-85] და მიაჩნიათ, რომ არასრულწლოვანთა შემთხვევაში უფრო მკვეთრადაა გამოკვეთილი ის რიტუალური ელემენტე-

ბი, რომლებიც საყდრისა და ძეძვებს ერთმანეთთან აკავშირებს. მაგ.: სამარხების არქიტექტურაში მადნის საფქვაკვი დაფების ჩართვა, გარდა სამეურნეო დანიშნულებისა, აშკარად რიტუალური ხასიათის უნდა ყოფილიყო. ნათელია, რომ ეს ფილები საგანგებოდ იყო სამარხთა კონსტრუქციაში ჩართული – ასკენიან ავტორები [20. 122-124]. რიტუალზე თვალის მიდევნება შეიძლება ძეძვები II,7 ობიექტზე გამოვლენილი სამეურნეო ორმოს (შრე №37006) მაგალითზეც, სადაც გამომწვარი კერის ფრაგმენტებთან და თიხის ჭურჭელთან ერთად ორმოში აღმოჩნდა მადნის დასამუშავებელი სასრეს-საფქვაკვი იარღი (№24123). თიხის ჭურჭლებიდან სახეზეა ცალყურა ხელადა (№24122), ორყურა ქოთანის (№24129), დაზიანებული ქოთნი, ყელისა და პირის გარეშე, რომელსაც შემორჩენილი აქვს ყურის მიძერწვის ადგილი (№24121) და სნორკედლა ჯამი (№24123). ჩემი აზრით, ჭურჭელი საგანგებოდ შერჩეული ჩანს. ვარაუდს მიმყარებს ორმოს შიგთავსი. თიხის ჭურჭლის ასორტიმენტიდან სახეზეა ყოფისათვის უპირობოდ აუცილებელი, უმთავრესი სახეობები. სავარაუდოდ, ორმოში მოხვედრამდე ჭურჭელი საგანგებოდ დაუზიანებიათ და პირდალმა ჩაულაგებიათ, რაც ასევე, რიტუალის შემადგენელ ელემენტად შეგვიძლია მოვიზნოთ. მადნის სასრეს-საფქვაკვი იარაღების ორმოში აღმოჩენა კი მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ ორმო საყდრისის მაღაროში ოქროს მოპოვების თანადროულია, ოღონდ დაბეჯითებით, თუ როდის შესრულდა რიტუალი, მადნის გადამამუშავებელი სამუშაოების დასაწყისში თუ დასრულების შემდეგ, ამის შესახებ ავტორებს რამის გადაჭრით მტკიცება უჭირთ [20. 123-124]. ძეძვები II,7 უბნის გვერდით, სულ რამდენიმე მეტრში, გამოვლენილ იქნა ახალი მონაკვეთი, რომელსაც პირობითად უბანი II,8 ეწოდა. აქ გამოიკვეთა რამდენიმე სამშენებლო დონე. უბანი ეროზიისა და მღრღნელების საგან იმდენად იყო დაზიანებული, რომ გარკვეული ფენების

რეკონსტრუირება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. რაც მეტ-ნაკლებად სახეზეა, ესაა: სამი სამშენებლო დონე, რამდენიმე სხვადასხვა ფორმის კერით. ამ მონაკვეთს ნაგებობა №4 ეწოდა. ნაგებობის არქიტექტურული ფორმის (მტკვარ-არაქსის კულტურისათვის სახასიათო წრიული, ოვალური თუ მომრგვალებულკუთხეებიანი) ზუსტი მტკიცება ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ძნელია [13. 72-75; 92-97]. შემორჩენილია მხოლოდ მისი ზედა მონაკვეთი. სავარაუდოდ, შენობას მაინც წრიული ან ოვალური ფორმა უნდა ჰქონოდა. მისი ფართობი 7X8 მ-ია. ყველაზე კარგად შენობის დასავლეთი ნაწილია შემორჩენილი, სადაც რიყის ქვის სასრეს-საფეკვავი იარაღები იყო კონცენტრირებული. აქ ორი შრეა – №38011 და №38017 საყურადღებო. №38011 კულტურული შრე უშუალოდ ქვის ინვენტარს შეიცავდა, ხოლო №38017 მდიდარი იყო კერამიკის ფრაგმენტებით. თავმოყრილი იყო კათხა-სასმისების, ჯამების, ხუფების, ქოთნების, დერგების ფრაგმენტები. ამავე უბანზე აღმოჩენილია №38057 შრე, სადაც მიგნებულ იქნა ორმო, რომელიც მადნის სასრეს-საფეკვავი ქვის იარაღის სათავსოს წარმოადგენდა. საყურადღებოა ნაგებობა №4-ში, ცილინდრულ კერასთან ახლოს, ორ კოჭისებური ფორმის სადგარს შორის, საგანგებოდ ჩადგმული მცირე ზომის სამყურა ჭურჭელი, რომელიც სანახევროდ შეესებული იყო ნმინდად დაფქული ჰემატიტით. სამწუხაროდ, იგი არ შეიცავდა ოქროს და მისთვის პრაქტიკული დანიშნულების მიწერა ფაქტობრივად გამოორიცხულია. კერაში, როგორც აღვნიშნეთ, ჩადგმული იყო გვერდშეზნევილი ტაფისებური ჭურჭელი, რომლის ფსკერზეც ოქრის ნაწილაკები დაფიქსირდა. იმავდროულად, ნაგებობა №38016-ის შრიდან აღებული მიწის სინჯების ანალიზების მიხედვით, ოქროს მადნის დაფეკვა-დამუშავება სწორედ ამ ნაგებობაში წარმოებდა. ის, რომ პიგმენტი სიტუაციურად ოქროს წარმოებასთანაა კავშირში და მოპოვება-დამუშავების პროცე-

სების თანადროულია – უდავოა. მათ შორის არსებული სოციალური ურთიერთდამოკიდებულება სახეზეა. მკვლევართა აზრით, სახეზეა ოქროს დამუშავების მთელი ხაზი – დაფქვიდან მოყოლებული, გამოთავისუფლებულ, გარეცხილ პიგმენტამდე. ამ პროცესების მიზმა კერა-სამსხვერპლოსთან კი ხარკია მელითონეთა მფარველი ღვთაებებისადმი გაღებული, რაც მათი შემდგომი საქმიანობის წარმატების გარანტი უნდა ყოფილიყო.

რიტუალური თვალსაზრისით საინტერესოა ნაგებობა №5. მას ნაგებობას ვერც დავარქმევთ. იგი წრიული, დიდი ზომის, რიყის ქვებით მოგებული პლაცდარმა-კონსტრუქციაა, ცენტრში დიდი შვერილებიანი კერით (ნახაზი, ფოტო). აქვე, მოედნის მიღმა, მიბჯენით გამართულია სამარხები (№8, 9), რომელთაგან №9 სამარხი მცირე დრომოსიანი აკლდამაა, სადაც ოთხი მიცვალებული იყო დაკრძალული. სამარხი გადახურული იყო გათლილი ბაზალტის ლოდებით, რომელზედაც სამი სასმისი და ერთი ქვის მოზრდილი ურო იდო. რჩებოდა შთაბეჭდილება მიცვალებულის იმ ქვეყნად გასაცლილებელი ალაპის რიტუალის შესრულებისა. რაც შეეხება ქვის უროს, იგი ტიპოლოგიურად განსხვავდება საყდრისის მსგავსი დანიშნულების იარაღებისაგან, ოღონდ, იგი რომ საგანგებოდაა დატოვებული ადგილზე, ეჭვგარეშეა.

იარაღის საგანგებოდ დატოვების ტრადიცია იგრძნობა III,5 უბანზეც, სადაც აღმოჩნდა ნაცრით სავსე მიწაში გამართული ქურა, რომელშიც ტიგელის ფრაგმენტი და ორი მცირე ზომის ურო იქნა ნაპოვნი. III,1 უბანზე, №3 კოლექტიური სამარხის ირგვლივ, გაითხარა 3 სამეურნეო ორმო, რომლებიც ასევე მადნის საფქვავ-სასრეს იარაღებს შეიცავდა. იყო თუ არა თავიდანვე ეს ორმოები იარაღების დასასაწყობებლად განკუთვნილი, არ ვიცით. შესაძლოა ისინი სამუშაოთა საწყის ეტაპზე დაფქული მასის სასაწყობედ გამოიყენებოდა [19].

2014:100] და მხოლოდ მუშა პროცესის დასრულების შემდეგ მოთავსდა ორმოებში უკვე გამოყენებული იარაღები. სამუშაო მოედნების სიახლოვეს სამარხთა აღმოჩენა შემთხვევითობად არ უნდა ჩავთვალოთ. სავარაუდოდ, ეს განპირობებული უნდა იყოს იმ ტრადიციით, რომელიც თანადროულ საზოგადოებას მკვდართა საუფლოსთან აკავშირებდა [20.125].

არსებობს თუ არა უძველეს მეტალურგ ხალხებთან, მეტალურგიასთან დაკავშირებული რაიმე სახის რიტუალურ წეს-ჩვევათა წერილობითი ან ეთნოლოგიური აღწერა და რა შეგვიძლია ვთქვათ მათ შესახებ დღეს? ვაისბერგერი [22. 27-43], არნოლდი [8. 190], როტენბერგი [17. 149-175], გარდნერი [14. 242] და სხვა მკვლევრები ძველი ეგვიპტელი სამთოელების შესახებ სინაის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთის უდაბნოებში ოქროს, ფირუზის, სპილენძის მომპოვებელ საქმიანობებზე და ცხოვრების წესის შესახებ სრული წარმოდგენისათვის გვთავაზობენ თანადროული ტაძრების წარწერებს, სადაც სამთოელები გამოხატავენ მაღლიერება-თაყვანისცემას მფარველი ღმერთების – ხატჰორის [8.222-224] ან ატუმის მიმართ [14. 52]. რაც შეეხება ეთნოგრაფიულ ინფორმაციას: ამერიკის და წყნარი ოკეანის აბორიგენებში, სამთო-მომპოვებელი სამუშაოების დაწყებამდე, დღემდე იცავენ ე.წ. „განწმენდის რიტუალს“, რაც სექსუალურ თავშეკავებაში გამოიხატება. ეს პროცედურა, გვინების მკვიდრთა აზრით, ხელს უწყობდა მარილის საბადოების მოძებნას და წარმატებულ ექსპედიციას. რიტუალის დაცვას აკონტროლებდა ზედამხედველი, რათა თავიდან აეცილებინათ „საფრთხეები“. დაცვის კონტროლი ევალეობდა ყველაზე გამოცდილ და მცოდნე მომპოვებელს [21. 144- 258; 10. 96-121]. თავისებურ მარხვას იცავდნენ დაკოტის (მინესოტის შტატი) აბორიგენი ინდიელები პიპერსტონის (კალინინის) ცნობილ კარიერში რიტუალური ჩიბუხების დასამზადებლად საჭირო ქვის ნედლეულს მოპოვებისას. „კარიერის მცველთა“

კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ადგილობრივები საჭმელს და თამბაქოს სწირავდნენ წმინდა სულებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პიპერსტონის ქვისაგან დამზადებული ჩიბუხები ყოველდღიურობაში არ გამოიყენებოდა. მათ რელიგიური და სოციალური (ზავის დადება, შერიგება, მოლაპარაკების დასტური) დატვირთვა ჰქონდათ და განსაკუთრებული შემკულობითაც გამოირჩეოდა (მცენარეული მოტივები, ტოტემთა გამოსახულებები). მსგავსი ჩიბუხის მფლობელი საზოგადოების გამორჩეული წევრიც იყო [9. 144-146].

მეტალურგია, კონკრეტულად მჭედლობა, საკულტო ქმედებებამდეა აყვანილი აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის ყოფაში. მის საიდუმლოს დევები, ბოროტი არსებები, ადამიანებს უმაღლავენ „ქვეჯეთის“ ქვეყანაში [7. 13-19]. ვინ არიან დევები, რა ფუნქცია აქვთ მათ ფშავ-ხევსურების რელიგიაში? ეს, ადამიანების მსგავსი, თავიდან ბოლომდე ბალნით დაფარული არსებები, რომელთაც ფეხები უკულმა აქვთ მიდგმული [6. 166], განსაკუთრებულ საიდუმლოს ფლობენ. დევებმა არ იციან ხვნა-თესვა, მესაქონლეობა, მაგრამ ოსტატი მელითონეები არიან. მათ გამოჭედილ იარაღს მაგიური ძალა აქვს, ორმაგი მოსავალი მოაქვს [6.170]. ადამიანებთან მათი ურთიერთობა წინააღმდეგობრივია, რადგანაც დევებს ლითონის ნაწარმის გამოყენება არ შეუძლიათ და ადამიანებისთვისაც მხოლოდ საზღაურის სანაცვლოდ ჭედენ, მათი მორჩილებაში ყოლის მიზნით. სანაცვლოდ ითხოვენ გამორჩეული სილამაზის ქალს და ადამიანსაც, ღირსებისა და თავმოყვარეობის ფასად, რადგანაც თავად არ ფლობს ლითონის იარაღის დამზადების წესს და მის გარეშე ვერ გადარჩება, დათმობაზე უწევს წასვლა. შიმშილის შიში ათმობინებს ოჯახის წევრს. საბოლოოდ, შერცხვენილი მოკვდავის ფიზიკური გადარჩენის იდეას ჯობნის მორალი. სრულდება პირველი მსხვერპლშენიშვის აქტი, სწირავს გამჩენ ღმერთს გამორჩეულ საკლავს,

თეთრ ხარს [5.119]. უფალიც უგზავნის ღვთისშვილ კოპალას, რომლის დახმარებითაც ადამიანი იძენს თავისუფლებას, ადგილ-სამოსახლოს და, რაც მთავარია, რელიგიას – დევების განადგურების ადგილზე აარსებენ ხატ-ჯვრებს და იქმნება ე.წ. „საყმოები“ [7.17]. რამდენად იღებს ადამიანი სამოსახლოსა და რჯულთან ერთად მელითონის ჩვევებს, ამაზე ანდრეზებში საუბარი აღარ გვხვდება. სამაგიეროდ, ჩემი აზრით, ეს ის პრეისტორიული თანმიმდევრობაა, რა მონაცვლეობითაც აითვისა ადამიანმა სახელობო დარგები, მინათმოქმედება-მესაქონლეობა-მელითონეობა. გარდა ამისა, ყველაზე შეუცნობელი და რთული ამათგან უკანასკნელი (ლითონის დამუშავება) აღმოჩნდა, რადგან შემოქმედი ღმერთის ნების და საგანგებო შესაწირ-გამოსასყიდის გარეშე, მოკვდავებმა მისი დასაკუთრება ვერ შეძლეს.

რაც შეეხება საყდრისისა და ძეძვების ნიუანსების წმინდა რიტუალურ კონტექსტში გააზრებას, გარკვეულ სიფრთხილებთან არის დაკავშირებული. თუ როგორი ფორმა ჰქონდა რიტუალს, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდის დონეზე წამოვწიოთ განსახილველად. არაა გამოსარიცხი მოსაზრება, რომ ყველა იარაღი, რომელიც იღებდა მონაწილეობას ოქროს შემცველი მადნის დამუშავების პროცესში, იყო წმინდა და სამუშაოს დასრულების შემდეგ მათი ადგილზე დატოვება აუცილებლობას წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ დატოვებდა სამთოელი საკუთარ, თითქმის უხმარ იარაღს მალაროებში ან სახელოსნო უბნებზე? კვლევის პროცესებისას ექსპერიმენტი შეეხო სამთო სამუშაო იარაღის დამზადებას. პირველ რიგში ეს ნედლეულის მოძიება, შემდეგ მასზე ტყავის თასმის დასამაგრებელი ღარის ამოჭრა და შემდეგ ქარის დაგებაა. ყოველივე ეს საკმაოდ შრომატევადი საქმე გამოდგა. გამომდინარე აქედან, მსგავსი იარაღების თავმოყრა უკვე მადანგამოღებულ ობიექტზე, მათ განსაკუთრებულობას და მადლიერების

გამოხატვას უნდა გულისხმობდეს. ყველა ეს ღონისძიება უდავოდ სოციალური ურთიერთობების, საზოგადოების ცხოვრების ამსახველი პრაქტიკისა და რისკების ერთობლიობაა, ამიტომ საყდრის-ძეძვების აღმოჩენების ოქროს მოპოვების პროცესებთან დაკავშირება გარკვეული ცდუნების წინაშე გვაყენებს. ისეთი საკითხები, როგორცაა მაღლიერების გამომხატველი რიტუალების აღსრულება, საერთო სცენის მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა იყოს – თანამედროვე პრაქტიკაშიც კი, ამა თუ იმ ობიექტის წარმოებაში ჩაშვებას წინ უძღვის საპატიო სტუმრების, ხელისუფლების პირთა დასწრება და განსაკუთრებული ცერემონიის თანხლება – თვლის თ.შტოლნერი [20.127-128]. საყდრის-ძეძვების აღმოჩენების გარკვეული არქეოლოგიური თავისებურებების შესახებ მსჯელობისას ცხადი ხდება, რამდენად მჭიდრო კავშირი აქვს ოქროს მოპოვების პრაქტიკას და გარკვეულ რიტუალებს ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის დასაწყისის საზოგადოების ყოფაში. ცხადი ხდება, რომ მატერიალიზებული რიტუალები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ საკულტო გამოხატულებებიდან, რომელთაც შესაძლოა ადგილი ჰქონდათ ოქროს მოპოვების ჩვეულებათაგან. უმრავლესობა მათგანი თანდათან, ყოველდღიური ყოფითი ჩვევებიდან უნდა ჩამოყალიბებულიყო. თუ რომელი მათგანი დომინირებდა, დღეს ამის თქმა ჭირს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რომელმა პრაქტიკულმა ჩვევამ განაპირობა რიტუალის ჩამოყალიბება. შეიძლება ეს ყოფილიყო სამთო საქმიანობის სირთულე და მისგან გამომდინარე უსაფრთხო მუშა პროცესის სურვილი, კატასტროფის მაღალი ხარისხი და მოგების მოლოდინი. საყდრისის მაღაროების შემთხვევაში უმთავრესი როლი უსაფრთხო მოპოვებელ სამუშაოებს უნდა ჰქონოდათ. მადნის შემცველი ძარღვის გამოღება თუ ცეცხლის გამოყენება მაღალი რისკის მქონე საქმიანობა იყო. რაც შეეხება შრომის შედეგებს, მისი წინასწარ-



მეტყველება უფრო რთული საქმე უნდა ყოფილიყო და სავარაუდოდ, მთლიანად ღმერთების კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული. თუ ამ მოსაზრებებს დასაშვებად მივიჩნევთ, მაშინ აღარაა გასაკვირი სამუშაოთა დასრულების შემდეგ გალერეების გამოყენებული სამთო იარაღებით შევსება და საგანგებოდ შერჩეული ქვის იარაღების დატოვება მადანგამოღებულ ობიექტებზე. ჩემი აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ არანაირი ტექნიკური აუცილებლობა იარაღების დატოვებისა მუშა პროცესში არ არსებობს, რაც გათხრებისას ნათლად გამოჩნდა, ერთადერთი ახსნა რელიგიურ ასპექტებში უნდა ვეძებოთ.

ძეძვების სახელოსნო არეალის II, 8 უბნის №4 სახლში აღმოჩენილი წმინდად დაფქული ჰემატიტი, თ. შტოლნერის აზრით, ერთგვარი განწმენდის რიტუალის ნაწილი უნდა იყოს და მელითონეები მას ტანის შესაღებად იყენებდნენ [20. 230]. ძნელია დაეთანხმო ან, თუნდაც, უარყო მოსაზრება, მაშინ, როცა სხვადასხვა საგანგებო სიტუაციისას ტანის შეღების რიტუალები დღემდე შემორჩენილია აფრიკის, ავსტრალიის და სხვ. აბორიგენი ხალხების ჩვევებში. ასეთ ინიციაციას ლოგიკური არქეოლოგიური ახსნა არ ეძებნება, თუ არ მოვიშველიეთ ეთნოლოგიური ასპექტები. ასევე, ეჭვგარეშეა, რომ ძვ.წ. IV-III ათასწლეულების ქვემო ქართლის მკვიდრთა ყოფაში მელითონობა უკვე სოციალიზებული პროფილია და დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ყოველდღიური ურთიერთობების სფეროში. №4 სახლის ინვენტარის ურთიერთკავშირები სოციუმის ძირითად საქმიანობაზე მიგვითითებს და თუ ამ ყოველივეს საყდრისის მალაროებში მიღებულ პრაქტიკასაც დავუმატებთ (გამოთავისუფლებულ გამოწამოშვებებში სამუშაო იარაღების დატოვება), მივიღებთ გარკვეულ წესრიგს, რომელიც, ზოგადად, რიტუალების აღსრულებას ახასიათებს და, შესაბამისად, რომ მელითონეთა მფარველი ძალებისადმი მადლიერების გამოხატვის სცენებთან უნდა გვეკონდეს საქმე. კითხვა, თუ რო-

დის სრულდებოდა შენირვის აქტი, სამუშაოების დაწყებამდე თუ ბოლოს, ისევე ღიად რჩება. №2 სახელოსნო სახლის მაგალითზე, სადაც საფქვავე ფილების ქვეშ აღმოჩნდა ბავშვის სამარხი, შეიძლება ითქვას, რომ დაკრძალვა მოხდა სამუშაოების დაწყების წინ. ანთროპოლოგიური კვლევებით ბავშვის საგანგებოდ შენირვის სურათი არ დასტურდება [20.130]. თუ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, კონკრეტულად, ზემო სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შევეცდებით პარალელის მოძებნას, ვნახავთ, რომ ახალშობილი ან ბავშვი ერთ წლამდე, გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახის სამეურნეო-სახელოსნო ნაგებობის კუთხეში იკრძალებოდა. შესაძლოა, №2 სახელოსნო ნაგებობის შემთხვევაშიც მსგავს გარემოებასთან გვაქვს საქმე. საყდრის-ძეძვების შემთხვევაში უდავოა ამ ობიექტის რიტუალური ურთიერთკავშირი ოქროს მოპოვება-დამუშავების პროცესში და გვაქვს საშუალება ახლებურად შევხედოთ მელითონეობის ადრეული ეტაპის საზოგადოების ჯერ კიდევ უცნობ ჩვევებს. ამგვარი სახასიათო გამოწვევები გვიბიძგებს მოვიძიოთ პარალელები მტკვარ-არაქსის კულტურის გარეცვლების მთელ არეალში, ვეძებოთ კავშირები სამარხებსა და სამოსახლო ობიექტებს შორის, რადგან სამარხები, როგორც წესი, დიდი ხნის განმავლობაში რჩება საზოგადოების ამქვეყნიური ყოფის იმ ქვეყნად გაგრძელების სახედ.

ძეძვების სახელოსნო-სადგომების შესახებ მსჯელობისას მივდივართ დასკვნამდე, რომ აქ ტიპურ ნამოსახლართან არ გვაქვს საქმე. როგორც წესი, მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარები სამეურნეო ყოფის ინვენტარის (მარცვლეულის სასრეს-საფქვავე-სანაყი იარაღები, ნამგლის პირები, ყოფითი თიხის ჭურჭელი და ა.შ.) მრავალფეროვნებით და სიუხვით ხასიათდება, ამასთან, ძეძვებში არ გვაქვს ნამოსახლარისათვის დამახასიათებელი გამოკვეთილი არქიტექტურა. სახეზეა მხოლოდ არამყარად ნაგები შენობების კონტურები, მინიმალური

ოდენობის ჭურჭელი, კერები, სადგრები, რამდენიმე კაჟისა და ობსიდიანის იარაღი და უჩვეულოდ დიდი რაოდენობის მადნის სასრეს-საფქვავე იარაღი, მადნის სადნობი ქურები და ტიგელები. ყველა ამ მახასიათებლით, ძეძვების უბნის შემსწავლელი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სახეზეა სამთოელთა სეზონური დასახლება, სადაც უშუალოდ წარმოებდა საყდრისის საბადოდან მოტანილი მადნის საბოლოო დაფქვა-დამუშავება (სახლი №1 II, 2/3 უბნიდან, სახლი №4 II, 8 უბნიდან, ნაგებობა №III, 5 უბნიდან). აღმოჩენილი ტიგელები, დასამუშავებელი ქვის იარაღები, თანადროული, იდენტური ქიმიური შემადგენლობის მქონე თიხის ნაწარმი, ამის დასტურია. ცალკე საკითხია, ხდებოდა თუ არა ამ ტიგელებში ოქროს დნობა. სადღეისოდ, სადაც ტიგელში ოქროს დნობა დადასტურდა, ინზერსდორფ-ვალპერსდორფის ტიგელია ავსტრიის ალპებიდან, რომელიც ქრონოლოგიურად ბევრად ჩამორჩება ძეძვების აღმოჩენებს [16. 42-43; 20. 132] და რომაული ხანით თარიღდება. ძეძვების ტიგელების ლაბორატორიული კვლევები ჯერ არ დასრულებულა. ტიგელების დასამზადებლად გამოყენებულ თიხებში ოქროს შემცველობა მაღალია. სავარაუდოდ, ეს არტეფაქტები თვით სამუშაო უბნებზე იყო დამზადებული [4. 57]. მაღალია დარიშხანის შემცველობაც. მკვლევრები (ა. კურსიე, თ. შტოლნერი, ირ. ლამბაშიძე) აქ ერთგვარ მინერალურ ანომალიას – დომეიკიტი-დარიშხანი-სპილენძი – ვარაუდობენ, რომელიც ჰემატიტ-კვარცთან პარაგენეზშია წარმოდგენილი [20. 132-133].

ძეძვები II,8 უბნის №38046 შრიდან ჭურჭლის შიგთავსის ანალიზით, ნიადაგში ოქროს შემცველობა 6,5 C/mln-ს განისაზღვრა. ეს მონაცემი ბევრად აღემატება ნიადაგში დასაშვებ შესაძლო ოდენობას და მკვლევრები ამ კონკრეტულ შემთხვევაში საყდრისის მადნის ნარჩენებზეც საუბრობენ [19. 89-91, 105-106]. ოქროს საშუალო შემცველობა მაღალი აღმოჩნდა

ძეძვები II,3, III,2, III,5 და II,8 უბნების სახელოსნოების შიდა სივრცეში აღებული სინჯებიდანაც. სახელოსნო უბან III,5-ის იატაკზე ორი შრე გამოიკვეთა. ერთი მუქი №33038 და მეორე №33039. პირველი შრე (33038) ოქროს ოთხჯერ უფრო მაღალი შემცველობით ხასიათდება, ვიდრე მეორე. საანალიზო ეგზემპლარების სანდოობისათვის ნიმუშების აღების დროს მინიმუმამდე იქნა დაყვანილი დაბინძურების ალბათობა. გამომდინარე აქედან, ანალიზების სანდოობაში ეჭვის შეტანა არასწორი იქნება. სახელოსნოების სხვადასხვა მონაკვეთზე აღებული იქნა 21 სინჯი, რომელთა საფუძველზე დასტურდება ადგილზე მადნის დაფქვა-დამუშავების პროცესები. სახელოსნო მოედნების მიღმა აღებულმა სინჯებმა ბუნებრივ ნიადაგში ოქროს შემცველობა გამორიცხა. ამრიგად, მოედნებზე ეჭვგარეშეა, რომ მართლაც ხდებდა მადნების დაფქვა-დამუშავება. საერთო ჯამში, არ არსებობს არანაირი სამეცნიერო წინაპირობა, რომ ძეძვების მტკვარ-არაქსის კულტურის კუთვნილი ნაგებობები საცხოვრებელ შენობებად მოვიაზროთ და გამოვრიცხოთ მათი მელითონეობის სახელოსნო ფუნქციები, სადაც სამუშაო იარაღების თუ საწარმოო ნარჩენების განსაკუთრებული წესით დასაწყობება უდავოდ გარკვეული წეს-ჩვეულებების არსებობის დამადასტურებელი უნდა იყოს.

## ლიტერატურა – REFERENSES

1. გოგოჭური გ., ორჯონიკიძე ალ., თისელი სერის მტკვარ-არაქსული კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 2010.
2. ოთხვანი ნ., ღამბაშიძე ი., შტოლნერი თ., იანსენი მ., ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკა საყდრისის მაღაროსა და

- ძეძვეების ნამოსახლარიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე VI (51-B), თბილისი, 2015.
3. ოთხვანი ნ., მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური განვითარების თავისებურება საყდრისის მაგალითზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ბილინგვური ჟურნალი, სპეკალი, №13. 2019. ISSN 1987-8583, [www.spekali.tsu.ge](http://www.spekali.tsu.ge)
  4. ომიადე ს., საყდრისის საბადოს მინერალოგიურ და პეტროლოგიური ანალიზი, სამაგისტრო ნაშრომი, ხელმძღვანელები: პროფ. ბეჟან თუთბერიძე, პროფ. ანდრეას ჰაუპტმანი, თბილისი, 2010.
  5. ოჩიაური ალ., თქმულებები ხეცურულ ღვთაებათა და ღვთისშვილთა შესახებ, თბილისი, 1938.
  6. ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მეცნიერება, თბილისი, 1967.
  7. პატარიძე ზ., ქართული მითოლოგია I, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ფოლკლორისა და მითოლოგიის სერია №1, ქუთაისი, 1996.
  8. Arnold D., Die Tempel Ägyptens, Zürich, 1992.
  9. Catlin G., Letters and Notes of the Manners, Customs and Conditions of North American Indians, 1973, New York.
  10. Chappel J., Stone axe factories in the Highlands of East New Guinea. Proc. Prehist. Soc. 32, 1966, 96-121.
  11. Durkheim E., Les formes élémentaires de la vie religieuse, Paris, 1912
  12. Gambashidze I., Mindiasvili G., Gogochuri G., Kachiani K./Dshaparidze I. Ancient metallurgy and mining in Georgia in the 6<sup>th</sup> to 3<sup>rd</sup> mill. Tbilisi, 2010.

13. Gambashidze I., Stöllner T. (eds.), *The Gold of Sakdrisi – Man's first gold mining enterprise*. Veröff. Dt. Bergbaumus. Bochum, 211 (Bochum 2016).
14. Gardiner A.H., Peet T.E., ČERNÝ, *The Inscriptions of Sinai, Pat. I and II*, London, 1952.
15. Hauptmann A., Bendall C., Brey G., Japaridze I., Gambashidze I., Klein S., Stöllner T., *Gold in Georgien. Analytische Untersuchungen und Goldartefakten und an Naturgold aus dem Kaukasus und dem Transkaukasus*. In: S.Hansen, A. Hauptmann, I. Motzenbäcker, E. Pernicka (eds.), *Von Maikop nach Trialeti – Gewinnung und Verbreitung von Metallen und Obsidian in Kaukasien im 4.-2. Jahrtausend v. Chr. Beitr. Des Internationalen Symposiums in Berlin vom 1.-3. Juni 2006. Koll. Vor und Frühgeschicht. 13* (Bonn 2010).
16. Ramsel P.C., *Inzendorf-Walpersdorf. Studien zur spätbronzezeitlichen Besiedlung im Traisental, Niederösterreich*. Fundber. Österreich, Materialh A6, Wien. 1998.
17. Rotenberg B. *Archaeo-Metallurgical Researches in the southern Arabah 1959-1990. Part I: Egyptian new Kingdom (Ramesseid) to Early Islam*. *Palestine Explor. Quart* 131, 1999.
18. Stöllner T., Gambashidze A., Hauptmann G., Mindiashvili G., Gogochuri G., Steffens, G., *Goldbergbau in Südostgeorgien – Neue Forschungen zum frühbronzezeitlichen Bergbau in Georgien*. In: S. Hansen/A. Hauptmann I., Motzenbäcker, E., Pernicka (eds.), *Von Maikopi nach Trialeti – Gewinnung und Verbreitung von Metallen und Obsidian in Kaukasien im 4. -2. Jahrtausend v. Chr. Beitr. Des internationalen Symposium in Berlin vom 1-3 Juni 2006. Koll. Vor-u Frühgeschicht. 13* (Bonn 2010).
19. Stöllner T., Gambashidze I., *The Gold of Sakdrisi and early Mining and Metallurgy in Transcaucasus and the Kura-Velli System*. In: G. Narimanisvili et al. (eds), *International Conference: Pro-*

- blems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings, November 19-23. 2014.
20. Stöllner T., The ritual interplay: gold mining practices in the late 4<sup>th</sup> and early 3<sup>rd</sup> millennia BC, Thomas Stöllner in collaboration with Irina Gambashidze, With an appendix from Tobias Skovranek, Antoine Courcier and Thomas Stöllner, [Interaktion ohne Grenzen, Beispiele archäologischer Forschungen am Beginn des 21. Jahrhunderts, Band I. Interaction without borders, exemplary archaeological research at the beginning of the 21<sup>st</sup> century, Volume I, Schleswing, 2017.
  21. Titiev M., A Hopi salt expedition. Am. Anthr. 39. 1937.
  22. Weisberger G., Altägyptische Bergbau auf der Sinai-halbinsel. Technikgeschichte als Vorbild moderner Technik. Schr. Georg-Agricola-Ges. 2, 1976, 27-43.

## **NINO OTKHAVANI**

### **SIGNS OF RELIGION IN THE CRAFT ACTIVITIES OF PREHISTORIC SOCIETY**

#### **Summary**

Discussing certain archeological features of the finds of Sakdrisi--Dzedzvebi site, it becomes clear how closely related the practice of gold mining and certain rituals were in the existence of society at the end of the IV millennium and the beginning of the III millennium BC. It becomes clear that the materialized rituals are only a small part of the cult expressions that might have a possible place in the gold mining customs. Most of them might have been gradually formed from everyday habits. It is difficult to say which of them was dominant. We can

only suppose which practical habit led to the formation of the ritual. It may have been the complexity of the mining activity and, depending on it, the desire for a safe work process, the high degree of disaster and the expectation of profit. In the case of Sakdrisi mines, safe mining operations should have played the main role. Extracting ore-bearing veins or using fire was a high-risk activity. As for the results of the work, its prediction was a more difficult matter and depended entirely on the favour of the gods. If we consider these suggestions to be acceptable, then it is no longer surprising to have the galleries filled with used mining tools after the completion of the work and to leave specially selected stone tools on the mined areas. In my opinion, based on the fact that there was no technical necessity to leave the tools in the working area during the working process, which was clearly shown during the excavation, the only explanation should be sought in the religious aspect.



## მარია მშვილდაძე

### ღვთაება ნემესისის კულტი ბჰინანანტიკური პერიოდის ქართლში

ღვთაება ნემესისის (ძვ. ბერძნ. Νέμεσις) წარმოშობის შესახებ ანტიკურ წყაროებში სხვადასხვა ვერსია არსებობს. ჰესიოდეს მიხედვით, იგი ნიქსისა (ან ნიქტი) (ძვ. ბერძნ. Νύξ, Νυκτός, ლათ. nox) და ერებოსის (ძვ. ბერძნ. Ἔρεβος, ლათ. Erebus) შვილია (Ἡσιόδος, Θεογονία, 233). პავსიანუსი ღვთაებას ოკეანის (ძვ. ბერძნ. Ὠκεανός) ასულად მოიხსენიებს Πασσαυία, Περιήγησις τῆς Ἑλλάδος, I,33,3; VII,5,3). სხვა ვერსიის მიხედვით, თემიდასა (ძვ. ბერძნ. Θέμις, Θέμιδος; ლათ. Themis) და ზევსის (Ζεύς) შვილია. ნემესისი ერთ-ერთი უძველესი და პატივდებული – ბედის განმასახიერებელი ღვთაება იყო ძველ საბერძნეთში (სურ. 1). იგი სამართლიანი შურისძიების, მორალის ქალღმერთად გვევლინება. ღვთაების სახელი მომდინარეობს ბერძნული Νέμεσις ნემესი-დან („განაწილება სამართლიანობის მიხედვით“). მის მოვალეობას დანაშაულისთვის დასჯა (სიკვდილი) და მოკვდავთა შორის სიკეთის თანაბრად გადანაწილება წარმოადგენდა. ნემესისის სახით ღმერთები რისხვას უგზავნიდნენ განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანებს თემიდას, ღვთაებრივი სამართლიანობისა და მორალის ღვთაების უგულვლელყოფის გამო. ძველ ბერძნულ ტრაგედიებშიც ნემესისი სწორედ დანაშაულისთვის შურისმაძიებლად გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ნემესისი ტიხეს სანინალმდეგო ღვთაებაა. მისი სახე მსგავსია ღმერთების დიდი დედა კიბელას, რეას, დემეტრას, არტემიდას სახისა. სმირნაში (Σμύρνη) არსებობდა ორმაგი ღვთაება ნემესისი (სურ. 2), რომელიც უფრო ახლოს დგას აფროდიტესთან, ვიდრე არტე-

მიდესთან. ზოგადად, ღვთაების ორი ბუნების გამოვლინებას მიმზიდველობის და შეურიგებლობის შერწყმას მიაწერენ. მისი სახე აღადგენინა ალექსანდრე დიდმა.

ძველ რომში ნემესისს უპირატესად ლეგიონერები სცემდნენ თაყვანს და ითვლებოდა გლადიატორების დამცველად. რომში ღვთაება წარმოადგენდა ერთგვარ „იმპერიის ფორტუნას“, რომელიც, ერთი მხრივ, იმპერიის შურისძიებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიის მიერ სუბსიდირებულ საჩუქრებს არიგებდა. ქალღმერთი გამოსახულია კლავდიუსის (Tiberius Claudius Drusus, 41-54 წწ.) (სურ. 3), ადრიანეს (Publius Aelius Traianus Hadrianus, 117-138 წწ.) (სურ. 4), ფილიპე არაბის (Marcus Iulius Philippus, 244-248 წწ.) საიმპერატორო მონეტების რევერსზე (სურ. 5), როგორც Nemesis-Pax (ნემესისი-მშვიდობა) [ნემესისზე, მის მიმდევრებზე და რომის ცხოვრებაში ღვთაების ადგილზე იხ.: 6]. მას თაყვანს სცემდნენ ადრიანეს (117-138 წწ.) გააზატებული მონები. ძვ.წ. III საუკუნიდან ფიქსირდება ყოვლისშემძლე ნემესისი-ფორტუნას კულტი. ღვთაება გამოისახებოდა ტანმაღალ ქალად, ისეთი ატრიბუტებით, რომლებიც მეთვალყურეობაზე, სასჯელზე და მიანიშნებდა (სასწორი, აღვირი, მახვილი, ფრთები, ეტლი...).

გვიანანტიკური ხანის პერიოდში ნემესისს კულტი ქართლის (იბერია) სამეფოში – მცხეთის, ურბნისის და ჟინვალის ტერიტორიაზე ფიქსირდება. კერძოდ, აქ აღმოჩენილ გემა-ინტალიოებზე: 1. ბრინჯაოს ბეჭდის ცისფერი მინის ინტალიოზე, მცხეთა, სამთავროს სამაროვანი, სამარხი №182, ახ.წ. II საუკუნე [1. 19-20, ტაბ. II, 14]; 2. ვერცხლის ბეჭდის სარდიონის ინტალიოზე, მცხეთა, სამთავროს სამაროვანი, სამარხი №290, ახ.წ. III საუკუნე [1. 27-28, ტაბ. II, 23]; 3. ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭდის ფრაგმენტში (ინვ.№01/35-16382). ინტალიოს სიგრძე – 23 მმ, სიგანე – 18 მმ. ახ.წ. III საუკუნე (სურ. 6), მცხეთის საქალაქო სამაროვანი (ბაიათხევი), №33 კრამიტსამარხი, ახ.წ. III საუკუნე (2. 461);

4. ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოზე რკინის ბეჭდის ფრაგმენტში (ინვ.№01/5-6733). ინტალიოს სიგრძე – 9 მმ, სიგანე – 7 მმ. ახ.წ. II საუკუნე (სურ. 7). კარსნისხევის მეთუნე ხელოსანთა უბანი, №27 კრამიტსამარხი, ახ.წ. II-III საუკუნეები (2. 461); 5. რკინის ბეჭდის ოვალური ფორმის სარდერის ინტალიოზე, ურბნისი, XXV უბანი, კულტურული ფენა, ახ.წ. III საუკუნე. შესაძლოა ინტალიო რამდენადმე უფრო ადრეული იყოს [4. 55, ტაბ. V,75.]; 6. ვერცხლის ბეჭდის ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოზე, ურბნისის სამაროვანი, სამარხი №167, ახ.წ. III საუკუნე [4.70, ტაბ. VI,105.]; 7. ოქროს ბეჭდის ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოზე, ურბნისის სამაროვანი, სამარხი №11, ახ.წ. III-IV საუკუნეები [4.79, ტაბ. VII,126]; 8. რკინის ბეჭდის ფრაგმენტში სარდიონის ინტალიო, ჟინვალის სამაროვნის №341 ინვენტარიანი სამარხი, ახ.წ. II საუკუნე. მარცხენა ხელის ფალანგაზე [3.28]; 9. რკინის ბეჭდის სარდიონის ინტალიოზე, ჟინვალის სამაროვნის №262 ინვენტარიანი სამარხი, ახ. წ. III საუკუნე. მარცხენა ხელის ფალანგაზე [3. 48].

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ორ ინტალიოზე (№№3,4) ქაღალდით ნემესისი წარმოდგენილია პროფილში მარცხნივ, გრძელი პეპლოსით შემოსილი. ღვთაებას თვალები ახვეული აქვს. იდაყვში მოხრილი და ზემოთ აწეული მარცხენა ხელით პეპლოსის ზედა ნაწილი უჭირავს, დაბლა დაშვებული მარჯვენათი კი – სასწორი. ქართლის დედაქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნემესისის გამოსახულებიანი გემები ახ.წ. II-III საუკუნეებით თარიღდება [2.461].

ურბნისის ინტალიოზე (№5, 6) გრძელი ქიტონით შემოსილ ღვთაებას მარცხენა ხელში სამოსი უჭირავს, მარჯვენაში კი – ქიტონის ბოლო (ანაბეჭდზე). ურბნისის ტერიტორიაზე გვხვდება, აგრეთვე, ფრთოსანი ნემესისის გამოსახულება, რომელიც გრძელი უსახელო ქიტონითაა შემოსილი. ღვთაებას მარცხენა ხელში ქიტონის ბოლო უჭირავს, მარჯვენათი კი – ტოტი (ანაბეჭდზე). ურბნისის ტერიტორიაზე დაფიქსირებული

ნემესისის გამოსახულებიანი ინტალიოები ახ.ნ. II-IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება [4. 55,70,79]. რაც შეეხება ჟინვალის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნემესისის გამოსახულებიან ინტალიოებს, ერთი ახ.ნ. II საუკუნით, ხოლო მეორე ახ.ნ. III საუკუნით თარიღდება [3.28,48].

კვლევის შედეგად დგინდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნემესისის გამოსახულებიანი საბეჭდავი ბეჭდები ქვეყნის მნიშვნელოვან ქალაქებში ფიქსირდება. კერძოდ, ქართლის დედაქალაქ მცხეთაში, იბერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრში – ურბნისში, ჟინვალში – ქალაქი, რომელიც რომის მიერ ქართლის „მეგობარ“ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, ქართლის მიერ კავკასიონზე გარდამავალი გზების ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენდა. ყველა ჩვენ მიერ აღნიშნული ქალაქი: მცხეთა, ურბნისი, ჟინვალის სავაჭრო გზაჯვარედინებზე მდებარეობდა. ქალაქებში დანიშნურებული იყო ვაჭრობა, ხელოსნობა...

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ღვთაება ნემესისის გამოსახულებიანი ბეჭდები ძირითადად საშუალო ფენის მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი. ზემოთ მოყვანილი 9 ინტალიოდან ხუთი რკინის, ერთი ბრინჯაოს, ორი ვერცხლის და ერთიც ოქროს ბეჭედშია ჩასმული. ინტალიოები მასობრივი პროდუქციის ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებიც არ განსხვავდება გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ასევე მასობრივი პროდუქციის ნიმუშებისაგან. ბეჭდები და ინტალიოები ახ.ნ. I-III საუკუნეებით თარიღდება. მხოლოდ №7 ოქროს ბეჭედი ურბნისის სამაროვნიდან, რომელშიც ოვალური ფორმის სარდიონის ინტალიოა ჩასმული, ლ. ჭილაშვილის აზრით, თარიღდება ახ.ნ. IV საუკუნით. ინტალიო კი უფრო ადრინდელი პერიოდისა უნდა იყოსო, აღნიშნავდა მკვლევარი [5. 68-69]. ქ. ჯავახიშვილი ინტალიოს ახ.ნ. III-IV საუკუნეებით ათარიღებს [4.79, ტაბ. VII, 126].

ნემესისის გამოსახულებიანი ინტალიოების კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლის (იბერია) სამეფოში გავრცელებულია ანტიკური წარმართული პანთეონი, რაც პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებლად შეიძლება ჩათვალოს. ამკარაა, რომ ქართლი ანტიკური ოიკუმენის ნაწილია, რაც ასახულია კიდევ ჭრილა ქვებზე. ჩვენში ფართოდ არის გავრცელებული ანტიკური ღვთაებების გამოსახულებიანი საბეჭდავები. ქართლში ღვთაება ნემესისის გამოსახულებიანი ბეჭდები შემოდის სწორედ იმ დროს, რა დროსაც რომის იმპერიაშია პოპულარული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ღვთაება ერთგვარ „იმპერიის ფორტუნას“ წარმოადგენდა, რომელიც, ერთი მხრივ, იმპერიის შურისძიებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიის მიერ სუბსიდირებულ საჩუქრებს არიგებდა. პოპულარული იყო როგორც ელიტარულ, ისე საშუალო და დაბალ ფენებში. თავყვანს სცემდნენ გააზატებული მონები.... ჩვენ მიერ შესწავლილი ინტალიოები სწორედ ახ.წ. I-III საუკუნეებს განეკუთვნება.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბილისი, 1954.
2. მშვილდაძე მ., დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული გვიან ანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები, მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, VI-VII, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“. თბილისი, 2021, გვ.452-469.
3. ჩიხლაძე ვ., უინვალის ნაქალაქარი, თბილისი, 2015.
4. ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1972.
5. ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964.
6. Michael B. Hornum, Nemesis, the Roman state and the games, Brill, 1993.

**MARIKA MSHVILDADZE**

**THE CULT OF THE DEITY NEMESIS IS OF THE  
PERIOD OF LATE ANTIQUITY IN KARTLI**

**Summary**

Nemesis was one of the most ancient and revered deities in ancient Greece. She appears to be the goddess of just revenge. Its duty was the punishment (death) for a crime, and distribution of kindness equally among mortals ... In ancient Rome, the deity was a kind of ~empire fortune~ which, on the one hand, avenged the empire and, on the other hand, distributed gifts subsidized by the empire.

In late antiquity, the cult of Nemesis was recorded on the territory of Georgia in the Kingdom of Kartli (Iberia) - on the territory of Greater Mtskheta, Urnisi and Zhinvali. In particular, the intaglios found here, which were mainly used by the middle class population. Of the eight intaglios found here, four are encased in iron, one in bronze, two in silver, and one in gold. Intaglios are mass-produced specimens that do not differ from the mass-produced specimens, characteristic of late antiquity. Seals and insignia date back to I-III centuries. Only one intaglio incased in a gold ring belongs to the III-IV centuries.

As a result of the research of the intaglios with the image of Nemesis, it has been established that the ancient pagan pantheon is spread in the Kingdom of Kartli, it is obvious that Kartli is a part of the ancient ecumene, which is reflected even in the cut stones. Rings with the image of the deity Nemesis enter Kartli at the very time when this deity was popular in the Roman Empire of I-III centuries.



**სურ. 1**

ეგვიპტეში აღმოჩენილი  
 ღვთაება ნემესისის  
 მარმარილოს ქანდაკება,  
 ახ.წ. II ს. პარიზი,  
 ლუერის მუზეუმი



**სურ. 2**

ორმაგი ნემესისი ეფესოდან



**სურ. 3**

კლავდიუსის (41-54 წწ.)  
 ვერცხლის მონეტა (დინარი)  
 რევერსზე ნემესისის  
 გამოსახულებით



**სურ. 4**

ადრიანეს (117-138 წწ.) 136 წელს  
 მოჭრილი ვერცხლის მონეტა  
 (სესტერცი) რევერსზე  
 ნემესისის გამოსახულებით



**სურ. 5**

ფილიპე არაბის (244-248 წწ.)  
ვერცხლის მონეტის რევერსი ნემესისის  
გამოსახულებით



**სურ. 6**

მცხეთის საქალაქო  
სამაროვანი (ბაიათხევი),  
№33 კრამიტსამარხი, ახ.წ.  
III საუკუნე



**სურ. 7**

კარსნისხევის  
მეთუნე-ხელოსანთა  
უბნის №27 კრამიტსა-  
მარხი. ახ.წ. II-III სს.



**ემზარ კახიძე**  
**თამარ შალიკაძე**

**რომაული აკულტურიაციის ნიშნები**  
**აფსაროსის ციხის მიდამოებიდან**

სამხრეთ-დასავლეთს, შეიძლება ითქვას, მთლიანად დასავლეთი საქართველოს რომაული აკულტურიაციის შესწავლისათვის გონიო-აფსაროსს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.<sup>1</sup> საკუთრივ ციხესა და მის შემოგარენში რომაული კულტურის გავრცელების საკითხს უკვე რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა [იხ. 14; 18.272-278; 20.60-66; 46.89-93].

თუმცა, ბუნებრივია, თემის შესწავლა მხოლოდ ამ ვიწრო არეალით ვერ შემოიფარგლება და რომაული კულტურული რადიაციის ზონაში, მინიმუმ, ჭოროხის ქვემო წელი უნდა შევიყვანოთ. სწორედ ამ მიზნით ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციამ 2010-2012 წლებში არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოში, ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე. აქ გამოვლინდა ახ.წ. III ს-ით დათარიღებული 10 სამარხი სხეულის ნაშთებით და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით: სამეთუნეო ნაწარმი, რომელშიც გვხვდება როგორც იმპორტი,<sup>2</sup> ისე ე.წ. რომანიზირებული ფორმები და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი კე-

---

<sup>1</sup> ეს ძეგლი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წწ მოექცა მეცნიერთა ინტერესის სფეროში და არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა [იხ. 4.59-96; 17.8-10; 7.4-107; 8.56-70; 48.35-46; 38.176-185; 39.303-332; 42.179-198; 27.71-81; 50.533-552; 44.521-532; 41.53-63; 43.63-76; 35.289-306].

<sup>2</sup> ის ერთადერთი ცალით, მთლიანად დაცული ნითელაქიანი ლანგრიტაა წარმოდგენილი, თუმცა გვხვდება ნითელაქიანი ჯამების ადგილობრივი მინაბაძებიც.

რამიკა. იყო მინის ნანარმი,<sup>1</sup> სამკაულები,<sup>2</sup> ვერცხლის მონეტები,<sup>3</sup> რკინის დანები, კაჟისა და ობსიდიანის ნუკლეუსები.<sup>4</sup> საყურადღებოა, რომ ექსპედიციამ სამაროვანთან ახლოს, აღმოსავლეთით, დათო შარაძის საკარმიდამო ნაკვეთზე თანადროულ ნამოსახლარსაც მიაკვლია. ზედაპირულ მასალაში წამყვანია ბრტყელგანივკვეთიანი, ყავისფერკეციანი ამფორის ყურები და ძირები, ქვევრის ფრაგმენტები, სალესი ქვა და მრავალრიცხოვანი უსახური მასალა [11.104-116; 8.71-74; 36.35-48; 40.177-178].

აღსანიშნავია, რომ 1964 წ. ამავე სოფელში ჩაის პლანტაციებისათვის მინის დამუშავების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ადგილობრივად დამზადებული ახ.წ. I-II სს ოქროს ნივთები [იხ. 17.10, ტაბ. 53-54; 11.104, ტაბ. 12; 12.90-93, კატ. 115-118]. უნდა ითქვას, რომ განძის აღმოჩენის ადგილიდან შორი-

---

<sup>1</sup> ძირითადად ექსპორტირებულია სირია-პალესტინიდან და პოულობს ბევრ პარალელს როგორც ჩვენთან, ისე, ზოგადად, შავიზღვისპირეთში [51.95-96, სურ. 110-111; 34.121-122, ფორმა 103, 127; 54.157-160; 15.140, ტაბ. LXXII].

<sup>2</sup> იმპორტირებული უნდა იყოს მინის პასტისგან დამზადებული მონეტები მანდარინისებრი მძივები და ვერცხლის სამაჯური, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში, მათ შორის: საქართველოში, სომხეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ყირიმში [1.98-99, ტაბ. XXXVIII/3,3a; 55.25-78; 29.57; ტაბ. I/49; 53.35-36, ტაბ. III/1; 52.კატ. 54].

<sup>3</sup> ნიშანდობლივია, რომ გრძელდება ქარონის ობოლის ჩაყოლების ბერძნული ტრადიცია. მონეტებს შორის 6 ცალი არის ვერცხლი (სეპტიმიუს სევერუსი, მოჭრილია კაპადოკიის კესარიამში), დანარჩენი - სპილენძი (პრობუსი და დიოკლეტიანე, მოჭრილი სხვადასხვა ცენტრში). ისინი საკმაოდ ტიპურია ჩვენი რეგიონისთვის [იხ.3.342, 364-365].

<sup>4</sup> ეს უძველესი ტრადიცია დამახასიათებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების ძეგლებისთვის. ფიქრობენ, რომ კაჟს იყენებდნენ ცეცხლის მოსაპოვებლად იმქვეყნურ სამყაროში.

ახლოს 2010 წ. შეგროვდა რომაული ხანის ქვევრის პირისა და ტანის ფრაგმენტები.

ამ ეპოქის შემთხვევითი აღმოჩენებით ყურადღებას იქცევს მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროც. ერთ-ერთი მათგანია სოფ. კაპანდები (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). 2009 წელს შესწავლილ იქნა ორი ორმოსამარხი. აქ მოპოვებული ინვენტარიდან აღსანიშნავია ადგილობრივი თიხის ქოთნები, დოქები, კოჭობები, ჯამები. ისევე როგორც მახოში, აქაც ერთადერთი იმპორტული ნითელლაქიანი ჯამია წარმოდგენილი. შემოტანილი საქონლიდან აღსანიშნავია ვერცხლის სამაჯური,<sup>1</sup> ბეჭედი,<sup>2</sup> მძივები,<sup>3</sup> მონეტა და ა.შ. სამარხები ახ.წ. II-III საუკუნეებითაა დათარიღებული [45.56-66]. ამავე პერიოდით თარიღდება აქვე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ნივთებისაგან შედგენილი განძიც [12.53-62, კატ. 69-83; 40.177-179].

აღსანიშნავია, რომ ამავე სოფელში ბათუმის არქეოლოგიის ექსპედიციამ მიაკვლია კარიერს. ამირან კახიძის დაკვირვებით, აქ ჩამოთლილი კვადრები რომაელებს აფსაროსის ციხის მშენებლობისას უნდა გამოეყენებინათ. გამორიცხული არაა კარიერები სხვა ადგილებშიც ყოფილიყო, მაგალითად, ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სიმონეთსა და ქარნალის მურვანეთში. საქართველო-პოლონეთის გონიო-აფსაროსის ერთობლივი ექსპედიციის თანახელმძღვანელის, რადოსლავ კარასიევიჩ-შიპიორსკის დაკვირვებით, მსგავსი კარიერი გონიოს მიდამოებშიცაა. ეს ორი ჰიპოთეზა ურთიერთსანინააღმდეგოდ არ გვეჩვენება. შესაძლებელია, რომაელებმა, გონიოში კარიერის მიგნებამდე, სწორედ კაპანდებიდან და ზემოთ ჩამოთვლი-

<sup>1</sup> მსგავსი სამაჯური ნაპოვნია მახოშიც, იხ. სქ. 4.

<sup>2</sup> მსგავსი ფორმის გემიანი ბეჭდები გავრცელებულია როგორც საქართველოში, ისე მთელ რომაულ სამყაროში [33.261-265; 16.32; 32.54, კატ. 71-72, ტაბ. XII.71; 28.127-128, კატ. 84; 25.188].

<sup>3</sup> აქ, მახოსგან განსხვავებით, უფრო მრავალფეროვანი მონოქრომული და პოლიქრომული მინის მძივები და მძივსაკიდები დაფიქსირდა.

ლი სხვა პუნქტებიდან გადმოზიდეს სამშენებლო კვადრების ნაწილი, სავარაუდოდ, მდ. ჭოროხის გამოყენებით. ის, რომ რომაელები აქ ციხის კედლებს რამდენიმე ქრონოლოგიური პერიოდის განმავლობაში აგებდნენ, ბოლოდროინდელმა კვლევებმა ნათლად დაადასტურა [41.53-63; 43.63-76].

მდინარე ჭოროხის ქვემო დინების სხვა მონაპოვრებიდან აღსანიშნავია ადრიანეს (ახ.წ. 117-138 წწ.) სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა სოფელ მახვილაურიდან, რომელიც განსვენებულია ნუმიზმატმა ირაკლი იაშვილმა შეისწავლა [იხ. 6.341].

კიდევ ერთი შემთხვევითი აღმოჩენა მომდინარეობს ხელვაჩაურის სოფ. ზანაქიძეებიდან. მიკროუბან გორგოშაძეების გორაზე 1998 წელს,<sup>1</sup> საცალფეხო გზის გაფართოებისას, გამოჩნდა შემდეგი ნივთები: ოქროს დიადემა, ადგილობრივი თიხის ქოთანის, იმპორტული კანთაროსისებრი ფიალა და მინისაგან დამზადებული სანელსაცხებლე ჭურჭელი, ორი ცალი მინისებური პასტის მძივი (9). ოქროს დიადემა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული იმდროინდელ სამყაროში, დამზადებულია თხელი ფირფიტებისაგან. მასზე გადმოცემულია სამყაროს სამი დიდი განზომილების – ცის, დედამიწისა და ქვესკნელის სიმბოლური გამოსახულებანი [იხ. 12.94, კატ. 119; 40.177-178]. გამჭვირვალე ცისფერი მინისაგან დამზადებული სანელსაცხებლე თითქმის მთლიანადაა დაცული; თარიღდება

---

<sup>1</sup> ხალხური გადმოცემით, ამ ადგილს კიბელები სირთსაც უწოდებენ. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სატეხია, სადაც რამდენიმე არქეოლოგიური აღმოჩენა განხორციელდა, რაზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. დასავლეთითაა მახვილაური, განვითარებული ნეოლითური, გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის დასახლება, რომელიც მდ. ჭოროხის შესართავის მარცხენა სანაპიროს ძირითადი ცენტრია. ჩრდილოეთითაა ახალშენი ხეყრუს უმოკლესი გადასასვლელებით ერგე-ჯოჭოსკენ. სამხრეთით მდებარეობს კახაბრის ველი. უხუცესების გადმოცემით, მდ. ჭოროხი აქაურ გორაკ-ბორცვოვან ზოლს საკმაოდ ახლოს ჩამოუდიოდა.

ახ.ნ. I-II სს; დამზადებულია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანარმოო ცენტრში [31.52-54; 10.68, სურ. 13].

ჩვენი ყურადღება მიიქცია გასული საუკუნის 80-იან წლებში მომხდარმა შემთხვევითმა აღმოჩენამაც, რომელიც ასევე ზანაქიძეებში, ზემოთ ხსენებულ მიკროუბან სატეხიაში მოხდა. ზებურ ცეცხლადის საკარმიდამო ნაკვეთში რომაული ეპოქის დარღვეული სამარხი რამდენიმე ნივთით, ხოლო ილო ქალბადაძის საკარმიდამო ნაკვეთში მარნის კონტურები დადასტურდა. სავარაუდოდ, სწორედ სამარხეული ინვენტარიდანაა დევიდ ბრაუნდთან ნახსენები მონოგრამიანი ამეთვისტოს და კრევეტისგამოსახულებიანი სარდიონის ბეჭდი, რომლებიც ახ.ნ. I საუკუნის ბოლოთი თარიღდება [2.267]. 2022 წელს ჩვენ განვაახლეთ იქ არქეოლოგიური სამუშაოები, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ უფრო ადრეულ მასალას მივაკვლიეთ, რაზეც სხვაგან გვექნება საუბარი.

მოკლედ, რეგიონში რომაული კულტურის მთავარი ცენტრის – აფსაროსის მრავალწლიანმა კვლევამ დაგვანახა, რომ პარალელურად აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის, რომელმაც მანამდე შეითვისა სპარსული და ბერძნული ნოვაციები, დამოკიდებულების შესწავლა რომაელი სამხედროებისადმი. მნიშვნელოვანია დადგინდეს, ვრცელდებოდა თუ არა რომაელთა პოლიტიკური ძალაუფლება ციხის გარეთ და ახდენდა თუ არა უცხოური ელემენტის არსებობა რეგიონის კულტურულ „ანექსიას“. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია აღმოსავლური თუ ანტიკური კულტების, აგრეთვე ქრისტიანობის გავრცელების მასშტაბის განსაზღვრა ამ მიკრორეგიონში. ამ საკითხს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა [იხ. 23.7-63; 24.43-49; 25.188-196; 26.62-73; 19.131-146; 22.156-175; 21.138-142; 30.123-151; 5.177-180; 13.105-113; 37.50-51; 47.454-464; 49.177-188], თუმცა თემის სიღრმისეული შესწავლა მომავალი შტუდიების საქმეა.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა: არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, I, თბილისი, 1955.
2. ბრაუნდი დ., საქართველო ანტიკურ ხანაში, ბათუმი, 2014.
3. ღუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთის ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II – ახ.წ. IV საუკუნეებში, დიდი პიტიუნტი, I, თბილისი, 1975.
4. გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-ავსაროსში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 1964.
5. თოდუა თ., სერაპისის ქანდაკება გონიო-ავსაროსიდან. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 15-16, თბილისი, 2005.
6. ინაიშვილი ნ., აჭარა ახ.წ. I-IV საუკუნეებში: სამეურნეო ყოფა და საგარეო კავშირები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. I, ბათუმი, 2007.
7. კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებულ კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები, გონიო-ავსაროსი, IV, ბათუმი, 2004.
8. კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 2016.
9. კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე მ., ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფელ ზანაქიძეებიდან. გაზეთი „კახაბერი“, №11, 1999.

10. კახიძე ა., შალიკაძე თ., მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან, ბათუმი/ოქსფორდი, 2009.
11. კახიძე ა., შალიკაძე თ., ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახოს 2013 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, აჭარა: წარსული და თანამედროვეობა 2, ბათუმი, 2015.
12. კახიძე ა., შალიკაძე თ., ფარტენაძე თ., ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური (კატალოგი), ბათუმი, 2015.
13. კახიძე ე., გონიო-აფსაროსი მითოლოგიური, ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები II, ბათუმი, 2000.
14. კახიძე ე., ხალვაში მ., აფსაროსის და მისი შემოგარენის რომაული აკულტურიზაციის შესწავლის საკითხისათვის (იბეჭდება).
15. ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი, 1991.
16. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები III, თბილისი, 1961.
17. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., სახუტაიშვილი დ., გონიოს განძი, თბილისი, 1980.
18. მამულაძე ს., ქამადაძე კ., რომაული სამყარო და აკულტურიზაციის პროცესები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გონიო-აფსაროსის მაგალითზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“ VII, მასალები, ბათუმი, 2016.
19. მამულაძე შ., სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან. გონიო-აფსაროსი VIII, ბათუმი, 2009.

20. მამულაძე შ., კახიძე ე., რომაული სამყარო და აკულტურისზაციის პრობლემები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. საქართველო და მსოფლიო, ბათუმი, 2009.
21. მამულაძე შ., კახიძე, ე., მამულაძე ს., გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი რომაული კულტები. გონიო-აფსაროსი XI, ბათუმი, 2021.
22. მამულაძე შ., ქამადაძე კ., ყიფიანი გ., ავგის ნაეკლესიარი. გონიო-აფსაროსი XI, ბათუმი, 2021.
23. მშვილდაძე მ., ზოგიერთი საკითხი სერაპისის კულტის გავრცელების შესახებ რომის იმპერიაში. კავკასიის მაცნე 5, თბილისი, 2002.
24. მშვილდაძე მ., რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს, თბილისი, 2005.
25. მშვილდაძე მ., გონიო-აფსაროსის გლიპტიკური ძეგლები, გონიო-აფსაროსი VIII, თბილისი, 2009.
26. მშვილდაძე მ., მამულაძე შ., სერაპისი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (გვიანანტიკური ხანა). რ. მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ისტორიანი“ (რედ. ბ. კუდავა, ბ. კუპატაძე, გ. საითიძე, ჯ. სამუშია), თბილისი, 2009.
27. პლონტკე-ლუნინგი ა., ფელმუთი ნ., გაიერი ა., გონიო-აფსაროსის გერმანულ-ქართული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, გონიო-აფსაროსი II, თბილისი, 2002.
28. რამიშვილი ქ., სასანური გემები საქართველოში, თბილისი, 1979.
29. უგრელიძე ნ., ადრეული შუასაუკუნეების მინის წარმოების ისტორიისთვის, თბილისი, 1967.
30. ყიფიანი გ., მამულაძე შ., ქამადაძე კ., ავგის ნაეკლესიარი, კადმოსი - ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი 10, თბილისი, 2018.



31. შალიკაძე თ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნანარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან, ბათუმი, 2004.
32. ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1972.
33. Henkel F., Die Römischen Fingerringe der Rheinlande und der benachbarten Gebiete. Berlin, 1913.
34. Isings C., Roman glass from dated finds. Groningen/Djakarta, 1957.
35. Jaworski P., Karasiewicz-Szczypiorski R., Mamuladze S., The rise and fall of the Roman fort in Apsaros: recent numismatic evidence. Polish Archaeology in the Mediterranean 30. Warsaw, 2021.
36. Kakhidze A., Shalikadze T., New archaeological reveals in village Makho. Caucasus Journal of Social Scienses, 3/1. Tbilisi, 2010.
37. Kakhidze, E., The Christianization of Georgia. Abstracts of the reports of the conference: The Black Sea Region: Past, Present and Future. Istanbul, 2004.
38. Kakhidze, E., Apsarus. Eirene XLIII. Prague, 2007.
39. Kakhidze E., Apsaros: A Roman fort in southwestern Georgia, Meetings of Cultures in the Black Sea Region: Between Conflict and Coexistence. Aarhus, 2008.
40. Kakhidze E., Mamuladze S., „Pontus Limes“: the Caucasian Frontier. Roman art and civilization – a common language in Antiquity. Catalogue of the itinerant exhibition. M. Iacob (ed.). Tulcea, 2014.
41. Karasiewicz-Szczypiorski R., Apsaros – early headquarters building (Principia). New localization. Pro Georgia 26: Journal of Kartvelological Studies. Warsaw, 2016.
42. Karasiewicz-Szczypiorski R., Kakhidze E., Gonio (Apsarus) in Adjara – Excavations of Roman fort. First Polish-Georgian archaeological mission. Pro Georgia: Journal of Kartvelological Studies 25. Warsaw, 2015.

43. Karasiewicz-Szczypiorski R., Mamuladze S., Early fortifications at the Apsaros fort (Gonio, Georgia). New discoveries. *Pro Georgia 29: Journal of Kartvelological Studies*. Warsaw, 2019.
44. Karasiewicz-Szczypiorski R., Mamuladze S., Jaworski P., Wagner M., Gonio (Apsaros) in Adjara: excavation of the Roman fort interim report on the first season of the Polish-Georgian archaeological expedition. *Polish Archaeology in the Mediterranean 25*. Warsaw, 2016.
45. Mamuladze S., Ebralidze T., Turmanidze M., Graves dated back to Roman Age along lower stream of river of Chorokhi (Kapandibi). *Caucasus Journal of Social Sciences*, 3/1. Tbilisi, 2010.
46. Mamuladze S., Kakhidze E., Apsarus: The Roman acculturation center in the eastern Black Sea area. 1<sup>st</sup> International Symposium of Georgian Culture: Georgian art in the context of European and Asian cultures. Tbilisi, 2009.
47. Mamuladze S., Kakhidze E., Specimens related to cult from the fort of Apsarus. *Ancient Sacral Monuments and the Black Sea* (eds E.K. Petropoulos, A.A. Maslennikov). Thessaloniki, 2010.
48. Mamuladze S., Kakhidze E., Khalvashi M., Die Römer in Südwestgeorgien. *Georgica: Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens 24*. Jena, 2001.
49. Mamuladze S., Kamadadze K., Kakhidze E., Avgia Church (Batumi, Georgia). *Światowit. Annual of the Institute of Archaeology of the University of Warsaw 59*, 2020.
50. Mamuladze S., Karasiewicz-Szczypiorski R., Shalikadze T., Surmanidze N., Kakhidze E. Interim report on Polish-Georgian excavation of a Roman fort in Gonio (Apsaros) in 2014. *Polish Archaeology in the Mediterranean 25* Warsaw, 2016.
51. Morin-Jean (Jean Alexis Joseph Morin), *La verrerie en Gaule sous L'Empire Romain. Nogent-le-Roi. 1977* (Réimpression de l'édition de Paris 1913).

52. Simenenko A., Marcenko I., Limberis N., Römische Importe in sarmatischen und maiotischen Gräbern. Archäologie in Eurasien 25. Mainz, 2008.
53. Есаян С., Калантарян А., Древний некрополь Ошкана. Вестник общественных наук АН Армянской ССР 12. Ереван, 1976.
54. Кунина Н.З., К вопросу о западном импорте стекла на Боспор. Труды Государственного Эрмитажа XXIV. Ленинград, 1984.
55. Хоштария Н.В., Археологические исследования Уреки. მსკა I, თბილისი, 1955.

**EMZAR KAKHIDZE  
TAMAR SHALIKADZE**

## **SIGNS OF ROMAN ACCULTURATION TRACED AT THE VICINITY OF THE FORT OF APSARUS**

### **Summary**

In parallel with the study of the Roman fort of Apsarus, it is important to determine whether Roman political power extended outside the fort and whether the presence of a foreign element constituted a cultural „annexation“ of the local population. In this regard, it is extremely important to determine the extent of the spread of ancient cults, as well as Christianity in this microregion.

The Batumi Archaeological Museum expedition conducted archaeological excavations at the village of Makho, Khelvachauri municipality, on the left bank of Chorokhi, close to Gonio-Apsarus in 2010. Ten graves dated to the 3<sup>rd</sup> century AD were identified: the remains of the body of the deceased, imported and local pottery, including so-called

Romanized forms, glass ware, jewelry, silver coins, iron knives and flint and obsidian cores were unearthed.

It should be noted that in 1946, during the cultivation of tea plantations in the same village, a locally made gold treasure was found, part of which is kept in the Batumi Archaeological Museum today.

Accidental discoveries also occur on the right bank of Chorokhi. The discovery of one of them related to the village of Kapandibi (Khelvachauri municipality). Two pit burials dated to the 2<sup>nd</sup>-3<sup>rd</sup> centuries AD were studied. Clay pots, jugs, bowls, silver bracelets, rings, beads, coins, etc. were attested. The hoard of gold and silver items found here also dates to the same period.

It is worth noting that Batumi Archaeological Museum traced a quarry in the same village. Presumably, it also has to be dated back to Roman times.

Another accidental discovery comes from the village of Zanakidzebi, Khelvachauri municipality. During the expansion of the pedestrian road in the micro-district of Gorgoshadzebi, the following items appeared: a gold diadem, local and foreign clay and glass vessels, several beads. The gold diadem is made of thin plates. Symbolic images of the three great dimensions of the world - the sky, the earth and the underworld - should be conveyed on it. Glass should be of Syrian origin, dated to the 2<sup>nd</sup>-3<sup>rd</sup> centuries AD.

Another discovery, which is also located in the village of Zanakidzebi, in the micro-district of Satekhia is also noteworthy. In the 80s of the last century, accidental finds were occurred there. In the homestead of a private person, Zebur Teskbadze, a disturbed grave with several items was traced. The monogrammed amethyst and shrimp sardine image rings mentioned by David Braund are probably from the Satekhia grave dated to the end of the 1<sup>st</sup> century AD.

## წინო თოგაძე

### ბაჰრალი მამლუქების მმართველობის ხანისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის ურთიერთმიმართებისათვის

XIII–XV საუკუნეები ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდია. სწორედ ამ გვიანი შუასაუკუნეებისა და ახალი დროის გარდამტეხ ხანაში ადგილი ჰქონდა აფრო-აზიურ რეგიონში ქრისტიანობის ღრმა კრიზისს, რომელმაც გამოიწვია აქ არსებული ქრისტიანული თემების დაქვეითება-დეგრადაცია.

სამწუხაროდ, წყაროთა სიმწირე ზემოხსენებული ეპოქის ღრმა კვლევის საშუალებას არ გვიტოვებს და ყველაზე რეალისტური სურათების დახატვაში ქრისტიანულ აღმოსავლეთში მდებარე მონასტრებისა და ბერ-მონაზონთა ისტორიული ევოლუციის ანალიზი გვეხმარება, რადგან მონასტრები (მით უფრო მუსლიმური გარემოცვის მომძლავრების ჟამს) იყვნენ ქრისტიანული თემის ცენტრები, სულიერი კულტურის კერები, მათ ირგვლივ მცხოვრებ ქრისტიანთა იდენტობის შემნარჩუნებლები. ამასთანავე, ბერ-მონაზონთა გაქრობა და სამონასტრო კერების მოშლა იწვევდა ქრისტიანთა ისლამიზაციასა და მათ მუსლიმურ მოსახლეობასთან ასიმილაციას.

XIII–XV საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის საისტორიო წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მონასტრებთანაა დაკავშირებული. იქ დაცული ხელნაწერები, მომლოცველ-პილიგრიმთა ჩანაწერები, იურიდიული აქტები, ტიპიკონები, აღაპები, მეცნიერებს დიდ საკვლევ მასალას აძლევს [13.60].

XIII საუკუნეში პალესტინის და ახლო აღმოსავლეთის სამონაზვნო ცხოვრების დაცემა იწყება ეგვიპტეში ბაჰრელთა

დინასტიის (1250-1382 წწ.) მამლუქი სულთნების გაბატონებიდან, რომელიც გლობალურ კრიზისში გადაიზარდა. მამლუქთა ხელისუფლება სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს, მოუწოდებდა მომთაბარე ბედუინებს დაერბიათ ქრისტიანული სავანეები. ამას ემატებოდა ეკონომიკური სტაგნაცია და შავი ჭირის ეპიდემია, რამაც აფრო-აზიური რეგიონის ბევრი ქრისტიანული თემის გაქრობა და დაქვეითება გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, საინტერესოა, რომ ბაჰრელთა საერთაშორისო კონფლიქტები მონღოლებთან და ჯვაროსნებთან პრაქტიკულად არ შეეხებია პალესტინაში მდებარე იორდანის ხეობას და იუდეის მთებს [19.85]. სამწუხაროდ, იერუსალიმის სამეფოს დაცემის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა: კათოლიკე ბერების მცირერიცხოვანმა კოლონიამ დატოვა პალესტინის უდაბნოები და მათი მიტოვებული ადგილები მალე აითვისეს მართლმადიდებელმა ბერ-მონაზვნებმა [16.112-113]. თუმცა, ბაჰრელთა ხელისუფლების მომძლავრების გამო, პალესტინის ქრისტიანულმა სავანეებმა მალევე დაკარგეს მიწები და ვენახები, რომელიც ჰქონდათ იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფოს არსებობისას (ეს მიწები მუსლიმურ რელიგიურ დანესებულებებს გადაეცათ). ამით მათ ფიზიკური არსებობის ერთადერთი წყარო გამოეცალათ და ქრისტიანული ქვეყნების მმართველებისა და მომლოცველ-პილიგრიმთა მონყალეებისა და შემონირულობების ამარა დარჩნენ [13.62].

ბაჰრელ მამლუქთა პოლიტიკა იწვევდა სამონაზვნო ცხოვრების სტაგნაციას. მან განსაკუთრებით დააზარალა პალესტინაში მდებარე მონასტრები, რომლებიც, როგორც ჩანს, მუსლიმ მმართველებს აღიზიანებდა. მაგალითად, წმინდა საბას (საბანმინდის) ლავრასთან ახლოს მამლუქებმა, იერუსალიმიდან იერიქონში მიმავალ გზაზე, ააშენეს სუფიათა სამლოცველო სახლი (ზავია) ნაბი მუსა. უფრო მეტიც, XV საუკუნის ისლამური წყაროს თანახმად, 1269 წელს ბაჰრელმა სულთანმა

ბუნდუკდარ ბაიბარსმა (1223-1277 წწ.) (რომელიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ქრისტიანთა მიმართ) ამ ზავის გადაკეთება-განახლებაში მიიღო მონაწილეობა და ბრძანა იქვე არსებული ქრისტიანული მონასტრის, ას-სიკის (მეცნიერთა აზრით, საუბარია წმინდა საბას (საბანმინდის) ლავრაზე, თუმცა ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ესაა წმინდა ეფთვიმეს ან წმინდა თეოდოსი დიდის (კინოვიარქის) ტაძრები) კელიების დანგრევა. ბაიბარსს მოეჩვენა, რომ ეს მონასტერი, სადაც სამასი ბერი ცხოვრობდა, შესაძლოა ჯვაროსნებს გამოეყენებინათ თავიანთ პლაცდარმად, თუ იერუსალიმზე თავდასხმას დააპირებდნენ [17. 238]. ზოგადად, ჯვაროსნების პალესტინაში გამოჩენის შიში მამლუქებს სულ ჰქონდათ და მათ ამ შიშებს მშვიდობისმოყვარე და უდანაშაულო მონასტრები ხშირად ეწირებოდა (მაგალითად, წმინდა მარკოზის კოპტური ტაძარი ალექსანდრიაში). მამლუქები ასევე ანგრევდნენ საერო შენობებსაც, იერუსალიმის კედლებიდან დაწყებული, ჯვაროსანთა ციხეებით დამთავრებული. საბედნიეროდ, 1269 წელს ბაიბარსი მხოლოდ ას-სიკის კელიების და კოშკების დანგრევით შემოიფარგლა. ის მონასტერს და მის კედლებს არ შეხებია.

მამლუქთა აგრესიას ქრისტიანთა მიმართ აღწერს მოგზაური ფელიქს ფაბრი, რომელიც წერს, რომ ღაზას ემირმა იერიქონის სავანის (ეს სავანე მდებარეობს მთაზე, სადაც მაცხოვარს გამოეცხადა ეშმაკი და მას ეწოდება ცდუნების მთა, ორმოცდღიანი მთა ან კარანტალის მთა) კელიებიდან გამოდევნა ბერები, დაანგრია მონასტერში ასასველელი საფეხურები, რათა ველარავინ ასულიყო იქ. მამლუქთა პარტნიორი ევროპელი ქრისტიანების ზენოლით სულთანმა ეს კიბეები ისევე აღადგენინა, მაგრამ ისე ცუდად, რომ მთაზე ასვლა ძალიან გართულდა [20. 56].

მამლუქთა ექსპანსიას შეეწირა სავანეები, რომლებიც ეგვიპტის სულთან სალაჰ ად-დინ აიუბიანის მიერ პალესტინის

1187 წლის დაპყრობებს გადაურჩნენ. 1230 წელს სერბი პილიგრიმი არქიეპისკოპოსი საბა ნემანიჩი უკანასკნელად იხსენიებს წმინდა ეფთვიმეს, წმინდა თეოდოსი დიდის (კინოვიარქის), ასევე მდინარე იორდანეზე მდებარე კალამონის მონასტრებს (რომელსაც ხშირად შეცდომით წმინდა გერასიმეს ლავრასთან აიგივებენ) [13,66]. 1223 წლის არაბულ ხელნაწერში უკანასკნელად იხსენიება წმინდა ხარიტონის ლავრა [14,50]. ის ბაჰრელთა დროს უკვე აღარ ჩანს, ასევე ქრება კალამონის სავანე და მის ადგილს არაბული სოფელი კარიათ ხაჯლა იკავებს. 1370 წელს არქიმანდრიტი აგრეფენიოსი აღწერს წმინდა თეოდოსი დიდის (კინოვიარქის) მონასტრის ნანგრევებს, რომელიც, სავარუდოდ, ასევე ბაჰრელთა დროს განადგურდა. 1335 წელს უდაბნოს მონასტრებს იხსენიებს იაკობ ვერონელი. მისი გადმოცემით, ამ დროს მოქმედებდა წმინდა გერასიმე იორდანელის, ხოზივას (ქოზიფას), იოანე ნათლისმცემლის, წმინდა საბას (საბანმინდის), იერიქონის სავანეები. 1370 წლიდან პილიგრიმთა ჩანაწერებში აღარ იხსენიება ქოზიფას სავანე. მომლოცველი ნიკოლო ფრესკობალდი 1384 წელს აღწერს იერიქონის სავანეში მცხოვრებ ბოლო ბერს [12.47-48; 13.66].

ბაჰრელთა მმართველობა უკიდურესად მძიმედ აისახა პალესტინის ქართულ ეკლესია-მონასტრებსა და იქ მყოფ ქართველ ბერ-მონაზონთა ცხოვრებაზეც.

ცნობილია, რომ, ბაჰრელი მამლუქების გაბატონებამდე, პალესტინის ქართული მონასტრები პალესტინასა და იერუსალიმში დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და როგორც აღვნიშნეთ, მათ გაბატონებას უმძიმესი შედეგი მოჰყვა პალესტინის ქართული სავანეებისთვის. 1258 წელს ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილმა, ილხანთა საყაენოს დამაარსებელმა ჰულაგუმ, ბაღდადი აიღო და სახალიფო გააუქმა. საქართველოს სამეფო ილხანთა ქვეშევრდომი და მოხარკე გახდა, რაც იწვევდა ქართველთა ჯარის მუდმივ მონაწილეობას მონღოლთა სამხედრო



ექსპედიციებში ბაჰრელი მამლუქების წინააღმდეგ, რამაც გაა-  
უარესა ქართველთა მდგომარეობა წმინდა მიწაზე. ისინი ზე-  
დიზიდ თმობდნენ ადრინდელ პოზიციებსა და პრივილეგიებს  
პალესტინის ეკლესია-მონასტრებში, სხვა აღმოსავლელ ქრის-  
ტიანთა თუ მუსლიმთა სასარგებლოდ.

ბაჰრელთა მიერ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონას-  
ტრის დარბევა-ჩამორთმევა და მეჩეთად გადაკეთება ამ პრო-  
ცესის გამონახტულება იყო. ა.ცაგარელი წერდა: „მუსულმანი  
ავტორების თანახმად, XIII საუკუნის დასასრულს, ზოგი ავტო-  
რით სულთან ბეიბარსის (1260-1277 წწ.), ზოგით, კალაუნის  
შვილის, ნასირ მუჰამედის დროს წაართვეს ქართველებს  
ჯვრის მონასტერი იერუსალიმის ახლოს და მოაწყეს იქ მეჩეთი  
მუეძინითურთ“ [15.55].

მუსლიმი ავტორი მუჯირ ედ-დინი (1521 წ.) მიიჩნევს რა  
ჯვრის მონასტერს იერუსალიმის ოთხი წმინდა ადგილიდან  
(უფლის საფლავის ტაძარი, აღდგომის ტაძარი, ჯვრის მონას-  
ტერი, წმინდა იაკობის ეკლესია) ერთ-ერთად, ამბობს: „ჯვრის  
მონასტერი ქართველთა თემის საკუთრებაა, იგი ჩამოერთვათ  
ქრისტიანებს ალ-მალიქ ან-ნასირ მუჰამად იბნ-კალაუუნის  
დროს და მეჩეთად იქნა ქცეული“ [3,3].

მუჯირ ედ-დინის ეს ცნობა ეხმიანება იერუსალიმის ქარ-  
თველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვარ წმინდა ლუკა იერუსა-  
ლიმელის წამებას. წმინდა ლუკას სვინაქსარულ „ცხოვრებაში“  
აღწერილია XIII საუკუნის II ნახევარში, მამლუქთა სულთან ბა-  
იბარს ბუნდუკდარის ზეობის წლებში, შეიხ ხიდარის (ხიდრის)  
მიერ ჯვრის მონასტრის წინამძღვრის – ლუკა მუხაისძის წამე-  
ბა და მონასტრის დარბევა.

წმინდა ლუკას სვინაქსარული „ცხოვრების“ ტექსტი მისი  
გამომცემლის, ენრიკო გაბიძაშვილის აზრით, უნდა შექმნილი-  
ყო ჯვრის მონასტერშივე 1314 წლის შემდეგ, XIV საუკუნის  
პირველ მეოთხედში [9.118]. ტექსტის თანახმად, წმინდა ლუკა

ანამეს 1273 წელს, როცა ქართველებს ჯვრის მონასტერი წაართვეს. წმინდა ლუკა წარჩინებულ მუხაისძეთა გვარიდან იყო. მისი დედა, დაქვრივების შემდეგ, მონაზვნად აღიკვეცა და იერუსალიმში დასახლდა. ოცი წლის ასაკში ლუკაც იერუსალიმში ჩავიდა წმინდა ადგილთა თაყვანის საცემად და დედის მოსანახულებლად. ამის შემდეგ მან სამშობლოში დაბრუნება აღარ ისურვა, მონაზვნად აღიკვეცა და იერუსალიმში დარჩა. ლუკას სინმინდით მოხიბლულმა ქართველმა ბერებმა ის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად (ჯვრისმამად) აირჩიეს. წმინდა ლუკა სამი წელი მშვიდობით წინამძღვრობდა, სანამ ვინმე სპარსმა შეიხ ხიდარმა (ხიდრმა) სულთან ფუნდუხტარს (ბუნდუქდარს) ჯვრის მონასტერი არ გამოსთხოვა. სულთანმა მისი თხოვნა შეასრულა. ხიდრმა მონასტრიდან ქართველი ბერები გამოაძევა, ლუკას კი გამუსლიმება შესთავაზა და ტაძრის უფროსობას დაჰპირდა. ლუკა მუხაისძემ წუთიერ დიდებას ქრისტიანთა სიკვდილი არჩია. მას ხიდრის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. მოკვეთილმა თავმა პირი აღმოსავლეთისკენ მიიღრია, გაიციინა და ღმერთი ადიდა. მარტვილის ცხედარი დაწვეს, ფერფლი ქრისტიანებმა და მუსლიმებმა ევლოგიად (საკურნებლად) წაიღეს.

ელენე მეტრეველმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, საქართველოს მეფე ვახტანგ III-ისა (1298-1308 წწ.) და მისი მეუღლე რიფსიმესადმი მიძღვნილი ალაპის მიხედვით დაადგინა, რომ ჯვარი ქართველებს ჩამოერთვათ 1273 წელს [7.42,164 (ალაპი №206); 1.108-109]. პავლე ინგოროყვა კი თვლის, რომ ეს მოხდა 1274 წელს [5.750].

ჯვრის მონასტრის დარბევა-ჩამორთმევა სათანადოდ აისახა XIV-XV სს. არაბულ ისტორიოგრაფიაში. საინტერესოა ამის თაობაზე მუსა იბნ მუჰამად ალ-იუნინის, მუფადდალ იბნ აბუ-ლ-ფადა ილის, იბნ-ად-დავა დარის, იბნ ქასირის, აჰმად

იბნ ალი ალ-მაკრიზის, მუჯირ ედ დიდნის და მუჰამად იბნ შაქირის ცნობები [2.289].

არაბული წყაროებით ირკვევა, რომ შეიხ ხიდარ იბნ აბუ ბაქრ იბნ მუსა ალ-მიჰრანი ალ-ადუჟვი გავლენიანი პიროვნება ყოფილა სულთან ბაიბარსის კარზე და დაპირისპირებული ყოფილა როგორც ქრისტიანებთან, ისე პალესტინელ ებრაელებთან. ხიდარს მოუოხრებია ჯვრის მონასტერი, გაუჟღეცია მისი ბერები და იქ დერვიშთა საცხოვრებელი გაუხსნია სულტან ალ-მალექ აზ-ზაჰირ ბაიბარსის დროს, მაგრამ უღემთა (ებრაელთა საკრებულოს) გადაწყვეტილებით, მონასტერი ისევ ქართველებისთვის დაუბრუნებია. ერთი არაბული წყაროს თანახმად, თითქოს სულტან ბაიბარსი ქართველ ბერებს ბრალს სდებდა მონღოლებთან ჯაშუშობაში, რის გამოც ჩამოართვა მონასტერი და მეჩეთად აქცია [11.5].

ჯვრის მონასტრის დარბევის თარიღად დ.გოჩოლეიშვილი XIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისს ვარაუდობს (არ უნდა სცილდებოდეს 1272 წლის 27 ივნისს). იგი არაბულ წელთაღრიცხვას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც ჰიჯრით 671 წლის შავვალის (აპრილის თვეში) სულთანმა ბაიბარსმა დააპატიმრა შეიხ ხიდრი და საპყრობილეში ჩააგდო, საიდანაც იგი ცოცხალი არ გამოსულა [1.107].

ფრიად მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ისტორიისათვის ბაჰრელი მამლუქების და ქართველების ურთიერთობა XIV საუკუნის I ნახევარში, რაც გამოიხატა ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის გადაცემითა და წმინდა მიწაზე მათთვის დიდი პრივილეგიების მინიჭებით. ამ საკითხებზე არსებობს როგორც უცხოური, ისე ქართული წყაროები.

არაბული წყარო მოგვითხრობს, რომ ერთი ქართველი მეფე 1273-74 წლებში საიდუმლოდ წასულა იერუსალიმში, თუმცა დაუპატიმრებიათ და სულტან ბაიბარსთან მიუყვანიათ [18.111]. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია სხვაგან არსად გვხვდება.

ალ-მაკრიზი წერს, რომ 1305 წლის 24 ივლისს ქაიროში სულთან მალექ ან-ნასერის წინაშე მოვიდნენ საქართველოს მეფე ვახტანგ III (1298-1308 წწ.) და ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე II (1282-1328 წწ.) პალეოლოგის ელჩები დიდი საჩუქრებით და სთხოვეს მას ჯვრის მონასტერი ქართველებისათვის დაებრუნებინა, რისთვისაც დახმარებასაც დაჰპირდნენ [2.289].

სულთანს ქართველების თხოვნა დაუკმაყოფილებია, ესე იგი, ჯვრის მონასტრის დაბრუნება 1305 წელს მომხდარა, თუმცა ამას ეწინააღმდეგება მონასტრის საალაპე წიგნი, სადაც წერია, რომ ჯვარი ქართველებს გადაეცა არა ვახტანგ III, არამედ დავით VIII (1293-1311 წწ.) დროს [7.43-44].

არის ვერსია, რომ ვახტანგ III დროებით გაათავისუფლა ჯვრის მონასტერი, როცა მონღოლთა ჯართან ერთად იერუსალიმში იმყოფებოდა, ამის მერე კი მონასტერი კვლავ მამლუქთა ხელში გადავიდა და მისი საბოლოოდ ქართველებისადმი გადაცემა დავით VIII შეძლო [6.26; 2, 291; 7.43-44].

XIV საუკუნის I ნახევარში, ისევ ნასირ მალიქის სულთნობისას, ქართველებისათვის კვლავ ჩამოურთმევიათ „კლიტენი იერუსალიმისანი“, თუმცა აქ არაა ლაპარაკი კონკრეტულად ჯვრის მონასტერზე. ქართული წყაროს თანახმად, ამ ამბით შეწუხებულმა მეფე გიორგიმ გაგზავნა სულთნის წინაშე შალვა ერისთავის ძე პიპა დიდი საჩუქრებით. სულთანმა ქართველებს დაუბრუნა „კლიტენი იერუსალიმისანი“ [8, 444-445].

მეფე გიორგიმ იცხაკ დავიდი მიიჩნევს გიორგი VI, დავით VIII ძეს (1311-1313 წწ.), ხოლო ე.მეტრეველი – გიორგი V ბრწყინვალეს (1314-1346 წწ.), რომელმაც ეგვიპტის სულთანთან ორჯერ გაგზავნა ელჩები, 1316 და 1320 წლებში [2. 289; 7.45,46,58].

1314 წელს, ბაჰრელი მამლუქების ზეობისას, დამასკოში აწამეს ქართველი ბერი ნიკოლოზ დვალი, რომელიც ქართულ-

მა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. წმინდა ნიკოლოზის წამების სვინაქსარული ტექსტიდან კარგად ჩანს ქრისტიანულ აღმოსავლეთში (იერუსალიმში, დამასკოში) ბაჰრელი მამლუქების მომძლავრება [9.124-125, 349-351; 4. 37].

ბაჰრელი მამლუქების მმართველობის დასასრულამდე (1382 წ.), ჯვრის მონასტერს და ქართველ ბერებს იხსენიებენ მოგზაური პიპინი (1320 წ.), ინგლისელი ფიციმონსი (1322-1324 წწ.), მუსლიმი შიჰაბ ად-დინ აჰმად იბნ იაჰია იბნ ფადლ ალლაჰ ალ-უმარი (1347 წ.), იტალიელი ფრა ნიკოლო პოჯჯი-ბონსი (1346-1350 წწ.) [15.167; 2, 295; 10.178,186].

ბაჰრელი მამლუქების ქრისტიანულ აღმოსავლეთში დომინაციას იმპონირებდა გლობალური და ლოკალური პოლიტიკური პროცესები, მონღოლთა არაერთი მარცხი ეგვიპტეში, ბიზანტიისა და საქართველოს ღრმა კრიზისი (ბიზანტიის დპყრობა ლათინთა მიერ, „მონღოლობა“ საქართველოში), ჯვაროსანთა დამარცხება, პაპობის გახლეჩა, „ასწლიანი ომი“ ევროპაში. ამ და სხვა მიზეზთა გამო, ბაჰრელთა მმართველობისას ქრისტიანული აღმოსავლეთი ფრიად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რამაც მონასტრებისა და სამონაზვნო ცხოვრების დაქვეითება გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, პალესტინის და ეგვიპტის ქრისტიანული სავანეების ნაწილი ბაჰრელთა მერეც, ბურჯიტთა დინასტიის, ოსმალთა გაბატონების და შემდგომ ხანებშიც აგრძელებდნენ არსებობას, თუმცა ბაჰრელთა პერიოდმა ქრისტიანული პალესტინის ისტორიას ფრიად მძიმე კვალი დააჩნია.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. გოჩოლიძევილი დ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (XIII ს-ის 70-იანი წლები), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბილისი, 1975, N4.
2. დავიდი ი., ნაწერები, თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976.
3. გაზეთი „დროება“, 1883 წლის 17 დეკემბერი.
4. თომასე ნ., ქართული არამოდელოური ჰაგიოგრაფიული თხზულება, ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002.
5. ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად: ტომი 1, თბილისი, 1963.
6. მამისთვალიძევილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), გორი, 2002.
7. მამისთვალიძევილი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI-XVII სს., თბილისი, 1962.
8. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 2, განათლება, თბილისი, 1959.
9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. IV, სვინაქსარული რედაქციები, ტექსტი გამოსცა ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968.
10. ჯაფარიძე გ., XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1985.
11. ჯაფარიძე გ., ქართველები იერუსალიმში, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 15.02.1985.

12. Иоанна Фоки сказание вкратце о городах и странах от Антиохии до Иерусалима... конца XII в. СПб., 1889.
13. Панчунко К. А., "Темный век" палестинского монашества: упадок и возрождение ближневосточных монастырей на рубеже мамлюкской и османской эпох. Вестник ПСТГУ. Серия III: Филология. 2018. Вып. 57, 33. 59–88.
14. Порфирий (Успенский). Книга бытия моего. Т. 4. СПб., 1897.
15. Цагарели А.А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае. (ППС, выпуск 10. 1888).
16. Frenkel J., Mar Saba during the Mamluk and Ottoman Periods. The Sabaite Heritage in the Orthodox Church from the Fifth Century to the Present. Leuven, 2001.
17. Histoire de Jerusalem et d'Hebron depuis Abraham jusqu'a la fin de XVe siècle de J.-C. Fragments de la Chronique Moudjir-ed-dyn traduits sur la texte arabe par Henry Sauvaire. Paris, 1876.
18. Histoire Littéraire de la France, Vol. 26: Ouvrage Commencé par des Religieux Bénédictins de la Congrégation de Saint-Maur, Et Continué par des Membres de l'Institut (Academie des inscriptions et belles-letters). t.XXL, Suite du treizieme siècle, depuis l'annee 1296, supplementants, A.Paris, 1847.
19. Jotischky A. Greek Orthodox and Latin Monasticism around Mar Saba under Crusader Rule. The Sabaite Heritage in the Orthodox Church from the Fifth Century to the Present. Leuven, 2001.
20. The Book of the Wanderings of Brother Felix Fabri. Vol. II (1). London, 1893.

**NINO TOMADZE**

**ON RELATIONS BETWEEN THE HISTORY OF  
CHRISTIAN EAST AND THE PERIOD OF  
BAHRI MAMLUK RULE**

**Summary**

13<sup>th</sup> - 15<sup>th</sup> centuries happen to be heaviest periods in the history of Christian east. This was the turn of late medieval period and new time, when in the African-Asian region deep crisis of Christianity has occurred, causing decline and degradation of Christian communities there.

Policies of the Bahri (Bahriyya) Mamluks caused stagnation of the monastic life. It has particularly impacted the monasteries in Palestine, supposedly boring the Moslem rulers. Expansion of the mamluks sacrificed the churches that survived at a time of conquering of Palestine by Egyptian Sultan Salah Ad-Din Ayyub in 1187. Bahri rule has extremely negatively impacted the Georgian churches and monasteries in Palestine and the monks and clergy living there. In the period of reign of Sultan In the period of reign of Sultan Bunduqdari Baibars (1223-1277), they transformed Jerusalem Cross Monastery of Georgians into the mosque and tortured its prior, Luka Mukhaisdze, as he refused to convert to Islam. In the period of Bahri rule, in Damascus, they martyred Georgian religious figure, Nikoloz Dvali. Luka Mukhaisdze and Nikoloz Dvali were canonized by Georgian Orthodox Christian Church.

Relationships between the Bahri Mamluks and Georgia in the 1<sup>st</sup> half og 14<sup>th</sup> century is quite significant for the history of Georgia, as well as the world history, this included transfer of the Cross Monastery



to the Georgians and awarding great privileges to them, on the Holy Land.

There are available both, foreign and Georgian sources dealing with these issues.

Arabian source tells that in 1273-74, a Georgian king secretly traveled to Jerusalem, though he was arrested and brought to Sultan Bai-bars; unfortunately, this information was not found elsewhere.

Al-Maqrizi wrote that on 24 July 1305, in Cairo, the envoys of Vakhtang III, king of Georgia (1298-1308) and Andronikos II Palaiologos, Emperor of Byzantium (1282-1328) came to Sultan Al-Nasseri, with splendid gifts and asked to return Cross Monastery to the Georgians and promised to provide support.

Sultan granted the Georgians' wish, i.e., in 1305, the Cross Monastery was returned to them; though, the book of records of the Monastery states that the Cross Monastery was transferred to the Georgians not in the period of reign of Vakhtang III, but at a time of David VIII (1293-1311).

There is an offer that Vakhtang III has temporarily freed Cross Monastery, when he was in Jerusalem, together with the troops of Mongols and further, the Monastery was taken over by Mamluks again and finally, David VIII achieved its transfer to the Georgians.

In the 1<sup>st</sup> half of 14<sup>th</sup> century, when Nasir Malik still was the sultan, the „keys of Jerusalem“ was again taken from the Georgians, but here specifically Cross Monastery was not mentioned. According to the Georgian source, King George, concerned by this, assigned Pipa, son of Salva Eristavi to the Sultan with splendid gifts and Sultan returned to the Georgians the „keys of Jerusalem“.

Global and local political processes contributed to domination of Bahri Mamluks in the east, it should be admitted that irrespective of all

their actions, part of the Palestinian and Egyptian Christian churches survived the Bahri, in the period of Burji dynasty, Ottoman rule and even further, though Bahri period has impacted the history of Christian Palestine quite severely.

## ლალი გულედანი

### ქართველ ებრაელთა მიერ დანახული ქუთაისი<sup>1</sup>

მოგეხსენებათ, ებრაელები საქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრობენ. საისტორიო ტრადიციის მიხედვით, საქართველოს ძველ დედაქალაქში, მცხეთაში, ებრაელები პირველად ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრულს მოვიდნენ, თუმცა უფრო მოგვიანებით, სხვადასხვა ნაკადით შემოსული თუ შიდა მიგრაციით გადაადგილებული ებრაელობა საქართველოს ყველა კუთხეს მოეფინა. დასავლეთ საქართველოში მათი სულიერი და კულტურული ცენტრი გახლდათ ქუთაისი.

ქუთაისი და მისი მიდამოები ადამიანთა საზოგადოების უძველეს საცხოვრისს წარმოადგენდა, თუმცა აია-კოლხეთის დედაქალაქად იგი [კვტაიისი, კოტაისი, კუტაია, კვტაბა] პირველად ელინისტური ხანის ბერძნულ თხზულებებში იხსენიება. არგონავტიკაში ქუთაისი წარმოდგენილია კოლხეთის ძლიერი სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს (და ზოგჯერ სატახტო) ქალაქად [16. 168] და ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით იგი, როგორც ქალაქი, ძვ.წ. VI საუკუნიდან უნდა არსებობდეს [20. 37]. ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განსაკუთრებული აყვავება ელინისტურ ეპოქაში შეინიშნება და აღინიშნება მანამდე არნახული აღმავლობით. არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ ქუთაისის მონაწილეობას კოლხეთის ელინისტურ სამყაროსთან საქონელგაც-

---

<sup>1</sup> სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: FR-21 19474 „ებრაელთა თვალით დანახული საქართველო: „ისრაელში გამოცემული ქართული ბეჭდური პროდუქციის არქივაცია და ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზი“).

ვლის პროცესში... ელინისტურ ხანაში ქუთაისის მიმართულე-ბით გზას იკვლევს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიდი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების იმპორტი...[12. 4; 8-9]. ცნობილია, რომ მოგვიანებით, VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, აფხაზთა მთავარმა ლეონ II დასავლეთ საქართველო გააერთიანა ერთ სამეფოდ და სამეფო ტახტი ანაკოფიიდან ქუთაისში გადაიტანა [19. 251]. 978 წელს ბაგრატ III-მ საქართველოს სამეფოს დედაქალაქად ქუთაისი აღიარა. სწორედ X-XI საუკუნის მიჯნაზე აიგო ბაგრატის ტაძარი, რომელიც ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ძეგლად ითვლება [23]. ქუთაისის ისტორიაში გამორჩეულია დავით აღმაშენებლის ხანა. მისი მოღვაწეობის პერიოდში დაარსდა გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს უდიდეს კულტურულ ცენტრად იქცა [19. 329-331]. მიუხედავად იმისა, რომ დავით მეფემ პირველობა ქალაქ თბილისს მიანიჭა და ქუთაისი აღარ იყო საქართველოს დედაქალაქი, იგი საუკუნეების მანძილზე მეორე სატახტო ქალაქად ითვლებოდა და ხშირად, ძნელბედობის უამს, ქართველ მეფეთა თავშესაფარს წარმოადგენდა. შემდგომ პერიოდში საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარების, გაუთავებელი შიდა თუ გარეშე მტრების შემოსევების გამო, ქუთაისის განვითარებისა და ქალაქად ჩამოყალიბების პროცესი შენედა. მხოლოდ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა სტაბილური სამეფო ცხოვრება და პარალელურად გამოცოცხლდა ეკონომიკური, სავაჭრო-სახელოსნო ურთიერთობებიც.

იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ ქუთაისი ახლადშექმნილი იმერეთის ოლქის სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, შემდგომ კი დასავლეთ საქართველოს ცენტრი გახდა [21. 44-50; 58].

კვლევის მიმდინარეობისას ბუნებრივად იბადება კითხვა: რა წვლილი შეიტანა საქართველოს ებრაელობამ ქუთაისის განვითარების ზემოაღწერილ ისტორიულ პროცესში?

ნათელია, რომ სტრატეგიულმა მდებარეობამ და, შესაბამისად, სავაჭრო პროცესებში აქტიურმა ჩართულობამ ხელი შეუწყო და დააჩქარა ქუთაისის ურბანიზაციის პროცესი და საბოლოოდ ჩამოაყალიბა აქ ქართული ებრაული თემი. ურბანიზაციის პროცესისთვის ხელისშემწყობი პირობების გათვალისწინებით (ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ფაქტორები), ქუთაისის ებრაელობა ქალაქის განვითარებაში აქტიურად იყო ჩართული, თუმცა ისტორიულ წყაროებში ადრეულ პერიოდში მათ შესახებ ინფორმაცია ფაქტობრივად არ არის შემორჩენილი და ამიტომ ებრაელობის ჩართულობა წინა პერიოდის სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ებრაელების, არამედ, ზოგადად, განსაკუთრებით კი საქართველოს დასავლეთის ქალაქების შესახებ ძალიან მწირი ცნობებია შემორჩენილი. ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს: „იმერეთის სამეფოც ამ მხრივ მეტად დაქვეითებული ყოფილა, იმერეთის თვით სატახტო ქალაქი ქუთაისიც კი იმოდენად პატარა იყო, რომ ჟან შარდენის სიტყვით იქ მხოლოდ 200 კომლი მცხოვრები ითვლებოდა. ისე, რომ დიდსა და მჭიდროდ დასახლებულს სოფელს უფრო მიაგავდა, ვიდრე დედაქალაქსა და სავაჭრო ცენტრს“ [29. 35]. ფრანგი კომერსანტი ჟან შარდენი ქუთაისში იმყოფებოდა 1672-73 წლებში [15. 46].

პირველ ცნობებს ქუთაისელი ებრაელების შესახებ გვანვდის მე-17 საუკუნის ისტორიული წყაროები. კერძოდ, ქუთაისის მოსახლეობაში ებრაელებზე პირველად მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონი: „...არიან მოსახლენი ვაჭარნი სომეხნი და ურიანი და ვაჭრობენ“ [6. 756].

ასევე, მე-17 საუკუნის 40-იანი წლების გელათელი მიტროპოლიტი ზაქარია ქვარიანი შეწირულობის წიგნში ჩამოთვლის მწვანე ყვავილას ტერიტორიაზე მის მიერ დასაქმებულ პირებს და მათ შორის მოიხსენიებს ვინმე ურია დანიელა ფიჩხაძის კომლს. 1650 წელს შედგენილ საკათალიკოზო გლეხების სიაშიც ვხვდებით ვინმე მოძღვარსა ურიასა[28. 166]. 1776 წლის სიგელით ირკვევა, რომ, გელათის ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ხდებოდა ხოლმე ებრაელთა ოჯახების ყმებად შეწირვა ან მიყიდვა მონასტრისთვის, რათა ებრაელებს სავაჭროდ მეტი ასპარეზი ჰქონოდათ. 1782 წელს დედოფალი გულქანი შეწირულობის წიგნში მოიხსენიებს ურია კაკიას და მიუთითებს ქირაზე, რომელიც მისთვის უნდა გადაეხადათ. თითოეული ყმა ებრაელ პატრონს უხდიდა 8 მანეთს. 1787 წელს გელათის საეკლესიო მიწებზე დაუსახლებიათ ონელი იოსებაშვილების რამდენიმე ოჯახი. 1796 წელს კი იმერეთის დედოფალი მარიამი ქუთაისში აბრუნებს და ეკლესიას სწირავს ქალაქიდან გაქცეულ მარდახა ბინიაშვილის ოჯახს. 1802 წელს გელათის მიტროპოლიტი ექვთიმე სამოსახლოს უფართოებს საეკლესიო ებრაელ ყმებს. 1803 წელს იმერეთის დედოფალი მარიამი მონამეთას ეკლესიას სწირავს შამოელაშვილებს. ამ პერიოდისთვის მას 33 კომლი ებრაელი ყმა ჰყოლია. გოგნის უდაბნოს მონასტერს 1809 წელს ქუთაისში ვაჭარ ებრაელთა 2 კომლი ჰყოლია და ა.შ. [27. 22-23]. დროთა განმავლობაში თანდათან მომრავლდა ებრაელების შესახებ ამ ტიპის დოკუმენტები.

წყაროებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ქუთაისში ამ პერიოდისთვის ებრაელები ჯერ კიდევ არ იყვნენ მრავალრიცხოვნად წარმოდგენილნი, მაგრამ მათი რაოდენობა თანდათანობით მატულობდა სხვა რეგიონებიდან გადმოსული ებრაელებით. XVIII საუკუნიდან უკვე მრავლად ჩამოსახლებულან ახალციხელი, ონელი, ლაილაშელი, ქართლელი და სხვა კუთხის ებრაელები.

მე-17 საუკუნიდან ებრაელების ქუთაისში დასახლების შე-  
სახებ მოსაზრებას განამტკიცებს შვეიცარიელი მოგზაურისა  
და მეცნიერ მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ინფორმა-  
ცია, რომელმაც 1831-34 წლებში იმოგზაურა კავკასიაში. იგი  
წერს: „ებრაელები ას წელზე მეტია, რაც მოვიდნენ ქუთაისში.  
ისინი აფხაზეთიდან მოიყვანეს მეფეებმა, რომლებიც მათ  
მფარველობდნენ. ქუთაისის ეკლესიამ დაუთმო მათ მინის  
ფართობი გუბერნიის მმართველის სახლის მახლობლად და  
ყოველწლიურად ეკზარხოსს იჯარას უხდიან. აქვთ ღარიბი სი-  
ნაგოგა, სადაც მხოლოდ სკამებია ტრიბუნის ირგვლივ. შიგნით  
სიბნელეა, შელესილი არ არის... ქუთაისის ბაზრის დიდი ნაწი-  
ლი ებრაელებს უჭირავთ, რომლებიც მხოლოდ თავიანთი გა-  
რეგნობით არიან ებრაელები. ატარებენ ქართულ ან სომხურ  
კოსტიუმს, ახურავთ შავი კრაველის სპარსული ქუდი; მხო-  
ლოდ გრძელ წვერს იზრდიან და საფეთქლის ორივე მხარეზე  
გრძელი კულული აქვთ. ისინი მეტწილად ვაჭრობენ ძველმანე-  
ბით, ცვლიან მათ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე“. ამ  
ამონარიდის მიხედვით, ებრაელები ქუთაისში მე-17 საუკუნის  
შემდეგ დასახლდნენ, თუმცა სტატიის ავტორი ანიკოლეიშვი-  
ლი იქვე კომენტარს ურთავს ამ ციტატას და აღნიშნავს, რომ  
დიუბუა დე მონპერე ცდება. ებრაელები იმერეთსა და ქუთაის-  
ში გაცილებით ადრე, საქართველოში მათი ჩამოსახლებიდან  
მაღევე დამკვიდრდნენ, თუმცა ამ დასკვნისთვის იგი მხოლოდ  
და მხოლოდ სხვა მოგზაურთა მოსაზრებებს ეყრდნობა, რაც  
მიგვაჩნია, რომ არ არის მაინცდამაინც საარწმუნო მტკიცებუ-  
ლება [13. 187].

წინამდებარე სტატიაში შეძლებისდაგვარად წარმოდგენი-  
ლია ყველა იმ მოგზაურის მოსაზრება, რომელიც რაიმე თვალ-  
საზრისით მოიხსენიებს ქუთაისის ებრაელობას:

საფრანგეთის მეფის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა  
გამბა ქუთაისში იმყოფებოდა 1822 წელს. იგი ქუთაისს მიიჩ-

ნებს ამიერკავკასიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად და ამბობს, რომ რამდენიმე წელიწადში ამ ქალაქში, რომელსაც ევროპასა და აზიას შორის საქონლის ტრანზიტისათვის ესოდენ კარგი მდებარეობა აქვს, მოსახლეობა ორჯერ მეტად გაიზრდება და ცხოვრების პირობებიც სათანადოდ გაუმჯობესდება...თუმცა მოსახლეობა ჯერ კიდევ ცოტაა – დასძენს იგი. დაახლოებით რვაასი ებრაელი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს. ისინი განკერძოებულ უბანში ცხოვრობენ...ებრაელები ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობენ [18. 133-134].

შვეიცარიელი ფრანგი, გეოლოგი, ნატურალისტი და არქეოლოგი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, კავკასიაში მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მოგზაურობის შემდეგ წერს „...ქუთაისის მოსახლეობა აღემატება 2000 კაცს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხედრო ნაწილებს. მოსახლეობა ჭრელია: არიან ქართველები, სომხები, ებრაელები, რუსები, აგრეთვე – რამდენიმე თურქი და ბერძენი“ [2. 384-432]. იგი ჩამოთვლის ამ ხალხის სხვადასხვაგვარ საქმიანობას, თუმცა ებრაელები კონკრეტულად რითი იყვნენ დაკავებულნი, არ არის აღწერილი.

ცნობილმა გერმანელმა მწერალმა და მეცნიერმა ფრიდრიხ ბოდენშტედტმა რამდენიმე წელი დაჰყო აღმოსავლეთში. დაწერა წიგნი საქართველოზე, სადაც შემდეგ ინფორმაციას გვანვდის: „ქუთაისი, რიონის ორსავე მხარეს გაშლილი ქალაქია, ჩინებული ჰავით, კარგი წყლითა და მოხდენილი მდებარეობით გამოირჩევა. მოსახლეობა უგარნიზონოდ ორ-სამ ათას კაცს არ აღემატება. უმრავლესობა – იმერლები, სომხები, ებრაელები და რუსებია. ქალაქის მთავარი საქმიანობა ვაჭრობაა...“ [1. 157-161].

მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ქუთაისის ვიცეგუბერნატორი პეტრე ედმუნდის ძე გნილოსაროვი ქუთაისის საკმაოდ დეტალური აღწერისა და დახასიათების შემდეგ ჩამოთვლის ამ ქალაქის მოსახლეობას (სულ 3500-მდე მცხოვრები) სარწმუნო-



ნოების მიხედვით და მიუთითებს ებრაელების რაოდენობას – 1103 სული და აღნიშნავს, რომ მათ ქალაქის ყველაზე განსაკუთრებული და ლამაზი მონაკვეთი ეკავათ, მაგრამ ცხოვრობდნენ ბინძურად [30.333]. იგი ქუთაისს სავაჭრო ქალაქად მიიჩნევს, თუმცა კონკრეტულად არ აღნიშნავს რითი იყვნენ ებრაელები ჩართული ქუთაისში გაჩაღებულ ადებ-მიცემობის საქმიანობაში. მხოლოდ ერთგან მიუთითებს იმაზე, რომ ებრაელები ვაჭრობდნენ აბრეშუმით და დიდი რაოდენობით აბრეშუმს ყიდულობდნენ სოფლებში, განსაკუთრებით კი სოფელ ხონში. ასევე, ებრაელებს ახსენებს 1842 წლის წყალდიდობის კონტექსტში და აღნიშნავს: „წყალმა, რომლის დონემ, როგორც ამბობენ, 17 ფუნტით მოიმატა, დაფარა ებრაელთა უბანი...“ [24. 247-252].

1890 წელს კავკასიაში იმყოფებოდა იტალიელ მეცნიერთა ექსპედიცია, რომლის ერთ-ერთი წევრი, ბოტანიკოსი ემილ ლევიე აღნიშნავს, რომ ამ დროისთვის ქუთაისში მცხოვრებთა რიცხვი 13-14-ათასია [4. 14-16]. იმავე პერიოდის ინგლისელი მთარგმნელის, მარჯორი უორდროპის ჩანაწერებში კი ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ ქალაქი ადრე 100 000 მცხოვრებს ითვლიდა, ახლა კი 20 000 ძლივს არის“ [5. 41-44].

საქართველოს ძველი ქალაქების შესახებ ერთ-ერთ გამოცემაში ვკითხულობთ: „ქუთაისი დიდი არ იყო, მისი მცხოვრებთა რიცხვი 1869-იან წლებშიც კი 6000 არ აღემატებოდა...“ [17. 51].

„რიონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ გაშლილი ახალი ქუთაისი „ვაჭართა ქალაქი“ იყო. მოსახლეობის ძირითად ნაწილს აქ ქართველი კათოლიკენი, სომხები და ებრაელები შეადგენდნენ, რომელთა კარ-მიდამო ძირითადად იმ უბნებს მოიცავდა, დღემდე რომ შემოინახა ქალაქმა... ქართველ და სომეხ დიდვაჭრებს უცხოური – ევროპული, ოსმალური, სპარსული, ინდური, ავღანური და რუსული საქონელი ჩამოჰქონდათ. ებრაელები ძირითადად წვრილმანებით ვაჭრობდნენ და კიბულას

ცივ წყალს დაატარებდნენ თულუხჩებით გასაყიდად“. როგორც პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს: „მათგან [მოსახლეობისგან] არავის, სამღვდელთაგანის გარდა, ქართულის მეტი სხვა ენა აღარ სცოდნია. ყველას ჩვენებური ტანისამოსი ეცვა, კაცსაც და ქალსაც. ებრაელს კიდევ გაარჩევდა ადამიანი იმერლისაგან, მოუპარსავ წვერითა და კავებით, სხვებს კი ადგილობრივ ხალხისგან გარჩევა აღარ ჰქონდათ“ [17. 56].

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი მოგზაურები და მკვლევრები ძირითადად მე-19 საუკუნის ქუთაისში მიმდინარე მოვლენებს აღწერენ. ზოგიერთი მათგანი ქუთაისის ბუნებით არის მოხიბლული, ზოგი უბრალოდ მიუთითებს, რომ აქ იმერლები, სომხები და ებრაელები ცხოვრობენ და მოსახლეობის რაოდენობაზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა მათ მიერ მოსახლეობის აღმნიშვნელი ციფრები ერთმანეთისგან განსხვავებულია. მართალია, ყველა ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობით არის დაკავებული და რომ ქუთაისი „ვაჭრობის ქალაქია“, მაგრამ ებრაელების საქმიანობის მიმართ რაიმე კონკრეტულ მონაცემებს ადგილი არ აქვს, მხოლოდ ერთგან არის გაკვრით აღნიშნული, რომ ისინი ძირითადად წვრილმანებით ვაჭრობდნენ.

რეალობა კი ასეთია: მე-18 საუკუნის II ნახევარში საქართველოში იკვეთება ფეოდალური ურთიერთობის რღვევის ნიშნები, ყალიბდება ფულად-სასაქონლო, საბაზრო კონტაქტები, რაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა, რადგან გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ებრაელი და სომეხი მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობით იყვნენ დაკავებული...[7. 142]. მოგზაურების აღწერილობებიდანაც იკვეთება, რომ ებრაელები აქტიურად იყვნენ ჩართულები სავაჭრო პროცესებში, რაც იმის დასტურია, რომ ქუთაისსა და მთელ

დასავლეთ საქართველოში ვაჭრობისა და ეკონომიკური კავშირების განვითარებაში ებრაელებს დიდი როლი მიუძღვით. კერძოდ, 1866 წელს საზღვარგარეთ სავაჭროდ წასვლის ნებართვა აუღია საქართველოში მცხოვრებ 62 ებრაელს, 1867 წელს კი – 44-ს. შემორჩენილი დოკუმენტების მიხედვით, ამ სიებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ქუთაისელი ებრაელები ყოფილან. პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებს შორის გამოირჩეოდნენ: იაყობიშვილები, ელიგულაშვილები, ენუქაშვილები, თავდიდიშვილები, ხანანაშვილები, რომელთაც მრავალგზის ჰქონიათ მოვლილი: სტამბოლი, ტრაპიზონი, მოსკოვი, ნიჟნი ნოვგოროდი, ოდესა, ხარკოვი, როსტოვი, ვარშავა და სხვა დიდი ქალაქები. საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელს მათგან ნაღდი ანგარიშით ან კრედიტით ყიდულობდნენ ადგილობრივი და საშუალო ვაჭრები. ებრაელებს საექსპორტოდ დასავლეთ საქართველოდან დიდ პარტიობით გაჰქონდათ: დაუმუშავებელი აბრეშუმი, ღორის ჯაგარი, ქალის თმა, ბენვეული; ყოველწლიურად აგზავნიდნენ დაახლოებით 5-6 ვაგონ კვერცხს (ვაგონში თავსდებოდა 14 400 კვერცხი), 15-20 ვაგონ ბუმბულს, 3-4 ვაგონ ძველ კალოშს, 2-3 ათას ცალამდე ძველ ხალიჩას, დიდი რაოდენობით ხილს და ჩირს.

საქართველოს ებრაელთა ალებ-მიცემობის ისტორიას ეხება მკვლევარი ი.პაპისმედოვი. იგი განსაკუთრებით დეტალურად განიხილავს 1800-1864 წლების სავაჭრო მონაცემებს და სტატიაში წარმოადგენს ასევე ქუთაისის სავაჭრო ურთიერთობებსა და ეკონომიკურ მდგომარეობასაც; ახასიათებს ქუთაისის ბაზარსა და იქ პარასკევობის ბაზრობას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ 1850-იან წლებისათვის ქუთაისში უკვე არსებობდნენ საკმაო კაპიტალის მქონე ებრაელი ვაჭრები, რომელნიც კატეგორიულად იყოფოდა. მისი აზრით, ცოტა მოგვიანებით ამ ქალაქს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობაში წამყვანი როლი და განსაკუთრებული ადგილი ეკავა [14. I- 33-48].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქუთაისის ებრაული მოსახლეობა უკვე XX საუკუნის მეორე ნახევარში სოციალურად მკვეთრად დიფერენცირებული იყო, თავად ვაჭრებიც კი. ამ პერიოდში რამდენიმე ებრაელმა ვაჭარმა უდიდესი კაპიტალი დააგროვა და თითქმის მთელი შინაური ვაჭრობა ხელში ჩაიგდო. ამათგან ზოგიერთი დიდ სამრეწველო წამონყებაში და საბანკო საქმეებშიც ჩაება. ზოგი მათგანი ბანკების ხმოსნად ითვლებოდა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში მსხვილი ბანკების დაარსებაშიც მონაწილეობდა. გამდიდრებული ვაჭრები გამორჩეული საზოგადოებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ და ფუფუნებაში ცხოვრობდნენ ძვირფასი ავეჯით მონყობილ თეთრი ქვის სახლებში. მათგან განსხვავებით, მძიმე სოციალურ პირობებში თავს ირჩენდნენ მენვრილმანე ებრაელი ვაჭრები და მათი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები... [22. 57].

**ქუთაისის ვაჭრობის განვითარების საკითხის განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დამდეგს აღებ-მიცემობისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების პირობებში მოვაჭრეების ურთიერთობამ ერთ ძალიან საინტერესო და უნიკალურ ლინგვისტურ თავისებურებას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც თავდაპირველად ქუთაისის ებრაელობის მეტყველებაში გვხვდება, ხოლო მალევე მთელი საქართველოს ებრაელთა, მათ შორის სურამის, კულაშის და სხვათა სავაჭრო ურთიერთობაში დამკვიდრდა. იმის გამო, რომ სავაჭრო პროცესი გასაიდუმლოებურ ხასიათს ატარებდა, მათ ერთმანეთს შორის შეიძლება შავეს საიდუმლო საკომუნიკაციო ენა, რომელსაც არგოტული მნიშვნელობა ჰქონდა. ანუ, შეიქმნა ებრაელთა „საიდუმლო-სავაჭრო ენა“, რაც არ იყო გასაგები არაებრაელთათვის. ამ თავისებური, პირობითი ენის დანიშნულებას, უმთავრესად, კლიენტებისაგან ვაჭრობის საიდუმლოს დაცვა წარმოადგენდა. ეს იყო ებრაული სიტყვების ძირებზე ქართული პრეფიქს-სუფიქსების**

დართვით მიღებული ლექსიკური ერთეულები. მკვლევარ ილია პაპისიმედოვს მაგალითად მოჰყავს სიტყვა „ვისოხარე“, რაც ქართულად ნიშნავს: „ვივაჭრე“. მკვლევრის თქმით, ის წარმოებული უნდა იყოს ძველი ებრაული სიტყვისაგან „სოხერ“ – ვაჭარი. ამ შემთხვევაში, პაპისიმედოვის აზრით, სიტყვის ძველებრაულ ძირს დაერთვის „ვი“ და „ე“ ქართული აფიქსები. **იგი განიხილავს 107 ასეთ სიტყვას და დართული აქვს მათი ქართული შესატყვისები [14. III- 69].**

საინტერესო ცნობებს ქუთაისელ ებრაელებზე გვანვდის ზ. ჭიჭინაძე, რომელიც შედარებით ვრცლად აღწერს მათ და აღნიშნავს, რომ ქუთაისელი ებრაელების ცხოვრება დიდად არ განსხვავდება სხვა ებრაელების ყოფისგან. მათ ქართველებისგან ბევრი ტანჯვა და დევნა განიცადეს სისხლის ხმარებაზე ცილისწამების გამო, თუმცა გამართლდნენ და წუხს იმის გამო, რომ ისედაც დაჩაგრულ ხალხს ქართველებმა დამატებით არგუნეს უბედურება, თუმცა ისინი საცხოვრებელი პირობებით, „შენობითა და შინაგან მონყობილობით გვარიანათ არიან“. მათი ნაწილი იმერეთის მეფის ყმა იყო, ნაწილი კი ქართველი თავადიშვილებისა. ქალაქ ქუთაისის ებრაელთა სასულიერო პირი, მთავარი რაბინი, მთელი ქუთაისის გუბერნიის მთავარ რაბინად ითვლება. მათ შორის იგი გამოჰყოფს და დადებითად ახასიათებს რაბი არონ რიჟინაშვილს, რომელმაც ებრაელი ბავშვებისთვის ქართულ-ებრაული სახელმძღვანელო შეადგინა და იერუსალიმში გამოსცა 1898 წელს. ზ. ჭიჭინაძე ყურადღებას ებრაელების ქუთაისში დასახლებაზეც ამახვილებს და წერს: „ქუთაისის ებრაელთა თავი მოიკრიბეს მესხეთიდან და ქართლიდან. ეს რომ ასეა, ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ქუთაისის ებრაელნი, როგორც კაცნი, ისე ქალნი ქართულ ტანსაცმლის ტარებას მისდევდნენ. ქალები იხურავდნენ ლეჩაქს და... კაცები ატარებდნენ ქართულ კაბას, ქოშებს... ქუთაისის ებრაელთა დედა ენა ქართულია, ყოვლის მხრივ ქართვე-

ლობის ნაწილს წარმოადგენენ. ცხოვრება მათი ვაჭრულია, ე.ი. ალემ-მიცემობას მისდევენ, მეურნეობასაც. განათლებულ კაცთა რიცხვი მათთან ერთობ მცირეა... აქვსთ თორა[იგულისხმება სინაგოგა], კარგი თლილის ქვის, აღშენებული XIX საუკუნის ნახევრამდე. ლოცვა ებრაულს ენაზედ აქვსთ, ქადაგება კი საყოველთაოდ ქართულად. თორასა, ოჯახში და კარში სახმარებელ დედა ენას ქართული შეადგენს..." [26. 64].

ქუთაისის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნე, როცა თურქებისგან უკვე გათავისუფლებული, მაგრამ 1818 წელს იმერეთის სამეფოს გაუქმებითა და სხვა უბედურებებით (შავი ჭირი, მოუსავლიანობა, მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება და ა.შ.) შეჭირვებული ქალაქი გამოცოცხლებას იწყებს, რამაც 30-იანი წლებიდან გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო. ეს 1833 წლის დიბუა დე მონპერესეულ გეგმაშიც ნათლად იკვეთება. დაიწყო რიონის მარცხენა სანაპიროს განაშენიანება და მოსახლეობის ქალაქის ვაკეზე „ჩამოსვლა“. ყალიბდება დღეს ქალაქის ისტორიულ ნაწილად წოდებული ცენტრი, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად სახელდება ე.წ. „ებრაელთა დასახლება – უბანი მწვანე ყვავილაში, რომელიც მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ქუთაისის გარეუბნად ითვლებოდა [8.148].

ქუთაისის განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი პირობაა სამოქალაქო მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდა, რასაც თავისებურად ებრაელების გამრავლებამაც შეუწყო ხელი, რომლებიც ტრადიციებისა და რელიგიური ვალდებულებების დაცვით არ განსხვავდებიან სხვა რეგიონის ქართველი ებრაელებისგან. ქუთაისში, ისე როგორც სხვა ქალაქებში, ებრაელები ერთად სახლდებოდნენ, რაც უმთავრესად მოიცავდა შაუმიანის, აზერბაიჯანის, რიჟინაშვილის ქუჩებსა და მაიაკოვსკის ქუჩის ნაწილს. ებრაელთა უბნის ერთ-ერთი ძირითადი ქუჩა „ებრაელთა ქუჩა“ იყო. უბანი ერმანეთთან მჭიდროდ იყო და-

კავშირებული, სახლი სახლზე იყო მიდგმული. უბანსა და მის ქუჩებს აღწერს და განსაკუთრებულ სიბინძურეზე და ტალახზე ამახვილებს ყურადღებას ზ. ერისთავი. მას მიაჩნია, რომ ებრაელთა უბანს „უჭირავს უკეთესი ნაწილი ქალაქისა“. იგი ახასიათებს აქ მცხოვრებ ურიებს და მათ შორის გამოარჩევს მსუქან და თეთრწვერა მოხუცებს, რომლებიც თავისი შთამბეჭდავი გარეგნობით პატივისცემას იმსახურებენ. ზ. ერისთავი წერს: „ურიანი არიან კაცნი გულწრფელნი, კეთილის გული-სა, შრომის მოყვარენი, კაცნი მოუდრეკელნი სარწმუნოებაზედ და მტკიცენი თავის დოღმატებზე; მაგრამ იმათში უფრო ეს არის საქები, რომ ერთად იყოფენ ერთმანეთში როგორათაც ბედნიერებას, ეგრეთვე უბედურებას. საკუთარი საქმე კაცებისა არის ვაჭრობა... დედაკაცნი ქსოვენ, ართამენ, ყურს უგდებენ სახლ-კარს და შვილებს...“ [3.115-116]. ებრაელთა კომპაქტური დასახლებით გამორჩეული იყო გელათის ქუჩა (ამჟამად გაპონოვის), რომელიც მწვანე ყვავილასკენ მიემართება. დასახლებები ძირითადად დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახური ჯგუფებისგან შედგებოდა, რომლებიც სამ-ოთხ თაობას აერთიანებდა. ეს უბანი ქალაქის კოლორიტს წარმოადგენდა ებრაული ეროვნული თავისებურებებით.

**XX** საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ებრაელების „აღია“ და ქუთაისიც ნელ-ნელა დაცარიელდა ებრაელებისგან...

ამრიგად, ინფორმაცია ქუთაისელი ებრაელების შესახებ საისტორიო წყაროებში ძუნწად არის წარმოდგენილი, რის გამოც მოგზაურთა აღწერილობები და შენიშვნები მეტად ფასეული ხდება ამ საკითხის გასააზრებლად, თუმცა დამონმებული მასალის მიმოხილვის მიხედვით ინფორმაცია მოგზაურებთანაც მწირია. ასევე, მათთან ერთი და იმავე პერიოდის დემოგრაფიული მონაცემები ზოგჯერ სრულიად განსხვავებულ ციფრებზე მიუთითებს, რაც ნაკლებად სარწმუნოს ხდის ამ წყაროებსაც. ამ ფონზე უდიდეს დატვირთვას იძენს ისრაელში გამო-

ცემული პროდუქცია (სამეცნიერო კვლევები, მხატვრული ნაწარმოებები, პერიოდიკა და სხვა), რაც ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო პროექტის საკვლევ მასალას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ისტორიკოს დანიელ ხანანაშვილის ღვაწლი, რომელიც ხანგრძლივად და ნაყოფიერად მუშაობდა ებრაელების საქართველოში დასახლების, ცხოვრების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების თემატიკაზე... მეცნიერის ცხოვრების მიზანი იყო მისი საყვარელი ქალაქის – ქუთაისისა და საქართველოს ებრაელობის ისტორიის შესწავლა, საქართველოს ებრაელთა შესახებ არსებული მასალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შექმნა. დანიელ ხანანაშვილი სტუდენტობიდან იწყებს ამ საკითხების კვლევას. მან დიდი შრომის, მონდომების შედეგად შექმნა მასალათა ფასდაუდებელი ფონდი საქართველოს ებრაელთა და ქუთაისის ისტორიის შესახებ. იგი ჭეშმარიტად საქართველოს ებრაელთა მემკვიდრეა. მართალია, ანალიტიკური ბიბლიოთეკის შექმნა მას არ დასცალდა (გარდაიცვალა 2005წ.) [25. 328], მაგრამ დატოვა უნიკალური მასალა წიგნისთვის „ლოცვის კარები – ქუთაისის ებრაელობა“, რომელიც 2009 წელს გამოიცა თელ-ავივში [27].

ამ წიგნში ყველა ის საკითხი, რომელიც უკვე განხილულია წინამდებარე სტატიაში, მაგრამ ბევრ კითხვის ნიშანს განაპირობებს, ძალიან ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის ახსნილი მკვლევრის მიერ. გაცემულია პასუხი კითხვაზე: რატომ არ ჩანდნენ ებრაელები ქუთაისში მე-18 საუკუნემდე? დანიელ ხანანაშვილს მიაჩნია და მიუთითებს სარწმუნო მტკიცებულებებზე, რომ მწვანე ყვავილა XVII საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ დაუსახლებელი ყოფილა. XVIII საუკუნის 70-იან წლებისთვის მწვანე ყვავილა და ქალაქი ქუთაისი ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული ლოკაციაა. ამ ფაქტის გათვალისწინებით აქ მცხოვრები ებრაელობა ქუთაისს არ მიეწერებოდა და შესაძლებელია ამავე მიზეზით ისინი მოხსენიებულები არ არი-



ან XVII საუკუნის მოგზაურთა აღწერილობებში. იგი არ გამო-  
რიცხავს იმასაც, რომ ამ პერიოდში პოლიტიკური არეულობის,  
ომიანობის გამო, ებრაელობა გაეცალა საცხოვრებელ ადგილს  
და მხოლოდ XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო დაბრუ-  
ნება. განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა ქუთაისის მოსახ-  
ლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებიდან, რასაც ხელი შეუწყო  
1864 წელს საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ. 1885  
წლის ქუთაისის ერთდღიანი აღწერის თანახმად, ქალაქში  
23644 მოსახლიდან 2488 ებრაელი იყო. 1897 წელს კი – 3464.  
XIX საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან დასახლდა ქუთაი-  
სის ის ნაწილი, რომელიც ებრაელთა უბნის სახელით არის  
ცნობილი... 1862-1864 წლებში ქუთაისში 1290 (სულ 4624) ებ-  
რაელი ცხოვრობდა... მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქუთა-  
ისში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი და, შესა-  
ბამისად, ებრაელების რიცხვის ზრდა ისეთი ტემპით მიმდინა-  
რეობდა, რომ აუცილებელი გახდა მესამე სალოცავის გახსნა  
(1887წ.). იგი „დიდი ლოცვის“ სახელითაა ცნობილი [27.27].

აქვე შევნიშნავ, რომ მოხსენების წინა ნაწილში დამოწმებუ-  
ლი სხვადასხვა ავტორის წყაროების უმეტესობა, დემოგრაფიუ-  
ლი აღწერის ციფრებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების  
დამოწმებისას (როგორიცაა: ქუთაისში ებრაელების დასახლება,  
ვაჭრობის თემა, ებრაელობა პოლიტიკაში, ქუთაისის სინაგოგე-  
ბი, რელიგია და სხვა მრავალი), პირველწყაროდ სწორედ დანი-  
ელ ხახანაშვილის ამ წიგნში მოცემულ ინფორმაციას იყენებს.

დანიელ ხახანაშვილის წიგნი რამდენიმე ნაწილისგან შედ-  
გება. ერთ-ერთში იგი ჩამოთვლის ჯამაათის (ანუ ხალხის, საკ-  
რებულოს) მსახურ თალმიდ-ხახმებს (ანუ რაბინებს), გვიამ-  
ბობს ქუთაისის სინაგოგებზე... უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაი-  
სელი ებრაელები ძირითადად გაუნათლებელ თემს წარმოად-  
გენდნენ, ბევრმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა, ამიტომ განათ-  
ლების საკითხზე პოლემიკა დროთა განმავლობაში სულ უფრო

აქტიურ ფაზაში შედიოდა და თემი ორ ბანაკად გაიყო. პირველნი, რომლებიც თვლიდნენ საერო განათლების აუცილებლობას რელიგიური სკოლის ფარგლებში და მეორენი, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ამ ინიციატივას. დაპირისპირება მეორეთა სასარგებლოდ დასრულდა, თუმცა თაობათა ბრძოლა ძველსა და ახალ რაბინებს შორის კარგა ხანს გრძელდებოდა.

ავტორი განიხილავს პოლიტიკურ თემებსაც, მსჯელობს სიონისტური მოძრაობის ქუთაისურ ფგუფზე, რომელსაც დაუპირისპირდა რელიგიურ-ორთოდოქსული მიმდინარეობა და შესაძლოა ასეთი დაპირისპირების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელი სიონისტები საკმაოდ აქტიურობდნენ, მათი გავლენა ქუთაისელ ებრაელებზე სუსტი იყო. სუსტი იყო ასევე ებრაელების მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინათ. დანიელ ხანანაშვილი თანმიმდევრულად მიჰყვება ისტორიულ მოვლენებში ქუთაისელი ებრაელობის ჩართულობას. ჯერ აღწერს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში მათ ყოფას, საუბრობს ებრაელ მხედართა კავშირის შექმნაზე (1917წ.), გაზეთ „ხმა ებრაელისას“ გამოცემაზე (1918წ.), შემდეგ კი მოგვითხრობს გასაბჭოების შედეგებზე, როცა თავდაპირველად ებრაელები იეშივისა და ებრაული სკოლების დახურვით და სხვა რეპრესიებით მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ, თუმცა დროთა განმავლობაში ვითარება დროებით გაუმჯობესდა და ებრაელთა ეკონომიკურმა და კულტურულმა დონემ იმატა, გამოიკვეთა მათი სწრაფვა განათლებისკენ. მე-19 საუკუნის 40-60-იან წლებში კი კვლავ აღინიშნება ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების ამალლების წინააღმდეგ გამოსვლები, რომელიც განსაკუთრებით რელიგიისა და კულტურის მსახურთა საზიანოდ იყო მიმართული. ავტორი განსაკუთრებულ სიამაყეს გამოხატავს 70-იანი წლების ებრაელთა ეროვნული გა-

მოღვიძების შესახებ თბრობისას, როცა 1871 წლის მარტში 18 ებრაულმა ოჯახმა, რომელთა შორის 13 ქუთაისელი ოჯახი იყო, ხელისუფლებას მოსთხოვა ნებართვა ისრაელში წასვლაზე და დიდი მონდომების შედეგად მიიღო კიდეც, რაც ოქროს ასოებით ჩაინერა ქართველ ებრაელთა ისტორიაში... [27. 55-70].

დანიელ ხანანაშვილთან ცალკე განხილვის თემაა ქართველებისა და ქუთაისელი ებრაელების ურთიერთობა. იგი აღნიშნავს, რომ ქუთაისის ებრაელობა, პრინციპში, კარგ ურთიერთობაში იყო ქართველებთან, თუმცა არა ყოველთვის და ეხება იმ ანტიებრაულ გამოვლინებებს, რასაც ქუთაისში ჰქონდა ადგილი. კერძოდ, სარა მოდებაძის საქმეს (1878წ.), რომელმაც, მართალია, ბრალდებული ებრაელების გამართლებით დაგვირგვინდა, მაგრამ დიდი განცდები გამოიწვია საქართველოს ყველა ებრაელში უსამართლო ცილისმწამებლური ბრალდებების გამო. ასევე, ავტორი იხსენებს ლუკა კოსტავას დაღუპვის ისტორიას, რომელიც მის ებრაელებთან კამათს მოჰყვა, რამაც ქართველების დიდი აღშფოთება და ებრაელების წინააღმდეგ გამოსვლები და მათი დევნა გამოიწვია (1895წ.). იმავე წელს გამოსვლებს ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სათათბიროს შავრაზმელი დეპუტატების ინიციატივით, რომლებიც ანტისემიტური სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ და სხვა [27. 50].

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქუთაისში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი და, შესაბამისად, ებრაელებიც მომრავლდნენ. თუ 1909 წელს 4364 კაცი (სულ 40271) ფიქსირდებოდა, 1912-ში მათი რიცხვი უკვე 9559-მდე გაიზარდა (სულ 56453) [27. 29]. 1972 წლიდან კი დაიწყო ქუთაისელი ებრაელების მასიური აღია (რეპატრიაცია) ისრაელისკენ. 1970 წელს ქუთაისში ცხოვრობდა 8941 ებრაელი, 1979 წელს – 4024. 9 წლის განმავლობაში ებრაული მოსახლეობა შემცირდა 55%-ით. 1989 წელს ქუთაისში ცხოვრობდა 2400 ებრაელი, ხოლო 2000 წლისათვის მხოლოდ 600 [27.69].

ნიგნში ასევე წარმოდგენილია ქუთაისელი ებრაელების ფოტოგალერეა მათი სახელების უკვდავსაყოფად.

მეორე ქუთაისელი ავტორი, რომლის შემოქმედებასაც სტატიაში შევეხებით, მწერალი ირაკლი კოკუაშვილია, რომელიც ისრაელში აქვეყნებს რამდენიმე ნიგნს: მისი პირველი ორი კრებული – „ებრაელი ვარ, ქართულ ძუძუთი გამოკვებილი“ და „ის, რაც გულს უნდა ეთქვა“ რჩეული ლექსებისგან შედგება, რომელიც რეალურ ცხოვრებისეულ მოვლენებსა და სიტუაციებზეა აგებული და გამოხატავს მის ფიქრებსა და შეხედულებებს. 2010 წელს გამოცემული ნიგნი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა [9], სადაც ავტორი იხსენებს ბავშვობას, ახალგაზრდობას, მშობლებს, ოჯახის წევრებს და მშობლიურ ქუთაისს. ნიგნში ჩართულია მიძღვნები პოეტური და პროზაული სახით ოჯახის წევრებისა და ნათესავების მიმართ. ლექსები ეძღვნება აგრეთვე ქუთაისს და გამოხატულია დიდი სიყვარული ამ ქალაქის მიმართ. პოეტი მსჯელობს რა ორი სამშობლოს შესახებ, წერს:

„ისრაელიც და საქართველოც ერთად დააბიჯებს ჩემს სულში. საქართველო გამზრდელია, რომლის წიაღშიც აღვიზარდე და დავფრთიანდი, შევიცან ეს ცხოვრება თავისი ბრწყინვალეობითა და არარაობითაც, აქ ვისწავლე სიყვარული და მეგობრის გატანა, აქ ვიგეგმე სათნოებაცა და სისასტიკეც, ჭირიცა და ლხინიც, მაგრამ მშობელი დედა მაინც დედაა, მას თავისი განუმეორებელი სიტბო და ღიმილი ახლავს თურმე და ეს კარგად შევიგრძნე აღთქმულ მიწაზე, მამა-პაპათა სამშობლო ისრაელში ამოსვლის შემდეგ“ [9.242].

მწერლის მომდევნო ნიგნები „მაღლი თქვენს გამჩენს“ და „ებრაელები ქუთაისში“ 2013 წელს გამოიცა. პირველი [10], როგორც ავტორი იტყვის, მისი „...სულის ღალადისია. იგი ეძღვნება თემის სულიერ მოძღვრებს, ისტორიულ და თანამედროვე გმირთა წარმომადგენლებს, ხელოვნებისა და კულტურის

მოღვაწეებს, მწერლებსა და პოეტებს, ახლო ნათესავ-მეგობრებს, საქართველოს ღირსეულ შვილებს“. აქაც ნაფიქრალს, ნახულსა და განცდილს ხშირად ლექსით გამოთქვამს.

ქუთაისის თემის ღირსეულ შვილებში, გამორჩეულ მოძღვართა შორის, რომლებიც მეოცე საუკუნეში საქართველოს ებრაელობას ნაუძღვნენ წინ, პირველ რიგში ასახელებს რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილს; ვრცლად წარმოადგენს მის ცხოვრებას და დეტალურად გვიამბობს მისი ოჯახის წევრების შესახებ. ავტორი თხრობისას ამონარიდებს ურთავს რაბის პირადი წერილებიდან, რათა უფრო თვალსაჩინო გახადოს მისი სულიერი სინმინდე და დამოკიდებულება ებრაელობის, ტრადიციებისა და ზოგადსაკაცობრიო საკითხების მიმართ. აი, რას ამბობს რაბი ისრაელი ებრაელ ერზე: „ებრაელი – ის ერთადერთი ერია, რომელიც იძულებულია საუკუნეების განმავლობაში უცხო ქვეყანაში იცხოვროს, მაგრამ ის ერია, რომელმაც შეძლო შეენარჩუნებინა თავი, როგორც ერს... ებრაელები მხოლოდ მტერზე გამარჯვებას არასოდეს ზეიმობენ, ისინი ზეიმობენ მხოლოდ თორისათვის ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებას“ [10.11]. იმავე რუბრიკაში „შეგვინარჩუნეს ადათ-წესები“ ავტორი საუბრობს სულით ძლიერ და რწმენით მსახურ ქუთაისელ თალმიდ ხანმებზე. მის მეხსიერებას ქუთაისში მოღვაწე რაბინებიდან ბევრი შემორჩა, ესენია: ხახამ ხაიმი, ხახამ იაკობი, მოშე აკატანი, ხახამ მორდეხი და სხვანი, რომელთა ხსოვნას ავტორმა მიუძღვნა მრავალი ლექსი.

რუბრიკაში „შარავანდედი მოსავს მათ სახელს“, თემის ღირსეულ შვილებს შორის, ირაკლი კოკუაშვილი ცალკე და დეტალურად წარმოადგენს დიდი საზოგადო მოღვაწე ისრაელ ბაბალიკაშვილის უმცროს ვაჟ ნისანს, რომელიც ცნობილი ებრაისტი იყო და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა თბილისის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიოლოგიის განყოფილებაში. წიგნის ამ ნაწილში საუ-

ბარია ნისან ბაბალიკაშვილის სამეცნიერო ინტერესებზე და მოხმობილია მასზე ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების მოსაზრებანი.

ამავე რუბრიკით გრძელდება გარდაცვლილი სახელოვანი ქართველი ებრაელების გახსენება. მათ ღვანლზე საზგასმით და ბიოგრაფიულ მონაცემებზე ხშირად ლექსების დართვით ავტორი ცდილობს ღირსეული ქართველი ებრაელების სახელების უკვდავყოფას. მათ შორის არიან: ბორის გაპონოვი, რომელმაც ივრითზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დიდი პოეტი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი; პოეტები: იაკობ ჩიკვაშვილი, აბული საპირი, ეფრემ ჩიკვაშვილი, დოდო ხუხაშვილი, მერი ელიშაკოვი და სხვანი... მომდევნო რუბრიკებში გრძელდება ინფორმაციის მოწოდება თემის იმ ღირსეული შვილების შესახებ, რომლებიც დღესაც აგრძელებენ სხვადასხვა სფეროში წარმატებულ საქმიანობას და დიდი როლს თამაშობენ ისრაელის განვითარების საქმეში.

2013 წელს გამოცემულ მეორე წიგნში „ებრაელები ქუთაისში“ [11] გადმოცემულია ქუთაისელი ებრაელების ქუთაისში დასახლების ისტორია და დემოგრაფიული ცნობები, მათი ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

დაბოლოს, ზემოთ განხილული ავტორები საინტერესონი არიან არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მათთან დღემდე შენარჩუნებულია ქართულის, როგორც მშობლიური ენის განცდა, არამედ იმითაც, რომ ზოგიერთი სამეცნიერო თუ მხატვრული ნაწარმოები შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ებრაელების ქუთაისში ცხოვრებისა და საქმიანობის სწორი გააზრების თვალსაზრისით და, ქუთაისელი ებრაელების შესახებ საისტორიო წყაროებში მწირი ინფორმაციის პირობებში, იძენს ქალაქის განვითარების პროცესში ებრაელების როლის დასადგენად მტკიცებულების სტატუსს.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ბოდენშტედტი ფრ., ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, შემოკლებული თარგმანი გერმანულიდან აკ. გელოვანისა, თბილისი, 1965.
2. დიბუა დე მონპერე. მოგზაურობა კავკასიაში, ტ.1, ფრანგულიდან თარგმნა ფ. გოკიელმა, პარიზი, 1839.
3. ერისთავი ზ., ქუთაისის გარემოების აღწერა, „ცისკარი“, N6, 1960.
4. ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში, მოამბე, ივლისი, N7, გან.2, გვ.14-16, 1894.
5. თაქთაქიშვილ-ურუშაძე ლ., „მარჯორი უორდროპი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1965.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, ტ.IV (ტექსტი გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბილისი, 1973.
7. კაშია რ., ქართველ ებრაელთა წვლილი XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, წელიწდეული, VI, ქუთაისი, 2014.
8. კეზევაძე მ., ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, წელიწდეული, VI, ქუთაისი, 2014.
9. კოკუაშვილი ირ., ჩემი ცხოვრების გზა, რაც გამახსენდა (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი), ისრაელი, თელ ავივი, 2010.
10. კოკუაშვილი ირ., მადლი თქვენს გამჩენს...(თალმიდხახმებს, საზოგადო მოღვაწეებსა და პიროვნებებს), ისრაელი, აშდოდი, 2013.
11. კოკუაშვილი ირ., ებრაელები ქუთაისში, ისრაელი, აშდოდი, 2013.

12. ლანჩავა ო., ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, „მეცნიერება“, თბილისი, 1975.
13. ნიკოლეიშვილი ა., ნიკოლეიშვილი ო., ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ, განთიადი, 1-2, 2022.
14. პაპისმედოვი ი., საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიიდან, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ.1, ტ.3, თბილისი, 1940, 1945.
15. ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, თბილისი, 1975.
16. როდოსელი ა., არგონავტიკა, აკ.ურუშაძის რედაქციით, თბილისი, 1948.
17. საქართველოს ძველი ქალაქები: ქუთაისი, თბილისი, 2006.
18. ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ.1, „განათლება“, თბილისი, 1987.
19. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, სახელგამი, თბილისი, 1955.
20. ჩაკვეტაძე ვლ., ქუთაისის ისტორიიდან, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960.
21. ჩხეტია შ., რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1801-1840 წწ.), ენიშკის „მოამბე“, XVIII, 1940.
22. ცხვედიანი ნ., შალომ, ჩემო ქუთაისო, კულტურა პლუს, 1(3), 2016.
23. ცინცაძე ვ., ბაგრატის ტაძარი, თბილისი, 1964.
24. ძველი და ახალი ქუთაისი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.
25. ნინუაშვილი შ., დანიელ-ხახანაშვილი – საქართველოს ებრაელთა მემკვიდრე, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, წელიწდეული, VI, ქუთაისი, 2014.



26. ქიჭინაძე ზ., ქართველი ებრაელები საქართველოში, თფილისი, 1904.
27. ხანანაშვილი დ., ლოცვის კარები, ქუთაისის ებრაელობა, კრებული, თელ-ავივი, 2009.
28. ჯავახაძე ზ., ქუთაისო, ჩემო დედავ, ქუთაისი, 2012.
29. ჯავახიშვილი ივ., ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს., ჟურნალი „პრომეთე“, №1, 1918.
30. Рассказы о Кутаиси, Календарь Кавказа, Типография Канцелярии Наместника Кавказа, Тифлис, 1853.

## LALI GULEDANI

### KUTAISI SEEN THROUGH THE EYES OF THE GEORGIAN JEWS<sup>1</sup>

#### Summary

Historical tradition speaks of the first Jews coming to Mtskheta, the ancient capital of Kartli, the East Georgian Kingdom, as early as the end of the 8<sup>th</sup> century BC. However, later, as a result of external and internal migration waves the Jewry spread all over Georgia. In Western Georgia, their spiritual and cultural center was Kutaisi, one of the most important cities in Georgia with its interesting history from the capital of Aia-Colchis Kingdom to the reign of Bagrat III and David IV Aghmashenebeli and thereafter ...

---

<sup>1</sup> This paper was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF). Grant number: FR-21 19474 “Georgia Seen Through the Eyes of the Jews: Archiving and Literary-Linguistic Analysis of Georgian Printed Products Issued in Israel”).

The purpose of the present paper is to clarify the role of Georgian Jewry in the development of Kutaisi and demonstrate the ways in which Kutaisi and the Jewish community of Kutaisi are described in historical sources and in the works of contemporary Georgian Jews.

Obviously, the strategic location of Kutaisi and the growth of trade accelerated the urbanization of Kutaisi and eventually contributed to the formation of Jewish community that was actively involved in the development of the city. However, up until the 17<sup>th</sup> century there are only the barest hints of information of Georgian Jews and, consequently, very little is known about the Kutaisi Jewry and their contribution to the economic life of the city throughout the period. From the 17<sup>th</sup> century the picture becomes clearer thanks to the information scattered in historical sources and official documents. In particular, Vakhushti Bagrationi is the first historian and geographer to have mentioned Kutaisi Jews. It was supplemented by numerous documents referring to them as serfs owned by their feudal lords. Based on the sources, it can be assumed that at that time the Jewish population of Kutaisi was quite small but it gradually increased due to the internal migration. Starting from the 18<sup>th</sup> century, many Jews of Akhaltsikhe, Oni, Lailashi, Kartli and other regions moved to Kutaisi.

Given the lack of historical information, the accounts/descriptions of Kutaisi Jews contained in travelogues could prove highly valuable but the analysis shows that they are less reliable sources because they provide inaccurate demographic data. Therefore, the significance of the study of Georgian printed sources (scholarly works, periodicals, fiction and non-fiction writings etc.) issued in Israel can hardly be overestimated.

The paper discusses the works of two Kutaisi writers, Daniel Khakhanashvili and Irakli Kokuashvili from this point of view. The contribution of Daniel Khakhanashvili, an outstanding scholar/historian, who worked fruitfully on the lifestyle, customs and traditions of the Jewish

community in Georgia as well as on the history of Kutaisi and Georgian Jewry over decades, is invaluable in this regard. His rich heritage includes unique material for the book „The Gates of Prayer: The Jewry of Kutaisi“ published in Tel Aviv in 2009. The book provides a coherent and in-depth account of the life of Kutaisi Jewry. This book can well serve as the primary and reliable source for the study of various aspects of social and cultural life of the Jewish community in Kutaisi including demographic data, the origins of Kutaisi Jewry, trade, involvement in politics, their religion, Kutaisi synagogues etc.

Irakli Kokuashvili is an author of many books. He has published several books in Israel. Some of them are anthologies of selected poems, while others are based on real events and situations and contain the author's memories of childhood and youth, his parents, family members and his hometown of Kutaisi. The book also includes dedications to family members and relatives in poetic as well as prosaic form. The poems devoted to Kutaisi show much affection for the city. His latest books are concerned with the spiritual leaders of the Jewish community, outstanding historical and contemporary figures, artists, writers, friends and acquaintances. The book „Jews in Kutaisi“ narrates the history of Kutaisi Jewry and provides demographic data as well as comprehensive information on their lifestyle and traditions.

Both authors have preserved a sense of Georgian as their native language and, most importantly, some of their writings contain significant accounts of the life and occupation of the Kutaisi Jewry. Given the insufficient information provided by historical sources and travelogues, these writings are particularly valuable for the study of the role of the Jewry in the urban development of Kutaisi.

## ქალენა გეგეშიძე

### განათლება საქართველოს ებრაულ დიასპორაში

საქართველოში ებრაელები უძველესი დროიდან ცხოვრობენ. საისტორიო ტრადიციის მიხედვით, საქართველოს ძველ დედაქალაქში, მცხეთაში, ებრაელები პირველად ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრულს მოვიდნენ. ებრაელთა მეორე ნაკადი მოვიდა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იუდეას განადგურების შემდეგ. მნიშვნელოვანი ნაკადი უნდა მოსულიყო იუდეური ომის (66-73) შემდეგ. ებრაელები საქართველოში მოდიოდნენ მეზობელ ქვეყნებში (ბიზანტია, სომხეთი, ხაზარეთი, თურქეთი, რუსეთი) ანტისემიტიზმის გაძლიერების პერიოდში [11]. ამგვარად, ებრაელები უხსოვარი დროიდან მოვიდნენ საქართველოში და გაიზიარეს ქართველი ხალხის ისტორიული ბედი. ისინი მცხეთიდან თანდათანობით გადასახლდნენ ჯერ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ხოლო შემდეგ გავრცელდნენ დანარჩენ კავკასიაში. მოხდა მათი ასიმილაცია კავკასიის აბორიგენებთან. ცხადია, რომ დიასპორის ებრაელებმა თითქმის ყველგან შეინარჩუნეს თავიანთი რასობრივ-ანთროპოლოგიური მარკენებლები, მაშინ, როცა კავკასიაში საერთო ებრაული მარკენებლებიდან გადახრას ვხედავთ. ამიტომ აქვთ ფიზიკური ნიშნების ერთობა კავკასიის ებრაელებს. საინტერესოა საზიარო გვარები, რომლებიც ქართველებსაც აქვთ და ებრაელებსაც, რაც მრავალი საუკუნის მანძილზე თანაცხოვრებით უნდა იყოს განპირობებული. ათასწლეულების მანძილზე ერთაშორის ურთიერთობებში ეთნიკური ერთობები, ცხადია, ახდენდნენ თავიანთი ინტერესების რეალიზებას. ნაციონალურ ინტერესებს კი ორგვარი ბუნება აქვთ: ერთი მხრივ, არსებობს, აუცილებ-

ლობა თვითმყოფადობის, უნიკალური კულტურის შენარჩუნებისა, რაც შეძლეს ქართველმა ებრაელებმა, ხოლო, მეორე მხრივ – საკუთარი კულტურის განვითარება კულტურათაშორის პროცესებში, სხვა კულტურათა მიღწევებით ურთიერთგამდიდრება და ერთიანი საკაცობრიო ფასეულობებით ცხოვრება, რაც ასევე მანიფესტირდება ქართველ ებრაელთა და ქართველთა კულტურული მემკვიდრეების კვლევისას, რაც ხდება განათლების მიღების ხარჯზე.

საქართველოს სამეცნიერო სკოლები მრავალ დარგში მსოფლიოში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ. უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საქართველო 2005 წელს შეუერთდა ბოლონიის პროცესს – ევროპის ქვეყნების განათლების სისტემის ჰარმონიზაციის ფაქტორს, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას უმაღლესი განათლებისათვის.

ებრაელი ერი ცნობილია, როგორც წიგნიერი ხალხი. მათი მშობლიური ენა, ბიბლიის ენა – ივრითია. ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ თავდაპირველად ამ ენაზე დაიწერა კაცობრიობის უპირველესი წიგნი „ბიბლია“. ქართველი ებრაელობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან ერთად ქმნიდა ქართულ კულტურას. ქართველმა ებრაელებმა ბევრი უნიკალური ძეგლი შემოინახეს. უპირველესად უნდა დავასახელოთ ლაილაშური ბიბლია. პერგამენტზე დაწერილი ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამოირჩევა ლამაზი ორნამენტით, მაღალმხატვრულად შესრულებული თავასობით.

მე-19 საუკუნემდე მეცნიერება აღწერით ხასიათს ატარებდა და, მით უმეტეს, ებრაელი თემის ისტორია ყამირს წარმოადგენდა. 1933 წელს თბილისში დაარსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (რომელსაც რაბინ დავით ბააზოვის სახელი მიანიჭეს) და შესაძლებელი გახ-

და წარსულის შესწავლის სფეროში არსებულ ხარვეზთა გამოსწორება. საქართველოს ებრაელთა თემში მრავალი მეცნიერი აღიზარდა სათანადო პირობებში.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ებრაელმა და ქართველმა ინტელიგენციამ, ესმოდათ რა ბავშვებისათვის განათლების მიღების მნიშვნელობა, თხოვნები გაგზავნეს გუბერნიის ხელმძღვანელობასთან ებრაული სკოლების გახსნაზე, სადაც ძირითად საგნებთან ერთად სურდათ ესწავლებინათ თალმუდ თორაჯ. მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპისა და, თუნდაც, რუსეთის ებრაელი მოსახლეობისაგან განსხვავებით, საქართველოს ებრაელი მოსახლეობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების რუტინისა და საშინელი ჩამორჩენილობის ტყვეობაში იმყოფებოდა და სწორედ ამ დროს საქართველოში გამომავალი გაზეთი „დროება“ გამოდიოდა ებრაელთა ქომაგისა და დამცველის როლში. „დროება“ თავის ფურცლებზე მიმართავდა რა საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს, რომ მათ ალლო აელოთ მომავლისათვის, შეეგნოთ, რომ მხოლოდ „ჩითით და ნემსით ვაჭრობით“ ისინი შორს ვერ წავიდოდნენ, მოუწოდებდა, რომ მომავალი თაობისათვის შესაფერისი სწავლა-განათლება მიეცათ. 1883 წლის 21 სექტემბრის ნომერში გრ. უმწიფარიძე წერდა: „ჩვენებური ებრაელები კი გაქვავებულან მამა-პაპურ ყოფა-ცხოვრების კალაპოტში და აქამდის ვერ შეუგნიათ ახალი მეცნიერებისა და სწავლა-განათლების საჭიროება. მათ ეშინიათ განათლებისა და არ აძლევენ თავიანთ შვილებს სკოლაში, თუნდ შეძლებაც აძლევდეს ამის ნებას. ასე რომ განათლება, – მეტადრე გიმნაზია და უნივერსიტეტი, – გარყვნის მათ შვილებს, წაართმევს სარწმუნოებას და შეაძულებს ებრაელისსა. ის როდი იციან რომ პირიქით, რაც მეტი განათლებული ებრაელი იქნება, მით უფრო მალე შეიცვლება მათი დაჩაგრული ბედი და უფრო მეტი გონების ძალით შეიარაღებული მოსარჩელე ეყოლებათ... დროა, დიდი ხანია. დროა,

რომ ჩვენებური ქართველი ებრაელებიც დაუკვირდნენ თავიანთ მდგომარეობას, შეიგნონ სწავლა-განათლების საჭიროება, იცოდნენ ახალი დრო და მიანებონ თავი თავის კარ-ჩაკეტილობას“ [1].

ნიგნში „ქართველთა ებრაელები“, ზ. ჭიჭინაძე 1904 წელს წერდა: „საზოგადოთ ქართველი მწერლობა ყოველთვის ფარად და ხმლათა მდგომელთა შესახებ... ამის მხრით ქართული მწერლობა ებრაელთა მიმართ ვალმობილია და ამგვარი“. „დროების“ დემოკრატიული იდეები, მისი თავგანწირული ბრძოლა ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის, მისი გაბედული გამოსვლები ხალხთა შორის ძმობისა და ერთობისათვის, მეფის მთავრობისა და მისი ბიუროკრატიული აპარატის აღშფოთებას იწვევდა. ცენზურის განუწყვეტელი დევნისა და კონტროლის პირობებში მოქცეული გაზეთი, ბოლოს, 1885 წ. დახურეს კიდეც. გაზეთის დახურვა ქართველი ხალხის საერთო-სახალხო გლოვის დღედ გამოცხადდა. ამ გლოვას ქართველ ხალხთან ერთად გულწრფელად იზიარებდა საქართველოს ებრაელი მოსახლეობაც. მათ დროების სახით დაკარგეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მეგობარი, მათი ჭირისა და ღონის ერთგული გუშაგი [12].

როგორც წერილობითი წყაროებით დასტურდება, XIX საუკუნის (და მანამდელი ხანისაც) საქართველოში ებრაელობა სოციალურად და ინტელექტუალურადაც მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებდა. გარე სამყაროსგან ფაქტობრივად თვითიზოლაციაში მყოფი და განკერძოებულ თემებად მცხოვრები ებრაელების უმთავრესი მიზანი საარსებო სახსრის მოპოვება იყო. ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქართველ ებრაელებს მათი რეალური პოტენციური ინტელექტუალური შესაძლებლობები თითქმის საერთოდ არ გამოუვლენიათ. XX საუკუნე კი ახალი ძვრებით შემოვიდა და მრავალი სიახლე შემოიტანა. ქართვე-

ლი ებრაელობა საქართველოს ცხოვრებით ცხოვრობდა და მონაწილეობდა ქვეყნის მიმდინარე გარდაქმნებში.

1902 წელს თბილისში ქართველ ებრაელთა შვილებისთვის დაარსდა რელიგიური სკოლა. 1912 წლისთვის ამ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი 390-ს აღწევდა.

1916 წელს ივანე გომართელმა გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“ გამოაქვეყნა სტატია „ქართველი ისრაელები“, სადაც იგი იზიარებდა იოსებ და მიხაკო ხახანაშვილების კონცეფციას ქართველ ებრაელთა იდენტობის შესახებ. ავტორის აზრით, ქართველი ებრაელი შერეული წარმოშობისაა: „ერის წარმოშობაში ჩამომავლობას არა აქვს იმდენი ძალა და მნიშვნელობა, რამდენიც ისტორიას. ...ქართველებთან საერთო ისტორიულმა ცხოვრებამ ქართველი ისრაელები ნელ-ნელა გაქართველა და დღეს ისინი ქართველები არიან. მართლაც, ქართველი ერის ისტორია ამავე დროს არის ისტორია ქართველი ებრაელისა“ [2.4,5].

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ქართველ ებრაელობას. 1912 წელს აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. მან მგზნებარედ მიმართა ონელ ებრაელებს: „დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქავთ“. ქართველი ებრაელებიც უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ დიდ პოეტს. ეს ნათლად გამოსჭვივის ონელი ებრაელების მიმართვიდან აკაკი წერეთლისადმი: „დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის ნაწარმოებებით გაზრდილი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი; ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ დღეს ჩვენ ქართველი ებრაელები დიდის ალტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით მივეგებებით ერთად ჩვენ ქართველ ძმებთან და მეზობლებთან თქვენს ჩვენში მოზრდნებას და ბედნიერ დღეობას. დიდებუ-




ლო მგოსანო, ჩვენ ებრაელების და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთს შორის, რომ არ განვიყოფებით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენს თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან, მონანილეობა მიგველო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში და ზეიმში...მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არც იქნება გარდა საწინააღმდეგობისა“ [10].

1918 წელს ებრაული თემის ლიდერის, დავით ბააზოვის ინიციატივით ქუთაისში გამოსვლა დაიწყო ქართულენოვანმა გაზეთმა „ხმა ებრაელისა“, რომელიც ხელს უწყობდა ებრაელთა იდენტობის განვითარებას. 1924 წ. თბილისში გამოდიოდა ასევე ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „მაკაველი“, რომელთა მიზანიც იყო გამოეფხიზლებინათ ქართველ ებრაელთა მასები, შეეტანათ მათში განათლების მიღების აუცილებლობის შეგნება და ხელი შეეწყობათ მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. სამწუხაროდ, აღნიშნულ გაზეთებს დიდი დღე არ ეწერათ. „ხმა ებრაელისა“ გამოვიდა 15 ნომერი, ხოლო „მაკაველი“ – 3 ნომერი.

მეცნიერ-მკვლევართა დღემდე ჩატარებული კვლევების ფონზე დადგინდა, რომ ქართველ ებრაელთა კულტურული წინსვლა სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო: შეიქმნა ბიბლიოთეკები, სკოლები ქართველ ებრაელთა ბავშვებისათვის. თბილისის 102-ე შრომითი სკოლის მოსწავლეთა ბაზაზე ჩამოყალიბდა დრამატული დასი „კადიმა“. ამ კულტურული პროგრესის ხელმძღვანელები იყვნენ: ნათან ელიაშვილი, გერცელ ბააზოვი და სხვ. ყინული დაიძრა და ამ მოზღვავებას ვერცერთი ძალა ვერ შეაჩერებდა. ქართველი ებრაელობა განათლების მიღების ფონზე უდავოდ პროგრესის გზას დაადგა.

ქართველი ებრაელების ისტორიით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა და გარკვეული მოვლენები საინტერესოდ გაუშუქებია. განათლების საკითხთა კვლევაში საინტერესია ჩვენ მიერ მოპოვებული 1917 წლის 17 თებერვალს შედგენილი სარქივო დოკუმენტი, რომლის მიხედვით, თბილისის ებრაული საზოგადოება სთხოვს მეფისნაცვალს, რომ ორ ღარიბ ებრაელს მიეცეს თბილისში ცხოვრებისა და ებრაულ სკოლა ხედერში მუშაობის დაწყების უფლება. აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ეს სასწავლებელი ოფიციალურად გახსნილა 1914 წლის პირველი ივლისის დადგენილებების საფუძველზე და, სხვა სპეციალური სკოლების მსგავსად, მიზნად ისახავდა რელიგიური განათლების მიცემას [5]. შემდეგი, 1917 წლის 18 ივლისის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქალბატონ შუსტერის თხოვნა, ქალაქ თბილისში ებრაული გიმნაზიის გახსნის შესახებ, დაკმაყოფილდა. ამას ადასტურებს 1917 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული მოსანვევი ბარათი, რომელიც ამ მოვლენას ეხება. ღონისძიება ჩატარდება 1917 წლის 29 ოქტომბერს გიმნაზიის შენობაში, მცირე ვანქის ქუჩაზე №12-ში [6]. თანდართული დოკუმენტი: მომდევნო წელს, 1918 წლის 1 აგვისტოს, შუსტერმა კვლავ მიმართა კავკასიის სასწავლო სამმართველოს თხოვნით, რათა მის მიერ დაფუძნებული გიმნაზია გადაკეთებულიყო შერეული სახის გიმნაზიად, სადაც გოგონები და ვაჟები ერთად ისწავლიდნენ. მას მიეცა სკოლის გადაკეთებისა და ასევე, სამთავრობო სკოლებისათვის არსებული უფლებებით სარგებლობის ნებართვა, მხოლოდ ერთი პირობით: ყველა ხარჯი განეული იქნებოდა თავად ქალბატონ შუსტერის მიერ. ასე დაიწყო ფუნქციონირება რვაკლასიანმა გიმნაზიამ სახელწოდებით: ტბილისის პირველი შერეული სახის ებრაული გიმნაზია [7].



1920 წლის 20 მარტის დოკუმენტის მიხედვით, რაჭის მაზრაში ეროვნული უმცირესობებისათვის არსებობს რაჭაში ონის ებრაელთა ეროვნული სკოლა. საბუთს თან ერთვის მასწავლებლების სია ცენზის აღნიშვნით, სადაც შედგაგოგებს უწერიათ: „შინაური რელიგიოზური განათლება“ [8].

33

ԵՍՏՆԵԼԱ ՏՐԱՆՍՊՈՐՏԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵ

Կապիտալի օգտագործումը

20 25 1925

88

Մեծագույն արժեքի մասնակցություն 2/3. 11 29-  
 րդ հոկտեմբերի թվականի № 1887, քրեական գործընթացի  
 համաձայն, որով որոշվում է Երևանի քաղաքի քաղաքացի  
 ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ, անհրաժեշտ է կատարել ընտանեկանի ցուցա-  
 նյուն ելքը, որովհետև ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵ-  
 ՆԻՆ ՆԱԾԻՄՅԱՆԻ ԿԱՆՈՒՄԱՆ ԳՐԱՆՈՒՄԸ:

Գանձարկույան Գրքերի

Մեծագույն արժեքի

Մեծագույն արժեքի

Մեծագույն արժեքի

34

Գ Ն Ա Տ Ի Ո

ԿՈՄԻՏԵ

ԿՈՄԻՏԵ

ԿՈՄԻՏԵ

Գործարար	Մասնակցության մասնակցի անունը և նախնիների անունը	Մասնակցության մասնակցի անունը և նախնիների անունը	Մասնակցության մասնակցի անունը և նախնիների անունը
1	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ
2	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ
3	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ
11	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ
5	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ	ԿՆՆՅԱՆՍԻ ԵՄ ԿՆՆՅԱՆՍԻ ՆՈՒՆ ԳՐԵՆԻՆ

Գանձարկույան Գրքերի

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა ებრაელთა თხოვნები და მოამზადა კანონპროექტი, სადაც წერია: „1. ქართველ ებრაელთა (სეფერადიმი) უფლება ეძლევათ თავისუფალ დამოუკიდებელ თვითმართველობისა სარწმუნოების სფეროში და სრული თავისუფლება კულტურულ-განმანათლებელ მოქმედებაში, თორასა (სინაგოგა), სამლოცველო სახლებისა, სამეცნიერო, სამოსწავლო და საქველმოქმედო დაწესებულებათა დაარსების უფლებით. 2. ყოველ ქალაქში ან სოფელში, სადაც ცხოვრობს ებრაელთა არა ნაკლებ ოცდაათი კომლისა, უფლება აქვთ დააარსონ თემები, რომლის მიზანია თავის წევრთა სარწმუნოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“ [9]. აღნიშნული საარქივო დოკუმენტაცია მოწმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება, რუსეთის იმპერიისა და დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ცდილობდა ეთნიკურ უმცირესობებს შეენარჩუნებინათ თავიანთი ენობრივი, რელიგიური და კულტურული იდენტობა. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დამუშავებაში, სხვა უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ებრაელებიც.

ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების, მათი ისტორიისა და განათლების საკითხების შესწავლას ამაგი დასდეს ნისან ბაბალიკაშვილმა, კონსტანტინე ლერნერმა, ელდარ მამისთვალაშვილმა, გურამ ბათიაშვილმა, ნათან ბააზოვმა, იცხაკ დავიძმა და სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1940 წელს გამოცემული ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი „ქართველი ებრაელები საქართველოში“; 1940-45 წწ. „საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების“ რამდენიმე ტომი; 1940 წელს აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა „ენიმკის მოამბეში“ გამოაქვეყნა სტატია „მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწე-

რა“; 2002 წ. გამოიცა როინ მეტრეველის „ებრაელები საქართველოში“; 1995 წ. – ელდარ მამისთვალაშვილის „ქართველ ებრაელთა ისტორია“, 1998 წ. გამოიცა „საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნე“, 2009 წ. – დავით გოლანის „ლოცვის კარები“; 2011 წელს – დანიელ ხანანაშვილის „ქუთაისის ებრაელობა“; ასევე დაიბჭადა არაერთი ავტორის სტატია და ნარკვევი.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქმნიან ეპოქას, სწორედ ასეთი იყო ჯემალ აჯიაშვილი. მისი ცხოვრება და შემოქმედება სამაგალითოა. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებისა და ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. განუზომელია მისი დამსახურება XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში. მისი მთარგმნელობითი და პოეტური მოღვაწეობა ქართული კულტურის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1975 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ისრაელის საგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი, სადაც მეცნიერ-მკვლევრები დღემდე აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის საკითხებზე და ყოველწლიურად გამოიცემა სამეცნიერო კრებული „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ (დღემდე გამოცემულია XXXVI ტომი). ამასთანავე, უნივერსიტეტში 1944 წლიდან ისწავლება ივრითული ენა. ივრითი ასევე ისწავლება ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ღია ებრაულ უნივერსიტეტში, ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდში, საშუალო და საკვირაო სკოლებში.

1987 წლის 27 დეკემბერს დაფუძნდა საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი, რომელმაც, დღიდან დაარსებისა, დიდი წვლილი შეიტანა ებრაული კულტურული გარემოს შექმნის, განვითარებისა და აღორძინების საქმეში. საგანმანათლებლო ცენტრში („თიფერეთ ცვი“) კარგა ხანია მოქმედებს: ებრაული სკოლა, საბავშვო ბაღი, რელიგიური აკადემია „იეშივა“, კლუბი „მიშფახა“, პროგრამები „მეხინა“, „STARS“ (ახალგაზრდებისათვის) და სხვ., რომელთაგანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საქართველოს თანამედროვე ებრაული თემის არსებობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ებრაული სააგენტო ისრაელისათვის „სოხნუთი“, რომელიც გაიხსნა 1989 წ. ბოლო დროს „სოხნუთის“ მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაიზარდა ისრაელის უნივერსიტეტებსა და სკოლებში სასწავლებლად წარგზავნილი ახალგაზრდების რაოდენობა. სააგენტოს ეგიდით მუშაობს „ულფანები“ (ებრაული ენის შემსწავლელი კურსები). 1993 წლიდან ფუნქციონირებს ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი, რომლის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი „ნაბიჯი თორისაკენ“; მოქმედებს საბავშვო ჯგუფი „შალომ სეზამი“, ებრაული კულტურის სახალხო უნივერსიტეტი; ხორციელდება პროგრამა „ჰაითიკვა“, მიმდინარეობს ებრაული და ინგლისური ენების შესწავლა, მუშაობს პოეზიის მოყვარულთა წრე და სხვ. ფონდთან ფუნქციონირებს პროგრამა აფხაზეთიდან დევნილთათვის. 1997 წლიდან ყოველწლიურად ფონდი ატარებს ებრაული წიგნის ფესტივალს საქართველოში.

1990 წელს საქართველოში გაიხსნა „ებრაული სააგენტო ისრაელისათვის“, რომელიც დღემდე წარმატებულად აგრძელებს მონაწილეობას ებრაული სახელმწიფოს მშენებლობაში და ასევე ეწევა უნიკალური ფენომენის – ქართველი და ებრაე-

ლი ხალხის 26-საუკუნოვანი ძმური თანაცხოვრების პროპაგანდას. 1998 წლის სექტემბერში საქართველოში უპრეცედენტო იუბილე გაიმართა, უნიკალური თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით – თანაცხოვრებას ზეიმობდა ორი სხვადასხვა აღმსარებლობის ერი. მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა, რომელშიც ებრაული დიასპორაა, ვერ მოიწონებს თავს იმით, რომ საზეიმოდ აღენიშნოს ამ ქვეყანაში ებრაელთა შემოსვლისა და დასახლების თარიღი [3.77,89].

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით, ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26-საუკუნოვან ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეს არის ჩვენი საერთო ზეიმი. ეს სიყვარული ყოველთვის იყო ორმხრივი და ამის თვალსაჩინო დასტურია კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიური კერების არსებობა წმინდა მიწაზე. თუნდაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაგალითი რად ღირს, ან ის, რომ ალიის ორგანიზატორის ნიჭიერი ფინანსისტის და კარგი ადამიანის, ქუთაისელი ებრაელის, შაბთაი ელიაშვილის სახელს ატარებს იერუსალიმის ერთ-ერთი მოედანი. ქუთათურმა ინტელიგენციამ კი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ძეგლი დაუდგა მის უსაყვარლეს ფოტოგრაფს ილო ხახიაშვილს.

XX საუკუნის ბოლოდან დღემდე საქართველოში არსებობს ებრაელ ქალთა რამდენიმე აქტიურად მოქმედი ორგანიზაცია: საქართველოს ებრაელ ქალთა ასოციაცია „მირიამი“; ებრაელ ქალთა ფონდი; საერთაშორისო ფონდი „ლეა“. 1999 წელს დაარსდა მორწმუნე ქალების მსოფლიო ქალთა ორგანიზაცია „ემუნა“ (რწმენა). 1993 წლიდან დღემდე გამოიცემა ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „მენორა“.

XX საუკუნის საქართველოში მცხოვრებ ებრაულ თემს დიდ თანადგომას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები.



განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტი „ჯონთი“ (დაარსდა 1914 წ.), რომელიც 1992 წლიდან თბილისში საქველმოქმედო, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და თემის აღმშენებლობის პროგრამებს ახორციელებს. „ჯონთის“ საქველმოქმედო ცენტრები („ხესედეები“) მოქმედებს: თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და ონში. კომიტეტის ეგიდით ფუნქციონირებს: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბავშვო ბაღი, ქართულ-ებრაული ცეკვის თეატრი „იონათ ჰაშალომი“, ახალგაზრდული ორგანიზაცია „ჰილელი-თბილისი“, ვოკალურ-მუსიკალური ჯგუფები, სხვადასხვა კლუბი; ენცობა საზაფხული ბანაკები. „ჯონთი“ აქტიურადაა ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში – გამოდის ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო ნაშრომები.

საქართველოს არაერთ კუთხეში შეიძლება ებრაული კულტურის ინდივიდუალური მახასიათებლების გამოკვლევა, თუმცა, ებრაელების გამორჩეულად დიდი კონცენტრაციის გამო, დასავლეთ საქართველოს ერთი პატარა ადგილი, სოფელი კულაში მაინც განსაკუთრებულ სამეცნიერო ყურადღებას იმსახურებს. ისტორიულ წყაროებში კულაში პირველად XVI საუკუნეში ფიქსირდება. დაბა კულაში იმითაც არის გამორჩეული, რომ საქართველოში არსებულ ებრაულ დასახლებათა შორის ერთადერთია, სადაც XX საუკუნის 90-იან წლებამდე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი ებრაელი იყო.

კულაშელი ექიმი ძმების, მიხელაშვილების სახლში 2005 წლიდან მოქმედებს „კულაშის ქართველთა და ქართველ ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი“. უფროს ძმას, ამირან მიხელაშვილს, საკუთარი სახლი მუზეუმად უქცევია, რომელიც კულაშის ახლანდელ ცენტრში მდებარეობს. მუზეუმის კოლექცია საკმაოდ მწირია და უმეტესად ფოტომასალისგან შედგება. აქვე რამდენიმე საინტერესო ნივთსაც შეხვდები – შვიდტო-

ტა მენორა, თორას ძველი გამოცემები (მათ შორის, ვენაში 1871 წელს გამოცემული თორას ეგზემპლარი). მუზეუმის ყოველი ნივთი სწორედ ასე, ნაწილ-ნაწილ შეუგროვებიათ ახლა უკვე ისრაელში მცხოვრები კულაშელი ებრაელების ინიციატივით. აქვე ინახება ინფორმაცია კულაშის რაბინებსა და ექიმებზე, რომლებიც ძალიან დიდ როლს ასრულებდნენ კულაშის ებრაული თემის ცხოვრებაში. თანამედროვე მეცნიერ-მკვლევართა დიდი ყურადღება მიმართულია ქართველ ებრაელთა განათლების საკითხისადმი. მუზეუმში შენახულ თორას ერთ-ერთ ეგზემპლარზე ქართული მინაწერიც არის:

**„ეს თორა ღირს აბაზი,  
პატრონი ყამს ლამაზი,  
დამწერელი ბედნიერი,  
ნამკითხველი მეცნიერი.“**

ზოგიერთს, სავარაუდოდ, ებრაული დამწერლობის არცოდნის გამო, ქართული ანბანით მიუწერია წიგნებზე ებრაული რელიგიური ტექსტებიდან ამონარიდი, ზოგსაც, თავისუფალ ფურცელზე, იმ დღეს შესასრულებელი საქმეები აქვს ჩამონერილი, რაც ნათლად ადასტურებს, რომ თორა კულაშელი ებრაელების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი ყოფილა. თორას ზომები და ინდივიდუალურად გაფორმებული გარეკანი კი იმას მოწმობს, რომ ოჯახის ყველა წევრს საკუთარი თორა ჰქონია, რომელსაც დღის განმავლობაში ხშირად ფურცლავდნენ. განათლების კერას წარმოადგენდა კულაშის უძველესი ხის სინაგოგა (XVIII ს.). რამდენიმე წლის წინ მისი რესტავრაციაც მოხერხდა. დღეს მისი მომაჯადოებელი ორნამენტებისა და მოხატულობის ნახვა ნებისმიერ დამთვალიერებელს შეუძლია. მის გვერდით შენარჩუნებულია ხის დიდი სინაგოგაც, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში აუშენებიათ – პატარა სინაგოგა ებრაელ მორწმუნეებს ველარ იტევდა და

იმიტომ. ახალი სინაგოგას გვერდით დგას 1911 წელს აშენებული შენობა, რომლის დღეს უკვე არარსებულ მეორე სართულზე იეშივა (ებრაელთა რელიგიური სკოლა) ყოფილა განთავსებული. აქ ახალგაზრდა კაცები გამოცდილი რაბინების დახმარებით თორას, თალმუდს და სხვა ებრაულ რელიგიურ ტექსტებს უღრმავდებოდნენ – თორას კანონებს ეუფლებოდნენ და სეფერ-თორის კითხვაში ოსტატდებოდნენ. იეშივაში ასევე ებრაულ ენასაც სწავლობდნენ. განათლების კერას წარმოადგენდნენ ასევე თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში და ონში მოქმედი სინაგოგები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში, ქართველმა ებრაელებმა კულაში ერთდროულად დატოვეს. არსებობს ინფორმაცია, რომ სწორედ კულაშელი ებრაელები იყვნენ პიონერები იმ დიდი მიგრაციის ტალღის, რამაც 90-იან წლებში მთელი საქართველოს ებრაელთა თემი მოიცვა. ამჟამად კულაში არცერთი ებრაული ოჯახი არ ცხოვრობს. მათი ძველი საცხოვრებლები ან მიტოვებულია, ან სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსახლებულ ქართველებს აქვთ დაკავებული და ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია სოფელ კულაშის „ქართველთა და ქართველ ებრაელთა მუზეუმის“ არსებობა, რაც ხელს უწყობს მეცნიერებს კულტურათა შორის პროცესების, განათლების, რელიგიის და კულტურული მემსიერების კვლევისას.

როგორც ცნობილია, ებრაელთა დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა. დღეს ქართველი ებრაელების უმრავლესობა ისრაელშია და მათი ისრაელის სხვა ებრაელ მოსახლეობასთან ინტეგრაციის და ასიმილაციის პროცესი თანდათან ჩქარდება. მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველი ებრაელები პერიოდულად სტუმრობენ საქართველოს და თაობიდან თაობას გადასცემენ საქართველოს სიყვარულს. მათი ძალისხმევით გრძელდება ქართული ენისა და ქართული ტრადიციების მომავალი თაობისათვის გადაცემა.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. გაზეთი „დროება“, 1883, № 181.
2. გომართელი ი., ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, ქართველი ისრაელები, №39, 1916.
3. დავარაშვილი ზ., ცაგარეიშვილი თ., „ეთნოსები საქართველოში“, 2009.
4. ჟურნალი „ივერია“, ჭავჭავაძე ი., 1881 წ.
5. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ., 422, საბ., 5496, ფურც. 16.
6. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ., 2080, საბ., 220, ფურც. 15.
7. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ., 1935, საბ., 241, ფურც. 1-2.
8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ., 1935, საქმე 934, ფურ. 34, 35, 36.
9. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონ., 1935, საქმე 508, ფურც. 1-4.
10. „სახალხო გაზეთი“, 1912, 8 სექტემბერი.
11. ჭავჭავაძე ი., „ებრაელთა საკითხზე“, თბილისი, 1886.
12. ჭიჭინაძე ზ., „ქართველი ებრაელები“, თბილისი, 1904.

**ELENE GEGESHIDZE**

## **EDUCATION IN THE JEWISH DIASPORA OF GEORGIA**

### **Summary**

In 19th century (and earlier) Georgia, Jewishness played a very insignificant role socially and intellectually. The main goal of the Jews, who were virtually self-isolated from the outside world and lived as isolated communities, was to earn a living. This circumstance essentially determined the fact that until the beginning of the 20th century, Georgian Jews did not show their real potential intellectual abilities almost at all. The 20th century came with new changes and brought many innovations. In 1933, the Historical-Ethnographic Museum of the Jews of Georgia was founded in Tbilisi, and it became possible to correct the shortcomings in the field of studying the past (because until then the science was descriptive in nature).

Nissan Babalikhshvili, Konstantine Lerner, Eldar Mamistvalashvili, Guram Batiashvili, Nathan Baazov, Itzhak David and others started to study the existence of Georgian Jews - life, their history and educational issues. It is worth noting: the book „Georgian Jews in Georgia“ by the famous historian and public figure - Zakaria Chichinadze, published in 1940; 1940-45 „Several volumes of the works of the Historical-Ethnographic Museum of the Jews of Georgia“; In 1940, academician Giorgi Tsereteli published the article "Newly discovered Hebrew inscription of Mtskheta" in „Enimki Moambe“; 2002 Roin Metreveli's "Jews in Georgia" was published; 1995 „History of Georgian Jews" by Eldar Mamistvalashvili, 1998. "The 26th Century of Jewish Settlement in Georgia" was published in 2009. „Doors of Prayer“ by Davit Golan; „Jewishness of Kutaisi“ by Daniel Khanashvili in 2011; Articles and essays of many authors were also collected.

In 1990, the "Jewish Agency for Israel" was opened in Georgia, which continues to successfully participate in the construction of the Jewish state, and also promotes the unique phenomenon - the 26-century brotherly coexistence of the Georgian and Jewish people.

It should be especially noted that since 1975, the Israeli educational scientific center has been operating at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, where scientists and researchers are still conducting scientific research on the issues of Georgian-Jewish cultural relations, and the scientific collection „Issues of the History and Theory of Culture“ is published every year. Volume XXXVI). In addition, the Hebrew language has been taught at the university since 1944. Hebrew is also taught at Ilia Chavchavadze State University, Open Hebrew University, Jewish Cultural Educational Foundation, secondary and Sunday schools.

As is known, a large number of Jews left Georgia in the 70s of the last century and returned to their historical homeland. Today, the majority of Georgian Jews are in Israel, and the process of their integration and assimilation with the other Jewish population of Israel is gradually accelerating. But, fortunately, Georgian Jews do not forget their second homeland, periodically visit Georgia and pass on their love for Georgia from generation to generation. Many scientists were brought up in proper conditions in the Jewish community of Georgia. Through their efforts, the transmission of Georgian language and Georgian traditions to the next generation continues.

## მერაბ კალანდიაძე

### დიმიტრი უზნაძე „ხუთ კარბ იმპერატორზე“

დიმიტრი უზნაძის ნვლილი ისტორიულ მეცნიერებაში, დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ჩრდილში რჩებოდა, თითქოს გადაფარა მისმა ტრიუმფალურმა წარმატებებმა მეორე, სულ სხვა დარგში, ფსიქოლოგიის სფეროში და ფართო საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი. იკვეთება საინტერესო პრობლემა – დიმიტრი უზნაძე და ისტორიული მეცნიერება. ამიტომ მას პირობით უცნობი დიმიტრი უზნაძე შეიძლება ვუწოდოთ. ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ის 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებისადმი, საბჭოთა პერიოდში არსებული, ნეგატიური დამოკიდებულების გამოძახილს წარმოადგენს. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ისტორიკოსები ამ თემაზე ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ და დუმილით უვლიდნენ მას გვერდს. საბჭოთა პერიოდში ეს ტაბუდადებული თემა იყო და მასზე საუბარი პოლიტიკური სიბეცის ტოლფასი გახლდათ. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამგვარი მიდგომა ძალზე იდეოლოგიზებული და პოლიტიზებული იყო [12; 5.247-267; 9.161-171].

\* \* \*

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამორკვევას, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობისადმი. ესენია: ნერვა (96-98), ტრაიანუსი (98-117), ადრიანუსი (117-138), ანტონინუს პიუსი (138-161) და მარკუს ავრელიუსი (161-180). ფაქტობრივად, საქმე ეხება ანტონინუსების დინასტიის მმართველობას. ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ის საშუალებას მოგვცემს კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილი წვლილის გაცნობიერების საქმეში. შევავსებთ ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ კიდევ ერთ სუფთა ფურცელს და თეთრი ლაქები კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. აქვე დავძენთ, რომ ეს საკითხი საგანგებო კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა.

ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ძველი მსოფლიოს ისტორიის, შესწავლის სრულიად განსხვავებული მიდგომა, რომელიც საბჭოთა წარმოდგენის საპირწონედ მოიაზრება. საბჭოთა თვალსაზრისი იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური. არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ძალზე ხისტად მიგვაჩნია, ძირშივე მცდარია და, რაც ყველაზე მთავარია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. ჩვენ ვცადეთ გავგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო. სულ სხვა აქცენტები დავსვით, სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ უფრო პრიორიტეტულად. განსხვავებული მიდგომის მთავარი კვინტესენცია, დედააზრი, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სიმძიმის ცენ-



ტრი საბჭოთა რეალობიდან, ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილზე გადავიტანეთ, რომელიც საბჭოთა წლებში სრულიად უმართებულად იქნა მივიწყებული. ფაქტობრივად, ელიმინირებული, ამოღებულ იქნა ამ დარგის წარსულიდან. გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა. მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ჩვენმა მსჯელობამ აშკარად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი შესძინა და მიზნად ისახავს მეცნიერულად, არგუმენტირებულად გააბათილოს მთელი რიგი საბჭოთა სტერეოტიპები და შტამპები, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. მითებს რეალობა ამსხვრევს. ფიგურალური გამოთქმა, რომ გამოვიყენოთ ყველა სიკეთე, საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება. (4) წინამორბედების წვლილის დაკნინების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება. ამჯერად ვცადეთ ეს განსხვავებული მიდგომა გაგვერცელებინა საქართველოში „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის გაშუქებაზე. ეს ამ დიდი პრობლემის – ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოში – ერთერთი საინტერესო შემადგენელი კომპონენტია.

არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ, თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ეს გზა გაგრძელდებოდა და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა არჩეული გზიდან გადაეხვია და მისი განვითარება სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ.

აღნიშნული საკითხით დაინტერესების დაწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით დაგვიანებულად მიგვაჩნია, გარკვეული კორექტივების შეტანას მოითხოვს და დაზუსტებას საჭიროებს. საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის

შესწავლის საქმეში საეტაპო მოვლენად 1918 წლის 8 თებერვალს, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გვევლინება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს იმ ხანებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წაენია წინ ძველი მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ეს ფაქტია და მას სხვადასხვა ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს, მაგრამ ამას ვერავინ უარყოფს. ეს, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება. აღნიშნული პერიოდის და ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ასეთი იყო რეალობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას ეკალივით ესობოდა თვალში, გულს უკლავდა და ყოველნაირად ცდილობდა როგორმე ამოეშალა ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამოდ დაშვრნენ, სრული ფიასკო განიცადეს. საბჭოთა წარმოდგენა გაკოტრებულია, ჩამოიშალა.

როგორც ირკვევა, ამ საკითხში თავისი საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ნულიდან, ცარიელი ნიადაგიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გარკვეული ტრადიცია არსებობდა, რომლის მიჩქმალვას, მიჩუმათებას სულ ტყუილად ცდილობდნენ.

დაბოლოს შევეხებით კიდევ ერთ საინტერესო და აქტუალურ თემას. საქართველოში აღნიშნული საკითხის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებულ იქნა და ამ საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და დავაზუსტეთ ეს საკითხი. სულ სხვა აქცენტები დავსვით. საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ამჟამად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს კარგი ცხოვრებით არ ყოფილა განპირობებული და მასში, პირველ ყოვლისა, XX საუკუნის საქართველოს ძნელბედობის ანარეკლი მოჩანს. ჩვენ ვცადეთ აღნიშნული საკითხის გაშუქება აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა. ეს გახლავთ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის რეანიმაციის მცდელობა. განსხვავებული მიდგომის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს.

1. „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
2. „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის პოპულარიზაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991).
3. „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება [3. 48-49; 4].

საქართველოში „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობით დაინტერესება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან, სწორხაზოვან ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ესახებოდათ. მან საინტერესო მეტამორფოზი განი-

ცადა, რომელიც უფრო ზიგზაგისებურად, სპირალისებურად წარმოგვიდგენია.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად „ხუთი კარგი იმპერატორის“ მოღვაწეობის გაშუქების დროს ქართული ისტორიოგრაფია სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდა და „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობას დადებითად ეკიდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მათ კარგად ჰქონდათ გათავისებულები ისტორიაში პიროვნების როლის მნიშვნელობა. არსებითად შეიცვალა ვითარება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. პრიორიტეტული ხდება ამ თემის გაშუქება ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პოზიციებიდან. მნიშვნელოვანწილად ამით იყო განპირობებული, რომ თავდაპირველი დადებითი დამოკიდებულება ჩანაცვლა შედარებით უფრო ხისტი მიდგომამ, რაც ისტორიაში პიროვნების როლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამოძახილი იყო. მეფეების მოღვაწეობას საბჭოთა ისტორიოგრაფია უყურებდა, როგორც კლასობრივი მტრის საქმიანობას. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაძლიოს ძალით თავს მოხვეული, ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენა და დაუბრუნდეს და განავითაროს თავდაპირველი ღირებულებები.

„ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობით დაინტერესება შეუქცევად ხასიათს იძენს არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ამ საკითხში სერიოზულ თვისებრივ, ხარის-

ხობრივ ცვლილებებს ადგილი აქვს არა საბჭოთა პერიოდის ქართულ რეალობაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა ხანაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს [4. 5].

\* \* \*

ანტონინების დინასტიის მმართველობის ხანა რომის იმპერიის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო. თანამედროვენი მას „ოქროს საუკუნეს“ უწოდებდნენ. ამიტომ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ვცადოთ გამოვარკვიოთ, თუ როგორ არის გაშუქებული დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში ანტონინების დინასტიის, კონკრეტულად კი „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობა. მას ქართული კონტექსტი გააჩნია. ეს სიახლეა და როგორც უკვე ითქვა, ამ საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მოკრძალებულად გამოიყურება და საკმაოდ მწირია. ეს გახლავთ დიმიტრი უზნაძის სკოლის სახელმძღვანელო ძველი რომის ისტორიაზე. თავის სახელმძღვანელოში დიმიტრი უზნაძე, ბუნებრივია, ეხება ანტონინების დინასტიის, კერძოდ კი „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ საკმაოდ ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს. სასურველი იქნებოდა ამ საკითხზე გაცილებით უფრო ვრცელი ინფორმაცია გვექონდეს, ვიდრე ერთი სკოლის სახელმძღვანელოა [6. 90-95]. მაგრამ სხვა გამოსავალი არაა, იმ მასალას უნდა დავჯერდეთ, რაც გაგვაჩნია, მისდამი სკეპტიკური დამოკიდებულება უად-

გილოა. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა მიდგომის რეანიმაციას. ეს კი მიუღებლად მიგვაჩნია.

დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება „ხუთი კარგი იმპერატორისადმი“, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობას დადებითად აღიქვამს.

უწინარესად, სასურველი იქნება შევიმუშაოთ სწორი კრიტიკერიუმი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და დაგვეხმარება აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში. აქ, რა თქმა უნდა, მკაცრი მეცნიერული კრიტიკერიუმი საზომად არ გამოდგება. ამჯერად, ასეთ მაღალ მიზნებს არც არავინ ისახავდა. საქმე შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერას. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. მან მოკლედ, ლაკონიურად უნდა გააცნოს მოსწავლეებს „ხუთი კარგი იმპერატორის“ საქმიანობა. ის, უწინარესად, აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას ითვალისწინებდა და მკვეთრად გამოკვეთილი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას, შეიძლება ითქვას, მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს იყო. ამ თემაზე მისი მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამ მარტივი, გულუბრყვილო მსჯელობის განსჯა დღევანდელი გადასახედიდან მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, კარგად დააკვალიანებდა და „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობაზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნა-

ბიჯი იყო. საქმე გვაქვს საქართველოში „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის გაშუქების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობასთან. ეს დიმიტრი უზნაძის წარმატება იყო და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ჩვენს მიზანს შეადგენს გამოარკვიოს, თუ როგორ არის ეს საკითხი გაშუქებული სასკოლო სახელმძღვანელოში. ჩვენ ვცდილობთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის ძლიერი და სუსტი მხარეები გამოვარკვიოთ და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო ნიუანსს, რომელიც აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო სრულყოფილი, ამომწურავი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება. როგორც ჩვენ გვგონია, დიმიტრი უზნაძე „ხუთი კარგი იმპერატორის მმართველობაზე“ იმაზე გაცილებით უფრო უკეთესად იქნებოდა ინფორმირებული, ვიდრე ეს სასკოლო სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ამ თემაზე მისი ცოდნის ფრაგმენტებთან, რისი შეტანაც სახელმძღვანელოში მიზანშეწონილად ცნო.

უწინარესად, სასურველი იქნებოდა გამოვარკვიოთ ორი პრინციპული საკითხი. ამას აქვს მნიშვნელობა და დაგვეხმარება კარგად გავერკვეთ ამ საკითხზე დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის ავკარგიანობაში: 1. როგორი იყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობისადმი; 2. რამდენად ინფორმირებული იყო დიმიტრი უზნაძე ამ საკითხზე.

დავინწყით პირველით. „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობისადმი დიმიტრი უზნაძის დადებითი დამოკიდებულება ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, პირდაპირ ზედაპირზე ძვეს და, ფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. აქ აისახა საგსე-

ბით რეალური ვითარება. ამ შემთხვევაში ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობას დადებითად აღიქვამს. ამგვარი მიდგომა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს და ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. ის ორი მიზეზით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული.

ა. როგორც ჩანს, დიმიტრი უზნაძეს მოსწონდა მათი მისწრაფება მშვიდობის და წესრიგის დამყარებისაკენ – „სტაბილიზატორი იმპერატორები“. ეტყობა, „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობა ახლოს იყო მის პოლიტიკურ იდეალთან. „ხუთი კარგი იმპერატორის მმართველობისადმი დიმიტრი უზნაძის სიმპათიის გასაღები სწორედ აქ უნდა ვეძიოთ;

ბ. მეორე მიზეზი თეორიული ხასიათის უნდა ყოფილიყო. დიმიტრი უზნაძეს კარგად აქვს გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. „ხუთი კარგი იმპერატორის“ საქმიანობისადმი დიმიტრი უზნაძის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამის გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დიმიტრი უზნაძე კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული და საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის ძირითად პერიპეტიებში. ამაში გასაკვირი არც არაფერია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია.

ამრიგად, „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობისადმი სწორი მეცნიერული მიდგომა და ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნა, ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.



\* \* \*

ახლა მოდით კონკრეტულად განვიხილოთ დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება ანტონინების დინასტიისადმი, კერძოდ კი „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობისადმი. უზნაძისად, უნდა აღინიშნოს, რომ იულიუს კლავდიუსების დინასტიის მმართველობისადმი დიმიტრი უზნაძის მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური მიდგომა ჩაანაცვლა ანტონინების დინასტიის, სახელდობრ კი, „ხუთი კარგი იმპერატორის“ მოღვაწეობისადმი კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ. ეს ადვილი გასაგებია. დიმიტრი უზნაძეს კარგად უნდა ჰქონოდა გათავისებულები, რომ იულიუს კლავდიუსების დინასტიისათვის დამახასიათებელი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც თავის პიკს, მწვერვალს აღწევს კალიგულას და ნერონის ზეობის ხანაში, ანტონინების დინასტიისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა გამოირჩეოდა ზომიერებით და სავსებით შეესატყვისებოდა ქვეყნის ინტერესებს. ანტონინების დინასტიის და, კერძოდ, „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობით გამოწვეული დიმიტრი უზნაძის სიმპათიის გასაღები სწორედ აქ ძვეს. როგორც უკვე ითქვა, დიმიტრი უზნაძე სავსებით იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობაზე დადებითი აზრის იყო. ის კარგად პასუხობდა მის პოლიტიკურ იდეალს. „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის შეფასების დროს ის პროგრესული იბერალურ პოზიციებზე იდგა. დიმიტრი უზნაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამას ის, ბევრი ევროპელი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ანტონინების დინასტიის განდიდებაში არ მიჰყვას. მათი მოღვაწეობის დადებითად შეფასება სწორედ უნდა გავიგოთ. ეს არ ნიშნავს ანტონინების დინასტიის პანეგერიკს.

96 წელს იმპერატორ დომიციანეს (81-96) გარდაცვალების შემდეგ, რომის იმპერატორი შეიქნა ნერვა. მისი ზეობის ხანაა 96-98 წლები, თუმცა თარიღი მითითებული არაა. ნერვას მმართველობისადმი დიმიტრი უზნაძის დადებითი დამოკიდებულება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და ამ თემაზე მისი მსჯელობის პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს. ის ხაზს უსვამს, რომ ნერვამ 97 წელს იშვილა მარკუს უილპიუს ტრაიანუსი, რომელიც 98 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, შეიქნა იმპერატორი. მისი ზეობის ხანა იყო 98-117 წლები. სასურველი იქნებოდა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვა თქმულიყო ნერვას რეფორმებზე [6. 91-92]. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა [7. 78. 11. 152-155].

იმპერატორ ტრაიანუსის (98-117) და ადრიანუსის (117-138) მმართველობისადმი მიძღვნილი მონაკვეთი სახელმძღვანელოში ერთ-ერთ საინტერესოდ მიგვაჩნია. დავიწყოთ ტრაიანუსით, რომლის მმართველობა პირველი იყო.

სახელმძღვანელოში საუბარია სამ საკითხზე: ტრაიანუსის დახასიათება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ფაქტობრივად, ეს გახლავთ გეგმა, რომელიც სავსებით მისაღები უნდა ჩანდეს. სახელმძღვანელოში მასალა კომპაქტურადაა დალაგებული. მოსწავლეებს უადვილებს მისი მოღვაწეობის აღქმას, რაც, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია.

დავიწყოთ ტრაიანუსის მმართველობის დახასიათებით, რომელსაც შეფასებითი მუხტი გააჩნია და ისტორიოგრაფიულ დატვირთვას იძენს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ დიმიტრი უზნაძე ტრაიანუსის მმართველობაზე საკმაოდ მაღალი აზრისაა. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ იყო და, უწინარესად, ორ გარემოებასთან შეიძლება ასოცირდებოდეს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს გახლდათ მისი წარმატებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა. მის მმართვე-

ლობასთანაა დაკავშირებული სახელმწიფოს შინაგანი განმტკიცება და მივიწყებული აქტიური საგარეო პოლიტიკის რენიშავა [7. 84-92; 11. 155-160]. მეორე მიზეზი თეორიული ხასიათისა უნდა იყოს და ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერებას უკავშირდება.

აი, რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში. „იგი შთამომავლობით ისპანელი პროვინციელი იყო როდესაც ნერვა გარდაიცვალა, რენის ლეგიონების სარდლად ირიცხებოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ რომის იმპერატორად პროვინციელი აირჩიეს, მაგრამ რომს არ წაუგია. იგი არა მარტო პირველხარისხოვანი მხედართმთავარი იყო, არამედ შესანიშნავი ადმინისტრატორი და მიუდგომელი მოსამართლე აღმოჩნდა. მისი სახით რომს ხელახლა დიდი იმპერატორი მოვევლინა“ [11. 92]. აქ, ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. მას ტრაიანუსი იმ ეპოქის ერთ-ერთ გამორჩეულ პოლიტიკოსად ესახებოდა და მის მოღვაწეობას დადებით კონტექსტსში განიხილავდა. როგორც ხედავთ, ის ტრაიანუსს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა და მის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებდა, მაგრამ მისი მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და მასში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. ჩვენი აზრით, „ხუთი კარგი იმპერატორიდან“, დიმიტრი უზნაძე, შესაძლოა, ყველაზე უფრო მალლა სწორედ ტრაიანუსს აყენებდა.

მეორე საკითხი, რომელზეც დიმიტრი უზნაძე მოკლედ ჩერდება თავის სახელმძღვანელოში, რა თქმა უნდა, ეს გახლავთ ტრაიანუსის საშინაო პოლიტიკა. მას ორი მხარე გააჩნია. ერთია როგორ აფასებდა დიმიტრი უზნაძე ტრაიანუსის საშინაო პოლიტიკას და მეორეა რამდენად ინფორმირებული იყო ის ამ საკითხში. ორივე ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად და-

დებითია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთ დადებით მომენტს წარმოადგენს.

აი, რა წერია დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში: „ტრაიანუსის მთელი გულისყური წვრილ მესაკუთრეთა და ლარიზ-ლატაკთა კეთილდღეობის შექმნისკენ უნდა მიმართულიყო. წვრილ მესაკუთრეებს ის სახელმწიფო სესხს აძლევდა, ხოლო ამ სესხის პროცენტებს ის ლარიზ-ლატაკთა საკეთილდღეოდ იყენებდა. მსესხებელს პროცენტები თემისთვის უნდა ეძლიათ, რომელსაც ამ ფულით ლარიზ-ლატაკთა შვილების მოვლა და პატრონობა ევალებოდათ“ [10.92]. ტრაიანუსის „პატერნალიზმზე“, მამობრივ მზრუნველობაზე საუბარი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი საშინაო პოლიტიკის დადებითი შეფასება სავსებით მისაღები ჩანს.

„ტრაიანუსი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რომში მიუდგომელი სამართალი დაემკვიდრებინა. უმჯობესია ასი დამნაშავე სასჯელს გადაურჩეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოსო – ამბობდა იმპერატორი და სასამართლო საქმეს ამ სიტყვებისა და მიხედვით აწარმოებდა“ [6.92]. როგორც ჩანს, ტრაიანეს დროს სიტყვა და საქმე ერთი იყო.

მაშ ასე, ტრაიანუსის საშინაო პოლიტიკის დადებითი შეფასება სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთ პლუსად გვევლინება.

მესამე საკითხი, რომელზეც დიმიტრი უზნაძე თავის სახელმძღვანელოში ჩერდება, ბუნებრივია, გახლავთ ტრაიანუსის საგარეო პოლიტიკა. საკითხი არის საინტერესო, ყოველთვის იპყრობდა ისტორიკოსების ყურადღებას და ტრაიანუსის განდიდების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი იყო.

ტრაიანუსის საგარეო პოლიტიკის დადებითი შეფასება და ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნა ამ თემაზე დიმიტრი

უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. დიმიტრი უზნაძე იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ რომის საგარეო პოლიტიკის გააქტიურება სწორედ ტრაიანუსის სახელთანაა დაკავშირებული. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს დიმიტრი უზნაძის სკოლის სახელმძღვანელოდან: „საგარეო პოლიტიკაში ტრაიანუსის მოღვაწეობა კიდევ უფრო ბრწყინვალედ მიმდინარეობდა. ახლანდელი უნგრეთის ნაწილი, ტრანსილვანია, რუმინიაც მაშინ თრაკიის მკვიდრთა მონათესავე ხალხს, დაკიელებს ეკავათ, რომელნიც უკანასკნელ ხანებში რომაელთა დუნაის საზღვრებს მოსვენებას არ აძლევდნენ. საჭირო იყო ამ საშიში მტრის ალაგმვა, მაგრამ ამისათვის თვით დაკიელების მიწა-წყალზე შეჭრა იყო აუცილებელი. ტრაიანუსმა ორჯერ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. გადალახა დუნაი და მთელი დაკია დაიმორჩილა. სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში რომაელთა ახალშენები მოაწყო. გზები გაიყვანა და იქაური მადნეულობის დამუშავება დაიწყო. ყველა ამ ღონისძიებათა გამო რომის კულტურამ იქ იმდენად ფართოდ და ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ამ ქვეყნის დღევანდელნი მკვიდრნი, რუმინელები თავისი ენით და სახელწოდებით რომის ძლიერი გავლენის ცოცხალ მონმედ უნდა ჩაითვალოს. ეს მოხდა 106 წელს. ამავე წელს იმპერატორმა ახალი პროვინცია არაბეთი შემოიერთა.

მეორე დიდი ომი ტრაიანუსს აღმოსავლეთის უძლიერეს მტერთან, პართიასთან ჰქონდა, რომელთაც მაშინ სომხეთი ეჭირათ. ტრაიანუსმა არა მარტო სომხეთის დაბრუნება დაისახა მიზნად, არამედ პარტიის ძლიერების სრული დამხობაც. ომი დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. სულ მოკლე ხნის განმავლობაში რომის ჯარებმა სპარსეთის ყურეს მიაღწია. იმპერატორი ამ ომის დროს გარდაიცვალა“ [10. 92-93]. ხომ არ აჭარბებდა ის ტრაიანუსის საგარეო პოლიტიკურ წარმატებებს, რაც მისადმი დიმიტრი უზნაძის სიმპათიის გამოძახილი

შეიძლება ყოფილიყო? ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ის ტრაიანუსის საგარეო პოლიტიკის სუსტ მხარეებზე ხმას არ იღებს.

თარიღებისადმი თავისებური მიდგომის ფონზე, ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება ტრაიანუსის ზეობის თარიღის მითითება. აგრეთვე დაკიის და არაბეთის დაპყრობის თარიღები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო პართიასთან ომის თარიღი. ეს მოხდა 115-117 წლებში [7. 79-84; 11. 157-159].

სასურველი იქნებოდა ძალიან მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვით, სახელმძღვანელოში თქმულიყო ტრაიანუსის აღმოსავლეთ პოლიტიკაში იბერიის სამეფოს როლზე. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და მოწაფეებს ამის განხილვა, არსებობს დიდი ალბათობა, გულგრილს არ დატოვებდა, ინტერესს აღუძრავდა. შესაძლოა, ეს იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ ეს თემა იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო გაშუქებული და ამიტომ მან თავი შეიკავა ამაზე საუბრისგან. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია [6. 45-63; 15. 359-364; 2. 315-316]. დიმიტრი უზნაძეს ტრაიანუსის საგარეო პოლიტიკა მისი წარმატებების კულმინაციად ესახებოდა, რამაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი სიმპათიები ტრაიანუსის როგორც მმართველის, პოლიტიკოსის მიმართ.

დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში ტრაიანუსის მმართველობის დასკვნით აკორდად გვევლინება მის აღმშენებლობით საქმიანობაზე ყურადღების გამახვილება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სახელმძღვანელოში ტრაიანუსის მმართველობის გაშუქების კიდევ ერთ პლუსად გვევლინება. აი, რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელ-

მძღვანელოში: „ტრაიანუსის მოღვაწეობის ერთ-ერთ მხარეს მის მიერ რომის გამშვენიერება და სასარგებლო შენობათა აგებისათვის ზრუნვა შეადგენს. რომის უმშვენიერესი უბანი (კაპიტოლიუმსა და კვირინალს შუა) სწორედ მის დროს აივსო ხუროთმოძღვრების წარმტაცი ძეგლებით, რომელთა შორისაც ერთმა, ე.წ. „ტრაიანუსის სვეტმა“ ჩვენამდე მოაღწია (ტრაიანუსმა ეს დაკიის დაპყრობის სახსოვრად ააგო). იგი თეთრი მარმარილოსგან არის ნაკეთი და სიმაღლით 12 საყენამდეა.<sup>1</sup> მისი ბარელიეფები, რომელიც დაკიელთა ომის სცენებს ასახავს, ამ ხალხის ყოფა-ცხოვრების შესასწავლად ძვირფას მასალას წარმოადგენს“ [10. 93].

ტრაიანუსის მმართველობის ამ საკითხით გასრულება ცოტათი უცნაურად გვეჩვენება. საქმე ის გახლავთ, რომ ის უფრო მეტად ასოცირდება ტრაიანუსის საშინაო პოლიტიკასთან, ვიდრე საგარეოსთან. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა საკითხის კომპაქტურად დალაგება და მისი მიზმა არა საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკასთან. ვფიქრობთ, ასე უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ დიმიტრი უზნაძემ სხვაგვარად გადანწყვიტა. ასეთი იყო მისი არჩევანი.

ამგვარად, დიმიტრი უზნაძის მიერ რომის იმპერატორ ტრაიანუსისადმი (98-117) დადებითი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები, პირველ ყოვლისა, დიმიტრი უზნაძის მსოფლმხედველობაში ძევს. „ხუთი კარგი იმპერატორის“, მათ შორის ტრაიანუსის მოღვაწეობის შეფასებისას ის პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე იდგა. ტრაიანუსის მმართველობა სავსებით შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს.

---

<sup>1</sup> 12 საყენი გახლავთ 33 მეტრი. დიამეტრი 3, 7 მეტრია [12. 142].

\* \* \*

შემდგომი იმპერატორი, რომლის მმართველობის მიმართ დიმიტრი უზნაძე ასევე გარკვეულ სიმპათიას იჩენს, არის ადრიანუსი (117-138). კონკრეტულად თარიღი მითითებული არ გახლავთ, მაგრამ ამაზე მინიშნება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს, რაც სკოლის სახელმძღვანელოებისათვის სავსებით საკმარისია. ნუ ვიქნებით ძალიან მკაცრები.

დიმიტრი უზნაძე, ბუნებრივია, შეეხება ადრიანუსის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ადრიანუსის მმართველობის დადებითი შეფასება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და ორი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული. დიმიტრი უზნაძეს მოსწონდა ადრიანუსის მისწრაფება, მშვიდობის დამყარება და წესრიგი, ქვეყნის ტერიტორიის თავდაცვის ორგანიზება. მეორე მიზეზი უფრო თეორიული ხასიათის უნდა იყოს და ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერებასთანაა დაკავშირებული. ამავე დროს, დიმიტრი უზნაძე კარგად უნდა იყოს ინფორმირებული და ადრიანუსის მმართველობაში საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს, რაც ემპირული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია.

აი, რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში: „ჰადრიანუსი შთამომავლობით ისპანელი იყო. უშვილო ტრაიანუსმა იგი თავის მემკვიდრედ აირჩია. ჰადრიანუსი ნიჭიერი ადმინისტრატორი აღმოჩნდა და მთელი თავისი მოღვაწეობა იმპერიაში მშვიდობის დამყარებასა და განათლების გავრცელების საქმეს მონაწილეობდა. თვითონ ჰადრიანუსი ძლიერ განათლებული კაცი იყო და, ცოდნის გაღრმავებით დაინტერესებული, მისი მიზნის განსახორციელებლად წესიერების და მშვიდობის დამყარება იყო აუცილებელი. ამიტომ მან ტრაიანუსის მიერ დაპყრობილ ადგილებზე, გარდა არაბეთისა, ყველაზე უარი განაცხადა, რათა ამ სახით შემცირებული იმპე-



რიის საზღვრები უკეთ გაემაგრებინათ. მას საჭიროდ აღარ მი-  
აჩნდა ისედაც უზარმაზარი სახელმწიფოს საზღვრების გაფარ-  
თოვება და მშვიდობის დასამყარებლად აუცილებლად თვლი-  
და იმპერიის საზღვრები ისე გაემაგრებინა, რომ რომისთვის  
ომის გამოცხადება ვერც ერთ მეზობელს ვერ გაეებდა. ამ მიზ-  
ნით მან თითქმის ყველა საზღვარზე მიუვალი სიმაგრე ააგო.  
იგი უზარმაზარ კედელს წარმოადგენდა, რომელსაც 300 კომ-  
კი ჰქონდა. წინ ფართო და მაღალი თხრილი იყო გაყვანილი  
(სიღრმით ოთხი და სიგანით ხუთ საუენზე მეტი) და უკან ჩვიდ-  
მეტი გამაგრებული ბანაკი ჰქონდა მოწყობილი. იგინი მშვენიე-  
რი სამხედრო გზებით იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი.  
ასეთივე სანგრები ააგებინა ჰადრიანუსმა მდინარე რეინზე და  
დუნაიზე“ [10. 93-94].

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი უზნაძე  
საუბრობს იმ პრინციპულ განსხვავებაზე, რომელსაც ადგილი  
ჰქონდა ტრაიანუსის და ადრიანუსის საგარეო პოლიტიკას შო-  
რის და დასძენს, რომ ტრაიანუსის აქტიური საგარეო პოლიტი-  
კა ადრიანუსის დროს ჩაანაცვლა მშვიდობისმოყვარე კურსმა.  
თუ ტრაიანუსის დროს მთავარი იყო საგარეო პოლიტიკა, ახ-  
ლა, ადრიანუსის ხანაში პრიორიტეტული ხდება საშინაო პო-  
ლიტიკა.

თავის სასკოლო სახელმძღვანელოში დიმიტრი უზნაძე,  
ბუნებრივია, ყურადღებას მიაპყრობს იმპერატორ ადრიანუსის  
საშინაო პოლიტიკას და ხაზს უსვამს მის მიერ განხორციელე-  
ბული რეფორმების ისტორიულად პროგრესულ მნიშვნელო-  
ბას. ადრიანუსის საშინაო პოლიტიკისადმი დიმიტრი უზნაძის  
კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამის ლოგიკური შედე-  
გია. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია [7.84-  
92. 8. 160-167].

აი, რას ვკითხულობთ მის სასკოლო სახელმძღვანელოში:  
„ამ იმპერატორის საშინაო პოლიტიკა ყველაფერში კაცთმოყ-

ვარეობის დაღს ატარებს. მან საგრძნობლად გააუმჯობესა მონების და დედაკაცების უფლებრივი მდგომარეობა, აკრძალა ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება ყველგან, სადაც იგი ჯერ კიდევ არ იყო მოსპობილი.

იმპერატორის კანცელარია, როგორც ვიცით, სასახლეში იყო მოთავსებული და იქ ლიბერტინები მსახურობდნენ. ჰადრიანუსმა იგი სახელმწიფო დანესებულებად გახადა და მოხელეებად ლიბერტინების მაგივრად, მხედრები დანიშნა. შეიცვალა „იმპერატორის საბჭოს“ შემადგენლობაც. ცნობილ სამართალმცოდნეთ და სენატორებს აქ მაღალი თანამდებობები მიეცათ. ამის გარდა, 131 წელს ჰადრიანუსმა რომის კანონების პირველი კოდიფიკაცია გამოაქვეყნა“ [10. 94].

ის საუბრობს იმპერატორ ადრიანუსის აღმშენებლობით საქმიანობაზე. „ცოდნის წყურვილის დასაკმაყოფილებლად ამ სიმაგრეების აგების თვალყურის სადევნებად ჰადრიანუსი იმპერიის ყველა კუთხეში მოგზაურობდა. თავისი 21-წლიანი მეფობის დროს 14 წელი მან ასეთ მოგზაურობას მონადგო. სადაც კი მივიდოდა ეს საკვირველი იმპერატორი, თავის კვალს ყველგან ტოვებდა, რადგან თან მრავალი ხუროთმოძღვარი და ხელოსანი მუშა ჰყავდა, რომლებიც ყველგან სხვადასხვა შენობებს აგებდნენ: გალიაში, გერმანიაში, ბრიტანეთში, აფრიკაში, ისპანიაში, მცირე აზიაში, საბერძნეთში, სირიასა და მესოპოტამიაში. ყველგან შეხვდებით ჰადრიანუსის ძეგლთა ნანგრევებს.

რასაკვირველია, ამ მხრივ არც რომი შეადგენდა გამონაკლისს. ჰადრიანუსის აქაურ შენობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უზარმაზარი მავზელეუმი, რომელიც დღეს სიმაგრედ არის გადაკეთებული. თუ რაიმე საყურადღებო ძეგლს შეხვდებოდა მოგზაურობის დროს, ჰადრიანუსი ყველას ამზადებინებდა და ყველაფერ ამას თავის ახლადაგებულ ვრცელ სასახლეში ინახავდა“ [10. 94]. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალ-

საზრისით ის თავისი დიდი წინამორბედის, ტრაიანუსის საქმიანობის გამგრძელებლად მოგვევლინა.

ახლა, მოდით, მოკლედ შევჩერდეთ ადრიანუსის საგარეო პოლიტიკის გაშუქებაზე. ეს საინტერესო საკითხია. ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში ადრიანუსის საგარეო პოლიტიკა გაშუქებულია გაცილებით უფრო სუსტად, მკრთალად. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება აჯანყება იუდაში. მითითებულია თარიღი 135 წელი [10. 435-491]. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის დადებით მხარედ მიგვაჩნია. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს და იმპერატორ ადრიანუსის საგარეო პოლიტიკაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. აი, რა წერია დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში: „ამ კაცთმოყვარე იმპერატორს სიმკაცრეც ეხერხებოდა, როდესაც ეს საჭიროდ მიაჩნდა, როდესაც იერუსალიმში, სამხედრო ახალშენის მონყოფის გამო, რომის წინააღმდეგ მთელი იუდეა აჯანყდა. ჰადრიანუსმა აქ ლეგიონები გააგზავნა და სამი წლის განწირული ბრძოლის შემდეგ ისეთ საშინელი შურისძიებით გაანადგურა ეს ქვეყანა, რომ ის მცირე ნაწილი ებრაელობისა, რომელიც სიკვდილს ან მონობას გადაურჩა, საბოლოოდ აქეთ-იქით მიმოიფანტა. 135წ. ქრისტე შობის შემდეგ“ [10. 94-95].

რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოში ძალიან მოკლედ, სულ ორიოდ სიტყვით თქმულიყო ადრიანუსის პოლიტიკაზე ამიერკავკასიაში და ქართლის სამეფოს პოზიციაზე. ამ კუთხით საკითხის გაშუქება მოსწავლეებისათვის, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და მოსწავლეებს ისტორიისადმი ინტერესს გაუღვივებდა. ამ თემის გაშუქება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა, მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა. რატომ

შეიკავა თავი დიმიტრი უზნაძემ ამის გაკეთებისგან ძნელი სათქმელია. კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ. მხოლოდ ჩვენს ფრთხილ ვარაუდს გამოვთქვამთ. შესაძლოა, ეს იმით ყოფილიყო განპირობებული, რომ ეს თემა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გაშუქებული. ამგვარი მიდგომა ისტორიოგრაფიაში არსებული რეალური ვითარების გამოძახილი იყო.

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში რომსა და იბერიის სამეფოს შორის, რომის იმპერატორ ადრიანუსსა და იბერიის მეფე ფარსმან მეორეს შორის ურთიერთობა გაუარესდა. ამ კუთხით საკითხის გაშუქება მონაფეებისთვის, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო [6. 55; 15. 360; 2. 314; 1. 139; 13. 132-134; 14. 125-127; 18. 329-330]. ამ თემაზე ის რატომღაც კრინტს არ ძრავს.

ამრიგად, როგორც ჩანს, დიმიტრი უზნაძე იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს და იმპერატორ ადრიანუსის (117-138) მმართველობას დადებითად აღიქვამს. ამგვარი მიდგომა უეჭველად შეიცავს ქვეშარტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მისი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ზოგიერთი საკითხის გაშუქებამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. პირველ ყოვლისა, ასეთად ადრიანუსის საგარეო პოლიტიკის გაშუქება მიგვაჩნია.

\* \* \*

დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის გაშუქების დასკვნით აკორდად გვევლინება შემდგომი იმპერატორების – ანტონინუს პიუსის (138-161) და მარკუს ავრელიუსის (161-180) მმართველობაზე საუბარი. ჩვენი აზრით, დიმიტრი უზნაძის სასკო-

ლო სახელმძღვანელოში მათი მმართველობა გაშუქებულია შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად. თავად განსაჯეთ, ამ ორი იმპერატორის მმართველობას სახელმძღვანელოში დათმობილი აქვს სულ ერთი გვერდი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და მათ მმართველობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას როდი გვცალებს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ფაქტის კონსტატაციასთან. ამგვარი მიდგომა, შესაძლოა, შემთხვევითი არ იყო და იმით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული, რომ დიმიტრი უზნაძე მათ წინამორბედ იმპერატორებზე – ტრაიანუსსა და ადრიანუსზე გაცილებით უფრო მაღალი აზრის იყო. ამ მოსაზრებას გააჩნია არსებობის უფლება და უეჭველად შეიცავს ქეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოსდა ის მომდევნო ორ იმპერატორზე – ანტონინუს პიუსზე და მარკუს ავრელიუსზე დაბალი აზრის უნდა ჩანდეს. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ამიტომ ასეთი ნაბიჯი, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს.

როგორც ჩანს, დიმიტრი უზნაძე სავსებით იზიარებდა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებას და ორივე იმპერატორზე, ანტონინუს პიუსზე და მარკუს ავრელიუსზე დადებითი აზრის იყო. დიმიტრი უზნაძის პოზიტიური განწყობილება სავსებით მისაღები უნდა ჩანდეს და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ის ხაზს უსვამს ანტონინუს პიუსის პოლიტიკის მშვიდობიან ხასიათს.

აი, რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში: „ადრიანუსის შემდეგ იმპერატორი, თანახმად ჰადრიანუსის სურვილისა, ავრელიუსი ანუ ანტონინუს პიუსი გახდა. მისი 23 წლის იმპერატორობის განმავლობაში იმპერიის მშიდობიანობა არც არასოდეს დარღვეულა. იგი მუდამ კარგ განწყობილობაში იყო და თავისი კაცთმოყვარეობით ყველგან სახელი გაითქვა“ [10.95]. ანტონინუს პიუსისადმი დიმიტრი

უზნაძის კეთილგანწყობილი დამოკიდებულების მოტივები, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი დადებითი მხარეა.

ანტონინუს პიუსის მმართველობას დიმიტრი უზნაძე თავის სასკოლო სახელმძღვანელოში სულ ერთ აბზაცს, ექვს სტრიქონს, უთმობს. ეს, ცხადია, ძალიან ცოტაა. ანტონინუს პიუსის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კადრში ვერ ხვდება და დიმიტრი უზნაძე მხოლოდ ანტონინუს პიუსის პიროვნების დახასიათებით შემოიფარგლება, რაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მივიჩნიოთ მისი მოღვაწეობის გაშუქების მცდელობად.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმპერატორ ანტონინუს პიუსის მმართველობის პერიოდში მკვეთრად შეიცვალა ურთიერთობა რომსა და იბერიის სამეფოს შორის. ადგილი აქვს ამ ურთიერთობის დათბობას [11. 57-69; 2. 321-327] ქართული კონტექსტის ჩართვა სასურველი იქნებოდა და მოსწავლეებს დააინტერესებდა, მაგრამ დიმიტრი უზნაძე სულ სხვაგვარად იქცევა. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ იყო და, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით აიხსნებოდა. დავიწყოთ იმით, რომ იმ პერიოდში ეს საკითხი ამ კუთხით ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ შესწავლილი და მეორეც ერთი, საქმე ის გახლავთ, რომ ინფორმაცია ფარსმან II-ის და მისი მემკვიდრეების საგარეო პოლიტიკაზე წყაროებში შემონახული არაა. ამიტომ დიმიტრი უზნაძის მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ფაქტობრივად, მარკუს ავრელიუსის (161-180) ზეობის ხანით სრულდება რომის იმპერიის ერთი საინტერესო მონაკვეთი. „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობა [96-180].

იმპერატორ მარკუს ავრელიუსისადმი დიმიტრი უზნაძის დადებითი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული,

პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა.

ანტონინუს პიუსის გარდაცვალების შემდეგ რომის იმპერატორის ტახტი დაიკავა მარკუს ავრელიუსმა (161-180), თუმცა თარიღი აქ მითითებული არაა. სკოლის სახელმძღვანელოში ამის გაკეთება სასურველი იქნებოდა, როდესაც საქმე ეხება ისეთ დიდ მოღვაწეს, როგორც ბრძანდებოდა მარკუს ავრელიუსი. ამის გაკეთება, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო.

აი, რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში: „მის (ე.ი. ანტონინუს პიუსის – მ.კ.) შემდეგ მისმა სიძემ და ნაშვილებმა ფილოსოფოსმა მარკუს ავრელიუსმა მიიღო, რომელიც თავის ფილოსოფიურ ნაწერებში სტოიციზმის გავლენას აღიარებდა. მას ორი მთავარი დევიზი ჰქონდა. ერთი იყო უარყოფა ყოველგვარი სიამოვნებისა, გარდა იმისა, რომელსაც ადამიანს მოვალეობის სინდისიერი შესრულება ანიჭებს, ხოლო მეორე, სრული მშვიდობის დაცვა, მაგრამ მარკუს ავრელიუსის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მან ამ დევიზის სანინაალმდეგო მიმართულება მიიღო. მარკუს ავრელიუსს თანამართველად ლუციუს ვერონი ჰყავდა აყვანილი, რომელიც უსაზღვრო სიამოვნებას ეძლეოდა, მართავდა დიდ ქეიფებს და დიდ ფულს ხარჯავდა. მეორე მხრივ, მიუხედავად იმპერატორის მშვიდობიანობის სურვილისა, სწორედ მისი იმპერატორობის დროს რომს მრავალი ომის წარმოება მოუხდა. ისპანიაში, გალიასა და ბრიტანიაში აჯანყება დაიწყო. აღმოსავლეთით კი პართიის მეფე ამოძრავდა. მან დაამარცხა რომაელთა ლეგიონები და მცირე აზიას დაუწყო მუქარა. მარკუს ავრელიუსი იძულებული შეიქნა მის წინააღმდეგ ჯარები გაეგზავნა და მცირე ხნის განმავლობაში იგი სასტიკად დაამარცხა. სომხეთი ისევ რომს დაუბრუნა.

იმპერატორს უკვე მშვიდობის დამყარების იმედი გაეღვიძა, რომ უეცრად რომის საზღვრებს გერმანელი ტომები (კვა-

დები და მარკომანები) დაესხნენ თავს. იმპერატორი მათ წინა-აღმდეგ თვითონ გაემგზავრა, მაგრამ ომის დასრულებას ვერ მოესწრო, რადგან ვინდობონაში (ვენაში) ავად გახდა და გარდაიცვალა“ [10. 95].

როგორც ხედავთ, მარკუს ავრელიუსის სახელი დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ის ჩახედულებას ამჟღავნებს მარკუს ავრელიუსის საქმიანობაში. მარკუს ავრელიუსის მმართველობისადმი დადებითი დამოკიდებულება და ფაქტობრივი, ემპირიული, მასალის ცოდნა ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის დამახასიათებელ თვისებად გვევლინება.

მარკუს ავრელიუსის საშინაო პოლიტიკა შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ გაშუქებულია შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად.

ანტონინების დინასტიაზე საუბარი მიზანშეწონილი იქნებოდა გავასრულოთ იმპერატორ კომოდუსის (180-192) მმართველობით, რომელიც ანტონინების დინასტიის ფონზე ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი უარყოფითი კონტექსტი გააჩნია. იმპერატორ კომოდუსისადმი დიმიტრი უზნაძის უარყოფითი დამოკიდებულება არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აი, რა წერია დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში იმპერატორ კომოდუსზე: „მარკუს ავრელიუსის შვილმა მამის სიკვდილის შემდეგ რომში კვლავ ნერონის ბატონობის დროის უსაშინლესი მდგომარეობა განაახლა. 12 წლის განმავლობაში მთელი სახელმწიფო იტანჯებოდა ამ თვითნება დესპოტის ბატონობის ქვეშ. ბოლოს, როგორც იქნა, შეთქმულების წყალობით, იგი თავიდან მოიშორეს“ [10. 95]. ეს მოკლე, ლაკონიური დახასიათება მრავლისმეტყველი და, ვფიქრობთ, მეტად გამჭვირვალეა. ამ მოსაზრებას მაშინაც ბევრი იზიარებდა და შემდგომაც [7. 101-104. 11. 174-176].



კომოდუსი ანტონინების დინასტიის, განსაკუთრებით კი „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის ფონზე, სრულიად საპირისპირო პიროვნება იყო. მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, მეტად უარყოფითი აღმოჩნდა.

დასასრულ უნდა შევეხოთ ერთ აქტუალურ საკითხს, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. საქმე ეხება მარად უკვდავ თემას, გვარსახელების მართლწერას. დიმიტრი უზნაძე ამ სახელებს წერს ლათინური ტრადიციის მიხედვით – ტრაიანუსი, ჰადრიანუსი. შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მართლწერამ ფეხი ვერ მოიკიდა და რუსულის გავლენით დამკვიდრდა – ტრაიანე, ადრიანე. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაუბრუნდეს ძველ ტრადიციას და აღადგინოს ლათინური მართლწერა (1), თუმცა ბოლომდე თანამიმდევრობას ვერ იჩენს და ძველ ტრადიციასაც ძალაში ტოვებს [11. 9]. მხოლოდ ერთი შეკითხვა გვიჩნდება: როგორ ჯობია, ჰადრიანუსი, როგორც ამას დიმიტრი უზნაძე აკეთებს თუ ადრიანუსი? ალბათ, მაინც ეს უკანასკნელი.

დიმიტრი უზნაძეს რომ მისცემოდა საშუალება და გაეგრძელებინა მუშაობა სასკოლო სახელმძღვანელოების დახვეწაზე, სრულყოფაზე, ცხადია, ძალიან კარგი იქნებოდა და ის უეჭველად შეიტანდა მასში გარკვეულ კორექტივებს. აქ გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება აღვიქვათ, როგორც ჩვენი ფრთხილი ვარაუდი იმის თაობაზე, თუ რა კორექტივები შეიძლებოდა შეეტანა მას სახელმძღვანელოში, ამის გაკეთების საშუალება რომ მისცემოდა. სამწუხაროდ, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა.

დაბოლოს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიის სწავლების მეთოდოკასთან. სახელმძღვანელოს არ გააჩნია მეთოდური აპარატი. სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს დარ-

თული ჰქონოდა შეკითხვები. ეს საშუალებას მისცემდა მასწავლებლებს გაერკვიათ, თუ როგორ დაისწავლეს მონაწევრებმა გაკვეთილი და აითვისეს ახალი მასალა, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი ხდება. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და მასში, უწინარესად, საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდის გარიჟრაჟზე შექმნილი ვითარების გამოძახილი უნდა დავინახოთ.

მაშ ასე, დიმიტრი უზნაძე შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ისტორიკოსების რიგებს, რომლებიც დადებითად ეკიდებოდნენ ანტონინუს პიუსის და მარკუს ავრელიუსის მმართველობას, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. თუმცა სახელმძღვანელოში ამ საკითხის გაშუქებამ მაინც დაგვიტოვა გარკვეული უკმარობის გრძნობა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა, რაც იმით გამოიხატება, რომ სახელმძღვანელოში მათზე მაინც ცოტაა ნათქვამი. სასურველი იყო უფრო მეტი ინფორმაცია. ამიტომ ამ საკითხის გაშლა, განვრცობა გამორიცხულად არ მიგვაჩნია. საჭიროა მეტი კონკრეტიკა. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ მსჯელობას.

\* \* \*

მაშ ასე. ის გარემოება, რომ ამ მონაკვეთმა მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა, ვფიქრობთ, არანაირ ჩრდილს არ აყენებს მის მნიშვნელობას და ამ სახელმძღვანელოსადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, სრულიად უადგილო იქნებოდა, მას მეცნიერული დატვირთვა გააჩნია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობა, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების საერთო დონეს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ის-

ტორიოგრაფიის გამოძახილია. ის ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ხდებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ მეცნიერებაში. სწორედ ამ კრიტერიუმით უნდა მიუდგეთ ამ საკითხზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის მნიშვნელობას და არა დღევანდელი გადასახედიდან შევეცადოთ მისი შეფასება. ეს სწორი არ იქნება.

დიმიტრი უზნაძე სავსებით იზიარებდა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის დადებითი შეფასების შესახებ. ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნა და „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობის სწორი შეფასების შერწყმის, შეხამების მცდელობა, ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. როგორც ჩანს, „ხუთი კარგი იმპერატორის“ მმართველობა სავსებით შესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს და ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების გამოძახილია.

როგორც პირველი მცდელობა, ეს მონაკვეთი, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენნი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი საკითხის გაშუქებამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. ერთ-ერთი მათგანია თარიღების მითითებისადმი თავისებური დამოკიდებულება. ამგვარი მიდგომა საკამათოდ მიგვაჩნია. რა კრიტერიუმით განსაზღვრავს მის გადანყვეტილებას, კარგად არ ჩანს, გამჭვირვალობა აკლია. სასურველი იქნებოდა ცოტა მეტი თქმულიყო ანტონინუს პიუსის და მარკუს ავრელიუსის მმართველობაზე.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. თვალთაშვილი ქ., ჩიკვაძე ც., ძველი მსოფლიო ისტორია. მეექვსე კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005.
2. ინაძე მ., იბერიის და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ხანებში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1. თბილისი, 1955.
3. კალანდაძე მ., ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბილისი, 2021.
4. კალანდაძე მ., საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 19, თბილისი, 2021.
5. კილურაძე გ., ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბილისი, 1970.
6. ლომოური ნ., იბერია და კოლხეთი, ახ. ნ. I-II საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობები, ქართული დიპლომატია, ნაწილი პირველი, თბილისი, 1998.
7. სანიკიძე ლ., რომის იმპერია, თბილისი, 1984.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბილისი, 1970.
9. ტაბალუა ი., ჩოჩია ვ., მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა საქართველოში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, ნაწილი მესამე, თბილისი, 1983.
10. უზნაძე დ., მსოფლიო ისტორია, ნაწილი მესამე, რომი-ქუთაისი, 1919.
11. ქავთარია გ., რომის ისტორია, ნაწილი მეორე, თბილისი, 2021.
12. წერეთელი ქ., სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1804-1917 წლებში, თბილისი, 1978.
13. Ломоури Н., Иберия и Рим. Вопросы истории, №1. 1973.

14. Ломоури Н., Грузино-римские взаимоотношения, т. 1. Политический взаимоотношения, Тбилиси, 1981.
15. Момзен Т., История Рима, Т. 5. Москва, 1949.

## **MERAB KALANDADZE**

### **DIMITRI UZNADZE ON "FIVE GOOD EMPERORS"**

#### **Summary**

We have been studying Dimitri Uznadze's contribution to historical science for a long time. This topic has not been covered in Georgian academic literature. Therefore, we considered it beneficial to fill this gap and study the contribution of Dimitri Uznadze to historical science. Dimitri Uznadze's research in this field is relatively little known to the general public. Obviously, such an indifferent attitude towards this topic was not accidental. It clearly goes beyond purely academic frameworks and is based on a clearly defined political agenda. We think that it is clearly an echo of the negative attitude towards the successes of the sovereign republic of Georgia in 1918-1921. The most fruitful period of Dimitri Uznadze's career as a historian coincides with these years. He was trained as historian. In 1910-1913, he passed the exams at the Faculty of History and Philology of Kharkiv University as an external student. Before the Soviet occupation of Georgia, he taught history at school. His was actively involved in the process of creating the first national school textbooks of world history.

The present paper represents another step forward in understanding Dimitri Uznadze's contribution to Georgian historiography. Our aim is to find out Dimitri Uznadze's attitude towards the „five good

emperors“, namely: Nerva (96-98), Trajan (98-117), Hadrian (117-138), Antoninus Pius (138-161) and Marcus Aurelius (161-180).

We have positive evaluation of Dimitri Uznadze's approach towards the rule of the „Five Good Emperors“. This, of course, was not accidental and, mainly, it could be due to two circumstances. It seems that the rule of the „five good emperors“ was very close to their political ideal, and Dimitri Uznadze must have well understood the role of a person in history.

It seems that Dimitri Uznadze gained considerable insight into the governance of the „Five Good Emperors“. This, of course, is very good and is a logical consequence of his empirical, factual, material knowledge.

Dimitri Uznadze was trying to help students to form correct and general understanding of the rule of the „five good emperors“. At that time, this was undoubtedly a step forward; in fact, it was the first, if not one of the first, attempts to cover the rule of the „five good emperors“ in Georgia.

In our opinion, further perfection and refinement of the coverage of some issues should not be excluded, for example: Hadrian's foreign policy. If the coverage of Trajan's and Hadrian's rule more attention had been given, but same time we have minimal information about rule of next emperors, Antoninus Pius and Marcus Aurelius.

Also, it would be desirable to include the Georgian context - Eastern policy of the Roman emperors towards Georgia. It would be interesting for students and would awaken their interest in history.

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

### ებრაული თემა XX საუკუნის პირველი მესამედის ქართულ ლიტერატურაში

ებრაული თემით ქართველ მწერალთა დაინტერესება იმდენად ფართო მასშტაბების მომცველ მოვლენას წარმოადგენს, რომ ამ თემაზე ბევრი მათგანის მიერ შექმნილმა მხატვრულმა და პუბლიცისტურმა ტექსტებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა არაერთი მათგანის შემოქმედებაში. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ისინი აშკარად და შეუნიღბავად გამოხატავენ ხაზგასმულად კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ებრაელთა მიმართ (ებრაული თემა ისეთი მწერლების შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ: ტიმოთე გაბაშვილი, იოანე ბატონიშვილი, გიორგი ავალიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ანტონ ფურცელაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, შიო არაგვისპირელი, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიცვიან ტაბიძე, მარიამ გარიყული, ირაკლი აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი..., მიზანმიმართულადაა განხილული ჩემს წიგნში – „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“ [1. 3-338].

წინამდებარე ნარკვევის მიზანია, ამჯერად კონკრეტულად იქნეს გაანალიზებული მეოცე საუკუნის პირველ მესამედში ქართული პრესის ფურცლებზე ებრაულ თემატიკასთან დაკავშირებით იმხანად მოღვაწე მწერალთა მიერ გამოქვეყნებული მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტები, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება მათი

ავტორების საზგასამულად კეთილგანწყობილ დამოკიდებულე-  
ბაზე ჩვენს ქვეყანაში უძველესი დროიდან დამკვიდრებული  
ებრაელობისადმი.

საანალიზო პერიოდის ჩვენს მწერლობაში ებრაულმა თე-  
მამ ძირითადად ორი უმთავრესი მიმართულებით პოვა გამოფ-  
ლინება – პირველი, ებრაელი ხალხის უძველეს ისტორიულ  
წარსულთან დაკავშირებული ბიბლიური ეპიზოდების მხატ-  
ვრული ხორცშესხმითა და, მეორე, ქართველ ებრაელთა თა-  
ნადროული ყოფითი პრობლემების წარმოსახვის მცდელობით.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური ამბების ზემოთ აღნიშ-  
ნულ მონათხრობში სიუჟეტური თვალსაზრისით ახალი თით-  
ქმის არაფერია, მათი ავტორები მაინც ახერხებდნენ, ეს ყვე-  
ლაფერი საკუთარი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მრწამსის გა-  
მომხატველ ეფექტურ საშუალებად გამოეყენებინათ. ამ თვალ-  
საზრისით ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ბიბლიური  
ეპიზოდების შემოტანის საფუძველი ხშირად ორი უმთავრესი  
მიზანსწრაფვა ხდება: პირველი, ებრაელი ხალხის ბიბლიური  
წარსულის რომანტიკული განდიდება და მეორე, ქართულ სი-  
ნამდვილესთან ამ მოვლენების სიმბოლურ-ალეგორიული მისა-  
დაგებით ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების კიდევ  
უფრო მეტად განმტკიცება.

ზემოთქმულის თვალსაზრისით, ქართველ მწერალთა ბევ-  
რმა წარმომადგენელმა განსაკუთრებული ყურადღების საგ-  
ნად სავსებით ბუნებრივად აქცია ეგვიპტელთა ტყვეობიდან  
ებრაელთა თავდასხნის ფართოდ ცნობილი ბიბლიური ეპიზო-  
დი. ამ ამბის მხატვრული ხორცშესხმით ისინი არა მარტო ებ-  
რაელთა გმირულ სულსა და ეროვნულ ქედუხრელობას ასხამ-  
დნენ ხოტბას, არამედ რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ  
მგმინავი ქართველი ხალხის ცნობიერებაშიც ცდილობდნენ  
ანალოგიური გრძნობის გაღვივებას.



მაგალითად, გაზეთ „თემის“ 1913 წლის 141-ე ნომერში გა-  
მოქვეყნებულ **დ. ასკანელის** ლეგენდაში – „ასე იყო და ასე იქ-  
ნება“ რომანტიზებული ფორმითაა მოთხრობილი მონობიდან  
თავის დასახსნელად ებრაელთა გაქცევის ამბავი. კერძოდ, ეგ-  
ვიპტიდან გამოქცეული ებრაელები ზღვის ნაპირას შეჩერ-  
დნენ. სასონარკვეთილებაში ჩავარდნილმა ლტოლვილებმა  
ალარ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ – წინ მრისხანე ზღვა ბო-  
ბოქრობდა, უკნიდან კი ეგვიპტელთა ჯარი მოსდევდათ. ასე  
რომ, „წინ სიკვდილი იყო, უკან – მონობა“.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნის მიზნით,  
ისრაელთა თორმეტივე ტომის ბელადმა სასწრაფო თათბირი  
გამართა. ორმა ჭალაროსანმა წინამძღოლმა ამ უკიდურესად  
მძიმე მდგომარეობიდან თავდასახსნელად ყველაზე გამარ-  
თლებულად ეგვიპტელებთან მორიგება მიიჩნია. მათი თქმით,  
„იქ, სადაც ხელები სუსტობენ, გონებას უნდა მოვუხმოთ. იქ,  
სადაც ახალგაზრდული მამაცობა და თავგანწირვა ჰქრება,  
ადგილს იჭერს სიბრძნე მოხუცებულობისა... სასტიკია ფარაო-  
ნი, მაგრამ შეუბრალებელია ზღვა. საშინელია ბორკილი, რო-  
მელშიც ეგვიპტელები გვიპირებენ ჩაჭედვას, მაგრამ ზღვის  
ტალღები უფრო საშინელნი არიან... ყოველთვის ნაკლები ბო-  
როტება უნდა ავირჩიოთ. დავიწყოთ მოლაპარაკება ეგვიპტე-  
ლებთან. მორჩილებით და მოთმინებით ჩვენ კვლავ დავიმსა-  
ხურებთ ეგვიპტელების ნდობას“.

ზემოთქმული სიტყვების წარმომთქმელნი ამ გზით თანა-  
მემამულეებს, ფაქტობრივად, მონობასთან შეგუებისაკენ მოუ-  
წოდებდნენ. სამწუხარო ამ შემთხვევაში ისიც იყო, რომ მათმა  
ამგვარმა მონოდებამ ხალხი შეარყია, რითაც ავტორმა იმაზეც  
მიგვანიშნა, ამ საბედისწერო სიტუაციაში ლტოლვილთა შო-  
რის ერთსულოვნება რომ არ სუფევდა და მტერთან სამკვდრო-  
სასიცოცხლოდ შესაბრძოლებლად ისინი მზად არ იყვნენ.

აი, სწორედ უკიდურესად მძიმე ამ სიტუაციაში მოუვლინა ხალხს ღმერთმა ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელ წინამძღოლად მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც ებრაელებს ღვთისგან შთაგონებული სიტყვებით შემდეგნაირად დაუხასიათა არსი შექმნილი მდგომარეობისა: „ღმერთმა უბოძა ადამიანს ორი საჩუქარი: სიკვდილი და მონობა. სიკვდილი მსწრაფლ გასწყვეტს ყველა ძაფებს ჩვენი ცხოვრებისას. მონობა კი წვეთ-წვეთობით, მთელი წლოვით გამოსწოვს მისგან სიცოცხლეს. რატომ უფრთხით სიკვდილს... უმჯობესია მტერმა ჩვენი ლემები დაინახოს, ვიდრე ცოცხალნი მათ ფეხთა ქვეშ მფორთხავნი ზღვის ტალღებმა ჩაგვყლაპონ ჩვენ, სანამ ჩვენი წინამძღოლნი თავიანთი ჭალარა თმებით დაუნმენდდენ ფეხსაცმელებს ეგვიპტელებს.

გაბედულად ზღვისკენ! გმირებს, გაბედულებს, ცაც ეხმარება და შესაძლებელია სასწაულიც მოხდეს!

და აღილო მოსემ თვისი კვერთხი“.

მოსეს მიერ წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა მის კვერთხს მართლაც შესძინა ღვთაებრივი ძალა და გაოგნებული ხალხი სასწაულის უშუალოდ თვითმხილველი გახდა: აბოხოქრებული ზღვა უეცრად შუაზე გაირღვა და ებრაელებს გზა გაუხსნა. ამ სასწაულით აღგზნებული ყმანვილები გაბედულად მიისწრაფოდნენ წინ და „სტიქიონში ეძებდნენ მონობისაგან ხსნის გზას. ტალღები მათ წინაშე უკან იხევდნენ... სტიქიონი გზას უთმობდა გაბედულებას...“.

ასეთია ამ ჰეროიკული ლეგენდის სიუჟეტური ქარგა, მკითხველისათვის კარგად ცნობილი ამ ბიბლიური ეპიზოდის ავტორისეული მონათხრობი, რომელშიც რომანტიკული მგზნებარებითაა აღწერილი ებრაელთა განთავისუფლება ეგვიპტელთა მონობისგან. მოთხრობის სათაურად გამოტანილი სიტყვებით („ასე იყო და ასე იქნება!“), რომელიც ნაწარმოებისთვის წერტილდამსმელ წინადადებადაცაა ქცეული, ადვილად

შესაცნობი ფორმით გამოიკვეთა ავტორისეული სათქმელის უმთავრესი არსი: მონობის კირთებისაგან განთავისუფლები-სათვის თავგანწირვით მებრძოლ ერს ღმერთი არასოდეს განი-რავს და მუდამ მოუვლენს მოსეს მსგავს წინამძღოლს. ამ მა-რადიული ბიბლიური ჭეშმარიტების შეხსენებით ავტორმა რუ-სული კოლონიალიზმის კირთებქვეშ მგმინავ ქართველ ერს არაპირდაპირი გზით კიდევ ერთხელ მოუწოდა მტრის წინააღ-მდეგ გამირული ბრძოლისა და ქედუხრელობისაკენ.

ებრაელთა უძველესი ისტორიიდან ამ და მსგავსი ეპიზო-დების გახსენების უმთავრესი მიზანი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცება რომ იყო, ეს ამ თემაზე დანერილ ნაწარმოებებში ზოგჯერ პირდაპირ, ყოველგვარი შენიღბვის გარეშეცაა ნათქვამი. აღ-ნიშნულის დასტურად გავიხსენებ **სანდრო შანშიაშვილის (1888-1979 წწ.)** მინიატურას „მოსე“ [14. 9], რომელშიც ასეთი ამბავია მოთხრობილი:

გზად მიმავალმა მოსემ მოულოდნელად დაინახა, ეგვიპტე-ლი ბატონი როგორი გამეტებით სცემდა ებრაელს. მოსეს შე-კითხვაზე, რატომ იქცეოდა იგი ასე, ეგვიპტელმა განაცხადა: „ჩემი მონაა!.. ერთგულად არ მუშაობს... ცუდლუტობს“. ეგ-ვიპტელი ბატონის ამგვარ ბარბაროსულ ქმედებას, მისივე თქმით, საფუძვლად ისიც ედო, რომ მისი მონა ებრაელი იყო. მონისადმი მოსეს გამოსარჩლებით აღშფოთებული ეგვიპტელი მოსეს მეამბოხეს უწოდებს, ეგვიპტელთა მბრძანებლის მიერ დაწესებული სახელმწიფო კანონის დამრღვევს, და ებრაელე-ბისადმი თავის სიძულვილს ამ სიტყვებით გამოხატავს: „ჩვენ-მა მბრძანებელმა დაიპყრო ებრაელები და მათ ჩვენთვის უნდა ღვარონ ოფლი... შენ მაგას ესარჩლები და მით სახელმწიფო კანონს არღვევ. შენც ებრაელი ხარ... მბრძანებლის წინააღ-მდეგ მიდიხარ. მეამბოხე ხარ... ებრაელები მონები ხართ... და-გიპყარით და ჩვენს ნებაზე უნდა იართო“. ეგვიპტელის ამგვა-

რი საქციელით აღშფოთებულმა მოსემ იგი სიცოცხლეს გამოა-  
სალმა და ებრაელი მონა გაათავისუფლა.

ამ რომანტიკული ამბის მოთხრობის უმთავრესი მიზანი ქართველ ხალხშიც იმავე სულისკვეთების გაღვივების სურვილი რომ იყო, რითაც მოსე მის მიერ დაჩაგრულ მოძმეს გამოე-  
სარჩლა, ეს ნათლად ჩანს იმ მინაწერით, რითაც ს. შანშიაშ-  
ვილმა თავისი მინიატურა დაასრულა: „გენიოსი მოსე დაჩაგ-  
რულს და შეურაცხყოფილს მამულიშვილს გამოესარჩლა, მაგ-  
რამ ჩვენ კი?.. ჩვენ ერთმანეთი გვძულს და იმის მაგიერ, რომ  
საერთო მტერს გავუთხაროთ შავი სამარე, ჩვენს თავსვე  
ვუთხრით!.. ნეტავ ვიცოდე, გონს როდის მოვალთ?!“.

ეგვიპტელთა მონობისაგან ებრაელთა განმათავისუფლებე-  
ლი ლეგენდარული გმირის განსაზღვრებად დაწერილ ნაწარმო-  
ებთაგან აქ **თედო რაზიკაშვილის (1869-1912 წწ.)** პოემა „მოსეს  
სიკვდილიც“ [9, 5-6] მინდა გავიხსენო. პოეტის შეფასებით, მოსე  
„ისრაელთ სჯულის მდებელი“ ის ადამიანი იყო, რომელმაც წარ-  
მატებით მოიხადა თავისი ამქვეყნიური ვალი. მიუხედავად იმი-  
სა, რომ იგი აღთქმულ მიწაზე დაბრუნებას ვერ ეღიროსა, მან უმ-  
თავრესი რამის გაკეთება მაინც შეძლო – თანამემამულეთა გა-  
მოსხნა ეგვიპტელთა ტყვეობისგან. და აი, აღსასრულის ჟამს  
ღვთისკენ ხელგაპყრობილი მოსე უფალს ერთადერთ რამეს  
შესთხოვდა – ისე არ მოეკლა, სათაყვანებელი სამშობლოს ნახვა  
და იქ დასაფლავება რომ არ ღირსებოდა:

სჯულის მდებელი ცრემლთ დაღვრით ითხოვდა პატიებასა,  
ითხოვდა აღთქმულ ქვეყნისა დანახვით მაინც შვეებასა,  
ნუთუ ცაც თავის რჩეულსა აღარ მისცემდა ნებასა,  
რომ სიკვდილის ჟამს შობილი ენახა მაინც დედასა.  
უკანასკნელი ძვალეები მიეღო წმინდა მდელოსა,  
იმის საფლავი ზაფხულსა მწვანე სამოსით ემოსა.  
და შემოქმედი ისრაელთ წმინდა საფლავზე ელოცა.

ებრაელი ხალხის ამ ლეგენდარული წინამძღოლის მამუ-  
ლიშვილური ღვაწლის პოეტური განდიდებით თ. რაზიკაშვილ-  
მა ეროვნული თავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლი  
გმირის იდეალიზებული სახეც შექმნა. ერთადერთი სიმდიდრე,  
რომელიც დევნილობაში სიცოცხლედსრულებულ ამ ლეგენ-  
დარულ პიროვნებას ჰქონდა, პოეტის თქმით, მხოლოდღა  
„ღვთის სიტყვა და მალღით მოსიღი გონება“ იყო. ამ ღვთაებ-  
რივი შთაგონების ძალით მოსეს სიცოცხლის უმთავრეს არსად  
ქცეული ცხოვრებისეული მიზანსწრაფვა პოემაში შემდეგნაი-  
რადაა გამოხატული:

მის სარჩო იყო ღვთის სიტყვა, მალღით მოსიღი გონება,  
მონობისაგან გამოხსნა, აღთქმული ქვეყნის ქონება,  
გზა-დაკარგულის ცხოვარის ღვთის გზაზედ გამობრუნება.

როგორც ითქვა, მოსემ წარმატებით მოიხადა თავისი ამ-  
ქვეყნიური ცხოვრებისეული ვალი და მშობელი ერი მტრის მო-  
ნობისაგან გამოიხსნა. აღთქმული მიწისაკენ თანამემამულეებ-  
თან ერთად მიმავალ მოსეს სამშობლოში დაბრუნება, სამწუხა-  
როდ, არ დასცალდა და მშობელი ქვეყანა მან სიკვდილის წინ  
მხოლოდ სიზმარში იხილა. მომაკვდავი გმირი „შეფრფინვით  
შესცქეროდა აღთქმულ მხარეს“ და „მსხვიღი და ცხელი ცრემ-  
ღები უღპობდნენ დამჭკნარ ღანვებს“.

ასე ნატვრააუსრუღებღად განეშორა მოსე მიწიერ სამყა-  
როს, რის შედეგადაც „ღეში ძირს დარჩა და სულმა თავის სამ-  
ყოფელს გაჰრიდა“. მაგრამ სახელი, რომელიც მან ამქვეყნად  
დატოვა, თ. რაზიკაშვიღის შეფასებით, მარადიულად იცოცხ-  
ღებდა, როგორც უკვდავი სიმბოლო თავისუფღებისაკენ და-  
უცხრომელი ღტოღვისა:

სახელს კი აბა რა მოჰკღავს, კაციც რომ მოჰკვდეს რჩეული,  
ისევე ცოცხალი მგონია, მხოლოდ არა აქვს სხეული.

თვაღით ვერ ვხედავთ, მგვრგვინავი სიტყვა კვღავ  
გვესმის ფრქვეული...

მის სახლი ყველას გულშია სურვილით აშენებული  
და კაცთ სიცოცხლე სამუდმოდ იმისგან დამშვენებული!

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ებრაელი ხალხის ბიბლიური ისტორიის ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებში ეროვნულ პრობლემათა წინა პლანზე წამოწევიტ მათი ავტორები არა-პირდაპირი გზით საქართველოში არსებულ ვითარებასაც წარმოსახავდნენ, რითაც ქართველი ერის პატრიოტული თვითშეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებასაც ისახავდნენ მიზნად. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად მრავალი კონკრეტული მაგალითის მოტანა შეიძლება საანალიზო პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან. მათში უდიდესი ადამიანური თანაგრძნობითაა აღწერილი ის ტრაგიკული მოვლენები, რომელთაც ებრაელები მშობლიურ ნიაღს მონყვიტეს და მსოფლიოში მიმოფანტულ დევნილებად აქციეს.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვიტ, რომ ებრაელი ხალხის მარად დაუცხრომელი ეს ეროვნული ტკივილი ქართველებზე უფრო დიდი ადამიანური თანაგრძნობითა და ჭირმოზიარეობით იშვიათად თუ გამოუხატავთ სხვა ხალხთა წარმომადგენლებს. ასე რომ, საკუთარი სამშობლოს დაქცევა-გაპარტახების გამო საუკუნეთა მანძილზე მწარედ აგოდებული ებრაელების ცრემლთა უწყვეტ ნაკადს ქართველი კაცის თვალთავან დანადენი თანადგომის ცრემლიც მატებდა ძალასა და ხმეერებას.

ნათქვამის დასტურად აქ **იროდიონ ევდოშვილის (1873-1916 წწ.)** შემოქმედების გახსენებაც იქნება საკმარისი. მაგალითად, 1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ სურათებიანი და მატების 42-ე ნომერში დაბეჭდილ ლექსში – „ტირილი ებრაელისა“ პოეტმა ებრაელი ხალხის ტრაგიკული ისტორიის უმთავრესი მომენტების გახსენებით მკითხველი კიდევ ერთხელ გახადა იმ დიდი ეროვნული ტკივილის თანამონანილე, რომელიც ყველა დროისა და ეპოქის ებრაელობისათვის მარადიული გლოვისა და ნუხილის საგნადაა ქცეული. ი. ევდოშვილის ლექსის ემოციურ

სიმძაფრესა და გულწრფელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ებრაელთა ეს დიდი ეროვნული ტკივილი ნაწარმოებში თავად ებრაელების მიერაა მოთხრობილი. ისინი ცრემლიანი ხმით ყვებიან მათი ცხოვრების ბედისწერად ქცეულ იმ მოვლენებზე, რომელთაც საუკუნეთა წინათ მშობლიური მიწიდან განდევნილი ებრაელობა უსამშობლოდ დატოვეს და ქვეყნიდან ქვეყანაში მოხეტიალე ხალხად აქციეს [6:5]:

კიდითი-კიდე მთელი ქვეყნისა, უცხოთა შორის  
უცხონი მარად,  
დატანჯულები, დაქსაქსულები, გზადაბნეულნი  
დავძრნით მთა-ბარად.  
დავძრნით, თან დაგვაქვს სევდის ფიალა, ზიზლი  
გვაცილებს, ზიზლი გვიხვდება,  
და ცრემლი მოგვაქვს შენთან, სიონო, რომ დავიტიროთ  
შენი დიდება.

როგორც ვხედავთ, ი. ევდოშვილის მიერ წარმოსახულ ებრაელთა ამ პოეტურ გოდებაში თუმცა ფრაგმენტულად, მაგრამ უღრმესი ადამიანური თანაგრძნობით იკვეთება ებრაელთა ტრაგიკული ისტორიის უმთავრესი კონტურები. ერთადერთი უწმინდესი სიმდიდრე, რომელიც ებრაელებს დაკარგული სამშობლოს სანაცვლოდ შემორჩენიათ, წინაპართა აკლდამები და ძველი დიდების ნანგრევებია. ამ უძვირფასესი მემკვიდრეობის პატრონად ქცეულ „ეულ და მანანალა ერს“, რომელსაც ყველგან წყევლა-კრულვით ხვდებოდნენ, სირცხვილის ალი წვავდა იმის გამო, რომ „სიონის გულზე ფეხი სხვას ედგა... ებრაელი კი მისი მფლობელის მხოლოდ ბუში და ჩრჩილი“ იყო.

ამ ამბით თავზარდაცემული ებრაელები მარადიულად სათავანებელ იერუსალიმს კიდევ ერთხელ აძლევდნენ ერთგულების ფიცს და ხმამაღლა ოცნებობდნენ იმ დღეზე, როცა ძველი სიონის ნანგრევებთან მისვლა ეღირსებოდათ და პატივაც-

რილი სამშობლოს ძველ დიდებას „ცრემლების ღვართი“ გამო-  
იტირებდნენ:

იერუსალიმ! იერუსალიმ! სად არის შენი ძველი დიდება?  
აქ გაისმოდა წინწილ-ებანი, დიდი ელოვას ქებათა ქება;  
აქ შენს ქედებზე დავითის ქნარი უკრავდა ფსალმუნს  
გულ საალერსოს,  
ან სადღა მივდვით მოლლილი თავი, ან გულმა სადღა  
ამოიკვნესოს!  
ოხ, კმარა, კმარა! თვით ოკეანე რომ ჩავიყენოთ  
ცრემლად თვალეებში,  
მუდამ ნუგეშად ესლა გვშთენია: სხვის ქვეყანაში,  
უცხონი მარად,  
შენს ნანგრევებთან მოვდივართ, სიონ, რომ  
გადავიქცეთ ცრემლების ღვარად!

მაგრამ ებრაელი ხალხის ტრაგიკული ისტორიული ხვედ-  
რის ამგვარი გააზრება სულიერ პესიმიზმად კი არ გარდაიქ-  
მნება, არამედ, პირიქით, ეროვნული თვითშეგნებისა და საბ-  
რძოლო სულისკვეთების კიდევ უფრო მეტად განმამტკიცე-  
ბელ იმ ძალად იქცევა, რომელმაც ოცდაექვსი საუკუნის წინათ  
მშობლიური მიწიდან აყრილ და გამოდევნილ ერს კვლავ უნდა  
დაუბრუნოს ძველი დიდება და სახელმწიფოებრივი ძლიერება.  
აი, როგორ გამოხატავს ამ თვალსაზრისს ი. ედოშვილი 1915  
წელს დაწერილ ლექსში „ისმინე, ერო ისრაელისა!“ [6:4]:

ჩვენო ეფერატო, ჩვენო ტიგროსო, მთლად არ გამქრალა  
ისრაელთ კვალი,  
ჩვენ ისევ თქვენსკენ მოგვიწევს გული, ჩვენ ისევ  
თქვენზე გვიჭირავს თვალი.  
კბილი კბილის წილ! თვალი თვალის წილ!  
მით აპეურნი გავწყვიტოთ მტერის:  
კვლავ მოსეს მცნება იხსნის ისრაელს,  
ისმინე, ერო ისრაელისა!



არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ი. ევდოშვილის დამონმებული ლექსის პათოსი და სულისკვეთება ზუსტად გამოხატავს ჩვენი ქვეყნის სახელოვან მამულიშვილთა აქტიურ თანადგომასა და მხარდაჭერას ებრაელი ხალხისადმი, რომელსაც იმხანად უკვე რეალურად ჰქონდა დანყებული ბრძოლა საუკუნეთა წინათ დაკარგული ისტორიული სამშობლოს დასაბრუნებლად.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო და ზემოთქმული თვალსაზრისით ი. ევდოშვილი გამონაკლისს არ წარმოადგენდა, ამას იმ პერიოდში მოღვაწე სხვა მწერალთა ნაწარმოებებიც ნათლად ადასტურებს. მაგალითად, **ალექსანდრე აბაშელი (1884-1954 წწ.)** ებრაელი ხალხის სულიერ გაუტეხლობასა და გამორჩეულად მნიშვნელოვან როლს კაცობრიობის ისტორიაში შემდეგნაირად გამოხატავდა:

ერო დევნილო, ძველო ისრაელ, „პირველ მცნებათა“  
კანონმდებლო!  
სინას მთის ელვის მოგაქვს ისარი, თვით „დაბადების“  
დამბადებლო!  
შენს მიერ შექმნილ ღმერთს უტოლდები, შენი გოლგოთაც  
მისი სწორია,  
შენი ცრემლით და მწარე გოდებით ამოვსებული სდულს  
ისტორია.  
საკუთარ სახლის ძლეული მცველი ინახავ კერის დიდ  
წყურვილს ახლაც,  
მტერმა სამშობლო წაგართვა ძველი, მაგრამ შენ ხედავ  
სამშობლოს ახალს.

როგორც დამონმებული ტექსტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ქართველი ხალხი გულწრფელი თანამონაწილე აღმოჩნდა იმ დიდი ეროვნული ტკივილებისა, რითაც ებრაელთა სისხლიანი ისტორია იყო სავსე.

ებრაელთა ეროვნული პრობლემებით ქართველ მწერალთა ესოდენი დაინტერესება კი ეპიზოდურ მოვლენას არ წარმოადგენდა და საკმაოდ ფართო მასშტაბებს მოიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მწერლობის თემატური თვალსაზიერით ლოკალური მასშტაბებით შემოფარგლული არასოდეს ყოფილა და ქართველი მწერლები სხვა ხალხების საჭირობებზე პრობლემებითაც იყვნენ აქტიურად დაინტერესებული, ებრაელი ერის მიმართ მათ მიერ გამოვლენილი ყურადღება ამ შემთხვევაში მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ებრაელი ხალხის ისტორიიდან ქართველი მწერლები ყველაზე ხშირად იმ ტრაგედიას იხსენებდნენ, რის შედეგადაც ბაბილონელების მიერ აკლებული ებრაული სახელმწიფო ნანგრევებად იქცა, წინაპართა ფუძიდან აყრილი ებრაელი ერი კი ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში დარჩა უსამშობლოდ. საანალიზო პერიოდის ქართული მწერლობის ბევრი წარმომადგენელი ამ ტრაგიკულ მოვლენას ღვიძლი ეროვნული ტკივილივით განიცდიდა. მაგალითად, **სანდრო შანშიაშვილის** „ფსალმუნის“ [11:3] წაკითხვით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მდინარე ბაბილონის პირას სამშობლოს ტრაგიკული ბედის გამო მწარედ აგოდებულ ებრაელთა შორის თავად პოეტიც იჯდეს და დასტიროდეს ებრაული სახელმწიფოს დასამარებას:

ბაბილონისა მდინარის კიდეს მწარედ ვსტიროდით

სევდით მოცული,

რა ჟამს სიონი ჩვენ მოვიხსენეთ დამცირებული,

აოხრებული!..

მუნ არ ისმოდა ხმა საკრავისა, ძენსზე

დავკიდეთ საგალობელი,

რამეთუ წმინდა უფლის გალობით არ დამტკბარიყო

ჩვენთ წარმტყვეველნი!

ლექსში გამოხატულ ტკივილს მეტ სიმძაფრეს სძენდა ყოველი ჭეშმარიტი ებრაელის მიერ მარადიული ერთგულების ფიცად ქცეული იმ სიტყვების პოეტიზება, რომელთა მეშვეობითაც ისინი მათი ეროვნული თვითმყოფადობის საფუძვლად ქცეულ უნმინდეს ქალაქს – იერუსალიმს სიყვარულსა და ერთგულებას უდასტურებდნენ:

თუ დაგივინყო, იერუსალიმ, მაშ დაივინყენ ჩემი მარჯვენა!

უკეთუ მარად არ მოგიხსენო, ჩემსა სასასა აექვენ ენა!..

როგორც განხილული ნაწარმოებებიდანაც ნათლად ჩანს, ებრაულ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ძირითადად აშკარად გამოხატული კეთილგანწყობილების პოზიციებიდან ხდება. ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო ებრაელთა ისტორიული წარსულის ამსახველ ნაწარმოებებში ვლინდება, არამედ მათი თანადროული ყოფის დახატვის დროსაც.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში მიზანმიმართულად ხდებოდეს ებრაელთა მხატვრული სახეების იდეალიზება. რასაკვირველია, არა. ადამიანური კეთილშობილებით გამორჩეულ ებრაელთა გვერდით ჩვენს ლიტერატურაში მდებარე პიროვნული თვისებების მქონე ებრაელთა ტიპებიც შეიქმნა. მაგრამ არსებითი ამ შემთხვევაში ის არის, რომ მათი ადამიანური მანკიერებების განმსაზღვრელ ფაქტორად ამ პერსონაჟთა ეროვნული კუთვნილება კი არ არის ქცეული, არამედ – პიროვნული მანკიერებებით აღბეჭდილი მათი ბუნება. ამ თვალსაზრისით ისინი თითქმის არაფრით განირჩევიან მათივე მსგავსი ქართველი, სომეხი თუ სხვა ეროვნების ადამიანებისაგან.

ნათქვამის ნათელსაყოფად აქ **ნიკო ლომოურის (1852-1915 წწ.)** შემოქმედებიდან ორი კონკრეტული მაგალითი მინდა გავიხსენო – ცნობილი მოთხრობები: „ალი“ და „ყოველი მხრიდან“, რომლებშიც ორი ებრაელი პერსონაჟიცაა ეპიზო-

დურად გამოყვანილი – პირველში ხახამი გაბრიელა, მეორეში კი მევახშე შამუელი. ისინი მწერალმა საარსებო სახსრის მოსაპოვებლად ილაჯგანყვეტილი გლეხების შემავინროებელ პიროვნებებად გამოიყვანა, თუმცა მათი პიროვნული ბუნების ამგვარი კუთხით წარმოჩენა მათ ეროვნულ კუთვნილებასთან არანაირ კავშირში არ არის და ისინი იმჟამინდელი სოციალური უსამართლობის ისეთივე აქტიური თანამონაწილენი არიან, როგორც მათი ქართველი და სომეხი პარტნიორები.

როგორც საანალიზო პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდანაც ნათლად ჩანს, ებრაელ პერსონაჟთა უარყოფითი ტიპაჟის შექმნის უმთავრესი საფუძველი სოციალური ფაქტორებია განსაზღვრული და არა მათი ეროვნული წარმომავლობითა და სარწმუნოებრივი კუთვნილებით. ასე რომ, უარყოფითი ადამიანური თვისებების მქონე პიროვნებად ებრაელის გამოყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ებრაელია, ქართული მწერლობისათვის პრინციპულად მიუღებელი მოვლენაა. ერთადერთი, რითაც ქართველ მწერალთა მიერ დახატული უარყოფითი ებრაელი პერსონაჟები (ძირითადად ჩარჩ-ვაჭრები და მევახშეები) მოსახლეობის სოციალურად მჩაგვრელი ფენის ქართველი, რუსი და სომეხი წარმომადგენლებისაგან განსხვავდებიან, მათი ებრაელობაა. ამიტომაცაა, რომ ისინი ერთად არიან ჩაბმული ეკონომიკურად დაბეჩავებულ ადამიანთა ჩაგვრისა და ყვლეფის პროცესში.

იმ ადამიანურ ნაკლოვანებათაგან, რომლებიც ებრაული ყოფის ამსახველ ნაწარმოებებში ყველაზე მეტად იქცა კრიტიკული განსჯის საგნად, პირველ ყოვლისა, ებრაელთა ვაჭრული საქმიანობისათვის თანამდევნი წვრილმანი ცუდლუტობანი უნდა გამოვყოთ. ებრაელი ვაჭრების გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელი ეს ნეგატიური თვისებები არაერთმა მწერალმა წარმოსახა სატირულ-იუმორისტული ფორმით. მაგალითად, იუმორისტულ ჟურნალ „მათრახის“ 1916 წლის პირ-

ველ ნომერში დაბეჭდილ **პაოლო იაშვილის** ლექსში „სიმღერა მიხეილ მოშიაშვილისა“, ამგვარი სატირის ობიექტად ფქვილის „კაროლად“ წოდებული ებრაელი ვაჭარი მიხეილ მოშიაშვილი იქცა. ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმონებ ფრაგმენტს თავად მიხეილის „აღსარებიდან“:

მე ვარ „კაროლი“ ფქვილისა, მე ვარჩენ მთელსა ქუთაისს,  
მე რომ არ ვყავდე ქალაქსა, მაშინ დამშვედეს უნდა ის,  
... ვერავინ ვერას დამაკლებს, აქა მყავს ჩემი ილია,  
ის მე მენწევა, მე იმას, ჩემგნით აქვს ტკბილი ძილია.

მიუხედავად იმისა, რომ, ვაჭრის თქმით, ბოლო დროს მის „მახინაციებს“ გარკვეულწილად ფარდა აეხადა, იგი მომავლის იმედს მაინც არ კარგავდა, რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ დაწყებულ საქმეს ახლა მისი შვილები გააგრძელებდნენ მასზე არანაკლები წარმატებით, რადგანაც მათ მამაზე არანაკლებად იცოდნენ ხალხისთვის „ტყავის გაძრობა“!

როგორც უკვე ითქვა, ქართველ მწერალთა მიერ დახატულ ებრაელთა დიდი ნაწილი ვაჭრები არიან. ყოველდღიურ სავაჭრო ურთიერთობებში ებრაელთა როლის ამგვარი გამოკვეთით მართებულად გაესვა ხაზი იმ დიდმნიშვნელოვან როლს, რომელიც ქართველმა ებრაელებმა შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. ისინი ამ თვალსაზრისით არა მარტო წვრილმანი საქონლის ყიდვა-გაყიდვით იყვნენ დაკავებული, არამედ სხვა ქვეყნებთანაც ჰქონდათ აქტიური სავაჭრო ურთიერთობები დამყარებული. მაგალითად, **დემნა შენგელაიას (1896-1980 წწ.)** „სანავარდოში“ მოხსენიებულ ებრაელ ვაჭარს – ცხაკუნია მიხეილშვილს სამოქმედო არეალი იმდენადაც კი ჰქონდა გაფართოებული, რომ, მწერლის თქმით, მისი „ოქრო თვით სტამბულშიც წკრიალებდა“.

როგორც ცნობილია, **1928 წლის 10** მაისს ქუთაისის ებრაელთა უბანში გაჩენილმა ხანძარმა ასეულობით ადამიანი და-

ტოვა უსახლკაროდ. ხელისუფლების მიერ შედგენილი კომისიის დასკვნით, ამ ხანძრის შედეგად ქუთაისში 280 სახლი დაინვა. ამ რიცხვში არ შედიოდა პატარა ქოხები და სამზარეულოები. დაინგრა 44 შენობა, 184 ოთახი, სულ 525 ადამიანის საცხოვრებელი. დაიღუპა 10 კაცი, მძიმედ დაშავდა სამასამდე. ამათგან ზოგიერთი ფსიქიკურად დაავადდა (ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, 1996: 40).

ამ სამწუხარო მოვლენამ, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, მხატვრულ ლიტერატურაშიც პოვა სათანადო ასახვა. კერძოდ, ქუთაისის ხანძრის შედეგად ებრაელებისათვის თავსდატეხილი უბედურების ამსახველ ნაწარმოებთაგან მკითხველს მინდა შევახსენო იმ პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა რამდენიმე ნაწარმოები. მათგან **პაოლო იაშვილი (1892-1937 წწ.)** ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აღნიშნულ მოვლენას პოეტური სიტყვით გამოეხმაურა. მხედველობაში მაქვს ლექსი „ქუთაისის ხანძარი“ (1928 წ.), რომელშიც პოეტმა უღრმესი მწუხარება გამოხატა ამ ტრაგედიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ხუთი ათასი ებრაელის უმძიმესი მდგომარეობის გამო. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმონმებ ფრაგმენტს ლექსიდან:

მესმის ზრიალი ებრაელების, მთელი გოდება ხანძრიან ქარში;  
ათრთოლებული მათი ხელები გამოეთხოვა ფართალს  
და არშინს.

ათი წელია იხვედა უკან დღეს განწირული მათი ხელობა,  
ახლა ხანძარმა ნარმიან დუქანს გამოასალმა ებრაელობა.

ებრაელებისათვის თავსდატეხილ ამ უბედურებას პ. იაშვილი საქვეყნო ტრაგედიად მიიჩნევდა და არა მხოლოდ უბრალო თანაგრძნობას უცხადებდა მის ებრაელ თანამემამულეებს, არამედ იმასაც დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ მათი მწუხარება მთელი ჩვენი საზოგადოებისთვისაც ნილხვდომილი ტკივილი იყო: „მე ცეცხლში ასეთ გოდებას ვისვრი, მაგრამ

მეტია ბედზე მდურება, რა ვქნათ, მაგარ და შეჩვეულ კისრით ვზიდოთ ახალი უბედურება“.

ებრაელთა უბანში მომხდარ ხანძარს **გალაკტიონ ტაბიძეც (1891-1959 წწ.)** გამოეხმაურია იმავე წელს დაწერილი ლექსით „ცეცხლი ქუთაისში“. მართალია, პოეტს მასში ამ ტრაგიკული მოვლენის დეტალები დაკონკრეტებული არ აქვს, მაგრამ მაინც აშკარად ნათელია, რომ ხსენებული ნაწარმოები სწორედ ებრაელთა დასახლებაში დატრიალებული უბედური შემთხვევისადმია მიძღვნილი. ნათქვამის დასტურად გავიხსენებ ფრაგმენტს ლექსიდან:

გუშინ რა ცეცხლი სწავდა ქუთაისს! დღეს რომ  
ტფილისსაც სწვედეს იგი ალი,  
ჩვენი გული გრძნობს ცეცხლიან მაისს და ცრემლებს  
მაინც არ დაღვრის თვალი.  
ჩვენ მოვაშურებთ დამწვარ სადგურებს, გულს არ ჩაიდო  
შიში და კრთომა,  
რასაც დღეს ცეცხლი გაანადგურებს, ხვალ  
გულდაგული აღადგენს შრომა.

საბჭოთა პერიოდში ებრაულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების დიდი ნაწილი იმდროინდელი ჩვენი მწერლობისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი იდეოლოგიური ტენდენციურობით გვიჩვენებს ებრაელთა მონაწილეობას შრომითი აღმშენებლობის იმ პროცესში, რომელიც სოციალისტურმა ხელისუფლებამ დაამკვიდრა ჩვენს ქვეყანაში. ნათქვამის დასტურად აქ პ. იაშვილის ლექსი – „ებრაელების დასახლება კოლხიდაში“ მინდა გავიხსენო, რომელშიც პოეტური ხოტბის საგნად კოლხეთის დაჭაობებული მიწების ასათვისებლად 30-იან წლებში დაწყებული საქმიანობაა ქცეული. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო კონტრასტულად დაანახოს ძველ ყოფასა და ახალ ცხოვრებას შორის არსებული მკვეთრი განსხვავება, ლექსის პირველ ნაწილში პოეტი განზოგადებული სახით ცდილობს გვიჩვენოს ებ-

რაელთა ადრინდელი ყოფითი სინამდვილისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ეკონომიკური სიდუხჭირე:

არ გახარებდა ღარიბი გეტო, არ გიცხოვრია

სულის მშვიდობით,

ბუხრის მაგიერ სანთელი გენტო და ლოცვების

წინ თითებს ითბობდი.

მოიხედავდი – დგებოდა უკან მშობელი ხალხის

წამება წინათ,

ღამით პატარა სანავთე დუქანს გადააქცევდი

დილამდე ბინად.

და დილით სანყალ ქონების გუშავს გიცქერდა

ყველა ტანჯული სახით;

კალთას ახვევდი საეჭვო მუშტარს, რომ პირველ

სიფთით გაგელო დახლი.

ერთადერთი ძალა, რომელიც, პოეტის აზრით, ეკონომიკური სიდუხჭირის უმწეო მსხვერპლად გამხდარ ებრაელს ტვირთს უმსუბუქებდა, ღვთაებრივი რწმენა იყო, ცხოვრების ულმობელობის გამო მეტოქედ ქცეულ მოძმესთან შემრიგებელი და ოჯახში ბედნიერების შემომტანი ღვთაებრივი რწმენა:

ჩამოგივლიდა მეტოქე ქორად, თვითონ ღარიბი,

და ნიშნს გიგებდა,

მაგრამ საღამოს მდუმარე თორა დილამდე

თითქოს შეგარიგებდათ.

წვრილი შვილებით ავსილი კაცი წლიდან

წლობამდე ცხოვრობდი ასე,

და ბედნიერი იყავ, თუ მაცით გაითენებდი

ოჯახში პასექს.

პაოლოს წარმოსახვით, საუკუნეთა განმავლობაში სწორედ ასეთი ტანჯვა-წამებით ცხოვრობდა ქართველი ებრაელი, რომლის ამქვეყნიურ არსებობას დაუცხრომელი ოცნების საგნად ქცეული და „წამებულ მხარედ“ სახელდებული შორეული



სამშობლოს მონატრებაც აძლევდა სიცოცხლის აზრს. ყოველივე ამის გახსენების უმთავრესი მიზანი იმ კონტრასტული ფონის შექმნის მცდელობა იყო, რომელიც იდეოლოგიური ტენდენციურობით წარმოაჩენდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1930-იან წლებში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიურ მხარეებს. კერძოდ, სარეცენზიო ლექსით პოეტმა სწორედ ზემოთ ხაზგასმული ტენდენციურობით განაღო იმხანად კოლხეთის დაბლობზე ქაობების დასაშრობად ფართოდ გაჩაღებული სამუშაოები.

პ. იაშვილი აღფრთოვანებით საუბრობდა იმაზე, რომ ამ პროცესში აქტიური ჩართვით საუკუნეთა მანძილზე ეკონომიკური სიდუხჭირის მსხვერპლად ქცეულმა ქართველმა ებრაელებმა შეძლეს ნანატრი ცხოვრებისეული ბედნიერების მოპოვება, რაც, ფაქტობრივად, მათივე დიდი შვილის, ხალხის ბედნიერებისათვის სიჭაბუკეშივე ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი რევოლუციონერის – იცკა რიჟინაშვილის რევოლუციური ოცნების აღსრულებას მოასწავებდა.

როგორც მკითხველი უკომენტაროდაც მიხვდება, ავტორისეული თვალთახედვის ასეთი ფორმით გამოხატვა მთელს ქვეყანაში იმჟამად უკვე ფართოდ აღზევებული იდეოლოგიური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო, რაც მოვლენათა ცალმხრივი ტენდენციურობით განსჯა-შეფასების ტიპურ გამოხატულებას წარმოადგენდა.

ქართველ ებრაელთა ბედით ქართული მწერლობის წარმომადგენელთა დაინტერესება არა მარტო მათ შემოქმედებაში პოულობდა გამოვლინებას, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაშიც. იმ მწერალთაგან, რომელთაც XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ამ თვალსაზრისითაც გააკეთეს ბევრი რამ, უსათუოდ უნდა დავასახელოთ **ია ეკალაძის** ფსევდონიმით ცნობილი მწერალი და რედაქტორ-გამომცემელი **იაკობ ფანცხავა (1872-1933 წწ.)**.

ებრაული პრობლემებისადმი ინტერესი ყველაზე მეტად მან 1915-1917 წლებში, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორობის პერიოდში, გამოავლინა. ქუთაისში გამომავალი ეს გაზეთი, ფაქტობრივად, პირველი ქართული პერიოდული ორგანო იყო, რომელმაც ქართველ ებრაელთა იმჟამინდელ ეროვნულ და კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემათა განსჯა-განალიზება განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცია. გაზეთის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ქართველ ებრაელ პუბლიცისტთა პირველმა თაობამ, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი დავით ბააზოვი იყო, სწორედ მის ფურცლებზე აიდგა ფეხი.

ია ეკალაძის თქმით, გაზეთი „სამშობლო“ „პირველი ქართული ბეჭდვითი ორგანო იყო, რომელმაც ქართველ ებრაელებს თავისი ფურცლები დაუთმო და საშუალება მისცა მათ თამამად გამოეთქვათ თავიანთი აზრი. რაბინი ბააზოვი, ნორა, ნათან ელიაშვილი, მ. ფიჩხაძე და სხვანი პირველი მერცხლები იყვნენ ქართველ ებრაელთა გამოღვიძებისა და გამოფხიზლების მაჩვენებლები“ [6].

ქართველ ებრაელთა საჭირობოროტო პრობლემებით ია ეკალაძის განსაკუთრებულ დაინტერესებას საფუძვლად ის დიდი პატივისცემა ედო, რომელიც მას ებრაელობის მიმართ ჰქონდა. თავის მხრივ კი ეს პატივისცემა, მწერლის თქმით, იმ უდიდესი წვლილით იყო განპირობებული, ებრაელებმა რომ შეიტანეს მსოფლიოს სულიერ საგანძურში. კერძოდ, კაცობრიობას სწორედ მათ მისცეს „იდეა ერთ-ღმერთობისა, მისცეს იდეა მართლმსაჯულებისა, მისცეს დიდებული წინასწარმეტყველები, დიდებული მამულიშვილნი მოსე, ისაია, დანიელი, იერემია, სოლომონ ბრძენი და სხვანი. მისცეს თვით იესო ნაზარეტელიც კი“.

ებრაულ პრობლემებთან დაკავშირებით „სამშობლოში“ გამოქვეყნებული წერილების ქართველი და ებრაელი ავტორები

არა მარტო თეორიულად მსჯელობდნენ იმჟამინდელ ქართველ ებრაელთა წინაშე მწვავედ მდგარ საჭირბოროტო პრობლემებზე, არამედ მათი პრაქტიკული გადაწყვეტის გზებსაც ეძებდნენ აქტიურად. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად აქ ის პოლემიკა მინდა გავიხსენო, რომელიც 1910-იანი წლების მეორე ნახევარში გაიმართა დავით ბააზოვსა და ქუთაისელ ებრაელთა რაბინ რ. ელუაშვილს შორის. უმწვავესი ფორმით წარმართულ ამ პოლემიკაში ებრაელებთან ერთად ქართველმა მოღვაწეებმაც, მათ შორის ია ეკალაძემაც, მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

პოლემიკის წამომწყები ონელ ებრაელთა სულიერი მოძღვარი დავით ბააზოვი გახდა. 1915 წელს „სამშობლოს“ 176-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მან თხოვნით მიმართა ებრაელ რაბინებს, დაევიწყებინათ პირადი ანგარიშები ერთმანეთის მიმართ და დათქმულ დროს ყველა ერთად შეკრებილიყო ერის საჭირბოროტო პრობლემებზე სასაუბროდ. პირველი კაცი, ვინც დ. ბააზოვის მოწოდებას დაუჭირა მხარი, ცხინვალელი რაბინი ხვოლესი იყო. „სახალხო ფურცელში“ დასტამბული წერილით, თავის მხრივ, მანაც მოუწოდა ქართველ ებრაელებს, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კრების მომზადებასა და ჩატარებაში. თითქოსდა რა უნდა ყოფილიყო ამ პატრიოტული წინადადების საწინააღმდეგო, მაგრამ ასე როდი მოხდა. დ. ბააზოვის მოწოდებამ, როგორც იმდროინდელ პრესაში დასტამბული წერილებიდან ჩანს, ქართველ ებრაელთა შორის აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

საზოგადოება, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო – დაპირისპირებულ მხარეთა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ვნებათაღელვა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც პრესის ფურცლებიდან ცნობილი გახდა ქუთაისის რაბინის – რ. ელუაშვილის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დ. ბააზოვის იდეისადმი. ქუთაისელ ებრაელთა სულიერმა თავკაცმა, პი-

როვნულად განაწყენებულმა იმის გამო, რომ „ვილაც“ ახალგაზრდა პროვინციელი ეროვნულ საქმეებში თავკაცობას იჩემებდა და ამით მას, როგორც ებრაელობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თემის წინამძღოლს, ავტორიტეტს უმდაბლებდა, მკაცრად გაილაშქრა დავით ბააზოვის წინააღმდეგ. მან სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სრულიად მიუღებელ მოთხოვნად მიიჩნია მისი მოწოდება და რამდენიმე ისეთი ბრალდებაც წაუყენა მას, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხების წინაშე, ფაქტობრივად, დასმენას, დაბეზლებას წარმოადგენდა.

დ. ბააზოვსა და ქუთაისის რაბინს შორის წარმოქმნილი საკამათო საკითხების გასარკვევად დ. ბააზოვის ინიციატივით ქუთაისში, შავი ქვის საბჭოს დარბაზში, 1915 წლის 16 ნოემბერს სპეციალური კრებაც გაიმართა [ამასთან დაკავშირებით იხ. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ, №438], მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად სპეციალური მიწვევისა, ქუთაისის რაბინი და მისი თანამოაზრენი კრებაზე პრინციპულად არ მივიდნენ. სამაგიეროდ, კრებას იმხანად ქუთაისში გამომავალი გაზეთების ქართველი წარმომადგენლებიც დაესწრნენ (ია ეკალაძე, გრიგოლ გველესიანი და სხვები). ებრაული პრობლემატიკით ქართველი საზოგადოებრიობის დაინტერესებაზე მეტყველებს ისიც, რომ კრების თავმჯდომარედ გრ. გველესიანი იქნა არჩეული.

კრების მონაწილეთა წინაშე მოხსენებით წარსდგა დ. ბააზოვი. მან კიდევ ერთხელ ისაუბრა ქართველი და ებრაელი ხალხების ორიათასწლოვან (კორესპონდენციაში ასეა აღნიშნული) მეგობრობაზე. მომხსენებლის თქმით, ამ ხნის განმავლობაში ქართველ ებრაელებს ერთი შემთხვევაც კი არ ახსოვდათ ქართველებისაგან ურიგოდ მოპყრობისა.

მაგრამ დ. ბააზოვის გამოსვლის უმთავრესი პათოსი ჩვენი ხალხების ისტორიული მეგობრობის შესახებ მსჯელობა კი არ იყო, არამედ იმ საჭირობის პრობლემებზე საუბარი, რითაც

ქართველ ებრაელთა იმჟამინდელი ყოფა ხასიათდებოდა. მან დიდი გულისტკივილით ისაუბრა იმ ინტელექტუალურ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობაზე, რითაც ქართველი ებრაელები გამოირჩეოდნენ სხვა ქვეყნებში მცხოვრები მათი მოძმეებისაგან. დ. ბააზოვის აზრით, ამ მდგომარეობიდან მათი გამოყვანის ერთადერთი გზა სწავლა-განათლება იყო და რაბინებს მოუწოდა, ერთად მოეძებნათ ამ მდგომარეობიდან გონივრული გამოსავალი. სამწუხაროდ, მისი ეს მოწოდება რაბინების დიდმა ნაწილმა, რომელსაც სათავეში რ. ელუაშვილი ედგა, არ მიიღო. უფრო მეტიც, ისინი დ. ბააზოვს ქართველთა ლალატში სდებდნენ ბრალს და აცხადებდნენ, რომ სინამდვილეში მისი უმთავრესი მიზანი ქართველებისაგან ებრაელების გამოყოფა იყო.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, როგორც „სამშობლოს“ 1915 წლის 18 ნოემბრის ნომერი იუწყება, „კრებამ ბ. ბააზოვის სამოქმედო პროგრამა სასურველად ცნო და ყველა დამსწრემ სურვილი გამოთქვა, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ბულიყო ქართველი ებრაელებისათვის საშვილიშვილოდ კარგი ეს საქმე. მაგრამ, რადგანაც ამ საქმის განსახორციელებლად საჭირო იყო ქუთათური რაბინის მხურვალე დახმარება და თანაგრძნობა რაბინების კრების გასამართლავად, კრებამ ამოირჩია დეპუტაცია მასთან მოსალაპარაკებლად და დასარწმუნებლად, რომ მისი გულგრილობა ამ საკეთილო საქმეში დიდი დანაშაული იქნებოდა ქართველი ებრაელების წინაშე“ [გაზ. „მენორა“, 2001 წ. №13, დ. ხანანაშვილის პუბლიკაცია].

მართლაც, კრების მიერ არჩეული დეპუტაცია გრიგოლ გველესიანის, ია ეკალაძის, არონ ელიგულაშვილისა და შიმშონ იაკობაშვილის შემადგენლობით 19 ნოემბერს საგანგებო მისიით ესტუმრა ქუთაისის რაბინს და გააცნო მას დ. ბააზოვის გეგმა [„მენორა“, 2001 წ. №14]. მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ელუაშვილს აზრი ვერ შეაცვლევინეს.

დავით ბააზოვსა და ქუთაისელ რაბინს შორის გამართულ პოლემიკაში, გარდა ებრაელებისა, ქართველი მოღვაწეებიც აქტიურად ჩაერთვნენ. მათგან, უპირველეს ყოვლისა, ია ეკალაძე უნდა დავასახელოთ, რომელმაც გაზეთ „სამშობლოს“ 1915 წლის 140-ე ნომერში დაბეჭდილი წერილით – „გაკვრით“ პრინციპულად დაიცვა დავით ბააზოვის ეროვნულ-საგანმანათლებლო პოზიცია. მისი შეფასებით, დ. ბააზოვის „აზრები, თქმა და თავგამოდება... ჩამაფიქრებელი და სასიამო საგანი იყო და არის ქართველ ებრაელთა უმრავლესობისათვის, რომლის უმრავლესობაც, სამწუხაროდ, დღევანდლამდე სიბნელეში იმყოფება და ბევრს კიდევაცა სურს რომ იგი მუდამ სიბნელეში დარჩეს“.

ია ეკალაძე ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური გამოვლიძების პროცესს, რომელიც იმხანად უკვე საკმაოდ ძლიერად იყო დაწყებული და რომლის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ფიგურას დავით ბააზოვი წარმოადგენდა, ვერავინ შეაჩერებდა და „გამოფხიზლების გზაზე შემდგარი ქართველი ებრაელობა თავის წვლილს შეიტანდა ქართულს ცხოვრებასა და ლიტერატურაში“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ია ეკალაძე მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამხელდა რ. ელუაშვილის მიერ წამოწყებული პაექრობის უსაფუძვლობას და მის წერილს პიროვნული „შურის, მტრობის, გაუტანლობისა და ერთისაგან მეორის დამცირების“ გამომხატველ გულსატკენ ფაქტად მიიჩნევდა. მისი თქმით, „რაც უფრო დამონებული და დაბეჩავებულია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო მისი შვილები ერთმანეთს ჭამენ და იმის მაგივრად, რომ ერთი მეორეს მიეშველონ და შეერთებული ძალით გაუმკლავდნენ საქვეყნო, საერთო ბოროტებას, ერთი მეორეს ემტერება, სახელს უტეხავს და ცდილობს გააბიაბუროს, ცოცხალი მიწაში ჩამარხოს, თვითონაც ნახდეს და მეორეც ნახდინოს“.

სწორედ ამის ნიმუშად მიიჩნევა ია ეკალაძე იმ დავიდა-რაბას, რომელიც დავით ბააზოვსა და ქუთაისის რაბინს შორის იყო ატეხილი. ამ პაექრობაში იგი ერთმნიშვნელოვნად უჭერდა მხარს დ. ბააზოვს და აქტიურად იცავდა მის პოზიციას. უფრო მეტიც, მისი თქმით, იგი „ჯერჯერობით ერთად ერთი ქართველი ებრაელი იყო, რომელიც მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა ტანჯული და დევნილი ერის უფლებათა აღდგენას“. ამიტომ „მას გამხნელება უნდოდა და არა დაცინვა“ და „მისთვის ყველას უნდა შეეწყო ხელი“. ია ეკალაძე, ელუაშვილის მიერ ბააზოვისადმი წაყენებულ ბრალდებას, თითქოს მას ქართველებისაგან ებრაელობის ჩამოშორება და გათიშვა სურდა, „მტკნარ ცილისწამებას“ უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ „ეს დაბეზლება იყო დ. ბააზოვისა ხალხთან – როგორც ქართველ ებრაელებთან“.

ვფიქრობ, ია ეკალაძის ზემოთ განხილული წერილით მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება იმ აქტიურ თანადგომასა და პრაქტიკულ მხარდაჭერაში, რითაც ქართველი ერის ღირსეული შვილები ქართველ ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მათ დანიშნულებას ცდილობდნენ.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ასკანელი დ., ასე იყო და ასე იქნება, თბილისი, გაზ. „თემი“, 1913 წ., №141.
2. გაზ. „მენორა“, თბილისი, 2001 წ., №13, 14.
3. გაზ. „სამშობლო“, თბილისი, 1915 წ., №176.
4. გაზ. „სახალხო ფურცელი“, თბილისი, 1915 წ., №438.
5. ევდოშვილი ი., ტირილი ებრაელისა, თბილისი, გაზეთი „სახალხო ფურცლის“ სურათებიანი დამატება, 1915 წ., №42.

6. ეკალაძე ი., გაკვირით, თბილისი, გაზეთი „სამშობლო“, 1915 წ., №140.
7. იაშვილი პ., სიმღერა მიხეილ მოშიაშვილისა, თბილისი, ჟურნალი „მათრახი“, 1916 წ., №1.
8. ნიკოლეიშვილი ა., ებრაული თემა ქართულ მწერლობაში, ქუთაისი, 2008 წ.
9. რაზიკაშვილი თ., მოსეს სიკვდილი, თბილისი, გაზეთი „კვალი“, 1893 წ., №12.
10. ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, ქუთაისი, 1996.
11. შანშიაშვილი ს., მოსე, ჟურნალი „ნიშადური“, თბილისი, 1908 წ., №29.
12. შანშიაშვილი ს., ფსალმუნი, თბილისი, ჟურნალი „საქართველო“, 1908 წ., №1.

#### **AVTANDIL NIKOLEISHVILI**

### **JEWISH THEME IN THE GEORGIAN LITERATURE OF THE FIRST THIRD OF THE 20<sup>TH</sup> CENTURY**

#### **Summary**

The interest of Georgian writers in the Jewish theme is such a wide-ranging phenomenon that the artistic and journalistic texts created by many of them have taken an important place in the works of many of them. In this case, it is also worth emphasizing that they clearly express an emphatically benevolent attitude towards the Jews. In the present paper, the artistic and journalistic texts published on the pages of the Georgian press in the first third of the twentieth century are specifically analyzed. In Georgian literature of the mentioned period, the Jewish theme was mainly manifested in two main directions - first,



the artistic embodiment of biblical episodes related to the ancient historical past of the Jewish people, and, second, an attempt to imagine the contemporary problems of the Georgian Jews. Despite the fact that there is almost nothing new in the above-mentioned narratives of biblical stories, their authors still managed to use all these as an effective means to express their national-citizen beliefs. From this standpoint, the introduction of biblical episodes into the works of Georgian writers is often based on two main goals: first, the romantic glorification of the biblical past of the Jewish people, and second, the strengthening of the national self-consciousness of the Georgian people by means of symbolic-allegorical comparison of these events with the Georgian reality. However, the benevolent attitude of Georgian writers towards the Jews will not grow into a tendentious one-sidedness, it will not be limited to only complimentary praises and along with showing the positive sides, it will draw the readers' attention to the shortcomings characteristic of the life of Jews. The main thing in this case is that the display of these vices will never grow into national and religious hatred, since Jews have become flesh and blood of our life.

## ინგა ზაბახიძე

### არაბული ქვეყნები ისრაელის ახლადშექმნილი სახელმწიფოს წინააღმდეგ

მე-20 საუკუნის ყველაზე სასტიკ მოვლენას – მეორე მსოფლიო ომს მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა, რომელმაც ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი შექმნა. მსოფლიო ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ისრაელის სახელმწიფოს შექმნა 1948 წლის 14 მაისს. ამ ომის ყველაზე საშინელი მოვლენა იყო ჰოლოკოსტი – გერმანული ნაცისტების გაზის კამერებში დაფერფლილი 6 მილიონი ებრაელის სიცოცხლე. ჰოლოკოსტს გადარჩენილი ებრაელების წინაშე მსოფლო დანაშაულს და მორალურ ვალდებულებას გრძნობდა, რამაც განაპირობა ებრაელი ხალხის მიმართ უპრეცედენტო მხარდაჭერა და მათ გადასარჩენად პალესტინის ტერიტორიაზე ახალი, ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. ამ უდიდეს ისტორიულ მოვლენას ასევე უდიდესი პროტესტი მოჰყვა არაბული ქვეყნების მხრიდან, რადგანაც პალესტინას თავიანთ ტერიტორიად თვლიდნენ და ყველა მათგანი აცხადებდა პრეტენზიას პალესტინაზე. არაბული ქვეყნებისთვის მიუღებელი იყო არაბულ მიწაზე ებრაული სახელმწიფოს შექმნა. ამიტომაც 1948 წლის 14 მაისის ღამით, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებიდან რამდენიმე საათში, არაბული ქვეყნების არმიები თავს დაესხა რამდენიმე საათის შექმნილ ებრაულ სახელმწიფოს [9.32]. არაბების დასახმარებლად მაშინვე გამოვიდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელმაც პალესტინაში გასაგზავნად მოხალისეთა მობილიზაცია გამოაცხადა [17.81]. არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ გადანყვიტა ძალისმიერი მეთოდებით წინ აღდგომოდა პალესტინის ორად გაყოფას. არა-

ბებმა პირდაპირი პასუხისმგებლობა აიღეს ომის დაწყებაზე. იორდანის მეფე აბდალაჰ I-მა შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: „ჩვენი მცდელობა, პალესტინის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ მარცხით დამთავრდა, ჩვენ დავვრჩა მხოლოდ ომის გზა“ [17.82]. კაიროს ალ-აზჰარის სასულიერო უნივერსიტეტიდან კი მთელი მსოფლიოს მუსლიმებისადმი გაისმა მონოდეები „სალვთო ომის“ (ჯიჰადის) დაწყებაზე ებრაელთა წინააღმდეგ [10.15].

1947 წლის ოქტომბერში „მუსლიმთა ძმებმა“ გაეროს გენერალურ მდივანსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს წერილი გაუგზავნეს: [17.101] „სიონისტური მისწრაფებების დაკმაყოფილება და პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნა – მთელ აღმოსავლეთს საომარ კერად აქცევს“ და პასუხისმგებლობა მათ დააკისრეს, ვინც არაბების წინააღმდეგ სიონისტების უსამართლობას უჭერს მხარს. ასევე ირწმუნებოდნენ, რომ ყველა რესურსით გაუნეგდნენ წინააღმდეგობას. არაბთა ლიგამ არაბულ ქვეყნებში მოხალისეების მობილიზაცია დაიწყო. ომისათვის მზადყოფნა გამოთქვეს: ლიბანის „ახალგაზრდა მუსლიმთა კავშირმა“, ცნობილი აბდ ალ-კადირის შვილიშვილის, მუჰამად საიდ ალჯაზაირის მიერ ალჟირში შექმნილმა „აფრიკელი მუჯაჰიდების ფრონტმა“ და ეგვიპტის სუფიურმა ძმობამ „სიმართლის მიმდევრები“ [18.58]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 181 (II) რეზოლუციის თანახმად, პალესტინისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მაშინვე შევიდნენ არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი ქვეყნები: იორდანის, ერაყის, ეგვიპტის, სირიისა და ლიბანის არმიები. ლიგამ გაეროს გენერალურ ასამბლეაში ტელეგრამა გაგზავნა პალესტინაში არმიების შეყვანასთან დაკავშირებით [17.81]. პალესტინაში შესული არაბული ძალების მთავარსარდლად მეფე აბდალაჰი გამოცხადდა. ებრაელებს ყველაზე მეტად იორდანის ემინოდათ, რადგანაც იორდანის სამეფოს

სათანადოდ კარგად განვრთნილი და აღჭურვილი პროფესიული არმია – ე. წ. „არაბული ლეგიონი“ ჰყავდა. არაბულ ლეგიონს ინგლისელი ჯონ ბლაგოტ გლაბი მეთაურობდა [16.72]. გენერალი გლაბი (გლაბფაშა) იორდანელებისათვის კარგათ ნაცნობი სახე იყო [16.35]. ისრაელის არმიას და ბენ-გურიონს ყველაზე მეტად ამ არმიის ეშინოდათ, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ ის იყო ინგლისელების მიერ პროფესიულ დონეზე განვრთნილი ერთადერთი არაბული არმია [4.34].

საომარი მოქმედებები ფართო მასშტაბით გაგრძელდა ისრაელის მთელი საზღვრის გასწვრივ: ეგვიპტე-სუდანის სამხედრო კონტინგენტი სამხრეთით უტევდა, ჩრდილოეთით – ლიბანისა და სირიის არმიები, აღმოსავლეთით – ერაყისა და იორდანის სამხედრო ძალები; პალესტინელები და მოხალისეები სხვადასხვა არაბული სახელმწიფოდან ქვეყნის სიღრმეში იბრძოდნენ [10.15]. საომარი მოქმედებების დასაწყისი არაბული არმიების სასარგებლოდ წარიმართა. მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში, იორდანის არაბულმა ლეგიონმა და ერაყის არმიამ აღმოსავლეთ იორდანის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს, იერუსალიმის არაბული სექტორის ჩათვლით. ეგვიპტის საექსპედიციო კორპუსის ერთი რაზმი თელავივიდან 30 კმ-ით დაშორებულ ქ. აშდოდისაკენ დაიძრა, მეორე რაზმი კი ბერშევის გავლით იერუსალიმის მისადგომებს მიუახლოვდა [19.9]. არაბული სახელმწიფოების ლიდერები შიშობდნენ, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ინგლისი უარს იტყვოდა არაბული ლეგიონებისათვის სუბსიდიების გადახდაზე. ინგლისი იორდანისა და ომის დროს წელიწადში 2 მლნ ფუნტი სტერლინგის გადახდას შეჰპირდა (ზოგი მონაცემებით ეს თანხა 3 მილიონი იყო). პრაქტიკულად კი ინგლისმა 250 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. თვით არაბულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ომის დასაწყისშივე გამწვავდა. ძირითადი უთანხმოება იორდანისა და სხვა არაბულ ქვეყნებს

შორის წარმოიშვა, რადგანაც იორდანია პალესტინის ტერიტორიაზე აცხადებდა პრეტენზიას. „ამ ომში ორივე მხრიდან 86.500 კაცი მონაწილეობდა. ისრაელის 65.000-იანი არმიის წინააღმდეგ არაბულმა ქვეყნებმა მხოლოდ 21.500 კაცის გამოყვანა შეძლეს, აქედან ეგვიპტემ – 10.000, იორდანამ – 4.500, სირიამ – 3.000, ერაყმა – 3.000, ლიბანმა – 1.000 [2.225]. ებრაული წყაროების მიხედვით ისრაელის საზღვართან თავმოყრილი ძალა ასე გამოიყურებოდა: ეგვიპტე – 10.000, იორდანია (არაბული ლეგიონი) – 6.500, სირია – 3.000, ერაყი – 4.500, ლიბანი – 3.000. (ცხრილი 1-2. История еврейского национальная движения. 1914-1949. Иерусалим, 1993. გვ. 231-232) [79.231-232]. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ წყაროში მოყვანილი მონაცემები არაზუსტია [15. 231]. ამ ომთან დაკავშირებით ისრაელის მომავალი პრემიერმინისტრი გოლდა მეირი წერდა: „ჩვენ სრულეებით არ ვიყავით ომისათვის მზად. სასწრაფოდ გვჭირდებოდა იარაღი, თუკი სადმე შევძლებდით მის შეძენას. მაგრამ, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ფულის შოვნა, და არც ისე ცოტა რაოდენობით. გვჭირდებოდა მილიონობით დოლარი და ასეთი თანხის გაღება მხოლოდ ამერიკელ ებრაელებს შეეძლოთ“. გოლდა მეირი ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური მისიით გაემგზავრა. ჩიკაგოში, ებრაელთა ფედერაციის და საქველმოქმედო ფონდის საერთო კრების წინაშე, გოლდა მეირი ამაღელვებელი სიტყვით გამოვიდა: „ებრაული მოსახლეობა პალესტინაში იბრძოლებს ბოლომდე. თუ ჩვენ არ გვექნება იარაღი, ვიბრძოლებთ ქვებით“. გოლდა პალესტინაში 5 მილიონი დოლარით დაბრუნდა, რომლითაც ჰაგანისათვის შეიძინეს იარაღი. ამ ფაქტის შესახებ ბენ-გურიონმა თქვა: „როცა ისტორია დაინერება, იქ ჩაინერება ამბავი ებრაელი ქალისა, რომელმაც სახელმწიფოს შესაქმნელად ფული იშოვა“. ისრაელის არმიის შემადგენლობაში იყვნენ კარგათ განვრთნილი და თანამედროვე იარაღით, არტილერიით, ტანკებით და თვით-

მფრინავებით აღჭურვილი კადრები. არაბული არმია კი ძალზე ჩამორჩებოდა ისრაელის არმიას შეიარაღებით და მხოლოდ მსუბუქი იარაღით იყო აღჭურვილი. მათ არ ჰყავდათ გამოცდილი კადრები და, საერთოდ, მზად არ იყვნენ ომისათვის. ისრაელის არმია მაშინვე ჩაება ომში. ომისათვის სათანადოდ აღჭურვილი ისრაელის არმია მუდმივად ივსებოდა დასავლეთის ქვეყნებიდან სამხედრო ემიგრანტებით, რომლებიც გამოცდილი სპეციალისტები იყვნენ, აგრეთვე, უახლესი იარაღითა და მთელი მსოფლიო ებრაული თემის ფინანსური დახმარებით. ყველაზე მთავარი კი იყო ის, რომ ისრაელი სარგებლობდა აგრეთვე მსოფლიო საზოგადოების მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერით. ყველა ამ ფაქტორმა განაპირობა ისრაელის გამარჯვება [21. 32]. ჯერ კიდევ ომამდე (1948 წლის აპრილში), საბჭოთა კავშირის სატელიტ ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი „მესერშიტის“ ტიპის თვითმფრინავებით, ისრაელმა, იმავე წლის მაისის ბოლოს, ეგვიპტის არმიის საჰაერო უპირატესობას ხაზი გადაუსვა. უნდა ითქვას, რომ სტალინის ნებართვით, ჩეხოსლოვაკიამ საკმაოდ ბევრი და კარგი ხარისხის საჭურველი მიჰყიდა ისრაელს, რამაც საბოლოოდ მოაგებინა ომი [3.331]. მოსკოვი ყველაფერს აკეთებდა მიზნის მისაღწევად, რადგანაც ახლო აღმოსავლეთში მოსკოვი ვაშინგტონს უპირისპირდებოდა. მას აღმოსავლეთ ბლოკის საიდუმლო სამსახურის იარაღით მომარაგების და ახლო აღმოსავლეთელი მეომრების განვრთნის დიდი გამოცდილება ჰქონდა. სტალინმა არა მარტო იარაღით მოამარაგა ებრაული არმია, არამედ ისრაელის არმიის ოფიცრებიც განვრთნა [20.15].

ისრაელის არმიის წარმატების მთავარი ფაქტორი აგრეთვე იყო ის სამხედრო ნაწილები, თავდადებით რომ იბრძოდნენ არაბების წინააღმდეგ ომში. მათ ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ: წყდებოდა ებრაული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. არაბული ქვეყნების არმიების საბრძოლო მოქმედება

კი ერთმანეთთან ცუდად კოორდინირებული და ნაკლებ ეფექტიანი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მებრძოლი მხარეების სამხედრო ძალები რაოდენობით დიდად არ განსხვავდებოდნენ. 1949 წლის შეთანხმებით ისრაელმა სწორი პოლიტიკა აირჩია და უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭა ქვეყანაში საკუთარი ინდუსტრიის განვითარებას და დიდ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით [21. 332].

პალესტინის ფრონტზე კი მდგომარეობა იცვლებოდა. 9-18 ივლისის ომის პერიოდი „ომის ათი დღის“ სახელით გახდა ცნობილი. მან ისრაელის თავდაცვის არმიას მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა [9.34]. სწორედ მან განაპირობა ის, რომ არაბები სასწრაფოდ დასთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე, რომელიც 17 ივლისს იერუსალიმში, 18 ივლისს კი მთელ ქვეყანაში უნდა დაწყებულიყო [21. 2]. ათდღიანი ომის დროს ისრაელის არმიამ ქვეყნის შიგნით ჩაატარა ოპერაცია „დანი“, რომლის შემდეგაც მის ხელში გადავიდა ლიდი, რამლა და მიმდებარე სოფლები. თელ-ავივს დაპყრობის საფრთხე აღარ ემოქრებოდა... ჩრდილოეთის ფრონტზე კი 16 ივლისს ებრაელებმა აიღეს ნაზარეთი და განმინდეს მთელი გალილეა... ლიდისა და რამლას შეშინებულმა არაბმა მოსახლეობამ გაქცევა დაიწყო [15.24]. ფიზიკური მოსპობის საშიშროების გამო, ბევრი პალესტინელი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური ადგილები და ხსნა მეზობელ არაბულ ქვეყნებში, უმთავრესად კი იორდანიაში ეძება [7. 22]. ასე დაიწყო „პალესტინელი ლტოლვილების“ პრობლემა. ამ მოვლენებმა დააჩქარეს ცეცხლის მეორედ შეწყვეტა. 1948 წლის 18 ივლისს ძალაში შევიდა დავიდ ბენ-გურიონის ინიციატივით მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ისრაელმა ეს დრო კვლავ მობილიზაციისა და მატერიალური რესურსების შესავსებად გამოიყენა... არმიაში მობილიზებულ იქნა 100.000 კაცი. იარაღი საზღვარგარეთიდან შემოვიდა [15. 245]. საომარი მოქმედებები კვლავ გა-

ნახლდა 1948 წლის ოქტომბერში. 14 ოქტომბერს ისრაელმა შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა ქალაქ ბერშებაზე, რომელიც პალესტინის ტერიტორიაზე მდებარეობდა და „მომავალი“ არაბული ქვეყნის ტერიტორია უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭომ რეზოლუცია მიიღო, რომლის მოთხოვნითაც „მხარეებს ის პოზიციები უნდა შეენარჩუნებინათ, რომელიც ომის დასაწყისში დაიკავეს“ [13.77]. საომარ ვითარებაში მომხდარმა ცვლილებებმა სერიოზული გავლენა იქონიეს შემდგომ მოვლენებზე. არაბულმა ლეგიონმა დახმარება არ გაუწია ნეგევში განლაგებულ ეგვიპტის ნაწილებს. იორდანის მთავრობამ ლეგიონის დასუსტებისა და საბრძოლო მასალების უკმარისობის საბაბით უარი თქვა ამ ფრონტზე თავისი არმიის გადასროლაზე. იორდანის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ინგლისმა, ფაქტობრივად, უარი თქვა მის რეალურ მხარდაჭერაზე. თუმცა მანამდე ინგლისის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა ისრაელის არმიის თავდასხმისაგან იორდანის ტერიტორიის დაცვას [23.11]. 1949 წლის 7 იანვარს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაჟინებული მოთხოვნით, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის საომარი მოქმედებები შეწყდა [5.478]. ეს ომი ისრაელის გასანადგურებლად დაიწყო და ისრაელის გამარჯვებით დამთავრდა. ისრაელმა შეძლო არა მარტო პალესტინისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ხელში ჩაგდება, არამედ სერიოზული საფრთხე შეუქმნა მეზობელ არაბულ ქვეყნებსაც. მამაცურად მებრძოლი არაბების საომარი მარცხი მიზნის ერთიანობის არქონამ და ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა. იორდანის მეფე აბდალაჰი ისრაელთან ომის დაწყების ერთ-ერთი მოთავე იყო, თუმცა, როგორც კი მისმა არმიამ პალესტინის ნაწილი დაიკავა, ის კულისებს მიღმა ისრაელთან გარიგებაზე წავიდა და მალე ომიდანაც გავიდა. როგორც გა-



ირკვა, ისრაელსა და აბდალაჰს შორის გარიგებები პალესტინის გაყოფის შესახებ ომის დაწყებამდეც მიმდინარეობდა.

[14.478]. ცნობილია, ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, მისი შეხვედრები გოლდა მეირთან, რამაც განაპირობა მისი „შემაკავებელი“ პოლიტიკა ისრაელის სახელმწიფოსთან მიმართებაში და საბოლოოდ არაბი ფანატიკოსის მიერ მისი მკვლელობა.

არაბების სამხედრო მარცხში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ეგვიპტის სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე ფარუკი, რომელიც, ფაქტობრივად, არც ისწრაფოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნისაკენ. მეფე ფარუკი ეგვიპტელი ხალხის მიმართ თავის სიძულვილს არ მალავდა და მიაჩნდა, რომ მისი ტახტის ყველაზე მყარი ზურგი იყო ეგვიპტის ტერიტორიაზე ინგლისის არმიის ყოფნა. მესამე არაბულ ქვეყანაში, სირიაში კი დემოკრატიული და პატრიოტული ძალები არ იყო იმდენად ძლიერი, რომ საერთო მდგომარეობაზე გავლენა მოეხდინათ. არაბულ ბლოკში მძაფრმა დაპირისპირებებმა მოქმედების ერთიანი კოორდინაციისა და ეფექტური ხელმძღვანელობის შესაძლებლობა არ შექმნა. ამას დაემატა არაბული ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობაც. ისრაელი ვერც იოცნებებდა, რომ არაბული ქვეყნები დიდი ხნის მანძილზე დარჩებოდნენ ამ მდგომარეობაში [14.23]. ომში ისრაელმა 4.000 სამხედრო მოსამსახურე და 2 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაკარგა (მთელი მოსახლეობის 1%). საომარი მოქმედებები ქვეყანას 500 მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ ისრაელის სახელმწიფო შრომით, გმირობითა და ხალხის თავგანწირვით შეიქმნა. ებრაელ ხალხს ისრაელის სახელმწიფო „ვერცხლის სინით“ არ მიუღია. ისრაელი აშკარად აღიარებდა, რომ არა მარტო „არ დაუშვებს პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას, არამედ უარს არ იტყვის იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ლაზაში შესვლაზე“ [22.4].

დიდ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური გარიგება შედგა და 1949 წლის 29 იანვარს ინგლისის მთავრობამ ცნო ისრაელის სახელმწიფო, ორი დღის შემდეგ კი ამერიკის მთავრობამ თავის მხრივ იორდანია ცნო. არაბეთ-ისრაელის პირველი ომი, რომელმაც პალესტინის ომის სახელწოდება მიიღო, 1949 წლის 23 მარტამდე გაგრძელდა. არაბებს შორის სხვებზე მეტი წარმატებით იორდანის ნაწილებმა იბრძოლეს, რადგანაც მათ ყველაზე მეტი პრეტენზია ჰქონდათ პალესტინაზე და დაიკავეს აღმოსავლეთ იერუსალიმი (ძველი ქალაქითურთ), ისტორიული სამარია და „დასავლეთი ნაპირი“. ამ ომის შედეგად ისრაელმა 6,7 ათასი კვ. კმ-ით გაიფართოვა თავისი „სასიცოცხლო არეალი“. აქედან 350 ათასი ჰექტარი უხვმოსავლიანი (ნაყოფიერი) მიწები იყო. მაშინდელი მონაცემებით, პალესტინელმა არაბებმა 2,5 მილიარდი დოლარი იზარალეს. პალესტინის ის ნაწილი, რომელიც ისრაელმა ვერ დაიპყრო, არაბულ სახელმწიფოთა კონტროლს დაექვემდებარა. მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილით – 6 ათასი კმ<sup>2</sup>-ით იორდანის მფლობელობაში, ხოლო ღაზას სექტორი ეგვიპტის მფლობელობაში გადავიდა [12.100]. ისრაელმა დაიკავა არაბული სახელმწიფოსათვის გათვალისწინებული ტერიტორიის თითქმის ნახევარი (სამხრეთი სანაპირო ზოლი თითქმის ღაზამდე, ჩრდილოეთით – ლიბანის საზღვრებამდე, აგრეთვე ზემო გალილეა). 1948-49 წლების შედეგად ისრაელის საზღვრები საგრძნობლად გაიზარდა. ქ. იერუსალიმის დასავლეთი ნაწილი ისრაელის ხელში გადავიდა. მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეს იყო გაყოფილი ქალაქი ეკლიანი მავთულხლართებით ქუჩებსა და პარკებში. ამრიგად, 1948-49 წლების ომის შემდეგ, ისრაელის სახელმწიფოს, ფაქტობრივად, „პალესტინის სამანდატო“ ტერიტორიის 78 პროცენტი დარჩა [15.249]. ამგვარად, პალესტინის არაბული სახელმწიფო კი 1948-49 წლების არაბებისა და ისრაელის პირველ ომს ემ-

სხვერპლა. არაბული სახელმწიფო არ შექმნილა. გაერო, რომელმაც არავითარი მექანიზმი არ აამოქმედა პალესტინის გაყოფის შესახებ საკუთარი რეზოლუციის შესასრულებლად, რამდენიმე ფორმალური დადგენილებით დაკმაყოფილდა [11.264]. ეს ომი ისევე, როგორც შემდგომი ომები, ისრაელის გასანადგურებლად დაიწყო და არაბთა არმიების დამარცხებით დამთავრდა, თუმცა საბოლოო გამარჯვებას ვერცერთმა მხარემ ვერ მიაღწია [22. 69]. როგორც ცნობილია, დამოუკიდებელი ისრაელის შექმნა საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო. როდესაც 1948 წლის პოლიტიკურის სხდომაზე ერთხმად მოიწონეს ებრაული სახელმწიფოს შექმნა, ი. სტალინი დიდხანს ბოლთას სცემდა კაბინეტში და ჩუმად იყო, შემდეგ კი ცნობილი და წინასწარმეტყველური ფრაზა თქვა: „მშვიდობა იქ არასოდეს აღარ იქნებაო“ [5. 497]. მართლაც, ისრაელი ომის ქარცეცხლში დაიბადა და დღემდე საომარ მდგომარეობაშია თავის ზოგიერთ მეზობელთან. არაბული ქვეყნებით გარშემორტყმული ისრაელი იძულებულია თავისი სამხედრო ძლიერებით მუდამ მზად იყოს. [6; 20] თუმცა მსოფლიოში მიმდინარე ისტორიული კატაკლიზმები გვიჩვენებს, რომ მშვიდობას არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოში ალტერნატივა არა აქვს და ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დღევანდელ სამყაროში.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 1984.
2. კომახიძე ნ., კოლონიალიზმის აღსასრული აღმოსავლეთში, თბილისი, 1963.

3. მენტეშაშვილი ალ., ქრისტიანობა და ისლამი – აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები, თბილისი, 1993.
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი, №2, „35“ თბილისი, 2001.
5. ტყაბლაძე ზ., ეგვიპტის როლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში, პერსპექტივა XXI-V, თბილისი, 2003.
6. შვანგირაძე ზ., ზომიერება სასურველი მომავლის მოლოდინში, The Georgian Times, თბილისი, 5 მარტი, 1994.
7. ჯაფარიძე თ., მაჰმუდ აბასი და ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის ახალი პერსპექტივები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 12, თბილისი, 2005.
8. B.Gohn J., England and Palestine. Berlin, 1931.
9. Encyclopedia Americana. v. 20. New York, 1945.
10. Виноградов В., Британский лев на Босфоре. Москва, 1991.
11. Внешняя политика Советского Союза за 1947 год. часть вторая. Москва, 1952.
12. Демченко П., Там. за рекой Палестина. Москва, 1989.
13. Драчинский Н. Н., Королевство на вулкане. Москва, 1958.
14. История еврейского национальная движения. 1914-1949. Jerusalem, 1993.
15. История дипломатии. Т. 3. Москва, 1956.
16. Ключников Ю., Сабанин А. Международная политика новейшего времени в договорах. нотах идеклациях. ч. 11. Москва, 1926.
17. Коллинз Л., Лапьер Д., О, Иерусалим! Israel, 1979.
18. Краткий политический словарь. Москва, 1988.
19. Лебедев Е. А., Демографические проблемы Иордании. Наука. Москва, 1972.

20. Мир на рубеже XIX веков. тенденции развития. противоречия. революции. Москва, 1991.
21. Млечин Л., Ученики стреляют учителей №19. 1992. Нов. время.
22. Никитина Г., Государство Израиль. Москва, 1968.
23. Новейшая история арабских стран. Москва, 1998.

**INGA ZABAKHIDZE**

**ARAB COUNTRIES AGAINST  
NEWLY CREATED STATE OF ISRAEL**

**Summary**

The first Israel-Palestine war started to destroy Israel and ended with the defeat of the Arab armies. However, neither side could achieve the final victory. It seems that the issue is not only armed victory, there are also political, military, economic, moral and other factors that are necessary for the victory of one side over the other. Still, Arab nationalism was gaining strength within the Ottoman Empire. Although the Ottoman Empire collapsed and many Arab countries gained independence after World War II, the idea of unity based on nationalism collapsed. A clear proof of this was the Arab-Israeli war, when the participating Arab countries try to achieve their own goals, as a result of which the means of coordinated action and, accordingly, success were lost. Israel managed not only to seize the territory allocated for Palestine, but also created a serious threat to the neighboring Arab countries. The failure of the bravely fighting Arabs was caused by the lack of unity of purpose and the historical situation. King Abdullah of Jordan was one of the initiators of the war with Israel, however, as soon as his army conquered part of Palestine, he went behind the scenes to make

a deal with Israel and soon withdrew from the war. As it turned out, the deals between Israel and Abdullah on the partition of Palestine were going on even before the war. A big role in the military defeat of the Arabs was played by the fact that the head of the Egyptian state was King Farouk, who actually did not aspire to create a Palestinian state. And in Syria, the democratic and patriotic forces were not strong enough to influence the general situation. Intense conflicts in the Arab bloc did not create the possibility of a unified coordination of action and effective leadership. Added to this was the economic backwardness of the Arab countries. Israel could not even dream that the Arab countries would remain in this situation for a long time. As is known, the Soviet Union was one of the first to recognize the creation of independent Israel. When the 1948 Politburo meeting unanimously approved the creation of a Jewish state, I. Stalin was silent for a long time in the cabinet, and then he said: „Peace will never be there again“. Indeed, Israel was born in the heat of war and is still at war with some of its neighbors. Surrounded by Arab countries, Israel is forced to always be ready with its military power.

## სოფიო გუგუნავა

### პოლიტიკური და კულტურული ცვლილებები იაპონიაში XX საუკუნის მიწურულს

1945 წელს მეორე მსოფლიო ომში მარცხის შემდეგ, იაპონელი ხალხი ელოდა ცვლილებებს საზოგადოების დემოკრატიული კუთხით გარდასაქმნელად. გარდაქმნები იაპონიაში აშშ-ის მეშვეობით განხორციელდა, კერძოდ, ცვლილებებს სათავეში გენერალი მაკარტური ჩაუდგა. იგი იყო იაპონიაში აშშ-ის საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელი. ცვლილებები შეეხო როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებსაც. მაკარტურის მიერ გატარებული რეფორმებისა და 50-იან წლებში აშშ-სთან გაფორმებული რიგი ხელშეკრულებების მეშვეობით იაპონიამ შეძლო ფეხზე წამოდგომა და მოწინავე ადგილის დაკავება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის.

ცნობილია, რომ თითქმის 30 წლის მანძილზე იაპონიას პროფკავშირების გენერალური საბჭო მართავდა. ის მოითხოვდა საცხოვრებელი პირობებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, რის გამოც იაპონური მონოპოლიები იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და ყოველწლიურად გაეზარდათ ხელფასები, რამაც იაპონია შესამჩნევად მიუახლოვა ევროპულ და ამერიკულ დონეს. 1990-იან წლებში იაპონიის ეკონომიკაში შეიმჩნეოდა სტაგნაცია. წარმოება 1990-94 წლებში შემცირდა, მან 5%-დან 1%-მდე დაინია. 1990 წელს ტოკიოს ბირჟაზე დაიწყო აქციების ვარდნა, რამაც გამოიწვია დასაქმებული პერსონალის სამსახურებიდან დათხოვნა ან მათი გაშვება გრძელვადიან შვებულებებში [1.67]. იაპონიაში სტაბილურობას ძირითადად ინარჩუნებდნენ იმპორტის შემცირებით და ექსპორტის გაზრდით. 1980 წლამდე იყო პასიური

ბალანსი, გაჰქონდათ ბევრად ნაკლები და მხოლოდ 1981 წელს მიაღწია მან აქტიურ ბალანსს. 1985 წელს აქტიური ბალანსი ელვისებურად იზრდება და, ამასთან ერთად, იაპონური მონოპოლიებიც მდიდრდებიან [1.72].

1983-94 წლებში თავი იჩინა ეკონომიკურმა კრიზისის ნიშნებმა, გაკოტრდა 100 000-ზე მეტი ფირმა. ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია პოლიტიკური კრიზისიც. როგორც ცნობილია, 1955 წლიდან იაპონურ პოლიტიკურ ასპარეზზე იაპონიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია დომინირებდა. 1993-97 წწ-ში აღნიშნული პარტიის წევრები კოალიციური მმართველობის წევრები იყვნენ. ბუნებრივია, რომ ასეთი აბსოლუტური ძალაუფლება გამოიწვევდა პარტიის დაშლას; იზრდებოდა კორუფცია, მექრთამეობა და ა.შ. [1.86].

2000 წლის 25 ივლისს ქვეყანაში ჩატარდა ახალი არჩევნები. ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ დაკარგა უმრავლესობა, მაგრამ მოახერხა ხელისუფლების ფორმირება კოალიციური მთავრობისა. პრემიერმინისტრის პოსტი დაიკავა პარტიის ლიდერმა **მორიმ**. მისმა მმართველობამ ამ პოსტზე დიდხანს არ გასტანა. 2001 წელს მორი დაადანაშაულეს ფინანსურ სკანდალში და იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა, ხოლო 2004 წლის 26 აპრილს რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ლდპ-ის თავმჯდომარე ჯუინიჩირო კოიძუმიმ და დაიკავა იაპონიის პრემიერმინისტრის პოსტი. კოიძუმი საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მას „ლომგულსაც“ კი უწოდებდნენ. პარლამენტში 121 ადგილიდან მისმა კოალიციამ 78 ხმა მოიპოვა ზედა პალატაში. კოიძუმიმ პოსტის დაკავების შემდეგ წამოაყენა რეფორმების გატარების გეგმა:

1. ეკონომიკისა და ფინანსების გაჯანსაღება;
2. საფოსტო სისტემის პრივატიზაცია;
3. ლდპ-ის შიდაპოლიტიკური სისტემის რეორგანიზაცია.



ის მოსახლეობას მოუწოდებდა, რომ ქვეყნის ნათელი მომავლისთვის საჭირო იყო ერთგვარი „შოკური თერაპიის“ ატანა.

საბანკო სისტემის რეფორმა ჩააბარა ეკონომიკის მინისტრ **ტაკენაკას**. ხელისუფლებამ შეძლო და მოახერხა საბანკო ვალების შემცირება, მიაღწია ეკონომიკის წინსვლას და აქციების კურსის ზრდას. პრემიერმინისტრის გადამწყვეტილებით გაიზარდა იაპონიის არმია – თავდაცვის ძალები, ხოლო **2001** წლის ოქტომბრიდან ნება დართო მათი გამოყენებისა იაპონიის ფარგლებს გარეთ. **2004** წლის იანვარში იაპონიამ დაარღვია კონსტიტუცია და ერაყში კოალიციური ძალების დასახმარებლად თავისი სამხედრო კონტინგენტი გაგზავნა. **2006** წლის **23** სექტემბერს კოიძუმიმ აღარ წამოაყენა თავისი კანდიდატურა პრემიერმინისტრის პოსტზე და ახალ პრემიერად აირჩიეს **53** წლის შინძო აბე. იგი წარმოადგენდა ლდპ-ს.

**13** წლის მანძილზე მთავრობის ცვალებადობამ იაპონიაში გამოიწვია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური არასტაბილურობა. ის ეკონომიკური რეფორმები, რომლებსაც კოიძუმი ჰპირდებოდა, ვერ შესრულდა და ჩაიშალა. ამ პერიოდში დაიძაბა ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებიც. **2003** წელს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაართულების მიზეზი გახდა დავა კუნძულ სენკაკუს გამო, რომელიც აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში მდებარეობს.

რადიკალური ცვლილებები შეეხო ასევე იაპონიის კულტურულ ცხოვრებას. კერძოდ, ახალი კულტურული ცოდნით გამდიდრებული იაპონიის კინემატოგრაფია მომდევნო საფეხურზე გადავიდა. თავდაპირველად იაპონელები იღებდნენ ისეთ ფილმებს, რომლებიც რალაციით თეატრალურ დადგმებს მოგვაგონებდა, მაგრამ გარკვეული დროის მერე ეს ჟანრი შეიცვალა და უფრო რეალური ყოფის, კულტურის და ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ჟანრში გადაიზარდა **[2.103]**. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში **XX** საუკუნის მეორე ნახევრის

დასაწყისში არსებობდა ექვსი კინოთეატრი. სწორედ ამ პერიოდში იწყება გენიალური რეჟისორის, **აკირა კუროსავას** ფილმების გამოჩენაც. მსოფლიოში ცნობილი და ყველასათვის საყვარელი ანიმე ჟანრი სწორედ ამ პერიოდში იხვეწება და განვითარების ახალ დონეს აღწევს. თავდაპირველად იაპონელი ანიმატორები ცდილობდნენ მიეზაძათ დასავლელი კოლეგებისთვის (მაგ., უოლტ დისნეი) და მათი მსგავსი ნამუშევრები შეექმნათ, მაგრამ იაპონელებმა გადანყვიტეს მიმართულების შეცვლა და პერსონაჟების იერსახეში რადიკალური ცვლილებები შეიტანეს (დიდი თვალები, ფერადი თმები, ჩაცმულობის სტილი და სხვა).

**XX** საუკუნის მეორე ნახევარში იაპონურმა ლიტერატურამ რადიკალური ცვლილებები განიცადა. მან შეძლო და ძირეული გარდაქმნა მოახდინა მკითხველთა ცნობიერებაში, მოხიბლა ისინი დრამატულობით, რეალობით და გულწრფელობით; ასევე მოახდინა რეალობისა და მითების გაერთიანება. ამ ახალი მიმართულების ფუძემდებლებს შორის განსაკუთრებულად გამოარჩევენ ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან: იუკიო მიშიმა და კენძაბურო ოე [4. 62].

როდესაც ვსაუბრობთ კულტურულ ცვლილებებზე, შეუძლებელია არ ვახსენოთ ცნობილი იაპონური ჩაცმულობის სტილი, ე.წ. „ქუჩის მოდა“. ისეთი ჟანრის პოპულარობამ, როგორიც ანიმეა, დიდი გავლენა იქონია მოსახლეობის არა მარტო ცხოვრების, არამედ ჩაცმულობის სტილზეც. ეს გავლენა განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას შეეხო. მათ დაიწყეს ანიმეს მთავარი პერსონაჟების მიბაძვა და მათი ჩაცმულობის ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოტანა. იაპონიის ზოგიერთ რაიონში შეხვედებით ახალგაზრდათა ჯგუფს, რომელიც საკუთარ თავს კონკრეტული სუბკულტურის ნაწილად აღიქვამს, მაგ: გოთიკური მოძრაობის მხარდამჭერები, რომლებიც შავებში გამოწყობილი კოსტიუმებით, ტყავის ხელთათმანებით და მრავლობი-

თი პირსინგებით გვხვდებიან. ასევე არის ე.წ „ხილის“ სტილის მიმდევართა ჯგუფი, რომელიც თავის ჩაცმულობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ფერადზე ამახვილებს; იღებავენ თმას სხვადასხვა ფერად და მრავალფეროვან აქსესუარებს ატარებენ [ 3.98].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი იაპონიისათვის ცვლილებების პერიოდი იყო. განვითარდა ისეთი სფერო, როგორც არის ეკონომიკა; ცვლილებები განიცადა პოლიტიკურმა სექტორმა, ასევე რადიკალური გარდაქმნები მოხდა კულტურული და სოციალური კუთხით. დაიხვეწა და განვითარდა იაპონური კინემატოგრაფია, ლიტერატურა, მხატვრობა; შეიცვალა ცხოვრების სტილი; ეკრანებზე გამოჩნდა ანიმე ფილმები, რამაც უზარმაზარი პოპულარობა პოვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყოველივე ზემოთქმულით ჩანს, რომ იაპონია გახდა ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, რომლის ისტორიით და კულტურით მთელი მსოფლიო აღფრთოვანებულია.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. Frances McCall Rosenbluth , Michael F., Thies - Japan Transformed: Political Change and Economic Restructuring. Princeton, 2008.
2. Yoshio Sugimoto, Japanese Culture: An overview , Cambridge 2010
3. Yoshio Yasumaru, HE TWENTIETH CENTURY JAPANESE EXPERIENCE, Japan, 2001.
4. Садокова А. Р., Корнеева И. В., КУЛЬТУРА ЯПОНИИ , Южно-Сахалинск, 2019.

**SOPIO GUGUNAVA**

**POLITICAL AND CULTURAL CHANGES AT THE END  
OF THE 20<sup>TH</sup> CENTURY IN JAPAN**

**Summary**

In 1945 After World War II, the Japanese people were waiting for changes to transform the society in a democratic way. Transformations in Japan were carried out through the US, in particular, General MacArthur made the changes. He was the leader of the US occupation forces. Through MacArthur's reforms and a number of agreements signed with the US, Japan was able to stand up and take an advanced place among the world's leading countries. Such sphere as economy has developed, political sector has undergone thorough changes, although radical transformations have taken place in the cultural and social aspects. Japanese cinema and literature refined and moved to a new level. Anime movies appeared on screens, which gained huge recognition all over the world. All of the facts mentioned above have made Japan one of the leading countries, whose history and culture attracts and gains admiration from the whole world.

## თინა აბულაშვილი

### აკად. ბორის კუფტინის დაბადებიდან 130 წლისთავის ბაგმო

130 წელი შესრულდა XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის – ბორის ალექსის ძე კუფტინის დაბადებიდან. ბორის კუფტინის სამეცნიერო ინტერესებში ჩართული იყო არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ანთროპოლოგიის სფეროები [4.167]. მისი ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს – რუსეთში ცხოვრების პერიოდი, როდესაც მისი კვლევის მიზანს ეთნოლოგია წარმოადგენდა და საქართველოში, სადაც არქეოლოგია გახდა მისი მეცნიერული ინტერესის მთავარი საგანი.

რუსეთში მოღვაწეობისას ბორის კუფტინი მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კავშირის ხალხების ეთნოგრაფიას იკვლევდა. მისი პირველი საკანდიდატო ნაშრომი ეძღვნებოდა არალ-ირტიშის წყალგამყოფის ფლორას [11], ხოლო მეორე, ჯუნგარიის ალატაუს მორფოლოგიასა და ოროგრაფიას. ბორის კუფტინის, როგორც ეთნოგრაფის, ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს დ. ანუჩინმა და ვ. ბოგდანოვმა. ამ უკანასკნელთან ბორის კუფტინი გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე თანამშრომლობდა. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი მეცნიერული პუბლიკაციები ეთნოგრაფიაში. მისი კვლევების გეოგრაფია მნიშვნელოვნად დიდი იყო: იკვლევდა რუსეთის ევროპულ ნაწილს, ციმბირს, შორეულ აღმოსავლეთს, კავკასიას. ეთნოგრაფიაში სამეცნიერო შრომების ერთობლივი ციკლისათვის დაჯილდოებული იყო გეოგრაფთა საკავშირო საზოგადოების ოქროს მედლით. იმ პერიოდში მეცნიერები კვლევებისათვის

სხვადასხვა მეთოდს ირჩევდნენ. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი იყო „კულტურულ-ისტორიული მეთოდი“, რომელიც დასავლეთევროპული დიფუზიონისტური სკოლების ზეგავლენის შედეგად წარმოიშვა, თუმცა ის თავისუფალი იყო დიფუზიონიზმის უკიდურესობებისაგან. ეს მეთოდი ეწინააღმდეგებოდა „ევოლუციურ მეთოდს“, რომელიც აბსტრაქტულ „ზოგადსაკაცობრიო ყოფას“ ემყარებოდა. ბორის კუფტინის შრომებში ძირითადად „კულტურულ-ისტორიული მეთოდი“ ისახებოდა, რის გამოც იმ დიდი ქართველების წლებში, სხვა იდეოლოგიური პლურალიზმის მიმდევრების მსგავსად, ბორის კუფტინიც ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენლად გამოაცხადეს. მას ჯერ მეცნიერული მოღვაწეობა აეკრძალა, ხოლო 1930 წელს კონტრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს და სამი წლით გაასახლეს ქ. ვოლოგდაში. ამ უძნელეს წლებში მეცნიერს არ შეუწყვეტია სამეცნიერო მუშაობა. 1933 წელს გადასახლებიდან დაბრუნდა ყველა უფლების აღდგენით, მაგრამ მან საბოლოოდ უარი განაცხადა ეთნოგრაფიულ სამუშაოებში მონაწილეობაზე. პროფ. გიორგი ნიორაძის დახმარებით იგი თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ამ დროიდან მის ცხოვრებასა და საქმიანობაში ახალი პერიოდი იწყება და ის მთლიანად საქართველოს არქეოლოგიის კვლევისადმი მიძღვნილი. თბილისში ჩამოსვლისთანავე აქტიურად ჩაება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში დაცული, ყოფილი კავკასიის მუზეუმის უმდიდრესი მასალის სისტემატიზაციის და მონესრიგების საქმეში; დაათარილა არქეოლოგიური კოლექციები. ამ დიდი მუშაობის შედეგად, 1934 წელს პროფესორების – ბორის კუფტინის და გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა „წინაკლასობრივი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მა-

სალების მიხედვით“ [1.8]. ამ გამოფენამ დიდი ბიძგი მისცა არქეოლოგიური კვლევის განვითარებას საქართველოში. აქედან მოყოლებული, ბორის კუფტინმა არაერთი არქეოლოგიური ძეგლი გათხარა და შეისწავლა. 1934-1935 წლებში მონანილოვობდა ი. მეშჩანინოვის ხელმძღვანელობით მოწყობილ აფხაზეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, სადაც იკვლევდა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, კერძოდ, დოლმენებს. 1936 წელს, „ენიმკის“ დავალებით, სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლაგომში იკვლევდა ადრეელინისტური ხანის ქვევრსამარხებს და ნაციხვარის სამოსახლო ბორცვს [3.76]. აქ გამოვლენილ კერამიკას იგი ადგილობრივად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ ქვედა ჰორიზონტის ეს კერამიკა თავისი ფესვებით ენეოლითში აღწევდა და გენეტიკურად ენათესავებოდა ნალკის ციკლოპური ნამოსახლარის ქვედა ფენის კერამიკას [10.136]. აღმოჩენილი მასალის საფუძველზე მან შეძლო კოლხეთის იმ შესაბამისი ფენების დათარიღება, რომლებიც მსგავს კერამიკის ფრაგმენტებს შეიცავდა. 1937 წელს მან გააგრძელა აფხაზეთში, კერძოდ, სოფ. ეშერაში (ადგილი „კიურ-დერე“) და სოფ. აზანთაში დოლმენების შესწავლა და ისინი ძვ.წ. III ათასწ-ის და ძვ.წ. II ათასწ-ის მიჯნით დაათარიღა.

ბორის კუფტინმა შეისწავლა სოფელ ანაკლიაში მდებარე დიხა-გუძუბას საცხოვრებელი ბორცვის არქეოლოგიური მასალა, რის შედეგადაც ოთხი კულტურული ფენა გამოყო [10.152, 242, 248, 250, 253]. გამოავლინა მანამდე უცნობი ადრეული კულტურული ფენების არსებობა, რომლებიც წინ უსწრებდნენ გვიანბრინჯაოს ხანას. სამოსახლო ბორცვების შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ კოლხეთის დაბლობი ძველთაგანვე მჭიდროდ დასახლებული და ძლიერ განვითარებული კულტურული ადგილი იყო, სადაც ქართველი ტომების ადრეული სამეურნეო-ეკონომიკური და ეთნოკულტურული ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. ბორის კუფტინის მიერ განსაკუთ-

რებული კულტურული კომპლექსების გამოვლენის შედეგად დადგინდა, რომ ძვ.წ. II ათასწ-ის I ნახევარში, წინა აზიისაგან დამოუკიდებლად, დასავლეთ საქართველოს და, საერთოდ, დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებობდა თვითმყოფადი კულტურა [8.306]. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგები ბორის კუფტინმა გამოაქვეყნა ორტომიან ნაშრომში „მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის“.

1936 წელს ბორის კუფტინი სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიურ გათხრებს თრიალეთში. გათხრები მიმდინარეობდა ნალკის ზეგანზე. ამ გათხრების შედეგებმა მთლიანად შეცვალა კავკასიისა და საქართველოში მეტალურგიული წარმოების შესახებ წარმოდგენები. მანამდე დომინირებდა აზრი, რომ აქ ლითონის წარმოება მზა სახით ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე, რკინის გამოჩენასთან ერთად, უეცრად შემოვიდა [7.3]. მრავალი არქეოლოგიური ძეგლის შესწავლის შედეგად ბორის კუფტინმა აქ დაადასტურა ადრე- და შუაბრინჯაოს ხანის თვითმყოფადი, ადგილობრივი კულტურის არსებობა. გამოყო ბრინჯაოს კულტურის განვითარების საფეხურები, ენეოლითიდან მოყოლებული, რკინის ხანამდე; აღმოაჩინა მანამდე სრულიად უცნობი „მტკვარ-არაქისი“ და „თრიალეთის“ კულტურები; პირველად შექმნა საფუძვლიანი პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, ახლებურად გააშუქა კავკასიის უძველესი ისტორია. თრიალეთის არქეოლოგიურმა შესწავლამ შორეულ წარსულში გადაიტანა საქართველოს და, მთლიანად, კავკასიის ისტორიის ფესვები. თავისი მეცნიერული შეხედულებები ბორის კუფტინმა შეაჯამა მონოგრაფიაში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. ამ ნაშრომს 1942 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. არქეოლოგიური აღმოჩენების და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არსებული არქეოლოგიური კოლექციების ანალიზის საფუძველზე ბორის კუფტინმა აჩვენა სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი სამინათმოქმედო კულტურის ხანგრძლივი



(ძვ.წ. III ათასწ-დან დაწყებული) განვითარება, სადაც ლითონის დამუშავებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. 1944 წელს ბორის კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იმავე წელს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1946 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, დაჯილდოვდა საპატიო პრემიით, საპატიო სიგელით და მედლით.

1945 წელს ბორის კუფტინმა სამარშრუტო არქეოლოგიური ექსპედიცია ჩაატარა ე.წ. სამხრეთ ოსეთში და იმერეთში, 1947 წელს კი განაახლა თრიალეთში შეწყვეტილი სამუშაოები.

1952 წელს პროფ. მ. მასონის მიწვევით ბორის კუფტინი გაემგზავრა თურქმენეთში და მონაწილეობა მიიღო სამხრეთ თურქმენეთის კომპლექსურ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელიც ენეოლითურ და ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს, ე.წ. „ანაუს კულტურას“ სწავლობდა. ეს საკითხი საკვანძო იყო თურქმენეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიული პროცესების გასაშუქებლად და სწორედ ამ პრობლემის გადაჭრა მოახერხა ბორის კუფტინმა. მან აქ მხოლოდ სამი წელი იმუშავა, მაგრამ ამ მოკლე დროში 20-ზე მეტი ამ ტიპის საცხოვრებელი ბორცვი გამოიკვლია. შეაგროვა ანთროპომორფული და მოხატული კერამიკის მდიდარი კოლექციები [4.166-168; 6.91-92]. ჩატარებული კვლევების საფუძველზე მან შეიმუშავა ამ ძეგლების პერიოდიზაცია. 1953 წელს მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მეცნიერების განყოფილების სესიაზე, ბორის კუფტინმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება თურქმენეთში ჩატარებული სამუშაოების შესახებ. აქვე ექსპონირებული იყო მის მიერ შეგროვებული არქეოლოგიური კოლექციები [6].

1953 წელს ბორის კუფტინი სამუშაოდ ისევ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაბრუნდა. შენობაში შესვლისთანავე

მას ალტაცებით წამოუძახია „დღეიდან მე ისევ თქვენი თანამშრომელი ვარო“.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა და არქეოლოგიური ფონდების კოლექციების ანალიზმა ბორის კუფტინს საშუალება მისცა ეჩვენებინა სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი სამინათმოქმედო კულტურის ხანგრძლივი განვითარება, სადაც ლითონის დამუშავებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. უამრავი შედარებითი მასალის ანალიზისა და პარალელების მოზიდვის საფუძველზე, მან საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე კულტურული რეგიონი გამოყო და გააკეთა შემაჯამებელი დასკვნა, რომ ადრებრინჯაოს ხანაში, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, მრავალი კულტურული დინებები გადიოდა და მჭიდრო კავშირი არსებობდა უძველეს მესოპოტამიის ცენტრებთან [8.300]. მან მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში წარმოქმნილ კულტურას, გავრცელების არეალის საფუძველზე, „მტკვარ-არაქსის“ კულტურა უწოდა. მტკვარ-არაქსის მატარებელი ტომები ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, სამხრეთით. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიის უძველეს ისტორიაში. ბორის კუფტინს მიაჩნდა, რომ სწორედ ამ კულტურაში აღწევა და მის მიერვე აღმოჩენილი თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის, ადგილობრივი კულტურის ფესვები და რომ ქართველი ერის სამშობლო, იმავე დროს, მისი კულტურის უძველეს სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს და ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის საწყისები ადგილობრივადაა საძებარი [9.1-2]. ეს დასკვნა სერიოზულ დარტყმას აყენებდა მანამდე გაბატონებულ შეხედულებებს ქართველური ტომების მიგრაციის შესახებ წინა აზიიდან, კაბადოკიიდან და კილიკიიდან.

თავისი კვლევებით ბორის კუფტინმა შექმნა ახალი ეტაპი ქართული არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. მან კარდინალურად შეცვალა ამიერკავკასიის უძველესი ისტორია

და კავკასიას განსაზღვრული როლი მიაკუთვნა აღმოსავლეთის უძველეს კულტურათა სისტემაში. დაადგინა მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურის გენეტიკური კავშირი, განსაზღვრა აფხაზეთის დოლმენების ასაკი და კოლხეთის დაბლობზე სამოსახლო ბორცვების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. მის მიერ შემუშავებულმა ქრონოლოგიურმა სქემამ შემდგომ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში და დღემდე არსებითი ცვლილება არ განუცდია. ბორის კუფტინის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა ფონდი, რომელსაც „თრიალეთის ფონდი“ ეწოდა. იგი იყო ღრმად ერუდირებული მეცნიერი. მის ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და აქტუალობა. ო. ჯაფარიძე წერდა: „მის მიერ თავიდანვე სწორად იყო დანახული კულტურულ-ისტორიული განვითარების სურათი. მან გააკეთა საფუძვლიანი დასკვნა, რომ ქართველი ხალხის ისტორიის უძველესი ფესვები უნდა ვეძებოთ ადრეულ წარსულში, ბრინჯაოს ხანის კულტურაში. შემდგომმა კვლევებმა და დიდალმა ფაქტობრივმა მასალამ უფრო მეტად დააზუსტა და დაამტკიცა მისი მოსაზრებები“. სამწუხაროდ, ბორის კუფტინს ვერ დასცალდა განეხორციელებინა ის გეგმები, რომელიც სამომავლოდ ჰქონდა წარმოდგენილი. მისი სიცოცხლე ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. აბულაშვილი თ., ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 2009.
2. ჭილაშვილი ლ., საუკუნენახევრის გადასახედიდან, სსმმ, №44, თბილისი, 2002, გვ. 29-70.

3. ჯაფარიძე ო., ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბილისი, 1959, გვ. 68-107.
4. Дебец Г., Памяти Б.А. Куфтина, СЭ №1, Москва, 1954, с. 166-168.
5. Джапаридзе О., К 100 летию со дня рождения акад. Б.А. Куфтина, РА №3, Москва, 1993, с.246-249.
6. Массон М., Куфтин Б.А. (1892-1953) Некролог, ИАН Турк. ССР, №1, 1954, с. 91-92
7. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Опыт периодизации памятников, Т. 1. Тбилиси, 1941.
8. Куфтин Б., К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ВГМГ, XII-В, Тбилиси, 1944, с.291-435.
9. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949.
10. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950.
11. Куфтин Б., Автобиография (დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, აკად. ბორის კუფტინის ფონდში).

### შემოკლებათა განმარტება

ენიმიკი - ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

სსმმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

ИАН - Известия Акад. Наук

РА - Российская Археология

СЭ - Советская Археология

## სურათების აღწერა

1. ბორის კუფტინი
2. ბორის კუფტინი დაზვერვებზე
3. ბორის კუფტინი და მისი მეუღლე ვალენტინა სტეშენკო
4. ბორის კუფტინის მიერ თრიალეთში, ძვ.წ. II ათასწ-ის შუა ხანების ყორღანებში აღმოჩენილი ნივთები: 1. ნითლად მოხატული ჭურჭელი; 2-3. ოქროსმძივებიანი და აქატისგულსაკიდიანი ყელსაბამი და ოქროს თასი; 4. ვერცხლის თასი; 5. ვერცხლის სარწყული
5. ბორის კუფტინის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების რუკა.

**TINA ABULASHVILI**

### **ON THE 130<sup>TH</sup> ANNIVERSARY OF ACADEMICIAN BORIS KUFTIN**

#### **Summary**


We are commemorating Boris Kuftin's 130<sup>th</sup> anniversary who was one of the eminent scholars among the other honorable members of Georgian academic community. He was a fellow member of Georgian Academy of Sciences and the winner of the State prize.

B. Kuftin came to our country from Russia where he worked as an ethnologist but later after moving to Georgia he delved into the investigation of the country's archaeology.

He had thoroughly studied and analyzed all the already existing archaeological discoveries and collections of the State Museum's holdings and later offered his own conclusions to the scholarly community. He perfectly documented and cogently determined a continuous existence and an uninterrupted development of the local farming culture in the south Caucasus and clearly demonstrated the fact that metal working together with agriculture was one of the utterly important occupations of the locals.

B. Kuftin discovered the Kura-Araxes and Trialeti cultures and revealed close genetic links between them. He provided the date for Abkhasian dolmens and established chronological sequence of settlement mounds uncovered at Kolkheti lowlands. A chronological table created by B. Kuftin has become an utterly important scheme for the further investigations of the Bronze period not only in Georgia but also in the entire Transcaucasia and it still persists without any substantial changes.


Boris Kuftin has appeared the first scholar who managed to give a fresh flash and blood to the earlier unearthed archaeological artifacts and other data and created a sound footing for further development of Georgian archaeology. He was the scholar who entirely changed Transcaucasia's old history and invested it with the exclusive properties offering the possibilities to occupy a proper position among the other old ancient Oriental cultures.



სურ. 1



სურ. 2




სურ. 3



სურ. 4





სურ. 5

## მანანა რუსიეშვილი-კარბლაძე

### ბრიტანეთი ბრექსიტის შემდეგ

ტერმინი „ბრექსიტი“ (Brexit) გამოიყენება ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების გადაწყვეტილების აღსანიშნად. 2016 წლის 23 ივნისს ჩატარებულ რეფერენდუმზე ამ გადაწყვეტილებას მხარი მოსახლეობის 52 %-მა დაუჭირა და ამით საფრთხის ქვეშ დააყენა ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირი.

თავდაპირველი გეგმით, ბრიტანეთს ევროკავშირი 2019 წლის 29 მარტს უნდა დაეტოვებინა. ამისთვის მხარეები მოლაპარაკებებს ორი წლით ადრე შეუდგნენ. ტერეზა მეიმ, ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერმინისტრმა, ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს შორის არსებული ხელშეკრულების 50-ე პუნქტის შესახებ მოლაპარაკება სწორედ ამ დროს დაიწყო. მას შემდეგ, რაც ტერეზა მეის საკუთარმა პარტიამ უნდობლობა გამოუცხადა, ბრიტანეთი ბრექსიტამდე ბორის ჯონსონმა მიიყვანა. საბოლოოდ, ეს აქტი 2021 წლის 1 იანვარს გაფორმდა.

### რა შეცვალა ბრექსიტმა გაერთიანებულ სამეფოში?

უპირველეს ყოვლისა, შეიზღუდა ევროპის ქვეყნებში ბრიტანელების ცხოვრების ხანგრძლივობა და შეიცვალა მათი სტატუსი. კერძოდ, 2021 წლიდან ბრიტანეთის მოქალაქეებს, სპეციალური ნებართვის გარეშე, ევროპის კავშირის ქვეყნებში მხოლოდ 90 დღის მანძილზე შეუძლიათ დარჩნენ.

გარდა ამისა, რთული აღმოჩნდა ბრიტანეთის საკანონმდებლო ბაზის მოდიფიკაცია და ევროკავშირის კანონებისგან

მისი სწრაფი და ეფექტური გამიჯვნა. გეგმა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით შექმნილ კანონებს ადვილად „ამოშლიდნენ“ ბრიტანული კანონმდებლობიდან, მალევე დაივიწყეს. ამჟამად ცხადია, რომ ევროკავშირის წევრობის დროს მიღებული კანონები და შეთანხმებები (მაგალითად, შეთანხმებები ვაჭრობისა და კოოპერაციის, ბირთვული უსაფრთხოების შესახებ, ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ და სხვა) კვლავ ძალაშია ბრექსიტის ამოქმედების შემდეგაც. მეორე მხრივ, ნელი ტემპით მიმდინარეობს ევროპის კავშირთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოდიფიკაცია და გამოქვეყნება.

ბრექსიტის შემდგომმა პერიოდმა საკმაოდ დიდი დალი დაასვა ბრიტანეთის ეკონომიკასაც და საფრთხის ქვეშ დააყენა ქვეყნის ტრადიციულად მდგრადი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა. მოვლენების ამგვარი განვითარება მკვეთრად განსხვავდება იმ წარმატებული მოლოდინისაგან, რომელიც ბრექსიტის მომხრეებს ჰქონდათ. მაგალითად, ბრექსიტის გულშემმატიკივარი ნ. ფარაჟი სწორედ ევროპის კავშირისთვის დამახასიათებელ ბიუროკრაციას აბრალებდა ბრიტანული ბიზნესისთვის კარგად ცნობილ, ქანცისგამწყვეტ რეგულაციებს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ევროკავშირისგან თავის დაღწევა ბრიტანულ ბიზნესს შვებას მისცემდა. ჯონსონიც იმავე აზრზე იდგა და ვარაუდობდა, რომ ბრექსიტის შემდეგ ბრიტანულ ბიზნესს გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებოდა ევროპის კავშირის ქვეყნებთან კიდევ უფრო ფართო ურთიერთობის დასამყარებლად.

სინამდვილეში, საქმე ოპტიმისტური გეგმის მიხედვით არ განვითარდა. ბრექსიტმა კიდევ უფრო ბიუროკრატიული გახადა ბიზნესის მართვა და გააუარესა ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში. 2021 წლის ბოლოსთვის ბრიტანეთში აღინიშნა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 5%-ით კლება. ქვეყნის ბიზ-

ნესტრუქტურებში ინვესტირების მაჩვენებელი 13.7%-ით დაეცა, ხოლო ბრიტანეთის ევროპასთან ვაჭრობის მაჩვენებლის ვარდნამ კი 15% შეადგინა. ევროპული რეფორმების ცენტრი მიიჩნევს, რომ 2022 წლის ივნისის მონაცემებით, ბრიტანეთის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან 7% დაბალია, ვიდრე, სავარაუდოდ, იქნებოდა ბრიტანეთის ევროპის კავშირში დარჩენის შემთხვევაში. ლონდონის ეკონომიკის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ბრიტანული პროდუქციის ექსპორტი ევროპის კავშირის ქვეყნებში 30% შემცირდა ბრექსიტის პირველ წელსვე, როდესაც მცირე მასშტაბის ექსპორტიორები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ ევროპული ბაზარი. ამის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა დაახლოებით £40 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ზარალს იღებს ყოველწლიურად.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბრიტანეთის კომერციული პალატის ცნობის მიხედვით, ბიზნესის წარმომადგენელთა 77% თვლის, რომ ბრექსიტმა ვერ უზრუნველყო მათი ბიზნესის განვითარება და, უფრო მეტიც, მათ კიდევ უფრო გაურთულა ბრექსიტის წესებთან და რეგულაციებთან შეგუება.

ყველაფერმა ამან კი ინფლაციის მაჩვენებელზე იმოქმედა. დღეს ბრიტანეთი ერთადერთი ქვეყანაა G7 ქვეყნებიდან, რომლის ეკონომიკაც, პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით, შემცირდა. გამართლდა მაიკლ გოუვის სიტყვები, რომ ბრიტანული ბიზნესი მზად უნდა ყოფილიყო არასტაბილურობისათვის.<sup>1</sup>

ეკონომიკურმა არასტაბილურობამ მოიტანა სხვადასხვა სექტორში დასაქმებული მუშაკების გაფიცვები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას და აპროტესტებენ ფასების მატებას. სოციალური კვლევების შედეგების მიხედვით, ბრიტანელების 57% მიიჩნევს, რომ ბრექსიტმა უფრო მეტი პრობლემა შექმნა, ვიდრე გადაჭრა. მართალია, ბრექსიტი მოსახლე-

---

<sup>1</sup> ცხადია, ბრექსიტის გარდა, ამ პროცესზე უარყოფითი როლი ითამაშა რუსეთ-უკრაინის ომმა და პანდემიამ.

ობის ნახევარზე მეტის არჩევანი იყო. მის მისაღწევად, როგორც მიიჩნევენ, „ხელისუფლებამ რთული გზით იარა“, რამაც ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. უფრო მეტიც, მაიკლ სონდერსი, Oxford Economics-ის უფროსი მრჩეველი თვლის, რომ ბრიტანეთის უახლოეს მომავალში ბრიტანეთის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივა დიდ ეჭვს ბადებს. ფასები იზრდება, ბიზნესი კვლავ პრობლემებითაა მოცული, თითქმის ყველა სექტორს აკლია მუშახელი, რაც, ბრექსიტამდე, დიდწილად ევროპის კავშირის მოქალაქეებით ივსებოდა.

პრობლემად მიიჩნევა, ასევე, ბრიტანეთში შეშავალი ჩრდილოეთ ირლანდიისა და ირლანდიის რესპუბლიკის საკითხიც. მართალია, „[სუნაკი და ფონ დერ ლაიენი] შეთანხმდნენ, რომ გააგრძელონ მუშაობა ირლანდიის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ირლანდიის პროტოკოლის გარშემო არსებული რთული გამონკვევების საერთო, პრაქტიკული გადაწყვეტისთვის [1], მაგრამ ბრიტანეთს არც ამ საკითხში მიუღწევია დამაჯერებელი გამარჯვებისათვის“.

ამ ფონზე ის მცირე სარგებელი, რაც ბრიტანეთს ერგო ბრექსიტის საპირინოდ (მაგალითად, ის, რომ მას შეუძლია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გააფორმოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ავსტრალიასთან თუ ახალ ზელანდიასთან), ბევრს არაფერს ცვლის და არც ქვეყნის მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას უწყობს ხელს. კერძოდ, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან ეკონომიკური კავშირი მხოლოდ მცირედით (0.1%) თუ გაზრდის ეკონომიკის მოცულობას.

ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმი თავიდან რომ ჩატარდეს, შედეგები მკვეთრად განსხვავებული იქნება.

შესაბამისად, აღარ არის გასაკვირი, რომ, მიუხედავად ბრექსიტამდე რამდენიმე ევროპული ქვეყნის თამამი განაცხა-

დისა, რომ გეგმავდნენ ევროპის კავშირის დატოვებას, ბრიტანეთი კვლავ ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ოფიციალურად გამოეყო ევროპის კავშირს. რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფიქრობდნენ კავშირის დატოვებაზე, უახლესი კვლევების მიხედვით, ყველა მათგანმა მკვეთრად შეიცვალა აზრი და აღარ გეგმავენ ამ ნაბიჯის გადადგმას. მაგალითად, საუბარი შეწყდა ფრექსიტზე და იტალექსიტზე<sup>1</sup> (ფრიდლენდი, 2022). სამაგიეროდ, აქტიურად მიმდინარეობს საუბარი ევროპის კავშირის სტრუქტურულ რეფორმირებაზე. ბრიტანეთის მაგალითმა ნათელი გახადა, რომ ევროპის კავშირი ნამდვილად სიცოცხლისუნარიანი და გრძელვადიანია.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. სუნაკი: ყველაფერს ვაკეთებ ევროკავშირთან შეთანხმების მისაღწევად  
<https://tabula.ge/ge/news/697809-sunaki-qvelapers-vaketebevrokavshirtan>
2. Brexit: What you need to know about the UK leaving the EU  
<https://www.bbc.com/news/uk-politics-32810887>
3. Freedland J., Our European neighbours now look at post-Brexit Britain and say simply: nein, danke. 2022.  
<https://www.theguardian.com/commentisfree/2023/jan/13/european-brexit-britain-european-eu>
4. Ziady H., Brexit has cracked Britain's economic foundations, 2022.  
<https://edition.cnn.com/2022/12/24/economy/brexit-uk-economy/index.html4>.
5. EU legislation and UK law  
<https://www.legislation.gov.uk/eu-legislation-and-uk-law>

---

<sup>1</sup> საფრანგეთისა და იტალიის გასვლა ევროპის კავშირიდან.

**BRITAIN AFTER BREXIT**

**Summary**

In a referendum held on 23 June 2016, the majority of British citizens chose to leave the European Union. This finally happened on 1 January 2021. The newly-coined term „Brexit“ (British exit) is used to denote the withdrawal of the United Kingdom from the European Union.

This article attempts to show the situation in Britain two years after Brexit was finally completed. It describes some of the changes invoked by Brexit in the lives of the British people. The supporters of Brexit claimed that the advantages would outweigh the disadvantages. However, clearly, this is not the case. Specifically, the problems arising after Brexit included, for instance, the end of freedom to work and live between the UK and the EU, a rise in the rate of inflation, the relationship between northern Ireland ( part of the UK) and the Republic of Ireland, etc. Therefore, all the indications are if a referendum was held now, the majority of voters would be against leaving Europe.

**იზოლდა ბელთაძე**  
**თამარ ხინიკაძე-გვარამია**

**საქართველოს ცივილიზაციური არჩევანი**

ჩვენ მიზნად დავისახეთ, გვეჩვენებინა საქართველოს ცივილიზაციური არჩევანი, რომელიც მთლიანადაა ორიენტირებული ევროპულ ინტეგრაციაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. ქართველი ხალხის სწრაფვამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ჩვენი წარსულის ახლებურად გააზრება, ჩვენი ტრადიციული ორიენტაციის ძირითადი მიზეზების ახსნა, იმის გარკვევა, თუ რა აერთიანებს საქართველოს ევროპასთან და როგორ აისახება ევროპული იდეები ქართველი ხალხის აზროვნებასა და ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება და ინსტიტუციური დემოკრატიის მაღალ სტანდარტებთან დაახლოება, ქვეყანაში ინვესტიციების და თანამედროვე ინოვაციების მოზიდვის ხელშეწყობა.

საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის საჭიროა გონივრულად შევიმეცნოთ არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხეები, აღმოვაჩინოთ კონსენსუსი მომავლის ახალი პრიორიტეტების განსაზღვრაში და გავბედოთ ხმამაღლა განვაცხადოთ: საქართველო არ არის მხოლოდ გეოპოლიტიკურად საინტერესო ტერიტორია, სამხედრო ბაზების განლაგებისათვის ხელსაყრელი ადგილი [1.53].

საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ოდითგანვე იყო დიდი იმპერიების სამიზნე. კავკა-



სიაში მდებარე საქართველო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლია, გზაჯვარედინია, საიდანაც იკვეთება ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკური თუ კულტურული არეალები, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ზრდის ამ რეგიონის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკური პროცესებისადმი [2. 58].

ევროპა არის ის ბუნებრივი გარემო, რომელსაც საქართველო მოწყვეტილი იყო საუკუნეების მანძილზე და რომელშიც ქართულმა სახელმწიფომ უნდა განაგრძოს თავისი განვითარება. ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის პროცესი ხელს უწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას ევროპული ტიპის დემოკრატიულ ქვეყნად, მის ინტეგრაციას საერთო ევროპულ სივრცეში, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის [3.29].

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდან მტკიცედ აიღო განვითარების დასავლური კურსი. საგარეო პოლიტიკის ეს არჩევანი ქვეყნისთვის ახალი და მოულოდნელი არ ყოფილა. თუ საქართველოს ძველ და ახალ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ცხადი გახდება, რომ საქართველოსათვის დასავლური ფასეულობები და დასავლეთის ცივილიზაციებთან დაახლოების მცდელობა ყოველთვის ორგანული იყო. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მიზნებია [5.21].

საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. 1992 წელს დაიდო პირველი ოფიციალური შეთანხმება, რომელიც ევროკავშირთან გაფორმდა და არეგულირებს თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. 1999 წელს დაიდო „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“. 2006 წელს საქართველოს მიერ მიღებულ იქნა „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის“ სა-

მოქმედო გეგმა, 2008 წელს გაფორმდა კომუნიკე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ, ხოლო 2009 წელს ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ შესახებ ერთობლივ დეკლარაციას. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით მოხდა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მთავარი ჩარჩოხელშეკრულების გაფორმება, რომელმაც ჩაანაცვლა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“.

პატარა ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს, მათ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკურ პრიორიტეტებს რეგიონული განზომილება აქვთ.

2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოსათვის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. შეთანხმება ძირითადად ქვეყნის მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, იგი უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. ასოცირების შესახებ შეთანხმება შლის სრულიად ახალ თვალსაწიერს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობაში. ეს თავისთავად არ არის პროცესის დასასრული, პირიქით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ამით ქვეყნის ევროინტეგრაცია, როგორც საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი, შიდა პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია. რეფორმები ითვალისწინებს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებას და თანმიმდევრულ ეკონომიკურ ინტეგრაციას, რაც ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს შუქცევადას ხდის. ეს ჩვენი ხალხის ისტორიული არჩევანია და საქართველო მზად არის დააჩქაროს ევროკავშირთან ინტეგრაციის დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმები.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის წყალობით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები სრულიად ახალ ფაზაში გადავიდა და საქართველოს პროდასავლური განვითარების ახალი ლეგიტიმური საფუძვლები შეიქმნა. ეს შეთანხმება მომავალი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს [4.10].

ასოცირების შეთანხმების განხორციელება საქართველოს სრულ მოდერნიზებას გამოიწვევს, რასაც თავისი დადებითი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები ექნება. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში რეალიზება ხელს შეუწყობს მიმზიდველი სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას ქვეყანაში, გაიზრდება მისი, როგორც საერთაშორისო პარტნიორის სანდოობა საერთაშორისო დონეზე. ასოცირების შეთანხმების სრულად ამოქმედების შემდეგ ქართველ მწარმოებლებს და ექსპორტიორებს ექნებათ თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, რაც მნიშვნელოვანი სტიმული იქნება საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვისათვის, რაც, თავის მხრივ, საგრძნობლად დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლებას. საქართველოში დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება, კერძოდ: განხორციელდა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და მოდერნიზება, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, უფრო მეტად დივერსიფიცირებული გახდა ენერგეტიკული რესურსების მიწოდება და მათი წარმოება. მნიშვნელოვანი მოდერნიზება განხორციელდა ფინანსური მომსახურების სფეროში. ცვლილებები განხორციელდა გარე-

მოს დაცვის პოლიტიკაში, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დიალოგის და სხვა სფეროებში.

ამრიგად, საქართველოსათვის დასავლური ფასეულობები და დასავლეთის ცივილიზაციებთან დაახლოების მცდელობა ყოველთვის ორგანული იყო. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მიზნებია. დასავლური ორიენტაცია და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია არის ძირითადი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მთავარი გარანტი. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი გულისხმობს ევროკავშირთან თანამშრომლობის კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოსათვის ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. შეთანხმება ძირითადად ქვეყნის მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, იგი უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. გოგოლაშვილი კ., საქართველო და ევროინტეგრაცია – პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი, 2004.
2. კაპანაძე ს., ჭყოიძე ვ., ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, თბილისი, 2006.
3. მანველიძე ი., ევროკავშირი – გლობალური საერთაშორისო ფაქტორი, თბილისი, 2011.
4. რადვანი ჟ., ბერუჩაშვილი ნ., კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი, თბილისი, 2011.

5. შველიძე დ., საქართველოს დასავლური ორიენტაცია, წარსულის ეპიზოდები, თბილისი, 2012.
6. [http://www.economy.ge/uploads/files/sagareo\\_vachroba/trade\\_turnover\\_2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/trade_turnover_2020.pdf)
7. [http://www.economy.ge/uploads/publications/economy\\_7906818060f93fb215ef09.01499270.pdf](http://www.economy.ge/uploads/publications/economy_7906818060f93fb215ef09.01499270.pdf)

**IZOLDA BELTADZE**  
**TAMAR KHINIKADZE-GVARAMIA**  
**GEORGIAN CIVILIZATIONAL CHOICE**

**Summary**

We aimed to show Georgia's civilizational choice, which is entirely focused on European integration and economic development. The aspirations of the Georgian people towards Euro-Atlantic structures made it even more urgent to understand our past in a new way, to explain the main reasons for our traditional orientation, to find out what unites Georgia with Europe and how European ideas reflect the Georgian people's thinking and further development.

From the first days of independence, Georgia firmly followed the Western course of development. This choice of foreign policy was not new and unexpected for the country. If we look at the old and new history of Georgia, it will become clear that Western values for Georgia and the attempt to get closer to Western civilizations have always been organic. Political association with the EU and deepening economic integration are the main goals of Georgia's future development.

Georgia's foreign policy focus is shifted to the EU region.

European integration in the economic and political space is the main direction of Georgia's development. Today, integration processes between Georgia and the European Union are underway in such sectors as: economy, politics, security. The undoubted political significance of rapprochement with the EU is primarily related to Georgia's security concerns. Development in a peaceful and stable environment is not only a national interest of Georgia, but also a priority of the entire civilized world. In this regard, the concurrence of the interests of Georgia and the Western world is obvious.

Georgia's cooperation with the European Union began in the 1990s. The first formal agreement, signed in 1992 with the EU and regulating the priority areas of cooperation, was the 1999 Partnership and Cooperation Agreement. Georgia adopted the European Neighborhood Policy Action Plan in 2006, the Eastern Partnership Communication was signed in 2008, and a Joint Declaration on Mobility Partnership was signed in 2009. The Association Agreement signed in 2014 is an important stage for Georgia on its path to EU integration. The agreement is mainly an action plan for the modernization of the country, it provides for the strengthening of democratic

## ხატია ცაცხლაძე

### ეთნოლოგიური კვლევა, ქორწინების ინსტიტუტი და მისი ძირითადი ელემენტები ძველ თბილისში

ძველ თბილისურ ყოფიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქორწინების ინსტიტუტს. ეს არის საკითხი, რომელიც საინტერესო თავისებურებებითა და, ამავდროულად, მასზე არსებული ძალიან მწირი ეთნოგრაფიული მასალის არსებობითაა გამორჩეული.

თბილისურ ქორწინებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა მის წინა პირობებს, სხვადასხვა ადათსა და წესს. ქორწინებამდე წყვილთა ოჯახების ორივე მხარე იკვლევდა გენეტიკურ საკითხებს, შთამომავლობას, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, გვარის წარსულსა და აწმყოს... აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე, ქალაქი გამორჩეული იყო თავისი მიდგომებით, რეგიონებისგან განსხვავებით, და ამიტომ ის ქალაქური ქორწინების თავისებურებების სახით შენარჩუნდა.

XIX ს-ის დასაწყისში, თბილისში ქალაქური ქორწინების აუცილებელ წინაპირობად რჩება მაჭანკლობის ინსტიტუტი. ლიტერატურაში დაცული მასალების მიხედვით, დასაქორწინებელი ქალისა თუ მამაკაცის შემთხვევაში საქმის მოგვარება, ანუ წყვილის შეკვრა, აუცილებლად უფროსის კომპეტენცია იყო. ამ შემთხვევაში შუამავლები ერთვებოდნენ და იწყებდნენ მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როდესაც დასაქორწინებელი ასაკის გახდებოდა ქალი თუ ვაჟი.

როდესაც ვაჟი მიაღწევდა საქორწინო ასაკს, მშობლები იწყებდნენ შესაფერისი ქალის ძებნას. ამ შემთხვევაში, თუ ვინმე გახდებოდა მათი რჩეული, მყისიერად იწყებდნენ მასზე ინფორმაციის შეგროვებას, ხოლო, თუ მათთვის სრულად და-

მაკმაყოფილებელი იქნებოდა ქალის მდგომარეობა, მაშინვე აგზავნიდნენ შუამავალს ქალის ოჯახში და ატყობინებდნენ განზრახვას. ქალის ოჯახისთვის თუ ვაჟიც სასურველი აღმოჩნდებოდა, მაშინ უკვე ისინი მიდიოდნენ სასიძოს „სახლის გასასინჯად“. რა თქმა უნდა, ქალის ოჯახის სურვილიც ვაჟის ოჯახის იდენტური იყო, რადგან უნდოდათ მათ შვილს შეძლებულ, გამართულ და ნორმალური შთამომავლობის მქონე ოჯახში ეცხოვრა.

სულხან-საბას მიხედვით, „მაჭანკალი აღნიშნავს სიძის შუამავალს, მეტყევს“ [1.61]. თანამედროვე ყოფაში შეცდომით იხმარება ერთი და იგივე მნიშვნელობით მაჭანკალი და შუაკაცი, რაც უდავოდ შეცდომაა. შუაკაცი ეს იყო დამზავებელი, მომწესრიგებელი სხვადასხვა სადავო საკითხისა; ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც ცნობილი იყო პატიოსნებით და არავითარ შემთხვევაში არ იღებდა ფულს, რასაც ვერ ვიტყვით მაჭანკალზე. ის სრულად არ სარგებლობდა ავტორიტეტით და შუაკაცის ანტიპოდს წარმოადგენდა.

მაჭანკლებისა და შუამავლების მეშვეობით შესაქმნელ ოჯახებში წყვილი სრულად პასიურ მდგომარეობაში იდგა. ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად, მათ ბედს, ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად, უცხო ადამიანი წყვეტდა, რაც ხშირად ხდებოდა იმდროინდელ რეალობაში, რადგან მხოლოდ გასამრჯელოთი დაინტერესებული პირები არ ითვალისწინებდნენ არანაირ მონაცემსა და ხელისშემშლელ ფაქტორებს ქალისა და მამაკაცის მიდგომებსა თუ გრძნობებში.

თბილისში სხვადასხვა ფენის თუ წრის ხალხი სხვადასხვა კუთხით უდგებოდა ქალის არჩევას.

დაბალი სოციალური ფენის ვაჟის ოჯახს მეტად აინტერესებდა ფიზიკური სიმძიმის ამტანი, მშრომელი და მეოჯახე ქალი, ხოლო არისტოკრატების ინტერესი სოციალურ თანასწორობაში გამოიხატებოდა, ანუ მათ, ერთი მხრივ, უნდოდათ: გა-



ნსწავლული, მომხიზვლელი, შეძლებული, ხელსაქმის მცოდნე და ტრადიციული ოჯახებიდან რძლები, მეორე მხრივ კი ზნეობრივად კარგი თვისებებით, ქცევითა და მიმოხვრით გამორჩეულები.

ამ რეალობაშივე გამართლებული იყო სიყვარულით ქორწინებაც. ეს იყო გამონაკლისი შემთხვევები, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და სრულფასოვნებას სძენდა ქართული ეკლესია.

არისტოკრატიულ ოჯახში ქალი განსწავლული უნდა ყოფილიყო. „ქალთა განსწავლას თბილისის არისტოკრატიულ ოჯახში რომ უფრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე ვაჟებისას (ისინი სპორტულ-სამხედრო წვრთნას გადიოდნენ), ჩანს XIX საუკუნის რუსეთის ელჩ იაზუკოვის ცნობიდანაც, რომ ყველა ქალი წარჩინებულ ოჯახში წერა-კითხვის მცოდნენი არიან“. აქედან გამომდინარე, ეს გარემოება მეტყველებდა იმაზე, რომ ასეთი ქალი შვილებსაც ამავე ტრადიციითვე აღზრდიდა. ეს იყო მნიშვნელოვანი საკითხი იმდროინდელ ქართულ მოცემულობაში, რადგან ქართველ ქალს დიდი დამსახურება აქვს წერა-კითხვის შენარჩუნებასა და გავრცელებაში.

კიდევ არსებობდა ერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია ქალის შემონმებისა, „გასინჯვისა“. ქალი მიჰყავდათ აბანოში და იქ ამონმებდნენ მის აღნაგობას, ფიზიკურ მხარეებს. თუ ამ მხრივ ნაკლოვანება გამოვლინდებოდა, არსებობდა ალბათობა უარის თქმისა ვაჟის მხრიდან. ქალის შემონმების ეს წეს-ჩვეულება საქართველოს არცერთ კუთხეს ახასიათებდა, ეს იყო მხოლოდ თბილისისთვის დამახასიათებელი. იოსებ გრიშაშვილის მოსაზრება ამ წესზე კი ასეთია: „აბანოში საპატარძლოს გასინჯვა წესად იყო დადგენილი... ქალს ჯირკვლებს უსინჯავდნენ, ხშირად ქალს განზრახ გააცინებდნენ კბილების მოყვანილობა რომ დაენახათ, ტუჩის ნაპობებსაც კი უზომავდნენ... პატარა და ტანმორჩილი ქალი არ ითვლებოდა პირველ ხარისხოვან პა-

ტარძლად“. ამრიგად, „მაჭანკალი ქალები არც აბანოში ივინყებდნენ თავიანთ პროფესიას. ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადანყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოჩენია ქალს“ [2.59].

აღსანიშნავია დავით ბაქრაძის მოსაზრებაც: „აბანოში მიმავალი ქალი კაცის თვალს არ უნდა დაენახა, ამიტომ ისინი სისხამ დილით მიდიოდნენ და საღამოთი ბრუნდებოდნენ უკან, ხშირად ღამესაც ატარებდნენ იქ“ [2. 61]. აბანო სხვადასხვა ფუნქციასაც ასრულებდა, კოსმეტიკა-მონესრიგების დატვირთვაც ჰქონდა. ქალები ასევე აფიშირებდნენ ჩადრის ქვეშ დამალულ სამკაულს. აღსანიშნავია, რომ ჩადრიც ძველ თბილისურ ელემენტს წარმოადგენს.

თბილისში, გარდა სიონის აბანოსი, არსებობდა ციხის აბანოც, რომელიც უნესრიგობითა და სივინროვით გამოირჩეოდა. მას მეორენაირად აღა-მაჰმად ხანის აბანოს უწოდებდნენ.

ქართულ ყოფიერებასა და თბილისურ ქორწინებაში ყველა ეპოქას თავისი ცვლილებები მოჰქონდა, რასაც მოსახლეობის ჩვეულებები, სულიერი მოთხოვნილებები და ეკონომიკური დონე განსაზღვრავდა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე კვლევა-ძიება ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული ორიგინალური წეს-ჩვეულებების შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული აბანოსთან. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ XIX ს-ის თბილისურ ყოფას ეტყობოდა ევროპული კვალი. დაზუსტებით რომ ვთქვათ, ფეხს იკიდებდა ევროპული წეს-ჩვეულებები, რაც ნათლად აისახა თბილისური ქორწინების გარკვეულ რიტუალებზე.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1928.
2. გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბო-ჰემა, თბილისი, 1927.
3. ითონიშვილი ე., ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, თბილისი, 1959.

### KHATIA TSETSKHLADZE

#### TBILISI MARRIAGE

##### Summary

The Paper presents the ethnographic material based on Georgian traditions, in particular the peculiarities of Tbilisi marriage and mediation institute. The presented research clearly confirms the very important elements of marriage in Georgian 19th century life in Tbilisi. The peculiarities of this tradition distinguished by their specialness and individualism. However, it should be noted that in addition to Eastern similarities, European similarities were revealed even if we consider the historical-ethnographic material at the background of the study of these traditions. Historian Davit Bakradze describes the abovesaid very well in his work. The fact that the role of mediator was revealed only in Tbilisi marriages is well reflected in our ethnographic material, this institution did not operate in any other region of Georgia. It was only in Tbilisi and at the same time in most cases of marriage. We should also say here that love marriage was also justified, which was accepted and perfected by the Georgian Church.

The mediator and the matchmaker had different roles, the mediator was a decent person who was not interested in taking money and was close to reality, unlike the matchmaker, and the matchmaker did not consider any shortcomings in exchange for money. In this case, a passive load assigned to the couples to be married, due to which the existing marriage ended with an undesirable result. As for the fact that the bath played a very big role in the process of checking a woman, I. Grishashvili confirms it well in his works, And finally, it should be said that in Georgian existence and Tbilisi marriage every era introduced its own changes, which were determined by the customs, spiritual needs and economic level of the population.

## ახალი წიგნი



გურამ პაატაშვილი - 75

აზრთა კრებული

„მაესტროს აზრთა სამყარო“

გამოიცა მაესტრო გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლების“ პირველი და მეორე ნაწილი. წიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა. წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული – „მაესტროს

**აზრთა სამყარო“.** წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნის მეორე ნაწილიდან – „მაესტროს აზრთა სამყარო“.

- მეცნიერს ფანტაზიის უნარი ისევე სჭირდება, როგორც ხელოვანს. ფანტაზია მეცნიერებაში ისევე დიდ როლს ასრულებს, როგორც ხელოვნებაში. ვერცერთი დიდი მეცნიერი და ხელოვანი ფანტაზიის გარეშე ღირებულს ვერაფერს შექმნის. მეცნიერულ აზრში ყოველთვის დომინირებს შემოქმედებითი ელემენტები. მეცნიერება და ხელოვნება გარკვეულწილად მსგავს აზროვნების პროცესს ემყარება. დიდი მეცნიერი მეოცნებე და, ამავე დროს, დიდი შემოქმედი პიროვნებაა.
- სიკეთის ქმნა – ეს ის ღვთაებრივი სიმღერაა, რომელიც არასოდეს არ მთავრდება.
- დიდებულია, როცა სიძველეში სიახლე ბუნებრივად, ჰარმონიულადაა ჩაქსოვილი და ამღერებული.
- დემოკრატიული არჩევნები – ეს ის არჩევნებია, რომლის დროს ხმის დათვლები ზოგჯერ დემოკრატების გამარჯვებამდე გრძელდება.
- ზოგიერთი ტყუილად ფიქრობს, რომ სიბრძნე ხანდაზმულობის პრივილეგიაა.
- სულელს სიბერეში სიბრძნე არ ემატება – ის ბებერ სულელად რჩება.
- შემოქმედებითი ჭკუისთვის სიტყვა „შეუძლებელია“ არ უნდა არსებობდეს. მოაზროვნე ადამიანი როგორც მიღწევებიდან, ისე თავის შეცდომებიდან არანაკლებ გამოცდილებას და ცოდნას იძენს. ჭეშმარიტების ძიება რთული პროცესია. ზოგიერთები მთელი სიცოცხლის მანძილზე მის ძიებაში არიან და როცა ვერ აგნებენ, ცხოვრების აზრს კარგავენ. ამქვეყნად არაფერი არ მოიპოვება ისე რთულად, როგორც

ჭემმარიტება. მაძიებელი უამრავ გზას ლაბირინთებისკენ მიჰყავს, ჭემმარიტებისაკენ კი მხოლოდ ერთს. და მიგნებისას ჭემმარიტება შესაძლოა იმდენად მარტივად გასაგები აღმოჩნდეს, რომ ზოგიერთს ეჭვიც კი შეეპაროს მასში.

- ღირებული, მშვენიერი და ორიგინალური განმარტოებაში და ტიტანური შრომის ფასად იქმნება. შემოქმედებითი პროცესის და წარმატების თანამგზავრი განმარტოებაა. შემოქმედებითი განმარტოება კი, როგორც მდგომარეობა, მკურნალობას არ ექვემდებარება.
- რითი განსხვავდება ჭკუა და ეშმაკობა? – ჭკუა რთული პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევა, ხოლო ეშმაკობა მათი გვერდის ავლისა. მაგრამ ყველაზე სასარგებლო ინტელექტია. ის საშუალებას იძლევა გავარკვიოთ, თუ რა არის უკეთესი: გადაჭრა, გვერდის ავლა თუ ის, რომ ცხვირი არ ჩაყო იმაში, რაც შენი საქმე არ არის.
- ლიტერატურის, ხელოვნებისა თუ მეცნიერების ნებისმიერ დარგში დღემდის თუ რამ ღირებული შექმნილა, ღვთით მომადლებული ნიჭის, განსწავლულობის და სიყვარულის წყალობითაა გაბრწყინებული. ყოველ სფეროს თავისი გენიოსი ჰყავს.
- ფეხი აუნწყეთ და მიჰყევით არა მედროვეებს და უნიჭოებს, არამედ დროს.
- დღეს რაც უფრო დაბალია კულტურა, სამწუხაროდ, მით უფრო მაღალია ზოგიერთის რეიტინგი და კულტურაზე კამათისას შეუძლიათ ერთმანეთის ცხვირ-პირის დამტვრევა.
- მეცნიერებაში ყველაფერი მნიშვნელოვანია. მაგრამ მთავარია იდეა, ფაქტი. ფაქტის ცოდნა იმითაც ღირებულია, რომ ფაქტებში იდეების აღმოჩენა შესაძლებელი. თუ არ არის ფაქტი და იდეა, არც მეცნიერება არის. მეცნიერებაში წარმოსახვის უნარი ცოდნის ამაღლებასთან ერთად მატულობს. მეცნიერი ოცნებებისა და ფანტაზიის გარეშე უფრო

მოსიარულე ენციკლოპედიას ემსგავსება. ის უფრო თეორეტიკოსია, ვიდრე პრაქტიკოსი და შემოქმედი მეცნიერი. ცოდნა, იდეა, ოცნება და ფანტაზია ხელოვანისა და მეცნიერისთვის ადამიანური ბედნიერების, შემოქმედებითი და მეცნიერული მიღწევის უმნიშვნელოვანესი იარაღია.

- ნაგავი, როგორც ლამაზად არ უნდა შეფუთო, მაინც ნაგავია.
- თუ გინდა დიდი შემოქმედი ან მეცნიერი იყო, მაშინ აკეთე რასაც ისინი აკეთებდნენ და ქმნიდნენ, და აკეთე ისე, როგორც ისინი აკეთებდნენ და ქმნიდნენ. და თუ ვერ აკეთებ და ვერც ქმნი ისე, როგორც ისინი, ესე იგი, შენ ის არ ხარ, ვინც ისინი იყვნენ.
- ხანდაზმულობაში, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ზოგიერთი თავს ისევ ახალგაზრდად მიიჩნევს. სიბერეში ახალგაზრდად დარჩენა დიდი ხელოვნებაა და ვინც სიბერეს არ ეპუება, მოხუცებულობაში უფრო მეტი უნდა აკეთოს, ვიდრე ახალგაზრდობაში. შრომა და შემოქმედებითი პროცესი ამცირებს და ანელებს მოხუცებულობაში დაუძლურებას. სიბერეში ნაოჭები იმ ადგილებს ფარავს, სადაც ადრე ღიმილი კიაფობდა. ვისაც სიბერეში სიყვარულის გარეშე შეუძლია არსებობა, იმის ახალგაზრდობაც შესაძლოა სიყვარულის გარეშე გაიღია, რადგან სიყვარულისთვის წლებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სიყვარულს ასაკი არ გააჩნია. ახალგაზრდობას დილის ჰანგები შვენის, მოხუცებულობას კი საღამოს საგალობლები.
- ზოგიერთისთვის ბედნიერება ქორწილამდე გატარებული დროა, ქორწილის შემდეგ კი დროში განელილი ვალდებულებაა. ქორწინება ხშირად ბრძოლაა: ჯერ შეუღლებისთვის, შემდეგ თანაბარუფლებიანობისთვის და საბოლოოდ დამოუკიდებლობისთვის.
- ადამიანების უმრავლესობა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე საკუთარ თავში სიღრმეების აღმოჩენას ცდილობს.



გარდატეხის, შემობრუნების მომენტი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის რადიკალურად ცვლის ადამიანის სულიერ და გონებრივ მდგომარეობას.

- ზოგიერთს თავის ცოლთან ისეთი ურთიერთობა აქვს, როგორც მშობლიურ მთავრობასთან. ცოტათი უყვარს, ცოტა ეშინია, ზოგჯერ ბეზრდება და შეცვლა სურს, სხვა უნდა.
- ბოლო დროს ჩატარებული რეფორმები, უბრალოდ, ელემენტალურად ორიოდე სიტყვითაც კი შესაძლებელია დახასიათდეს: მაგალითად, თქვენ გაგხდიან ძვირფას პიჯაკს, მის სანაცვლოდ კი ჩაგაცმევენ უბრალო, გახუნებულ ქურქს და გეუბნებიან, რომ თქვენ დიდებულად გამოიყურებით ამ ახალ სამოსში. თქვენ შესაძლოა არ გჯერათ, არ ეთანხმებით, მაგრამ, რა გაენყობა, სამაგიეროდ, დემოკრატიის დროს აზრის გამოთქმის უფლება ხომ მაინც გაგაჩნიათ. ეს კი, როგორც ამბობენ, უდიდესი მონაპოვარია.
- ჭკუის მასშტაბურობა აზრისა და იდეის თანხვედრით იზომება. აზროვნების კულტურის გარეშე შეუძლებელია კეთილშობილური გრძნობების არსებობა. ჭკუა გამომგონებლობით გამოირჩევა, გონებამახვილობა კი აზრის სისხარტით. ჭკუას აუჩქარებლობა და საფუძვლიანობა ახასიათებს, გონებამახვილობას კი სისწრაფე, მოულოდნელობა და სისხარტე. ჭკუა ბედნიერების უშრეტი წყაროა. ადამიანის ბუნების ძირითადი ღირებულებების სიდიადე – ჭკუა და აზრია.
- ადამიანი უსაზღვრო შემოქმედებითი ნიჭიერებითაა აღჭურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა ადამიანი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, მეტ-ნაკლებად ვინ როგორ არის ამ საგანძურით დახუნძლული. საზოგადოებაზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის და პიროვნების გამომზეურება. ის ქვეყანა და საზოგადოებაა ძლიერი და წარმატებული, სადაც ადამიანის ნიჭი და

შრომა სათანადოდაა დაფასებული. ადამიანის პიროვნების ყველაზე დიდი სიმდიდრე – მისი სრულყოფილებაა.

- ძველი ხიდები შესაძლოა ისევ გამოსაყენებელი და საჭირო აღმოჩნდეს. უმჯობესია ძველი გამყოფი ღობეებისა და კედლების ჩამოშლა.
- სკლეროზის განკურნება შეუძლებელია, მაგრამ სკლეროზის მეშვეობით მისი დავიწყება შესაძლებელია.
- ბოლო დროს თითქმის სუყველამ პოლიტიკოსობას მიჰყო ხელი. სამთავრობო სავარძლებისთვის წენვა-გლეჯვას ბოლო არ უჩანს. ზოგიერთები ერთმანეთს ეკითხებიან, თუ რატომ გაქრა ქვეყანაში კარაქი და ხორცი? ერთმა ღვთისნიერმა შემთხვევით ყური მოჰკრა ბერიკაცების საუბარს და აუხსნა: – იმიტომ გაქრა, რომ ღორები ხალხში გამოვიდნენ, ყველაფერს ეპატრონებიან, ძროხებმა და თხებმა ბიზნესი წამოიწყეს, აღარ იწველებიან, ცხვრებმა და ჯიხვებმა კი პოლიტიკოსობა არჩიეს და ქვეყანას მართავენ, ქათმები კი მათი შემყურე სიცილ-ხარხარისგან ამოიხოცნენ.
- მამაკაცი, რომელსაც გაცნობისთანავე, იმწამსვე შეუძლია ქალის ასაკის ზუსტად გამოცნობა, შესაძლოა ჭკვიანია, მაგრამ არა შორსმხედველი.
- ისტორიის კარი ყოველთვის ღიაა და ფავორიტები მასში ყოველთვის ისტორიული პერსონაჟები ან მოვლენები როდი ხდებიან.
- ადამიანის ხასიათი და გუნება-განწყობილება გარკვეულწილად მისი გარემოცვა და ცხოვრებაა. კარგი ხასიათი დიდი სიმდიდრეა. ხშირად ხასიათი გაცილებით უფრო აახლოებს ადამიანებს, ვიდრე სხვა თვისებები და თავად ჭკუა. დიდებულია, როდესაც ხასიათი აზროვნებასთანაა თანხვედრაში. ყველა ადამიანი ინდივიდუალური, თავისებური, წინააღმდეგობით აღსავსეა, მით უმეტეს ნიჭიერი პიროვნებები განსხვავებულები არიან.

- ყველაფერს – პატივისცემას, თავმოყვარეობას, გულისხმიერებას აქვს საზღვარი. მხოლოდ სიყვარულს არ გააჩნია საზღვარი.
- იქ, სადაც საერთო ინტერესი არ არსებობს, იქ არც მიზნის მიღწევის ერთიანობა და არც მიზანმიმართული მოქმედება არსებობს.
- ქვეყნის ღირსება მნიშვნელოვანწილად თავისი ღირსეული შვილების ნაღვანით განისაზღვრება.
- ყველაზე საშინელი და მიუღებელი ველურობა, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში ჩადენილი ცივილიზებული ველურობა და ომებია.
- ვინ როგორი სულიერებისაა, მის მოქმედებასა და მისწრაფებებში მჟღავნდება. სულიერება ადამიანის ხასიათის განუყოფელ ნაწილად უნდა გვევლინებოდეს. სულიერება და კეთილგონიერება ყოველთვის თანხვედრაშია.
- ქვეყანა პოლიტიკით იმართება, პოლიტიკა კი ცოდნით, გამოცდილებით და გონიერებით იმართება.
- სიბრძნე ლაკონიურ ფორმაში კონცენტრირებული აზრისა და გრძნობის ექსტრაქტია, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის დანიშნულებას არ კარგავს, აკეთილშობილებს ადამიანების ყოფას და ცხოვრებას აუმჯობესებს.
- ზოგიერთები ნუ გაიკვირვებენ, თუ ერთ მშვენიერ დღეს აპლოდისმენტებით არ შეეგებებიან. ისიც საკმარისია, მთელი სიცოცხლე არაფრის გამო ტაშს რომ უკრავდნენ.
- სხვა ქვეყანაში როგორ დიდებულადაც არ უნდა გრძნობდე თავს, სამშობლოს მაინც არ შეგიცვლის. ყველა ადამიანი, თუნდაც მინიმალური სახით, თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებების მატარებელია.
- კრიტიკის მრავალი ფორმა და საშუალება არსებობს. ზოგჯერ მდუმარება ყველაზე მკაცრი კრიტიკის მანიშნებელია.

- ზოგიერთების აზრით, მთავრობა ამოუნურავი საშუალებების საოცნებო სამფლობელოა, სადაც ყველას ყველაფერი თავზე საყრელი აქვს და კიდევ რაღაც-რაღაცები ხალხისა და სახელმწიფო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაცაა შემორჩენილი.
- ახალგაზრდობა ხმაურით გვტოვებს. სიჩუმეში შეუმჩნევლად გვეპარება სიბერე.
- სიმართლის ძიებაში, სიყალბე და ტყუილი ხშირად თავისუფლად დანავარდობს მთელ მსოფლიოში.
- დრო მიანიშნებს და იძლევა მიმართულებას, ახალ სტილს, მეთოდებს. ამის უარყოფა ნიშნავს თავად რეალობის უარყოფას.
- სიყვარულის ყველაზე საუკეთესო თვისება ისაა, რომ ის უკვალოდ არასოდეს ქრება, ყოველთვის ადამიანთან რჩება.
- ჩვენ ხშირად ვირჩევთ ხალხის მსახურს, რომ შემდეგ მათ ვემსახუროთ.
- ბოლო დროს ავტომანქანის სანვაგი გვარიანად გაძვირდა, ცხოვრება გართულდა. ბევრმა ავტომანქანის მოხმარებაზე თავი შეიკავა. მოხერხებულმა კაცმა თავის გასატანად ძველ მამაპაპურ უფასო ტრანსპორტს – ვირს სიმინდით სავსე ხურჯინი გადაჰკიდა, სიმინდით პირამდე სავსე ერთი ტომარა კი თვითონ მოიკიდა ზურგზე და ომახიანი შეძახილებით გზას გაუდგა: – ჭყინტი სიმინდი იაფად... ერთი ქალბატონი დაინტერესდა: ბატონო, თუ შეიძლება მანახეთ როგორი ტარობია? – თუ გნებავთ, ჯერ ნახეთ, რაც ვირს კიდეა და მერე განახებთ იმას, რაც მე მკიდეა. ქალბატონმა გულდასმით დაათვალიერა: – მომწონს. მართლაც ორივე მსხვილი, გრძელი და ქორფაა. ორივე მინდა. – ღმერთმა აგაშენოთ – გაუხარდა მამაკაცს: – ტკბილად მიირთვით, ისიამოვნეთ...

- ნორმალურ ქვეყანაში იციან, რომ ამომრჩეველი უნდა იყოს მთავარი ძალა და არა მის მიერ არჩეული.
- ზოგიერთები შესაძლებლობებში ხედავენ პრობლემებს, ზოგიც კი პრობლემების გადანყვეტაში პოულობს შესაძლებლობებს.
- რა შეიძლება იყოს სიცოცხლეზე, საყვარელ ადამიანებზე და მუსიკაზე უფრო დიდებული და მშვენიერი?!..
- მეგობარი მხოლოდ ის არ არის, ვისთანაც თავს კარგად გრძნობ. განსაკუთრებით ის არის, ვის გარეშეც თავს კარგად არ გრძნობ.
- კოცნა ჩახუტების გარეშე რა კოცნაა?...
- დიდი შემოქმედნი და მეცნიერები მეტწილად მოკრძალებულიები არიან. რაც უფრო მეტს ქმნიან, მით უფრო ნათლად აცნობიერებენ, რომ უფრო მეტი დარჩათ გასაკეთებელი. მედროვეებისგან განსხვავებით, ხშირად ისინი ჩინ-მედლებისა და დამსახურებული პატივისცემის გარეშე აღესრულებიან.
- ჩვენს ცხოვრებაში, ხელოვნებასა თუ მეცნიერებაში ყოველივე დიდებული და მშვენიერი – დიდი ნიჭიერების, აზრის, ოცნებისა და ფანტაზიის წყალობითაა შექმნილი. არ არსებობს ფანტაზია, რომელსაც ადამიანის აზრი, ნიჭიერება და შეუპოვრობა რეალურად ვერ გადააქცევს.
- ვისაც სურს იყოს ყველასათვის მისაღები და სასიამოვნო, ხშირად არასასიამოვნო და მიუღებელი სწორედ იმითაა, რომ უნდა ყველასთვის იყოს სასიამოვნო და მისაღები. ყველასათვის თავის მოწონების ხელოვნება – თვალბში მტვრის შეყრის ხელოვნებაა.
- სიყვარულის ყველაზე განუყრელი ახლობელი – ეჭვიანობაა. მასზე დიდი და ვერაგი მტერი სიყვარულს არ გააჩნია. სიყვარული ხშირად თავად შობს ეჭვიანობას, რომელიც ზოგჯერ სიყვარულს თავბედს აწყვევლინებს და ანადგურებს კიდევც.

- გონებაგამოცლილი ფანტაზია – უაზრობაა. ორივე ერთად შეერთებული კი ხელოვნებისა და მეცნიერების წყაროა. წარმოსახვა – გონებისა და სულის თვალისჩინია. ოცნება, ფანტაზია და რომანტიკა მეცნიერებას ისევე სჭირდება, როგორც ხელოვნებას.
- უტოპიას – ხშირად ნაადრევად გაჟღერებულ რეალობას უწოდებენ. დიდ აზრებს, იდეებს, რომლებმაც დროს გაუსწრეს, კაცობრიობის პროგრესი უზრუნველყვეს და ცივილიზაციის უდიდესი ერა შექმნეს, ადრე, თავის დროს, ყოველთვის სისულელედ და უტოპიათ მოიხსენიებდნენ. მეცნიერული აზრის სამყაროში, როგორც ყველაფერში და ცხოვრებაში, პროგრესი და სიმართლე უცებ ვერ იმარჯვებს. ის, რაც დღეს რეალობაა, ადრე მხოლოდ წარმოდგენაში თუ არსებობდა. უამრავი რამ ითვლებოდა შეუძლებლად, სანამ ისინი პრაქტიკულად არ იყო განხორციელებული. თითქმის ყოველი დიდი წარმატების ბედი თავდაპირველად იყო უარყოფილი, დროთა განმავლობაში კი აღიარებული.
- შენი ქვეყნისთვის რამდენიც არ უნდა გააკეთო, მაინც არასაკმარისია. თუ მის საკეთილდღეოდ ყველაფერი არ არის ნაკეთები და ბოლომდე არ დახარჯულხარ, ჩათვალე რომ ვალმოუხდელი ტოვებ წუთისოფელს.
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში, როგორც წესი, ყოველთვის ხალხმრავლობაა. მამაკაცი ცდილობს მგზავრობის ბარათის დაფიქსირებას, მაგრამ ვერ ახერხებს აპარატის ჭრილში რეგისტრაციისთვის ხმარებაში გაცვეთილი ბარათის მოთავსებას. აპარატსა და მამაკაცს შორის გაჭედილი ქალბატონი აღშფოთებულია: – ბატონო! თქვენ უკვე ორი გაჩერებაა ზედ მანევხართ და მანვებით, დაოკებას აღარ აპირებთ? – რა ჩემი ბრალია, თუ ეს, რაც ხელში მიჭირავს მომჩვარებული და მოლუნულია!? ამასობაში ავტობუსი გაჩერდა. გამხიარული-ბული მგზავრები მამაკაცს სიცილით ამხნევებენ: – ბატონო,

სანამ დგას, მოასწარით და ის, რაც ხელში გიჭირავთ, გააშტრიკინეთ და შეუყარეთ... და თუ მოლუნულია და არ შედის, წინიდან დაადეთ და დაფიქსირდება.

- ქალის სახელს სათუთი გაფრთხილება სჭირდება. ის შუშასავით მსხვრევადია და თუ შეილახა ან გატყდა, მისი აღდგენა იოლი არ არის, რიგ შემთხვევებში კი უბრალოდ შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე იყო.
- თუ ადამიანი შინაგანად თავისუფალი არ არის, სიმშვიდეს და ბედნიერებას ვერ მოიპოვებს.
- ძალაუფლება საშიში რამეა, ხშირად ადამიანს აბრმავეებს, აყრუებს და დაუნდობელს ხდის.
- ზოგიერთებისათვის ყველაზე დიდი პრობლემა მუდამ ოპოზიციაში ყოფნაა. როგორც ჩანს, ბევრისთვის ეს ქრონიკული დაავადებაა.
- ცხოვრებამ რომ გაგიღიმოს, მას შემართებით და მხიარული გუნება-განწყობილებით უნდა შეეგებო. მაგრამ, თუ ცხოვრება არ გწყალობს, ის თავად უნდა შეცვალო!
- ქალბატონო, თქვენი შემყურე ვირნმუნე, რომ ნამდვილად არსებობს ერთი ნახვით შეყვარება. ისეთი ლამაზი და მიმზიდველი ხართ... – შენ, უბრალოდ, ჩემს ლოგინში შეტყუებას ცდილობ. – მხოლოდ ლამაზი კი არა, მიხვედრილი და ჭკვიანიც ყოფილხართ.
- შეყვარებულ ადამიანს ის ესმის, რისი გაგონებაც სურს. ადამიანი დროთა განმავლობაში საყვარელ ადამიანს ემსგავსება. ბედნიერების გარეშე სახლი მხოლოდ ოთხი კედელია.
- როცა ადამიანი ილუზიურ სამყაროში ცხოვრობს, მან იცის, რომ ის მის მიერ შეთხზული, არარეალური სამყაროა, მაგრამ მას სხვანაირად არ ძალუძს, წარმოსახვით საოცნებო სამყაროში თავს ბედნიერად გრძნობს.
- ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება – სულიერებისა და სიბრძნის წყაროა. ეს ის საგანძურია, რამაც წარუშლელი

კვალი დატოვა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. შემოქმედი და მეცნიერი ადამიანების უკვდავი სახელები – სიბრძნით აღსავსე კაცობრიობაა.

- ქვეყანას, რომელსაც თავისი ვაიპოლიტიკოსების ქილიკისა და უნიათობის გამო სუვერენიტეტის ნიშანწყალიც კი აღარ შერჩენია, ნებსით თუ უნებლიეთ აღიარებს და აფორმებს უცხო ქვეყნების საგარეო მმართველობას. პატივისცემას მოპოვება უნდა, ისე არავინ დაგაფასებს.
- მაყურებლისთვის თეატრალური ცხოვრების კულისების მიღმა სამყარო – გასაიდუმლოებული სამყაროა. ასე ვთქვათ – საიდუმლო საიდუმლოში. ოჰ, ეს ამოუცნობი, ეს მაგიური მოვლენები, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... რის გარეშეც წარმოუდგენელია თეატრალური ცხოვრება...
- გადაბრუნებული ურმები ზოგიერთებისთვის ეროვნულ ტრაგედიად იქცა და გზა დღემდის ვერ დაანახა. ცხოვრებაში ყველაზე დიდი სირთულე – გაურკვეველობაა.
- სიცარიელე, რომელიც გულგრილობისა და იმედგაცრუების შემდეგ მთლიანად ეუფლება ადამიანს, თანდათან ანადგურებს მას.
- გამჭრიახი პოლიტიკური აზროვნება იმას გულისხმობს, რომ სისტემის შეცვლა და სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ხელისუფლებაში და თანამდებობაზე მოსვლის გარეშე.
- ბედნიერება და თავისუფლება სხვადასხვა ცნებაა, თუმცა, თუ პირველი არ არსებობს, მეორე აზრს კარგავს.
- მშვიდობა მთელ მსოფლიოში მაშინ დაისადგურებს, როდესაც სამყაროში ყველა ადამიანი ერთმანეთის მოყვარე და პასუხისმგებელი გახდება.
- ამქვეყნად მხოლოდ ორი რამ არის რეალურად უსასრულო: ღვთაებრივი სამყარო და ადამიანური სისულელე.



- ხელოვანი და მეცნიერი ადამიანის შემოქმედება და კვლევა-ძიება ჰორიზონტს წააგავს. რაც უფრო უახლოვდები მას, ის უფრო გშორდება. ადამიანი საკუთარ თავში ყოველთვის კარგს ხელოვნებას, ლიტერატურასა და მეცნიერებას უნდა უმადლოდეს. ყოველთვის დიდი მოკრძალებით უნდა იმოგზაურო ამ დიდი ბედნიერების, აზრისა და სულიერების ტაძარში.
- ცხოვრება – საოცრებათა ველია და ყველაზე დიდი საოცრება მასში მისი აღმატებულება – ადამიანია.
- ადრე ჭკვიანი პოლიტიკოსები რევოლუციებს სხვა ქვეყნებში აწყობდნენ. კითხვაზე – თუ რატომ უცხო ქვეყნებში? ისინი პასუხობდნენ: – „ჩემო კარგო, რომელი ნორმალური მოაწყობს რევოლუციას თავის ქვეყანაში?“.
- ბავშვები ყოველთვის რაღაცით უნდა იყვნენ დაკავებულები: მუსიკით, ხატვით, თამაშით, შემოქმედებითი პროცესით. მათი ცხოვრება საინტერესო და სასიხარულო საქმიანობით უნდა იყოს აღსავსე. ბავშვი, რომელსაც ნაკლები შეურაცხყოფისა და ძალადობის გადატანა უხდება, უფრო კეთილშობილ და ღირსეულ პიროვნებად ყალიბდება. გაუფრთხილდით თქვენი ბავშვების გულისტკენას და ცრემლებს. ყველაზე კარგი აღზრდა – სიყვარულით აღზრდაა. ბავშვის, მშობლისა და აღმზრდელების ურთიერთპატივისცემა და სიყვარული უდიდესი სიკეთე და განძია.
- არამზადა წესიერ კაცს ისე ექცევა, როგორც არამზადას. წესიერი კაცი ისე ექცევა არამზადას, როგორც წესიერს. მას სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია. ამიტომ წესიერი კაცი ხშირად თავს დამცირებულად გრძნობს.
- სიყვარული ხშირ შემთხვევაში ისეთი და იმ დონისაა, როგორებიც შეყვარებულები არიან და როგორც განიცდიან ისინი სიყვარულს. ქალზე იმის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა, თუ როგორი მამაკაცი უყვარს მას. ქალისთვის

ძნელია შეიყვაროს ისეთი მამაკაცი, რომელიც სულიერად და ფიზიკურად მასზე დაბლა დგას, თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. სიყვარული ემოციის, აღფრთოვანების, განსჯის და კეთილდღეობის გარეშე იშვიათი მოვლენაა.

- ცივილიზაცია – ეს უწყვეტი განახლება, აღმოჩენები და პროგრესია. მისი შეჩერება დაუშვებელია. განახლება და განვითარება აუცილებლობაა. ეს თითოეული ჩვენგანის ვალია.
- მეცნიერების წარმატება სამეცნიერო შრომებისა და აღმოჩენების ფასეულობებით განისაზღვრება. მეცნიერება კაცობრიობის უმაღლესი ინტელექტუალური სამყაროა. ის პროგრესისა და ბედნიერების მიღწევის უმძლავრესი საშუალებაა.
- ყოველთვის არ უნდა თქვა ის, რაც იცი, მაგრამ ყოველთვის უნდა იცოდე ის, რასაც ამბობ. თავის სიცარიელის გამო ისინი გამოსცემენ დიდ ხმაურს, ვისაც თავი დიდად მოაქვს.
- უსაშველოდ განელილი კომედია შესაძლოა ტრაგედიას დაემსგავსოს.
- ოცნება ხშირად რეალობაზე მაღლა დგას, ხოლო რეალობა ზოგჯერ წინ უსწრებს ოცნებას. უდიდესი მიღწევა იქნებოდა მათი ძალების შერწყმა. მეცნიერებაში წარმოსახვის, ოცნების, ფანტაზიის და რეალობის შერწყმა მხოლოდ გენიოსებს ხელენიფებათ. ალბათ მალე დადგება ის დრო, როდესაც მეცნიერული აზრი ფანტაზიას უკან ჩამოიჭოვებს და წარმოსახვის ძალებსაც წინ გაუსწრებს.
- არავინ არ იცის ჩვენ საკუთარ თავზე იმდენი უარყოფითი, რაც ვიცით ჩვენ თვითონ და, მიუხედავად ამისა, არავინ ისე კარგად არ ფიქრობს ჩვენზე, როგორც ჩვენ თვითონ.
- ადამიანების უმრავლესობას სიამაყე ახასიათებს. სუყველა თავისებურად ამყდავენებს, სხვაობა მხოლოდ იმაშია, ვინ ვისთან, როდის და როგორ ავლენს მას. სიამაყე გარკვეულ-

წილად უკარება, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანებს სჩვევიათ. სხვებს ზემოდან დაჰყურებენ და, ამავე დროს, ვერ იტანენ სიამაყეს სხვა ადამიანებში. სიამაყით შეპყრობილი ადამიანი იშვიათად თუ არის რაიმეთი კმაყოფილი. მას, რატომღაც, სულ ჰგონია, რომ ყოველთვის მცირედს იღებს, ვიდრე იმსახურებს, რაც საკუთარი თავის არცოდნის, სულიერ და გონებრივ ნაკლოვანებებზე მიანიშნებს. მეტწილად, სიამაყის მოჭარბებული გრძნობით პატარა ადამიანები გამოირჩევიან.

- კაცობრიობას შეეძლო გაცილებით უფრო დიდი, გრანდიოზული წარმატებების მიღწევა, მაგრამ რეალობა თვალსაჩინოა.
- სამწუხაროდ, ბოლო დროს, როგორც არასდროს, მომრავლდნენ ისეთები, რომლებსთვისაც წარსული – სიცარიელეა, ანმყო – უდაბნო, მომავალი კი – ბურუსით მოსილი. ნიჰილიზმი დამლუპველია. ნუ გაამრავლებთ ბოროტებას ბოროტებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში უბედურება გარდუვალა.
- ცხოვრებაში ხშირად ისე არავის უჭირს, როგორც ნიჭიერ ადამიანს. ზოგჯერ წამოსცდება: ღმერთმა დასწყევლოს ეს ტალანტი. ზოგიერთებისთვის ცხოვრება და ბედი – გამართლება და სიხარულია, ზოგისთვის კი ბედი „კახპა ქალისავითა“, ერთი დიდი უსასრულო საჩივრის წიგნსავითაა.
- რა განსხვავებაა ჭკვიან ადამიანსა და სულელს შორის? ჭკვიანმა იცის რა განსხვავებაა, მაგრამ ამის შესახებ არასოდეს არ კითხულობს და არც საუბრობს. სულელმა შეიძლება სხვას უთხრას „შენ სულელი ხარ“. ჭკვიანი არ ეტყვის სხვას „შენ სულელი ხარ“, მაგრამ გამორიცხული არ არის ასე ფიქრობდეს.
- ცხოვრებაში ფხვს აუჩქარე, ოლონდ აუჩქარებლად იჩქარე.

- თამაში შეიძლება ფეხბურთის, ჩოგბურთის, ბანქოს, ხოლო სიცოცხლეში და სცენაზე უნდა იცხოვრო. შემოქმედებაში საჭიროა შექმნა და არა თამაში.
- ქვეყანა – პირველ რიგში, მისი ადამიანები, კულტურა და ისტორიაა.
- ურთიერთობა ნდობას მოითხოვს, ეს ერთგულების მნიშვნელოვანი პირობაა.
- ვინც ყოველთვის საბანს თავისკენ ეწევა, მის გვერდით არავინ მოისურვებს არც ყოფნას და არც ძილს.
- იუმორი გრძნობების გონებამახვილობაა. ადამიანი ერთადერთია სხვა ყველა არსებათაგან, ვისაც სიცვილის უნარი გააჩნია. ბუნების ყველაზე ძვირფასი და განუმეორებელი საჩუქარი – ადამიანის კეთილი, მხიარული ჭკუა და გულია. იუმორის მოყვარული ადამიანები ხანდაზმულობაშიც ახალგაზრდულად გრძნობენ თავს. იუმორის თქმას თავისი ლაზათი უნდა.
- ზოგჯერ ერთი უბედურება უფრო მეტ გამოცდილებას შეგძენს, ვიდრე ათობით შეგონება.
- ქვეყნისთვის საკმარისი არ არის სახელოვანი ისტორიული წარსული, აუცილებელია მას გააჩნდეს ძლიერი თანამედროვე ენერგეტიკა და სიბრძნე.
- როდესაც საყვარელი ადამიანი არ გლალატობს, ის არა მხოლოდ წესიერი, არამედ ჭკვიანიცაა.
- ფერწერა მაშინ არის პოეზია და მუსიკა, როდესაც ის გესმის და ხედავ.
- შემოქმედებაში გარეგნული სილამაზის ჩვენება მნიშვნელოვანია. ბევრ შემოქმედს ხელენიფება შინაგანი სამყაროს და სულის წარმოჩენა. იდუმალის წვდომა და ამღერება კირჩეულთა ხვედრია.

- უდიდესი ბედნიერებაა, როცა ასაკის მიუხედავად სულში მუდამ გაზაფხულია...
- შემოქმედებითი პროცესის დროს უმაღლესი სამყაროში აღმოჩნდები და უხილავი სულიერი კავშირი დამყარდება შენსა და იმ წარმოსახვით რეალობასთან, რომელიც შენი სულის ნაწილი ხდება. სიტყვებით ვერ გამოთქვამ, განცდათა აღწერაც შეუძლებელია. შემოქმედს რეალურ სამყაროსთან სხვა, წარმოსახვით სამყაროშიც შეუძლია ნავარდი. საკუთარი ხელნერითა და შინაგანი ქვრეტიტით გამორჩეული – ორივე სამყაროს ბინადარია.
- რომ არ ყოფილიყო მისწრაფება, აზრი და გამბედაობა – პროგრესიც არ იქნებოდა.
- ზოგიერთები ნათელი მომავლის იმედად ცოცხლობენ და ის არ იციან, თუ დღეს და ხვალ რა უნდა გააკეთონ.
- როდესაც ხელისუფლებას რაიმე მნიშვნელოვანი სჭირდება, ხალხს თხოვნით სამშობლოს სახელით მიმართავს ხოლმე.
- დიდი ბედნიერებაა, როდესაც თავს ისე გრძნობ, თითქოს ყოველ დღეს ხელახლა იბადები.
- რაიმე დიდებულის შექმნა – ეს უდიდესი შრომა, თავდავინწყება, უძილო ღამეები და უსაზღვრო სიხარული და ბედნიერებაა.
- ბოროტ კაცს ორმოს ნუ გაუთხრი, ის ამას თავად მოახერხებს.
- დრო იმას ანადგურებს, ვინც მას უაზროდ ფლანგავს.
- პოლიტიკაში ყველა გზა მოლიპულია.
- სამშობლოს სიყვარულისთვის აუცილებელი არ არის ხმამალალი სიტყვები და ომახიანი შეძახილები.
- რომ არ ყოფილიყო მისწრაფება, აზრი და გამბედაობა – პროგრესიც არ იქნებოდა.

- ჩვენი ცხოვრება ღირს იმდენი, რამდენიც წინააღმდეგობების დროს წარმოქმნილი სირთულეების გადასალახავად დაგვიჯდა. სირთულეები ადამიანში იმ თვისებებს და საშუალებებს წარმოქმნის, რომელიც ამ სირთულეების გადასალახავადაა საჭირო. საკუთარ თავს უნდა დააძალო იმის კეთება, რის კეთებაც არ გსურს, მაგრამ საჭიროა. თუ გსურს შესაძლებელს მიაღწიო, ყოველთვის უნდა ისწრაფოდე შეუძლებლის შესაქმნელად.
- ჯერ ჩვენ – უფროსები თავდაპირველად ვასწავლით ბავშვებს და ახალგაზრდებს, შემდეგ, დროთა განმავლობაში, რიგ შემთხვევებში კი ჩვენ თავად მათგან ვსწავლობთ და ეს შეუქცევადი პროცესია.
- ოჯახური ცხოვრება ზოგიერთებისთვის შესაძლოა არც არასოდეს არ არის მუდმივი დღესასწაული. ქორწინება ეს ხანგრძლივი დიალოგი, კამათი, გავლენების მოპოვება და ბედნიერებაა. თუ კარგი ცოლი შეგხვდა – გაგიმართლებს, და თუ ცუდი – შესაძლოა ფილოსოფოსობას მიჰყო ხელი.
- უნარი უნდა შეგწვედეს ნებისმიერ მოვლენაში ისეთი რამის აღმოჩენის, რაც ადრე არავის არ შეუმჩნევია და რაზეც არავის არ უფიქრია. ამ ბოლო დროს, იმის გამო, რომ ღირებული თითქმის არაფერი იქმნება, უმნიშვნელოს მნიშვნელოვნად წარმოჩენის მისწრაფებამ იჩინა თავი. ამ ახალმა ტენდენციამ დიდი წვლილი შეიტანა უმნიშვნელოს მნიშვნელოვნად გადაქცევაში. სიცოცხლე ხანმოკლეა, მხოლოდ დიდი საქმეებია უკვდავი.
- იდეალის გარეშე შეუძლებელია მიზანმიმართული, სისხლსავსე ცხოვრება. ადამიანს ალფრთოვანების უნარი რომ გააჩნდეს, მას იდეალი სჭირდება. უბედურებაა, როდესაც ადამიანს იდეალი არ გააჩნია, არა აქვს მიზანი და არც რაიმე ისეთი, რისთვისაც სიცოცხლეს შესწირავდა. ცხოვრების აზრი სილამაზისა და მიზნის მიღწევის მისწრაფების ძალა-

შია. ჩვენი ცხოვრების ყოველი ნუთი მაღალ მიზნებს და იდეალებს უნდა ემსახურებოდეს.

- ჭკუა ყოველთვის ყველასათვის საჭიროა, მათ შორის იმისთვისაც, რომ უნარი შეგწევდეს ყოველთვის არ გამოამზეურო საკუთარი გონებრივი უპირატესობა.
- გენიოსი თავის დროს წინ უსწრებს, ჭკვიანი დროს მიჰყვება, მედროვე ფარულად ჭკვიანის გზას მისდევს, სულელი კი ყველას გზაზე ეღობება. თანდათან ჭკვიანების მიბაძვით სულელი ჭკუით მოქცევას ეჩვევა.
- ხელოვნება და ლიტერატურა ადამიანს სულიერად ამდიდრებს, მასში ემოციებს და საუკეთესო მისწრაფებებს აღძრავს, სრულყოფს მის აზროვნებას და აკეთილშობილებს მის ბუნებას. ის ოთახის კედლებიდან გაუსვლელად მთელ სამყაროში ამოგზაურებს მას.
- ოჯახი თავისებური მცირერიცხოვანი საზოგადოებაა, რომლის სიჯანსაღეზე გარკვეულწილად ქვეყნის სიძლიერეა დამოკიდებული. იყო ბედნიერი შენს ოჯახში – დიდებულია, მაგრამ არანაკლებად მნიშვნელოვანია იყო ბედნიერი შენს ქვეყანაში.
- ჩვეულებრივში შესანიშნავის დანახვის უნარი შემოქმედი ბუნების ადამიანებს ხელეწიფებათ.
- ადამიანი ყალიბდება და ვითარდება დაბადებიდან და ბუნებისგან, ასევე დაჯილდოებულია შექნილი თავისებებით. ცხოვრების მიზანი სრულყოფილებაა.
- ჭეშმარიტი შემოქმედება და სამეცნიერო აღმოჩენები ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სიმდიდრეა, რასაც კი ადამიანი ამქვეყნად ტოვებს.
- ქალს აზრი რომ შეაცვლევინო, უნდა აუხსნა, თუ რისი გაკეთება არ შეიძლება და ის აუცილებლად საამისოდ რაიმე საპირისპიროს მოიმოქმედებს.

- კატას კუთხეში თუ მოიმწყვდევ, შეიძლება ვეფხვის თვისებები გამოამჟღავნოს.
- კეთილ კაცს ხშირად ბედი არ სწყალობს. სიკეთის და კარგი კაცობის გამო ტახტზე ჯერ არავინ არ ასულა.
- ღირებულებები ჩვენი წინაპრებიდან გადმოგვეცემა. რანი ვართ, მომდევნო თაობებში იჩენს თავს.
- უმრავლესობა ისტორიას ემსახურება, თითოეულები კი ისტორიას ქმნიან.
- ორი ადამიანის თანაცხოვრება ერთად პრობლემების გადაჭრას ნიშნავს, რომლებიც ზოგჯერ შეიძლება არ წარმოქმნილიყო, ორივეს ერთად ცხოვრება რომ არ დაენწყოთ.
- ნუ შეეკითხები შენს თაყვანისმცემელს, თუ ვინ არის ის ქალბატონი, რომელსაც ის მიესალმა. მას ისიც ეყოფა, რომ მას იმ ქალბატონისთვის იმის ახსნა მოუწევს, თუ ვინ ხარ შენ.
- თუ გინდა დიდ განსაცდელს თავი დააღწიო, პატარა განსაცდელი უნდა აიტანო.
- სიცოცხლე ძვირფასი საჩუქარია, ბავშვის სიცოცხლე კი ფასდაუდებელი საჩუქარია.
- მტრები ცოცხალი ადამიანები არიან, ისინი არ ელოდებიან შენ როდის მოზიდავ მშვილდ-ისარს და მიზანში მოახვედრებ.
- ადამიანზე ბევრი რამით შეიძლება მსჯელობა, მათ შორის იმითაც, თუ რაზე და როგორ იცინის. იუმორისა და ხუმრობის ვერგაგების უნარი გონებაზეზღუდულ ადამიანებს ახასიათებთ. იუმორსა და ხუმრობაში დაფარვით, ხან ორაზროვნად ან გადატანითი მნიშვნელობით უღერდება სათქმელი, მიზანი. იუმორი და ხუმრობა ხშირად სიყალბისა და სიმართლის მიზანმიმართულ დემონსტრირებას ახდენს. იუმორი და ხუმრობა მნიშვნელოვან მოვლენებს უფრო წარმატებით და ეფექტურად წარმოაჩენს, ვიდრე სხვა სერიოზუ-



ლი მსჯელობა ან მოქმედება. იუმორი, ხუმრობა და სიცილი – უდიდესი ძალაა, რომლის წინაშეც ქედს იხრის სუყველა. ისინი ადამიანების და საზოგადოების ნებისმიერ ცოდვეს ამხელენ და ყველას თავის ადგილზე მიუთითებენ. იუმორი მხოლოდ აზრისა და ძალის დემონსტრირება კი არა, თავად არის დიდი ძალა.

- ადამიანების მოთმინებას საზღვრები არ გააჩნია, ხშირად ითმენენ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დრო აღარ ითმენს.
- ადამიანის ყველაზე დიდი მტერი რიგ შემთხვევებში მისი სურვილებია.
- ძნელია იყო წარმატებული ადამიანი, გაცილებით უფრო ძნელია იყო ადამიანი.
- ზოგიერთ ქალს ორი ძირითადი მისწრაფება ამოძრავებს: ყოველთვის ლამაზად გამოიყურებოდეს და მამაკაცებს მაგნიტივით იზიდავდეს. ასეთებთან ქორწინება ურთიერთობის ისეთი განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც ერთი მხარე ყოველთვის მართალია, მეორე კი უბრალოდ „ბედნიერი“ ქმარია.
- ცხოვრებაში და პოლიტიკაშიც მამაკაცი მეფობს, ქალი კი მართავს.
- ყველა მწუხარებაში მადლი ბუდობს და ყველა მადლში მწუხარება.
- ბავშვი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, უეცრად მაშინ იზრდება, როცა მამა მოუკვდება.
- პოლიტიკაში კოლეგებმა იმდენი უნდა იცოდნენ, რამდენიც საჭიროა.
- ადამიანების უმრავლესობა საზოგადოებაში თავის თავზე ხშირად თვითონ იქმნის წარმოდგენას.
- სინანულის გარეშე გატარებული ცხოვრება დროთა განმავლობაში ჯოჯოხეთად გადაიქცევა ხოლმე.

- გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი შემთხვევები ზოგჯერ გრძნობებს და თავად ადამიანებსაც კი ცვლის.
- სიყვარული ძლიერი გრძნობაა, ის თავად იკვლევს გზას, თუმცა თავისუფლების მოყვარული ქალისთვის ტვირთად იქცევა ხოლმე.
- ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის გაზაფხული არ არის, თუმცა პირქუშ ზამთარს კვლავ გაზაფხული მოსდევს.
- დიპლომატი ყოველთვის მზად უნდა იყოს თავისი გააზრებული პასუხის გასაჟღერებლად. როდესაც მონინააღმდეგე განაცხადებს, რომ ბურთი ამჟამად თქვენს მხარეზეა, დიპლომატმა მკაფიოდ უნდა განაცხადოს და იმის დემონსტრირება მოახდინოს, რომ მას ბურთის თამაში და სათანადო ლავირება ხელეწიფება და ამავე დროს მისი დარტყმა ძლიერი და მიზანმიმართულია.
- ღამე რომ ჩამოწვება, ზოგჯერ სიკვდილის გაყინული სუნთქვა ჩაესმის დაუძღვრებულ ბერიკაცს. მის სულში გაზაფხულს ზამთარმა სძლია. როდესაც ადამიანის სულში ზამთარი დაისადგურებს, გაზაფხული აღარ დადგება.
- დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა უმაღლეს დონემდე ამაღლდე. უნდა გწყუროდეს იქით მიისწრაფოდე, რაც მიუღწევადია.
- ძალაუფლება ჩრდილს ვერ ეგუება. ვინც არ მართავს, სხვა მართავს.
- რიგ შემთხვევებში ომს თუ დაიწყებ, წაგებული დარჩები, თუ არ დაიწყებ, მაინც წაგებული დარჩები. ზოგჯერ ომის დაწყება უფრო ადვილია, ვიდრე მისი დამთავრება. დაუმთავრებელ ბრძოლას გამარჯვებული არა ჰყავს.
- კაცობრიობის ყველზე დიდებული ისტორია – მშვენიერების შექმნის ისტორიაა.

- ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი პირველად გამოდის სცენაზე, ღრმათ ჩაისუნთქავს კულისების არომატს და სამუდამოდ დაავადდება ხელოვნებით. სწორედ ეს შემთხვევა გახდება მისი პირადი შემოქმედებითი რომანი, – რომანი, რომელიც აღარასოდეს აღარ დამთავრდება.
- ცხოვრება მიძიმეა, ხან აუტანელი, თუმცა სახალისო და სიურპრიზებით აღსავსე.
- ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, გარდა უზენაესის დასაწყისისა და დასასრულისა.
- დიდებული შორიდან უკეთესად მოსჩანს და დროთა განმავლობაში ვლინდება. იშვიათი თანხვედრაა, როცა შენს შემოქმედებას რიგითი მოკვდავი და ღრმათ მოაზროვნე ინტელექტუალი ერთნაირად აღიქვამს და იგებს.
- მოსწრებული ხუმრობა ხშირად სასიამოვნო განწყობასა და მოგონებას გიტოვებს, ზოგჯერ კი ჩალურჯებულ თვალს.
- ბედნიერება ისაა, როდესაც იმითა ხარ კმაყოფილი, რაც გაგაჩნია და თავს უბედურად არ გრძნობ იმის გამო, რაც არ გაგაჩნია.
- დიდი პოპულარობის შედეგია, როდესაც ყველა გცნობს და არ ჯერათ, რომ ეს შენ ხარ.
- სანამ ჭკვიანები ჩუმად არიან, სულელები და ვიგინდარები მათ ადგილს იკავებენ.
- შემოქმედს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის პასუხისმგებელია იმათ წინაშე, ვისთვისაც ცოცხლობს და ქმნის.
- სჯობს შურდეთ თქვენი, ვიდრე ებრალებოდეთ.
- როდესაც მარცხს განიცდიან, საჭიროა მდგომარეობიდან მშვიდობიანად გამოსვლა, ამისთვის კი დიპლომატიია საჭირო და არა საომარი მდგომარეობის შექმნა.
- სხვადასხვა ხალხის ხელოვნების ეროვნული თვითმყოფადობა, მხტვრული ინდივიდუალობა, ეროვნული თავისებუ-

რება ქმნის მსოფლიო ხელოვნების საყოველთაო დონეს, რომელიც კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია.

- დედობრივი გრძნობა შეუდარებელი და განუმეორებელია. არავინ არის დედაზე მეტად გულთამხილველი.
- ჭეშმარიტი შემოქმედი იმით არის ძლიერი, რომ იგი აღჭურვილია მთელი წინამორბედი კულტურით, ამიტომ არის იგი თავისუფალი და დიდოსტატი.
- ხალხური შემოქმედება ფუნდამენტური ცნებაა, მისი ხიბლი და სიდიადე მის სიცოცხლისუნარიანობაშია.
- ზოგიერთის ცხოვრება სიმფონიასავით, ზოგის კი უვერტიურასა ან პრელუდიასავით ჟღერს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ღირსებითაა აღესილი ადამიანის შინაგანი სამყარო.
- პოლიტიკური კომბინაციები, არცთუ ისე იშვიათად, სამი თითის კომბინაციას წააგავს ძალიან.
- ადამიანებს ერთმანეთისაგან რწმენა და ღმერთი კი არა, თვითონ ადამიანები ყოფენ. რაც უფრო მეტად ეცნობი ადამიანებს, რწმუნდები, რომ მათზე უფრო მეტის ცოდნაა საჭირო.
- ცხოვრებაში, შემოქმედებასა და მეცნიერებაში, და საერთოდ ყველაფერში, მათ შორის პოლიტიკაშიც, ძალზე მნიშვნელოვანი თვისებაა ზომიერების გრძნობა.
- დრო საუკეთესო მკურნალია, თუმცა ისიც ჯანმრთელობას არ გვმატებს, უბრალოდ გვაიმედებს.
- წინასწარ არ იცი, რას უნდა ელოდე მთავრობასა და ქალისაგან. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ იცის, ხშირად სიურპრიზებისგან გაოცებას ვერ მალავენ.
- შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში ზოგიერთს ისინი არ ცვლიან, ვინც უნდა შეცვალოს, სხვებს კი ისე არ ცვლიან, როგორც უნდა შეცვალონ.

- ყოველთვის ასე იყო, უნახავმა თუ რამე ნახა, სხვებს იმას ანახებს, რაც არ უნახიათ.
- ფული როგორც მოდის, ისე მიდის, მოთხოვნილება მისადმი კი რჩება. მას ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ძალუძს, გარდა ერთისა, თუ სად და როგორ იშოვო ის.
- მამაკაცი ძლიერია, როდესაც ერთგული, ჭკვიანი და ლამაზი ქალის სიყვარული უმაგრებს ზურგს.
- ხალხს ყოველთვის სიმართლე აინტერესებს, მაგრამ, წარმოიდგინეთ რა მოხდება, თუ ყოველდღიურად სიმართლეს ანახებთ და მოასმენინებთ.
- რწმენა და ეროვნულობა ჩვენ გენებშია. ადამიანებმა შეიძლება დაივიწყონ დედაენა, მაგრამ თავისი ფესვები ყოველთვის ახსოვთ.
- სიბერე, სკლეროზი, გამელოტება – რიგ შემთხვევებში საშინელი მოვლენაა. ეს ნელი, თანმიმდევრული, მაგრამ თავის უკანალად გადაქცევის პროგრესული ცვლილებაა. თავდაპირველად ვიზუალისა და ფორმის მიხედვით, შემდეგ კი შინაარსის მხრივაც.
- ჭკვიანმა ქალმა იცის, რომ მამაკაცის მხოლოდ ლოგინში დაპყრობა საკმარისი არ არის, დროებითია. მთავარია ლოგინთან ერთად მისი გონებისა და გულის მპყრობელიც გახდეს.
- უნდა ეცადო დროს გაუსწრო, ოღონდ ისე, რომ თანამედროვეობის შეგრძნების უნარი არ დაკარგო.
- ქალის და მამაკაცის ერთმანეთისკენ სწრაფვა, ურთიერთმილიანობისა და სრულყოფილების ძიებაა.
- ქვეყნისა და ერის ისტორია მისი ღირსეული შვილების ღვაწლით ფასდება და მალღდება. უკვდავებას წელთა სიმრავლე როდი ქმნის.
- ზოგიერთისთვის მორალი უსასრულოდ განელილი გაუგებრობაა.

- მომავალი რომ გქონდეს, ის უნდა შექმნა, თუმცა მომავალი ხშირად მათთვისაც შეუცნობადია, ვინც მას ქმნის.
- ცხოვრება რალაციით ზოგჯერ თევზაობას წააგავს, ზიხარ და ელოდები... რას დაიჭერ, არ იცი. იმედს არ კარგავ, ელოდები და ოცნებობ...
- თანამედროვე ინტელიგენტი, განსხვავებით ძველი თაობის ინტელიგენტისაგან, ის კაცია, რომელსაც შეუძლია არა მარტო გადაკრული მნიშვნელობის ხუმრობის გაგება, არამედ სწრაფი რეაგირება და ნათქვამის გამო ცხვირ-პირში გალანუნებით ხურდის დაბრუნებაც.
- ცოლიან კაცს არაფერი ისე არ უვითარებს ელასტიკურ აზროვნებას და რთულ ვითარებაში თავის დაძვრენის მცდელობის უნარ-ჩვევებს, როგორც ერთდროულად სამ საყვარელ ქალთან ურთიერთობა.
- როდესაც ეროვნულ სულს ვერ კლავენ, ცდილობენ წარყვანან ის.
- რწმენა – უხილავის რწმენაა, რაც შემდეგ გაცხადდება.
- მამაკაცის წარმატების უკან შეყვარებული მებრძოლი ცოლი და ხმალამოლებული სიდედრი დგას ხოლმე. რა თქმა უნდა, ცოლი და სიდედრი ორი სხვადასხვა არსებაა, თუმცა ზოგჯერ ისე ხდება, თითქოს ორივე ცოლი იყოს, ერთი მთავარი, მეორე კი მისი დამხმარე.
- სახლი – სადაც გაიზარდე და ბავშვობა გაატარე, თავისებური სამშობლო და უკიდევანო სამყაროა.
- რა ფასი აქვს ისეთ მშვიდობას, რომელიც ჭეშმარიტებაზე არ არის დამყარებული?
- რაც უფრო მრავალფეროვანია ერის სულიერი ლაშქარი, მით უფრო დღეგრძელია მისი ბრწყინვალეობა.

- ქალების უმრავლესობისთვის სიყვარული ცხოვრების ისტორიის ნაწილია, ზოგიერთი მამაკაცისთვის კი სასიყვარულო ისტორიის ნაწილი.
- არამზადებს წარმოშობის და პასპორტის მიხედვით კი არა, არაკაცობისათვის ურტყავენ ცხვირ-პირში.
- ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე ხელნერით გამოირჩევა: ჩვენ გარეშე თქვენ ვერაფერს იზამთ, არაფერი გამოგივით. სალად მოაზროვნე ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ მათთან ერთად ნამდვილად არაფერი გამოუვათ.
- საკუთარი ძეგლისთვის მებრძოლი, სამშობლოს ძეგლს დაამხობს! ძეგლის ღირსია ის, ვინც მასზე არ ოცნებობს. ვინც დღენიდაც თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვწის. ერთ დროს აღებული ძეგლები დროთა განმავლობაში უკან ბრუნდებიან ხოლმე.
- უნდა იცხოვრო რეალური ცხოვრებით და ის რომ შეიგრძნო, ყოველი მისი წუთი უნდა დააფასო, რადგან ის მეტი აღარ გამეორდება.
- ქალს ეჭვი რომ აღუძრა, მას უნდა დაეთანხმო ზოგჯერ.
- როდესაც უფალი ადამიანს განსაცდელს უგზავნის, განსაცდელის გადატანის ძალასაც მატებს. ხე არ წაიქცევა იმის გამო, ტოტი რომ ჩამოუტყდება. ადამიანიც ასეა.
- ადამიანს სული, მისწრაფება და აზრები აცოცხლებს. მხოლოდ სული, გენია და კეთილი საქმეებია უკდავი.
- ზოგიერთი თავის სიმახინჯეს სულით ატარებს, ზოგიც კი ზურგით.
- პოლიტიკაში, მტრებთან და მეგობრებთანაც მეტწილად ისეთი დამოკიდებულება აქვთ, როგორც სიტუაციის მიხედვით აწყობთ.

- იგივე თქმული და ქმნილი იქმნება ხშირად. შემოქმედის ქმნილებებს თავისი ბედი და ისტორია გააჩნია.
- რევოლუციის მატარებელი ელვისეური სისწრაფით ჩაიქროლებს. ვისაც სჯერა თუ არ სჯერა, ყოველ შემთხვევისთვის, თავი ქუდში რომ ჰქონდეთ, შეუძლიათ შეახტნენ. თუმცა ეს საჩოთირო საქმეა – უფრო მოგებული დარჩება ის, ვინც პირველი შეახტება გაქანებულ მატარებელს, თუ ის, ვინც პირველი ისკუპებს და დატოვებს მას?!
- თავზარდამცემია, როდესაც ამაღლებულ მშვენიერებას ხელყოფენ უმეცარი სიბრყვითა და სიძულვილით გაჟღენთილი უგნურნი.
- სილამაზის გვერდით, შეუხედავი მოკრძალებული არსება, რატომღაც ღარიბ ნათესავს მოგაგონებს.
- ახალი ხელისუფლება ახლებურად ლაპარაკობს, ხშირ შემთხვევაში კი ძველებურად მართავს.
- არაფერი ისე არ ამშვენებს ადამიანს, როგორც თავმდაბლობა, მადლიერება და სხვათა ამაგის დაფასების უნარი. ადამიანური ღირსება ერთ-ერთი ყველაზე ძლევაგამოსილი სულიერი და ფიზიკური ენერგიაა, რომელიც კი შეიძლება ადამიანმა შეიგრძნოს და რომელსაც შეუძლია შეცვალოს მთელი ცხოვრება.
- ფართო და მრავალმხრივი განათლება რიგ შემთხვევებში ბევრად სცილდება საუნივერსიტეტო სწავლებას. ნიჭიერება, მაღალი კულტურა და ჭეშმარიტი ინტელიგენტობა – სულით არისტოკრატ ადამიანს დიდებულად წარმოაჩენს. სამწუხაროდ, ასეთ დიდებულ პიროვნებებზე დღეს მოთხოვნილება მინიმალურია.
- ბოლო დროს მომრავლდა საპატიო წოდებებით, პიარითა და ხელოვნურად გაფაშფაშებული ახალი შემოქმედებითი, სამეცნიერო თუ პოლიტიკური „ელიტარული“ სახეები, რომელთა წარმომადგენლებსაც წამყვანი და პრივილეგირებული



ლი პოზიციები უკავიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რეალურად კი ინტელექტუალური ელიტა – მცირერიცხოვანი ჯგუფია, რომელიც კვლავინდებურად იბრძვის ქვეყნის საკეთილდღეოდ და არსებული ეკონომიკური სიღუბნის გამოსწორების გადარჩენად.

- ასეთი რა მოიმოქმედე, უკან რომ ველარ ბრუნდები? ასეთი რა დათესე, რომ ვერ იმკი? საკუთარ თავში ეძიე პასუხი. ეს ერთადერთი საშუალებაა თავის გადარჩენის.
- როდესაც პირობები იცვლება, ადამიანებს შორის ხშირად დამოკიდებულებაც იცვლება.
- სიმართლით ჯერ არავინ გამდიდრებულა და მსოფლიოც არავის დაუპყრია.
- მზრუნველობიდან სიყვარულამდე ორიოდ ნაბიჯია.
- ვინც იპარავს, დიდ ცოდვას სჩადის. ხელისუფალნი დასჯიან. ისინი კონკურენციას ვერ იტანენ.
- ცოცხალი გვამი გარდაცვლილ გვამს ზოგჯერ იმიტომ ებრძვის, რომ გარდაცვლილის სიძლიერე და სიდიადე ცოცხალ გვამს მოსვენებას არ აძლევს.
- ქვები არ ტყუიან, ისინი ყოველთვის სიმართლეს ღაღადებენ.
- ყველაფერი ერთად არ მოდის. პირველად ჩნდება აზრი, შემდეგ მას წარმატება, მდგომარეობა და სახელი მოჰყვება, ბოლოს კი ქალებიც გამოჩნდებიან.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანი არავის ჰგავს. ის ინდივიდია, განუმეორებელი. შემოქმედი იწყება იქ, სადაც მთავრდება ჩვეულებრივი ადამიანი.
- ზოგიერთი ქალი ბომბდამშენი თვითმფრინავითაა, განუწყვეტლივ მამაკაცის გასაიდუმლოებული სათადარიგო აეროდრომის ძიებაშია, რათა გაანადგუროს იგი.

- სიმართლისთვის ძალათა თანაფარდობაა საჭირო, რადგან სიმართლე მეტწილად ძლიერთა მხარეზეა.
- სიყვარული დაუსრულებელი ლექსივით და მუსიკასავითაა.
- რატომღაც ზოგიერთებისთვის ნათელი მომავალი ხშირად წარსულში აღმოჩნდება ხოლმე.
- ყველა ადამიანს თავისი სტილი აქვს, რადგან სტილი თვით ადამიანია.
- რელიგია და კულტურა უდიდესი სულიერებაა, რომელიც ხალხს იმ მთლიანობაში კრავს, რასაც ერი ჰქვია.
- გაჭირვება სულმოკლეობას ვერ გაამართლებს.
- კულტურა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ადრე ხელი-სუფლებას კარგად ესმოდა, რომ კულტურა მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედებისათვის იდეალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ამიტომაც ეს სფერო კარგად ფინანსდებოდა, თუმცა კონტროლიც სათანადო ჰქონდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იქმნებოდა მაღალი მხატვრული ღირებულებების ნაწარმოებები. დღეს კულტურა თავისუფალია, რაც გსურს, ის გააკეთე, ამავე დროს, საკუთარი თავიც თავადვე უნდა უზრუნველყო.
- ადამიანი თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს სანოლში ატარებს. ნახევარი სიცოცხლე სძინავს, ხოლო დარჩენილი ნახევრის განმავლობაში ცდილობს ამ სანოლში ვინმე შეიტყუოს.
- იდეოლოგიური დიქტატურა ფულის დიქტატურამ შეცვალა. ბევრი გაოცებულია: ნუთუ ეს შესაძლებელია დემოკრატიის დროს?
- ვისაც სხვებში კულტურა და განათლება ხიბლავს, თავად ჭარბად აქვს ის.
- ქალებს თავდაპირველად ხელისგულზე ტარებას და მთელ ქვეყანას ჰპირდებიან, შემდეგ კი, არცთუ იშვიათად, საუკე-

თესო შემთხვევაში, მხოლოდ ნაყინს ყიდულობენ და ყვავილებს ჩუქნიან.

- ადამიანი ღვთიური არსებაა, ის მარადისობის ნაპერწკლის მატარებელია.
- გენიოსები უცნაურობების მეგობრები არიან.
- თუ ადამიანს საკუთარი მორალური კანონი არ გააჩნია, სახელმწიფო კანონები მისთვის ფუჭი ცნებაა. ადამიანის მორალურობა მისი გონებისა და სულიერების ნაყოფია.
- დრო უსასრულობის საზომია, ამავე დროს ის ყოველთვის არასაკმარისია.
- გაჭირვებაში სულ სხვანაირად აღიქმება მეგობრის მხარი, ადამიანური სითბო, სხვა გემო აქვს ლუკმაპურს.
- თუ ვიოლინოზე დაკვრა არ შეგიძლია – დოლზე დაჰკარ; თუ სიმღერა არ გეხერხება – რეპერი გახდი; თუ ხატვა არ შეგიძლია საბავშვო გასაფერადებელი ნახატები გააფერადე; თუ ცეკვა-თამაში არ გამოგდის – მუსიკის რიტმს ფეხი აუწყე და აკუნტრუშდი. თუ საერთოდ არაფერი არ შეგიძლია – როგორც სხვებმა, შენც პოლიტიკოსობას მიჰყე ხელი, იქნებ რალაცას ენო.
- თუ ყველა კაცის სული პირველი კაცის, ადამის სულიდან მოედინება, და თუ ეს ასეა, მაშინ სუყველა ძმები ყოფილან. დასანანია უხსოვარი დროიდან ძმები ერთმანეთს რომ ებრძვიან.
- როდესაც ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისთვის არაბუნებრივ ან უცხო გარემოში უხდება ცხოვრება და მაინც არ კარგავს ადამიანურ სახეს, ეს მის დიდ ღირსებებზე მეტყველებს.
- წარმატების მიღწევაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო, მიზნის მიღწევის პროცესია. ცხოვრება თავად პროცესია. გამარჯვებით გამოწვეული სიხარული დროებითია და მოქმედების პროცესს ვერ დაჩრდილავს.

- მანიშნებელი იმისა, რაიმეს მიაღწიე თუ არა ცხოვრებაში: ზოგჯერ ქუჩაში გესალმებიან, შენ კი მათ არ იცნობ.
- დამარცხებისა და გლოვის ჟამს ზეიმი და ტაშ-ფანდური მკრეხელობაა, ნაგებულ ომში დიდების ძიების მცდელობა კი – უზნეობა. იშვიათი მოვლენაა დამარცხებულთა ტრიუმფი, თუმცა ყველაფერი ხდება, ისტორიაში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მოეპოვება.
- დღევანდელ მსოფლიოს მხოლოდ სილამაზე ველარ გადაარჩენს, ამისთვის სიბრძნე და კეთილგონიერებაა საჭირო. მსოფლიოს მხოლოდ სულიერება თუ გადაარჩენს.
- მშვენიერი მხოლოდ ის არ არის, რაც შეიცანით. მრავალი სხვა, რაც არ შეიცანით, ისიც მშვენიერია.
- ადრე რაინდობა ასაზრდოებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ეროვნულ სიამაყეს, დღეს კი რაინდობა თეატრალური რეკვიზიტის ბუტაფორიასთან არის გაიგივებული.
- ახალგაზრდობას ეკუთვნის ხვალისდელი დღე. მას ეკუთვნის კაცობრიობის წარსულის, აწმყოს და მომავლის კულტურული მონაპოვარი, ხალხის სულიერი საუნჯე. ის ვალდებულია გაუფრთხილდეს და განავითაროს იგი.
- მუსიკა აზროვნების ემოციური გამოხატულებაა. ჩვენ მას ვგრძნობთ, მაგრამ ვერ ვეხებით. მუსიკის შესაძლებლობას საზღვრები არ გააჩნია, მისი ზემოქმედების ძალა ამოუწურავია. მუსიკა განსაკუთრებული ფენომენია. მისი სამყაროს გარეშე შეუძლებელია არსებობა, მუსიკა თვით ადამიანის სულსა და ცხოვრებაშია.
- ადამიანური ღირსება იყო, არის და რჩება კაცობრიობის სულიერი სიმდიდრის ერთადერთ წარმოჩენის წყაროდ.
- ადამიანის დამოკიდებულება ხელოვნებისადმი ერთი ნახვით შეყვარებას უნდა ჰგავდეს – ერთხელ შეხვდი და უიმი-სოდ აღარ შეგიძლია, სულ გიზიდავს და მის გარეშე ვერ ძლებ.

- ყველა დროის წლის საუკეთესო ზღაპარი, მთავრობის თორმეტთვიანი უდიდესი წარმატების და გრანდიოზული მიღწევების ზღაპარია, რომელსაც თავისი მსმენელი ჰყავს.
- სულიერების გარეშე აღზრდილი თაობისათვის სამშობლოს სიყვარული ზედაპირული ცნებაა.
- ზოგიერთი სასურველია საზოგადოებისთვისაც ისეთივე ავტორიტეტული გახდეს, როგორც საკუთარი ძალისთვის არის.
- ცხოვრებაში ადამიანს ისე არაფერი ეძლევა, ყველაფერს თავის ფასი აქვს. სიცოცხლე ვალია, რომელსაც თანდათან იხდი.
- ღირსებადაკარგულნი ღისეულებს ძირავენ და ანადგურებენ, ფიქრობენ რომ ისინი შეძლებენ მათი ადგილის დაუფლებას.
- ადამიანი – ღმერთისა და ბუნების პირმშოა, მაგრამ ხშირად ივინყებს ერთსაც და მეორესაც.
- ისტორია სისხლითა და მახვილით იქმნება, იწერება კი მელნით, მყუდროდ მოკალათებულ თბილ სავარძელში.
- იმედი ციციანათელასავითაა, ბჭუტავს, ხან კი გაიელვებს.
- ხელოვნება და მეცნიერება არსებობისა და ბედნიერების უშრეტი წყაროა.
- საყვარელი ადამიანებისა და სამშობლოს გარეშე დიდხანს ვერ ცოცხლობენ.
- კულტურა – უდიდესი სიმდიდრეა, ის პოლიტიკაზე გაცილებით უფრო დიდი და ბრძენია.
- ზოგჯერ ქალების გაგება უბრალოდ შეუძლებელია. ზოგიერთები ჯერ დედას აშინებენ, რომ, თუ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც მას სურს, პირველივე შემხვედრს ცოლად გაჰყვებიან, შემდეგ კი ქმარს აშინებენ, რომ დედასთან დაბრუნდებიან.

- პოლიტიკური თამაშები იმ დონისა და შინაარსისაა, რა დონის პოლიტიკოსებიც მასში მონაწილეობენ.
- ჩვენი ცოდვებით ღმერთს ვცოდავთ, ღირსებებით კი ადამიანებს ვაღიზიანებთ.
- ტრადიციულად, ჯენტლმენი და ლედი წლების განმავლობაში მკაცრ პირობებში მიზანმიმართულ აღზრდას იღებდნენ. დღეს მსგავსი რამ არც შინ და არც სასწავლებელში არ ხდება, თუმცა კი უკვირთ, სად დაიკარგნენ კარგად აღზრდილი ადამიანებიო.
- პოლიტიკა მოქმედი ძალების პირადი ინტერესების სფეროა, რომელსაც სახელმწიფოს ინტერესების სახელით ნათლავენ ხშირად.
- ქალები უფრო მიმზიდველად და დიდებულად გამოიყურებიან, როდესაც მათ ღირსეული, შესაფერი მამაკაცი უმშვენებს გვერდს.
- ზოგიერთის აზრით, სამოთხეში მამაკაცები თურმე ქალების გარეშე ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, აბა ისე რაღა სამოთხე იქნებოდა!
- მხარდაჭერა ნიჭიერებს სჭირდებათ, უნიჭონი თვითონ იკვლევენ გზას და თავს არავის აჩაგვრინებენ.
- პოლიტიკაში საბოლოოდ ის იცინის, ვისაც კარგი ყნოსვა აქვს, დროულად მოკურცხვლა ეხერხება და სწრაფად დარბის.
- მთელი ჩვენი ცხოვრება საკუთარი შინაგანი შესაძლებლობების განხორციელების მცდელობაა.
- რაღაცის ფასად თითქმის ყველა იყიდება.
- წარმომავლობისა და მდგომარეობის მიუხედავად, ყველას თავის როლი აქვს ცხოვრების თეატრის ტრაგიკომედიაში: ზოგს ღირსეულის, ნაწილს მეძავის, უმრავლესობას კი ტაკიმასხარისა.

- ისტორია დამარცხებულებზე გამარჯვებულების დაუსრულებელი ნუსხაა. ისტორია ძაფის გორგალივითაა – ხან წალმა იხვევა, ხან უკუღმა.
- ზოგიერთები ძალღური ლოგიკით მოქმედებენ: რასაც ვერ გამოხრავ, უნდა მიაფსა.
- როდესაც ხალხი ღირსეულად ცხოვრობს და სათანადოდ დაფასებულია, სახის გამომეტყველებასა და თვალეში თავისებური შინაგანი სიამაყის გრძნობა უელვარებს.
- მეგობრულად ან ძმურად გაყოფას, განსაკუთრებით კი უფროსი ძმის პოზიციიდან – თანაბრად გაყოფა სჯობს.
- ყველაზე დიდ განსაცდელს, რასაც ქვა, რკინა და კლდე ვერ უძლებს, ხშირად ადამიანი იტანს და უძლებს.
- მუსიკა სამყაროს სიმღერაა, რომელიც ხმაშენყობილია ყოველი ადამიანის ბუნებასთან. მუსიკა ადამიანის შინაგანი სამყაროსა და სულის ამეტყველებული ენაა.
- საყვარელ ადამიანებს უშურველად უნდა ვმუხტავდეთ სასიკეთო იმპულსებით: გემღერებოდეთ, ძვირფასებო!
- ლანძღვა და ჭორაობა ადამიანის პოზიციის სისუსტის მაჩვენებელია და აზროვნების სილატაკის დამადასტურებელი.
- მთელი ჩვენი ცხოვრება თეატრივითაა, სადაც ყველაფერს – ტრაგედიას, კომედიას, დრამას თუ ფარსს თავისი ადგილი აქვს. თეატრი „მასოვკის“ გარეშე წარმოუდგენელია. ასეა ცხოვრებაშიც.
- დაღვინებული – ეს ის ასაკია, როდესაც ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთული თავს ჯერ კიდევ ახალგაზრდად მიიჩნევ.
- როგორც კი ადამიანს სიყვარული ეწვევა, მის გონებაში ხანგრძლივი არდადეგები იწყება.
- ოცნება ისაა, რაც ჩვენ ლოგინში მწოლიარეს ფრენის საშუალებას გვაძლევს ხოლმე.

- მამაკაცი ქალში თავის ოცნებას ხედავს, ქალი კი მისგან თავისი ოცნების განხორციელებას მოელის.
- პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება ომია, რომელიც სხვისი შეკვეთილი პოლიტიკური სასაკლაოა და ისეთი დასაწყისი და დასასრული აქვს, როგორც წინასწარაა განსაზღვრული. ასეთ შეკვეთილ უბედურებას, როგორც წესი, უდანაშაულო ხალხი ეწირება. გამარჯვებულები და დამპყრობლები ყოველთვის თავის სასარგებლოდ ავლებენ საზღვრებს.
- ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკური დიპლომატიის ყველასთან საჭიროა. აგრესიულობა და მუხლებზე ხოხვა უაზრობაა. გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს და მიუღწეველიც არაფერია, უბრალოდ, თავად არ უნდა შეხვიდე ჩიხში.
- ხელისუფლებაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იმისთვის, რომ ხალხმა თავისი მიწა-წყლის ფასი ისე შეიგრძნოს, როგორც სამშობლოსი.
- სისხლით და შუღლით ვერც წარსულს ჩამორეცხავ და ვერც მომავალს ააშენებ.
- ღმერთი სუყველას და ყველაფრის მფარველია. ამბობენ, რომ ღმერთს ღარიბები უფრო უყვარს, მაგრამ მათზე უკეთესად რატომღაც მდიდრები ცხოვრობენ. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ, რაც არ უნდა დააშავოს, უფალი მას შეუწოდობს, – პატიება ეს მისი საყვარელი საქმიანობა არისო – იმედოვნებენ. ღმერთი მოწყალეა, მაგრამ დაუნდობელია მრისხანებისას, ამის მიზეზი კი ადამიანების ცოდვებია.
- ცხოვრებაში ყველა თავისი თამაშის წესით იმკვიდრებს თავს. არ უმართლებს მხოლოდ იმას, ვინც თამაშის წესებს იცავს.
- წაგებას ყველა თავისებურად გამოხატავს, ზოგჯერ, ვინც წასვლისას კარებს გაიჯახუნებს, ის ამით თავის დამარცხებას აღიარებს.



- ადამიანებს ქვევს ყოველთვის ესროდნენ. ადრე თუ მხოლოდ ერთი და იმავე მხრიდან ხვდებოდათ თავში, ახლა ამ ბედნიერებას ყოველი მხრიდან განიცდიან.
- ზოგჯერ შემოქმედ ადამიანს თავისი ქვეყნის არანაირი ტიტული არ გააჩნია, წესიერად არც კი იცნობენ და, ამავე დროს, მსოფლიო დონის მოღვაწეა.
- სამსახურეობრივი რომანი ხშირად დაოჯახებულ ადამიანებს შორის წარმოიშობა და ზოგჯერ მას ოჯახი და სამსახურიც ეწირება.
- ჭეშმარიტი მომღერალი ყველა დროის მომღერალია, ის თავისი ხალხის სულის გამოძახილია, მისი სიმღერა ეპოქის ხმაა.
- შემოქმედ ადამიანებს ორმაგი ცხოვრება ახასიათებთ, ეს მათი ქვეცნობიერების ნაყოფია. აქაც ხარ და, ამავე დროს, იქაც, რეალურ და არარეალურ სამყაროში.
- იმედის ხმა ზოგჯერ შორიდან ყრუდ ისმის, მაგრამ მაინც ძალას გამატებს.
- შვილები სანამ პატარები არიან, ჯერ ძილს არ გაცლიან, რომ გაიზრდებიან კი – ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, შვილები უდიდესი ბედნიერებაა; კარგია, როცა მამლარი და შემოსილნი არიან, შორს იმყოფებიან და თავს კარგად გრძნობენ.
- არ არსებობს სხვა მორალი, გარდა ადამიანური მორალისა; როგორც არ არსებობს სხვა ცოდნა და სიბრძნე, გარდა ადამიანური ბედნიერებისაკენ მიმავალი გზისა.
- ადამიანის მრავალი თვისებებიდან ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი და ადამიანური თვისება სირცხვილის გრძნობაა. განითლებს უნარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ადამიანური თვისებათაგანია. განითლებისა და სირცხვილის სწავლა შეუძლებელია, ამ თვისებითა და გრძნობით უნდა დაიბადო. სირცხვილის გრძნობა ადამიანის უმაღლესი მსაჯულია.

- ხალხის სულიერების ტაძარი – მათი კულტურა და მშობლიური დედაენაა.
- აუცილებელია ყველამ იცოდეს ვინ და რა არის ადამიანი, განსაკუთრებით კი – როგორი უნდა იყოს ის.
- ადამიანის სული და გონება ინტუიციის ფენომენალური თვისების მფლობელია. სწორედ ქვეცნობიერად წარმოიშობა წინათგრძნობის ღვთაებრივი შეგრძნება, რომელიც უტყუარია და შინაგანად წინასწარ ამა თუ იმ გრძნობას ბადებს.
- ზოგიერთი ხელისუფლებაში იმისთვის მიისწრაფვის, რომ ის შეჭამოს, რაც მისმა წინამორბედმა ვერ მოასწრო.
- ზოგიერთების აზრით, სიყვარული, როგორც ლეკვები, ბრმა იბადება, ოღონდ ლეკვები თვალს დროულად ახელენ, ზოგიერთისთვის კი სიყვარული აბსურდია. ეს დიდებული გრძნობა ყველას თავისებურად ესმის, მაგრამ თუ ასეა, უნდა დაესძინოთ, რომ სიყვარული მშვენიერი აბსურდი ყოფილა.
- ემოციების გარეშე, – ნააზრევი და ქმნილება მშრალი, უღიმღამო პასკვილია, ხოლო ქმნილება გულისა და გონების ფანტაზიის გარეშე, – უინტერესო ნაცოდვილარია.
- ხალხის წიაღიდან გამოსული მშობლიური მთავრობა ძალზედ იშვიათად ისევე იქ დაბრუნდეს, საიდანაც გამოვიდა.
- დროთა განმავლობაში ირგვლივ ყველაფერი გლობალიზაციას განიცდის, კარგავს საკუთარ სახეს და ინდივიდუალობას. ყველაფერი რაღაც უაზრო საერთო მნიშვნელამდე მიექანება. გლობალიზაცია ყველა კულტურებს გამონვევის წინაშე აყენებს, – ახალი გაერთიანებული მსოფლიოს საერთო დინებაში გაითქვიფოს თუ დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა შეინარჩუნოს.
- შეიძლება კარგად იცნობდე ცხოვრებას, მაგრამ არ იცნობდე ქალებს. მათ შეიძლება ზოგჯერ თავისი შეცდომები გაგიმხილონ, მაგრამ არასოდეს გაგიმხელენ საკუთარ სისუს-

ტეებს. მამაკაცები, რომლებიც თვლიან, რომ კარგად იცნობენ ქალებს, იშვიათად რომ ოპტიმისტები იყვნენ.

- გაუთავებელი ომები ადამიანებს ველურებად აქცევს. როდესაც ადამიანი გამხეცდება, მას ვერცერთი მხეცი ვერ შეედრება.
- ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის სიყვარულისაც, მაგრამ ნაყიდი სიყვარული არასაიმედოა, ის კვლავ გაიყიდება.
- აუნაზღაურებელი დანაკლისია, როდესაც მრავალი წლების მანძილზე სასიკეთოდ არაფერი იცვლება. გზას ჭეშმარიტებისაკენ წყვდიადში ხელის ცეცებით ვერ გაიგნებ.
- ქვეყანაში, რომელიც პატარ-პატარა დიქტატორებითაა საფლავსე, კანონის უზენაესობა – ფარსია.
- დევნილობაში მყოფი ხალხისათვის არსად, არასოდეს არ არსებულა წალკოტი.
- ტვინის დამსახურებაა ჩვენ რომ ვაზროვნებთ, ვფიქრობთ, და ისიც, რომ გვგონია ვფიქრობთ.
- ადრე იდეოლოგია არსებობდა, როგორი იყო ის, ყველასთვის ცნობილია. ახლაც არსებობს რალაც, რომელიც ღაღადებს: როგორც შეძლებთ, ისე იცხოვრეთ...
- არაფერია იმაზე დიდი უბედურება, როგორც ძალაუფლება, ფული და არაკომპეტენტურობა.
- ჭკვიანმა ქალმა მამაკაცს შეიძლება ერთხელ ისე შეხედოს, რომ ის სამუდამოდ კაბაზე გამოიბას.
- ადამიანი, რომელიც ზედმეტად ჭკვიანი და ნიჭიერია, რიგ შემთხვევებში გარემოცვას უნდა უფრთხილდეს.
- შემოქმედი ადამიანის პიროვნება თვითმყოფადია, თვითგამოხატულება მრავალფეროვანი, ქმნილება კი ინდივიდუალური. შემოქმედს შინ თუ გარეთ თავისი ახალი ქმნილება მოსვენებას არ აძლევს, გამუდმებით ერთმანეთში საუბრო-

ბენ. განცდები შემოქმედი ადამიანისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორია. ხშირად გესმის შინაგანად რალაც ხმები, მუსიკა, რაც მოსვენებას არ გაძლევს. უსმენ, ამუშავებ, უძებნი ფორმას, რიტმიკას, რომ ეს ყველაფერი გამომზეურდეს და აჟღერდეს.

- ყველაზე უბერებელი და მრავალწლოვანი მაცხოვრებელნი მტვერდადებული წიგნები არიან.
- ადამიანებმა ისე უნდა იჩხუბონ, რომ შერიგებისას ერთმანეთის არ შერცხვეთ.
- ხალხთა შორის მეგობრობა მისასაღმებელია, ოღონდ ზოგადი ცნებაა; ადამიანებს შორის მეგობრობა კი – რეალური და ძალზედ მნიშვნელოვანი.
- გამარჯვებისთვის თავდადებით იბრძვიან, დაუნდობელი ბრძოლა კი გამარჯვების შემდეგ იწყება.
- ადამიანი, შესაბამისად, იმ მიზნების მიხედვით იზრდება, რა მიზნებიც ამოძრავებს მას და რისკენაც მიისწრაფვის. სურვილებში ადამიანის არსი ვლინდება. როდესაც სურვილები ქრება, ადამიანიც კვდება. ადამიანების შეფასება სურვილების მიხედვითაცაა შესაძლებელი. მიზნის გარეშე მოქმედება ბურუსით მოსილი, ქაოსურია. ინტერესის გარეშე მიზანი ბუნდოვანია. მოქმედებისა და მიზნის გარეშე კი სიცოცხლე კარგავს აზრს.
- მთავრობის საყვარელი საქმიანობა დაპირებებია. მოლოდინში თაობები გაჭალარავდნენ. ნებისმიერი მთავრობის ოცნებაა, ხალხმა საკუთარ თავს თვითონ მიხედოს, ადიდოს ხელისუფლება, გადასახადები დროულად გადაიხადოს და საპენსიო ასაკამდე მარადიული ძილით დამსახურებულად განისვენოს. ბოლო დროს პენსიონერების ხანგრძლივი სიცოცხლე მშობლიური მთავრობისადმი თავისებური შურისძიების ტოლფასია.

- თუ პოლიტიკური სცენარის კონტურები ჰორიზონტზე ჯერ კიდევ არ აირეკლება, მისი გამომზეურება ნაადრევია.
- ყველაზე დიდი გამარჯვება, ომისა და სისხლის დაღვრის გარეშე მიღწეული გამარჯვებაა.
- გიყვარდეს ცოლი, ისევე როგორც საკუთარი თავი, ოღონდ უფრო მეტად ეცი პატივი, ვიდრე საკუთარ თავს.
- საყვარელ ადამიანთან ერთად ყველგან სამოთხეა.
- ანალიტიკურად მოაზროვნე პროგრესულმა ადამიანმა დროს უნდა გაუსწროს, ოღონდ ისე, რომ მომავლის პროგნოზირება რეალობის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.
- სათუთი გაფრთხილება სჭირდება იმ ადამიანთა სახელებს, ვისზეც იდგა და დგას ქვეყნის კულტურა, იდგა და დგას ერის ღირსება.
- მთავრობა საკუთარ კეთილდღეობაზე უხმაუროდ ზრუნავს, ხალხის კეთილდღეობაზე კი საქვეყნოდ საუბრობს.
- შემოქმედის სათქმელი მის გულში მღერის, მისი სული მუდამ ღიღინებს, ლელავს და იფერფლებს.
- ხალხი აღიარებს მხოლოდ იმ სახელებს და საქმიანობას, რომლებიც ცნობილია. აღსანიშნავია, რომ არსებობს უამრავი გაუხმაურებელი სახელები და მიღწევები, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და არც არავინ თავს არ იკლავს მათი ღვანლის გამომზეურებისთვის. ცხოვრება, მომავალი და პროგრესი, როგორც ყოველთვის, მოაზროვნე, მშრომელი და შემოქმედი ადამიანების ძალისხმევის შედეგია. ყოველი თაობის ვალია ღვანლმოსილ ადამიანთა გაუხმაურებელი მიღწევების გამომზეურება.
- ნიჭიერება და წარმატება – ეს შენი კოლეგების წინაშე ერთადერთი მიუტყევებელი ცოდვაა.
- ბედნიერებისათვის ისიც კმარა, რომ ყოველდღე ამოდის მზე, იბადებიან ბავშვები, ჟღერს მუსიკა...

- კაცობრიობის მთელი ისტორია – ეს მოქმედების და მიზანსწრაფვის ისტორიაა, თავისუფლებისაკენ სწრაფვის ისტორიაა.
- ცხოვრება – მოგზაურობაა. მამაკაცი – ცხოვრების მგზავრია, ქალი კი, ზოგიერთების აზრით, მისი ცხოვრების ბარგია. ნებისმიერისთვის, ვინც რა აზრისაც არ უნდა იყოს ქალზე, ერთი რამ ცხადია: ქალი ღვთაებრივი არსებაა, რომლის გარეშე მამაკაცის არსებობა აზრს კარგავს.
- ნოვატორობა, ახალი აზროვნება ისტორიული განვითარების ბუნებრივი, ლოგიკური შედეგია. ეს არის სიახლე, შემოქმედებითი მოვლენა, რომელიც წარმოიშობა როგორც აუცილებლობა და არა როგორც შემთხვევითობა.
- იდეალი – ეს ისაა, რისკენაც ადამიანი მთელი სიცოცხლე მიისწრაფვის და იშვიათად თუ აღწევს.
- თუ ადამიანი ხელმოკლე ოჯახიდან არის, – მას არ გაუმართლა, ხოლო თუკი მისი სიმამრიც ღარიბი აღმოჩნდა, ზოგიერთების აზრით – ის უჭკუოც ყოფილა.
- როდესაც მწვერვალს მიაღწევ, ნუ შეჩერდები, განაგრძე აღმასვლა.
- გულუხვობა მხოლოდ ის არ არის, როდესაც ბევრს გასცემ; დიდი სიკეთეა, როცა დროულად თუნდაც მცირედს გასცემ.
- ენა ადამიანის აზრს ახმოვანებს, სახე კი მისი ბუნებისა და გულის ენაა.
- იჩქარე, სანამ გაქვს საშუალება, სანამ საკუთარ სიცოცხლეს შენ მართავ, სანამ არსებობ... ქმნა სიკეთისა და მშვენიერებისა.
- იჩქარეთ აუჩქარებლად, იაზროვნეთ სხარტად, დაფიქრებით, იმოქმედეთ გათვლით, წინააღმდეგობა გაუწიეთ მტკიცედ, დაუთმეთ შესაბამისად, რიგ შემთხვევებში კი გულუხვად. ყველაფერი აზრზეა დამოკიდებული. ადამიანის აზრი

მის ძალ-ღონეზე უფრო ძლიერია. სიბრძნის ძალა კი, ყველაფერთან ერთად, მოთმინებაში მჟღავნდება.

- ცივილიზაცია უმაღლესი რანგის კულტურული ერთიანობაა.
- როდესაც ბრბო მრავალრიცხოვანია და დროთა განმავლობაში უფრო იზრდება, გზარავს და უნებლიეთ გებადება აზრი: სადღა არიან ადამიანები?!
- აწმყოს და მომავლის ავკარგიანობა ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებაზე. ზოგჯერ საზოგადოება თავად იმყოფება სრულყოფილების მიღწევის მდგომარეობაში.
- ადამიანი უნდა ისწრაფოდეს ახალი ჰორიზონტების და მისთვის უცნობი სამყაროს აღმოსაჩენად და მასში საკუთარი თავის დამკვიდრებას.
- ცხოვრების შეცვლასთან ერთად დროის სტილისტიკა, ადამიანების გამომეტყველება და შესტიკულაცია იცვლება.
- რწმენა, ცოდნა და ქველმოქმედება, სიყვარული და შემოქმედება, ეს ის საგანძურია, რაც კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. ის უდიდესი მონაპოვარია და მსოფლიო კულტურისა და სულიერების საძირკველია.
- საკუთარი ცხოვრების ისტორია ყველამ თვითონ უნდა შექმნას და დაწეროს.
- ცოლიანები უცოლო მეგობარს ცოლის შერთვას ურჩევენ, რადგან ზოგიერთები ვერ ეგუებიან, როდესაც ვინმე თავს ბედნიერად გრძნობს.
- სინდისი წრუნუნასავითაა, – ან თვლემს, ან გლრღნის...
- ცხოვრებაში შეუძლებელია ერთდროულად მხიარული, ფხიზელი და ჭკვიანი იყო... ეს ხომ ცხოვრებაა...
- როდესაც საყვარელ ქალთან ერთად სადმე მიემგზავრებით, ცუდი ამბავი არაფერია, მაგრამ ამით, საერთო ჯამში, შეიძლება რამდენიმე ადამიანი დაზარალდეს: თქვენ და თქვენი მეგობარი ქალი, ასევე ის უცხო ქალბატონი, რომელსაც

თქვენ დაუახლოვდებით, მაგრამ თანამგზავრის გამო ყურადღებას ვერ მიაქცევდით, და მამაკაცი, რომელსაც თქვენი მეგობარი ქალი მოეწონებოდა და თქვენ გამო მას ვერ დაუახლოვდებოდა.

- მუსიკაში სულ შვიდი ნოტია, რომლებიც საოცრებას ქმნიან და ამ ღვთაების გარეშე სიცოცხლე წრმოუდგენელია.
- ბავშვობა – დროა, როდესაც ბევრ სისულელეს სჩადიხარ, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეს დრო არ ყოფნით.
- იქ, სადაც შენი ადგილი არ არის, თავს ისე გრძნობ, როგორც კარაქი წყალში.
- მთავრობამ უნდა უზრუნველყოს როგორც ხალხი, ასევე საკუთარი თავიც. მათი მოღვაწეობის პრინციპიც სავსებით ნათელია: საქვეყნო საქმის კეთება კარგია, საკუთარი ერთი ადგილი კი – უკეთესია.
- ამბობებული მონა კანონმორჩილი ვერ გახდება და, საერთოდ, მონური ფსიქოლოგია დამღუპველია.
- ზარმაცებს სიკვდილი ლოგინში ეახლებათ ხოლმე, ცნობის-მოყვარეებს კი – ჭუჭრუტანაში ცქერისას.
- თუ ბერიკაცი თავის დაბადების დღეზე მირთმეული ტორტის ყველა სანთელს ერთი შებერვით ჩააქრობს, სიმღერასა და ცეკვა-თამაშში ტოლს არავის დაუდებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბინა მალე არ „განთავისუფლდება“, რადგან მას ჯერ კიდევ ცხოვრებით ტკბობა სწადია და ახლობლებს დიდხანს მოუნევთ „მოცდა“.
- ადრინდელი დროიდან მოყოლებული, ხალხს ვირივით ამუშავებენ და ძროხასავით წველიან. ზოგჯერ კი ისეთი დრო დგება, როცა უმუშევრებსაც გვარიანად წველიან.
- ხელოვნება დიდი სამყაროა და ადამიანი ამ საყაროს დიდი შემოქმედია.



- როდესაც მტრობის, შურის და გაუტანლობის ქია უხსოვარი დროიდან ღრღნის ერის სულიერებას, ხშირ შემთხვევაში ერი უფრო კარგავს, ვიდრე პატრონობს თავის ღირსეულ პიროვნებებს და სულიერ მონაპოვარს. ერის თვისებები – როგორც უარყოფითი, ისე დადებითი, დროში არ იცვლება, მხოლოდ იხვეწება.
- ჭკვიანი და მიმზიდველი ქალი მრავალფეროვანია და უფრო დახვეწილად იმორჩილებს მამაკაცს.
- პოლიტიკა არის ხელოვნება, შეგეძლოს ხალხის ზრახვების მართვა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით.
- ჭკვიანები ფულს უჭკუოებს სცინცლავენ, მათ კი იმავს ქალები უშვებინან.
- ზოგიერთის აზრით, მთავარია, იცოდე, სად რა დევს. მართლაც, ბევრი მცოდნეა იმისა, თუ სად რა დევს, მაგრამ უფრო მეტი მცოდნეა იმისა, თუ ცუდად სად რა დევს.
- დამოუკიდებლობა კარგია, როდესაც ხალხი ასე თუ ისე უზრუნველყოფილია და თავისი ხელისუფლების იმედი აქვს. მშიერი დამოუკიდებლობა და თავისუფლება იმედგაცრუებას და ქაოსს ბადებს.
- ლამაზი ქალი ღვთაებაა, სიხარულს გმატებს. ლამაზი ქალი მამაკაცის გულსა და თვალს ახარებს, შეუხედავი კი – ქალისას, თუმცა ამას არ იმჩნევენ.
- ძალზე საშიშია აზროვნების პრიმიტიულობა და ღირებულებათა გაუფასურების მანია, რომლის მასშტაბები არსებულ ვითარებაში ყოველდღიურად იზრდება.
- შემოქმედი თავის ქმნილებაში დროს უნდა პასუხობდეს. თანამედროვე უნდა იყოს არა მხოლოდ იდეებით, შინაარსითა და თემებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, აზროვნებით და შემოქმედების მთელი არსით.

- ცხოვრება საინტერესო და ცვალებადია. მხოლოდ ერთი რამ არის, რაც არ იცვლება, ღარიბებისა და მდიდრების თანაარსებობაა. ხალხი, როგორც წესი, ღირსეულ ადამიანთა სათანადო დაფასებასა და თანადგომას ყოველთვის აგვიანებს.
- ქალი ყოველთვის მიმზიდველი უნდა იყოს. მის ბუნებაში რალაც მაგნიტის მსგავსი ფარულად უნდა გიზიდავდეს მუდამ. ქალის ძალა სილამაზესთან ერთად მის შინაგან სამყაროშია.
- შემოქმედი ადამიანის სულში ანგელოზები, დემონები და საოცრებები დაძრწიან და მოსვენებას არ აძლევენ მას. ისინი სამყაროს და მოვლენებს უფრო მწვავედ აღიქვამენ, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები. ყველა ნიჭიერი ადამიანი თავის სათქმელს ამბობს, იმარჯვებს უფრო ნიჭიერი, მოგებული კი რჩება ხალხი.
- ზოგიერთს ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, მაგრამ მაინც იმისი შურს, ვისაც არც ერთი ჰყავს, არც მეორე.
- სანამ ჭკვიანები დუმან, სულელები და ვიგინდარები მათ ადგილს იკავებენ ხოლმე.
- ყველასა და ყველაფრისგან თავისუფალი ის არის, ვინც არავის არაფერში აღარ სჭირდება.
- თვითდამკვიდრებაში ადამიანის ტრაგიზმი და სიდიადე იკვეთება.
- ადამიანების უმრავლესობის გამოცნობა რთულია. ისინი ხშირად მაღავენ თავის რეალურ სახეს და მისწრაფებებს და ასევე ფარულად და მოულოდნელად ამჟღავნებენ მათ.
- პოლიტიკა – ძალაუფლებისთვის ბრძოლაა, რომელშიც „ბელადის“ კომპლექსით შეპყრობილ ადამიანთა მასები ღებულობენ მონაწილეობას, და ამ ბრძოლის დროს ისინი თავის მისწრაფებებს და ამბიციებს იკმაყოფილებენ.

- ვისაც უნარი არ შესწევს შექმნას თავისი, ის ყოველთვის ცდილობს სხვას წაგლიჯოს.
- ქალების სისუსტე მამაკაცებია, სიხარული კი ბავშვები.
- თუ გინდა შენ მტერს აჯობო, ის შენ ერთგულებაში უნდა დაარწმუნო, და როდესაც დაგიჯერებს, აი მაშინ, მისი საქმე წასულია. ის უკვე შენს ხელშია. ჭკვიანმა კაცმა მტრის ხელითაც თავისი საქმე უნდა აკეთოს.
- მამაკაცების უმრავლესობა მუდამ ქალის ალერსის, სითბოს და კიდევ რაიმე სარგებლის და საკბილოს ძიებაშია.
- გარედან მართული ქვეყნის ბედი სავალალოა. ასეთ შემთხვევაში მოგებული ისაა, ვინც მუსიკის დამკვეთია.
- ზოგჯერ ყველაფერი თვალის ასახვევად იმიტომ იცვლება, რომ, რაც იყო, ისევ ისე დარჩეს. სიახლე მხოლოდ დაპირებებსა და მოწოდებებშია.
- თუ ქალი მამაკაცების ყურადღებას ვერ იპყრობს, ის მალე ბერდება.
- ჭეშმარიტი შემოქმედი და მეცნიერი ის პიროვნებაა, რომელიც თავის დროის მთელ ეპოქას წარმოაჩენს.
- ხელოვნება და მისი განუმეორებელი სამყარო ღვთიური საჩუქარია. ღმერთმა და ბუნებამ ადამიანს უბოძა ერთი არაჩვეულებრივი თვისება – გამოგონილის, ღვთიური ნიჭით შექმნილის, როგორც რეალობის განცდის და აღქმის უნარი.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი და ხელისუფალი საკუთარი ხელით ითხრის პოლიტიკურ სამარეს და საფლავის ქვასაც თვითონვე იდგამს. პოლიტიკოსების უმრავლესობისათვის სტაბილურობა და დიპლომატია კარგა ხანია სავიზიტო ბარათი აღარ არის.
- შურიტა და ღვარძლით დღემდე ვინ რას მოსწევია?!
- მოხერხებული ადამიანი თავისი გონებამახვილობისა და ენაწყლიანობის მეშვეობით ისეთ რამეს შეაჩერებს და აც-

დუნებს სხვას, რაც მას არ გააჩნია, სხვას კი სულ არ სჭირდება ის.

- ზოგიერთს ქალებისადმი რატომღაც უცნაური, მკვეთრად განსხვავებული აზრი და დამოკიდებულება გააჩნია. მათი აზრით, ქალების უმრავლესობა მეტწილად იმაზე ფიქრობს, რაც მათ გულსა და სანოლში ხდება. ქალის ჩაცმა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე გახდა. ჩაცმულ ქალს ბევრი მოთხოვნილება აქვს, გახდილს კი – მხოლოდ ერთი. ჩაცმული ქალი არჩევანის წინაშე გაყენებს, გახდილი არჩევანს არ გიტოვებს. ჩაცმული ქალი ჭკუასთან ერთად ჯიბეებსაც გადმოგიტრიალებს, გახდილი კი მხოლოდ გრძნობებს. ჩაცმული ქალი სხვებსაც ეკეკლუცება, გახდილი კი – მხოლოდ შენ. ის, ვინც ქალებს გადაჭარბებით აქებს ან ლანძღავს, მათ არც კარგად იცნობს და არც მათი ფასი იცის. მამაკაცების ფანტაზიას და ოცნებას საზღვრები არ გააჩნია, ქალი კი, მამაკაცისაგან განსხვავებით, იმასაც ამჩნევს და ხედავს, რაც მისი ცხვირის წინ არ ხდება. ერთი რამ უდავოა: ქალების გარეშე ცხოვრება უაზრო და წარმოუდგენელია. პირველ რიგში ის დედა, საყვარელი ადამიანი და მეგობარია.
- ნიჭიერები თავის ეპოქას აშენებენ, უნიჭონი კი ნგრევით თავის ეპოქას ქმნიან.
- სპექტაკლის მოქმედება ისე უნდა ვითარდებოდეს და გაღელვებდეს, რომ შენ რეალობის შეგრძნება დაკარგო. ისეთი სურვილი უნდა გაგიჩნდეს, რომ სცენაზე ახვიდე და სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო.
- ადამიანებს საერთო შეხედულებები, სიძულვილი და სურვილები აერთიანებთ.
- ერის საბოლოო დამარცხება მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა სულიერებასა და რელიგიას გამოაცლი და ურწმუნო არსებად გადააქცევ. ერი მაშინ დაიწყებს აღორძინებას, როდესაც მისი ხალხი ურთიერთგაუტანლობის, შურისა და ქიშ-

პოპის სამარცხვინო სენს დაამარცხებს. დიდი ეპოქები დიდი რწმენით და სულიერების სიმტკიცით იქმნება. ერს რწმენა, კულტურა, გონიერება და ერთსულოვნება გადაარჩენს.

- ფული შეიძლება ძალიან გიყვარდეს, მაგრამ რასაც ფულით ვერ იყიდი, შეიძლება ის უფრო საყვარელი იყოს.
- ბოროტება ისე ხმაურობს და ბობოქრობს, თითქოს ქვეყნად მარტო ის იყოს და სიკეთე არ არსებობდეს.
- ქალი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, საკუთარ ანარეკლსაც კი ეპრანჭება ხოლმე.
- კლასიკური მუსიკა აყვანილი უნდა იყოს ადამიანების აზროვნების უმაღლეს საფეხურზე. მუსიკა, როგორც თანმდევნი და აუცილებელი სულიერი საკვები, შესისხლხორცებული უნდა იყოს მათ ყოფაში.
- სანამ ადამიანების მართვა ისევ ადამიანების ხელშია, თვისობრივად არაფერი შეიცვლება. რაც ადრე ხდებოდა და ახლა ხდება, მომავალშიც იგივე მოხდება.
- წარსული ანმყოფი წარმოჩნდება და მომავლისაკენ მიიღვტვის. ეს უწყვეტი პროცესია, რომელიც ლოგიკურად და კანონზომიერად ვითარდება. ჩვენ გვეკუთვნის წარსული, აწმყო და მომავალი კი თავად უნდა შევქმნათ.
- თუ ქალი დუმს, ესე იგი, რალაცის თქმა სურს და შესაფერის დროს ელოდება. ქალს ყოველთვის ყურადღებით უნდა მოუსმინო, განსაკუთრებით კი როცა ის დუმს. ქალების გაგება იოლი არ არის, მაგრამ მათთვის ბრძოლა ღირს, რადგან მამაკაცი ქალის გარეშე იგივეა, რაც ძალლი პატრონის გარეშე.
- არასოდეს მჭერმეტყველებენ ისე, არასოდეს ტყუიან იმდენს, არასოდეს არიან ისეთი ხელგაშლილები და გულშემატკივარნი, როგორც არჩევნების წინ!
- ზოგი მთელი სიცოცხლე საკუთარი შანსის მოლოდინშია, ზოგიერთი კი ამ მოლოდინში სხვის შანსსაც არ უშვებს ხელიდან.

- რა ბედი ელის ხელოვნებას მომავალში? ალბათ ისეთივე, როგორიც ცხოვრებას და სიცოცხლეს, რადგან ხელოვნება თავად ცხოვრება და სიცოცხლეა.
- ბავშვებისა და მოხუცთა სიდუხჭირე, მათი გულსატკენი დაუცველობა, ქვეყნის ტრაგედიაა.
- სიმართლე ყოველთვის საშიშროებას შეიცავს, რადგან ტყუილზე ძალიან ბევრი რამ არის აგებული... სამართლიანობა უმნიშვნელო და ძლიერი უნდა იყოს, ხოლო ძალა – ადამიანური და სამართლიანი.
- საკუთარი ხალხისთვის სამი თითის კომბინაციის ჩვენება პოლიტიკოსების უმრავლესობისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ხალხი კი პოლიტიკოსების დასაყრდენია, რომლის უმრავლესობას იმის წარმოდგენაც კი არ გააჩნია, თუ რამდენი მართებს ხალხის.
- თუ ცოლი ქმარს ყურადღებით უსმენს, ესე იგი ქმარი სიდედრის სახლში დაბრუნებაზე თანახმაა. ქალი დიდებულია, როცა კარგ გუნებაზეა, თუმცა გაკაპასებულიც კარგია და მდუმარეც. ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო სუსტი, მიუსაფარი არსებაა, რომელსაც გაბრაზებისას შეიძლება ვერც კი გადაურჩეთ. ზოგჯერ ასეც ხდება, ქმარი ოჯახის ხელმწიფეა, სანამ ცოლს სძინავს. ქალები იმისთვის არსებობენ, რომ მამაკაცებს მუდმივად სიხარული და პრობლემები არ მოაკლონ. არის ქალი – არის უამრავი პრობლემა... არ არის ქალი – არის ერთად-ერთი პრობლემა: ქალის გარეშე სიცოცხლე უბრალოდ წარმოუდგენელია.
- ბავშვი უპირველესად დედას შეიგრძნობს და შეიყვარებს. ასევე ბუნებრივად დედის ლილინით და ალერსით შეიგრძნობს და შეიყვარებს სამშობლოს, რომელსაც პირველად საკუთარი ეზო-კარიდან და სარკმლიდან აღიქვამს. სამშობლო დედისგან და ბავშვობიდან იწყება.

- გზა უდიდესი შემოქმედებისაკენ ეროვნულობით მიიღწევა და დროთა განმავლობაში ზეეროვნულ ზოგადსაკაცობრიო ძლევამოსილ შემოქმედებათ გადაიქცევა.
- პოლიტიკურ სცენაზე გამუდმებით მარადმწვანე პოლიტიკოსების, ერთი და იმავე სახეებისა და პერსონაჟების ხილვა მოსაბეზრებელია. ისიც მოსაბეზრებელია, როცა ახალი პოლიტიკოსები ისევე ძველი სცენარით თამაშობენ. პოლიტიკა დიდი მეცნიერებაა, რომლის დაუფლება მრავალმხრივი ცოდნით და პროფესიული გამოცდილებით მიიღწევა. რა დონის პოლიტიკოსებიცაა, პოლიტიკაც იმ დონისაა. ქვეყანა ძლიერი და წარმატებული რომ იყოს, ყველამ ის საქმე უნდა აკეთოს, რაც ხელენიფება.
- მამაკაცები აზროვნებენ, ფიქრობენ, ქალები ამ მხრივ უფრო ორიგინალურები არიან, ხშირად თავიანთ ჩანაფიქრს მამაკაცების მეშვეობით ახორციელებენ.
- თუ დედამიწაზე სადმე სამოთხე არსებობს, ეს შენი სამშობლო, შენი სახლი და საყვარელი ადამიანებია.
- ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის შემდეგ დაღლილი, ძალაგამოცლილი ხარ, ემოცია და ფანტაზია თითქოს სულს ლაფავს, მაგარამ ეს გრძნობა თუ სევდა წამიერია. ახალ იდეასთან, მუზასთან ერთად შენს დაცარიელებულ არსებაში შემოიჭრება ახალი აზრი, თემა, მუსიკა... შემოიჭრება მღელვარება, სიხარული, აღმაფრენა, მოლოდინი. იმუხტები უშრეტი ენერჯით, ძლევამოსილებით. აი, რა არის ბედნიერება. დიახ, ეს დიდებული შეგრძნებაა.
- გულუბრყვილო ადამიანების ბედი სავალალოა, ისინი, როგორც ცხვრები, ხშირად თხების მაგივრად აგებენ პასუხს.
- გარშემო ალბათ სამოთხის ბაღი და საოცარი სიწყნარე იქნებოდა, რომ ხალხს ესაუბრა მხოლოდ იმაზე, რაც იცის და ეკეთებინა მხოლოდ ის, რაც ხელენიფება.

- კულტურა ერის არსებობის წინამძღვარია, მისი წარსული, აწმყო და მომავალია.
- ძალიან ადვილია და სასიამოვნო ცხოვრება, თუ იცი ვისთვის და რისთვის ცოცხლობ.
- მეცნიერი და შემოქმედი რომ იყო, ნიჭსა და ცოდნასთან ერთად, დაჯილდოებული უნდა იყო ძიების დაუოკებელი ყინითა და აზროვნების მოუსვენრობით, რათა წინსწრაფვა, მოუსვენარი აზრები და ძიების ნადილი ქმნიან დიდ პიროვნებებსა და ქმნილებებს.
- ცხოვრება ცრემლნარევი ბედნიერება და სიხარულია...
- შემოქმედი პოეტური სულის მეოცნებე ადამიანია.
- მსოფლიო შეიცვალა, ადამიანებს შორის ახალი ურთიერთობები ყალიბდება და სხვაობები იშლება. სამყარო იქით მიექანება, რომ ყველა ერთნაირი იყოს და ამ პროცესს თითო-ოროლა თუ ეწინააღმდეგება.
- ძალადობას ბავშვები თავიდანვე განიცდიან. ცუდ მოსწავლეებს მასწავლებლებისა და მშობლების რისხვა ატყდებათ თავს, კარგს და წარჩინებულს კი თანაკლასელებისა ხოლმე.
- ჭკვიანი კაცი საკუთარ თავზე არც კარგს იტყვის და არც ცუდს, რადგან იცის, რომ პირველ შემთხვევაში არ დაუფერებენ, მეორე შემთხვევაში კი დასცინებენ.
- ნიჭიერ და გენიოს ადამიანებზე ნადირობა ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც აქტუალური იქნება. სალიერის სინდრომი ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია.
- შემოქმედმა თავისი შემოქმედებით რომ გაიბრწყინოს, ის გამორჩეული უნდა იყოს არა მხოლოდ ღვთისაგან ბოძებული ნიჭიერებით, არამედ სულიერი სიფაქიზითაც, დახვეწილობით, შემოქმედებითი მემკვიდრეობის ღრმა ცოდნით, მაღალი კულტურითა და ფართო ინტელექტუალური პოტენციალით. დიდი შრომისუნარიანობითა და პროფესიული



აღჭურვილობით. შემოქმედი ერთნაირად უნდა ფლობდეს სიღრმეებისა და სიმსუბუქის შეგრძნებას, თემისა და ხასიათის ფილიგრანულობას, ადამიანის სულის მელოდიურობას, დროის შეგრძნებას...

- კლინიკური სიკვდილის შემდეგ გადარჩენილი ადამიანის ნაამბობს ჰალუცინაციას მიაწერენ ხშირ შემთხვევაში. მაგრამ, რა შეიძლება დაიმახსოვროს ადამიანმა ტვინით, რომელიც კლინიკური სიკვდილის დროს არ მუშაობს? ასეთ შემთხვევაში ჰალუცინაციები არ შეინიშნება. მათ აღსაქმელად საჭიროა ტვინის მუშაობა. სული მარადიულია და, სავარაუდოდ, არ არის დამოკიდებული ტვინის მდგომარეობაზე. ის სხეულის გარისთ შეზღუდული არ არის. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ლოგიკური მსჯელობა და სხვადასხვა სამეცნიერო მოსაზრება.
- ყოველი ახალშობილი წმინდანია. თუ გსურთ იხილოთ წმინდანის სახე, ნუ დაიღლებით ამაო ქებნით, უბრალოდ შეხედეთ ბავშვებს. მათ სუყველა და მთელი სამყარო უყვართ.
- ქმნილება ხან ისე, ხან ასე იბადება. კალამი თავისთავად ამღერდება ხოლმე, როცა ჰანგი ან აზრი ველარ ითმენს. როდესაც სამკალი უამრავია – მომკელზეა საქმე.
- ჩვილ ბავშვს თავის საქციელზე პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებ, მას უნდა აჭამო, დააძინო, მოეფერო და ჩასვრილი საცვლები გამოუცვალო, მისი ჭირვეულობა უნდა აიტანო. მაგრამ, რა ეშველება ისეთ მთავრობას, რომელიც ჩასვრილია, გამუდმებით ჭამა-სმას და მოფერებას ითხოვს, პასუხისმგებლობას კი გაურბის. ადამიანების უმრავლესობა დიდსულოვანია, მართალია მშობლიურ მთავრობას ხშირად აკრიტიკებს, მაგრამ მაინც ვერ ელევა, უერთმანეთოდ ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენია.
- ცხოვრება – სიცოცხლე და სიკვდილია. ყოველი დღე ახალი სიცოცხლეა.

- ცხოვრების არცერთი დროის იდეალიზება არ ღირს. ადამიანის ბედი ყოველთვის ბენჯზე ჰკიდია, მაგრამ სიცოცხლე ყოველთვის საამურია.
- არსებული რეალობის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ადამიანების კეთილდღეობა და მომავალი სადღაც, უიმედოდ და უმოქმედოდ რალაცაზე ან ერთ ადგილზე კიდია. ცხოვრებაში, სამწუხაროდ, უმოქმედოდ ბევრი რამე კიდია, დრო კი არ ითმენს, რამეს რომ ეწიო, არსად არაფერი უმოქმედოდ არ უნდა ეკიდოს, ყველაფერი უნდა მუშაობდეს და თავის ფუნქციას ასრულებდეს.
- უნიჭობა საშიში და რიგ შემთხვევაში დამანგრეველიცაა, მაგრამ მასზე უფრო საშიში ზოგჯერ ახირებული ადამიანის ნიჭიერებაა.
- არიან ისეთი ქალები, რომელთა მოძებნა ძალზე ძნელია, დაკარგვა კი ადვილი.
- გარემომცველი სამყარო უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მაგრამ სამყაროსა და პიროვნების ურთიერთობაში მთავარი მაინც ადამიანია, სწორედ მასზეა დამოკიდებული მომავლის ავბედითობა.
- ცხოვრება უსასრულოა. სანამ ქვეყნად ქალი და მამაკაცი იარსებებს, ის მარადიულია.
- ადამიანების უმრავლესობისათვის უფრო ადვილია წავიდეს, ვიდრე დარჩეს და რაიმე სასიკეთოდ შეცვალოს.
- სულიერება, მისი მიგნება და განვითარება, რომელზეც ადამიანები ხშირად საუბრობენ, სხვა არაფერია, თუ არა მისი გამოვლინება. იგი არსად გამქრალა, სულიერება აქ არის, ჩვენშია, მისკენ სავალი გზა ადამიანის გულში იწყება.
- რაც უფრო დაბალია ინტელექტი და კულტურა, მით უფრო მეტი ხმაური და ბაქიბუქია.

- ცხოვრება არც წარმოდგენაა, არც დრამა და არც კომედია, ის ძიების უსასრულო შარაგზაა, რომელშიც ზოგს უმართლებს და ზოგს არა.
- დრო შეიცვალა, ინტელექტის და ღირსების ადგილი ფულმა ჩაანაცვლა. გმირებად და ელიტებად იმათ მიიჩნევენ, ვისაც ბევრი ფული აქვს.
- ბევრი განმარტება შეიძლება მოიძებნოს, თუ რა არის აბსურდი. ერთ-ერთი კი ალბათ ის რეალობაა, რომელშიც ადამიანების უბრაველესობა თითქოს ცხოვრობს, სინამდვილეში კი უბრალოდ არსებობენ.
- თეატრის კულისების მიღმა ფარული საინტერესო სამყაროა. რაც იქ ხდება, თავისებური თეატრია, გარედან ცოტა ჩანს, ბევრი კი გასაიდუმლოებულია.
- ინტელიგენციის როლი, რომელმაც უნდა განავითაროს ერის სულიერი პოტენციალი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ისტორიული პროცესების მშენებლობაში, სამწუხაროდ, ზოგჯერ დაკნინებულია და მის ნაცვლად ამ საპატიო მისიას დროებით აღზევებულნი ასრულებენ. შედეგი კი მათი კომპეტენციის ადეკვატურია.
- მშობლიური დედაენა – ბედნიერების ენაა.
- ბალაგანი თავისებურად საინტერესოა, მასში კომიზმი და ღირსიზმი ჰარმონიულად არის შერწყმული. ის, რაც ზომიერების შეგრძნებას სცილდება, როცა საზღვრები დარღვეულია და ფანტაზიის სიგიჟეს ბოლო არ უჩანს, ადამიანებში ცნობისმოყვარეობას და ინტერესს უფრო აღძრავს.
- გამუდმებით იმას ურტყამენ თავში, ვინც ამის საშუალებას თავად იძლევა.
- მშობლიური მთავრობა დღენიადაგ ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობს, მათთან ერთად იძინებს და იღვიძებს; მართალია ხალხთან ერთად არ ვახშობს, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ყველა ნაბიჯი იცის და მაჯისცემასაც კი გრძნობს.

ხალხი მაინც უკმაყოფილოა, ვახშამიც კი მშობლიურ მთაფრობასთან ერთად სურს.

- რამდენიც არ უნდა მოჰყვე საკუთარ თავზე, ზურგსუკან მაინც უფრო საინტერესოდ მოჰყვებიან.
- წესიერი ადამიანის გამოცნობა იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ ზოგჯერ შემთხვევით ან შეცდომით როგორ მოუხერხებლად და მორიდებით ჩაიდენს რაიმე უმნიშვნელო უმსგავსობას, რის გამოც შემდეგ თავს უხერხულად გრძნობს და ნანობს.
- მამაკაცი თითქმის ყოველთვის აღწევს ქალისაგან ის მიიღოს, რისი მიღებაც, არცთუ იშვიათად, მამაკაცისგან თავად ქალს სურს.
- მშობლიურ ადგილზე ყოველთვის იმედის ჩრდილი ილანდება...
- ომი – ნგრევა და სიკვდილია. არ არსებობს სამართლიანი ომი, თუნდაც სამართლიანობისთვის წამოწყებული. ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასადაც კი არ ღირს არანაირი ომი.
- ღირებულებების გადაფასება ყველა დროში ხდება, თუმცა მარადიული ფასეულობებიც არსებობს, რომელთა დავინწყება წარსულისა და ისტორიის გადაშლის ტოლფასია.
- შემოქმედი ზოგჯერ საუკუნით ადრე წერს იმაზე, რაც დღეს ხდება, უბრალოდ, დროშია სხვაობა... ტკივილი და სათქმელი კი იგივეა.
- დრო მიდის, დროსთან ერთად ყველაფერი იცვლება. ადრე ყვარყვარეს და მისნაირებს დასცინოდნენ. ახლა ყვარყვარე და მისნაირები იმათ დასცინიან, ვინც ადრე მათ დასცინოდა. ყვარყვარე უკვდავია.
- როდესაც მტრულად განწყობილ ქვეყნებს შორის საფრენი ამინდის დრო დადგება, ყოველგვარი აფრენისა და გაფრენის გარეშე, დროული და გონივრული მოქმედებაა საჭირო.

- ტალანტი დაავადებასავითაა, მოსვენებას არ გაძლევს და ყოველთვის რაღაცას გკარნახობს.
- ერთი კაცის თოკზე ჩამოკიდებული მარიონეტების მართული ქვეყანა აბსურდის თეატრს წააგავს.
- როდესაც ქალი ცხოვრებაში შვილებთან ერთად მარტო დარჩება, მასზე ძლიერი არავინ არის.
- იქ, სადაც ღორები დაძრწიან და ასპარეზზე ვირები დაჯირითობენ, ბედაურებს არა ესაქმებათ რა.
- დროებით აღზევებულ ფუჟ დიდებას, დროთა განმავლობაში სანაგვეზე მიმოფანტავს ქარი.
- ადამიანების ერთმანეთთან დაპირისპირების, დაუსრულებელი ომებისა და ურთიერთგანადგურების მაცქერალი მიმუნები გაოცებულები შესცქერიან ერთმანეთს და მორიდებით ფუსფუსებენ: ნუთუ ზოგიერთი ჩვენგანი კვლავინდებურად გააგრძელებს იმის მტკიცებას, რომ ესენი ჩვენგან წარმოიშვნენ?
- ძლიერია ის ერი, რომლის თითოეული წევრი ერთი ორგანიზმის ნაწილად გრძნობს თავს. როდესაც სტკივათ, ამას ყველა ერთად გრძნობს.
- როგორც ბევრს ჰგონია, პოლიტიკას და დიპლომატიას პოლიტბროსტიტუციასთან არაფერი აქვს საერთო. პოლიტიკა და დიპლომატია დიდი მეცნიერებაა, ამავე დროს, დიდი ხელოვნებაც. იყო წარმატებული პოლიტიკასა და დიპლომატიაში, რჩეულთა ხვედრია. პოლიტიკა და დიპლომატია სიკეთესა და მშვიდობას უნდა ემსახურებოდეს. მეგობრობა საუკეთესო პოლიტიკა და დიპლომატიაა.
- ცეკვა სხეულისა და სულის ნარნარი და მუსიკაა.
- ლაქია, ნაძირალა და ტაკიმასხარა დიდ ადამიანად და გმირად არასოდეს არავის არ აღიარებს.

- სამყარო განვითარებადი და ცვალებადია, ცვალებადობა კი, უწინარესად, პროგრესს გულისხმობს. ადამიანური გრძნობები კი მარადიულია. ადამიანი დღესაც ისევე მწვავედ განიცდის ერთგულებას და ღალატს, სიყვარულსა და სიძულვილს, როგორც მრავალი საუკუნის წინათ განიცდიდა.
- საოცნებო რთული რომ არ იყოს, სანუკვარიც არ იქნებოდა.
- ადრე თუ გვიან ყველა წარმოდგენა და თამაში მთავრდება, ტაკიმასხარები კი, როგორც ყოველთვის, კვლავინდებურად რჩებიან.
- დიდი ადამიანების უმრავლესობა, რომელიც თავის დროს წინ უსწრებს, როგორც წესი, ყოველთვის უმცირესობაშია და გულგრილობისა და გაუგებრობის გარემოცვაში უხდება ყოფნა.
- როგორ გაიზრდება მოზარდი, თუ მასწავლებელი მისთვის ავტორიტეტი აღარ არის, მშობლებს კი მათი აღზრდისთვის დრო აღარ რჩებათ? სკოლამ უნდა განსაზღვროს საზოგადოების განვითარების ტაქტიკა და სტრატეგია. განსაკუთრებით ახლანდელ დროში, გლობალიზაციის პერიოდში, როდესაც ღირებულებების გაუფასურება ხდება. განათლების სისტემამ, როგორც სულიერი წარმოების მძლავრმა სფერომ, სათანადო განათლებასთან ერთად, უნდა აღუზარდოს ქვეყანას მოაზროვნე და ზნეობრივი თაობა.
- ადამიანების უმრავლესობა თავისი ბედნიერების და სხვათა უბედურების მჭედელია. კაცობრიობის ხსნა კი ადამიანის სიყვარულსა და მშვიდობისაკენ მისწრაფებაშია. თითოეული ჩვენგანი პასუხს ვაგებთ ადამიანის სიცოცხლისათვის დედამიწაზე.
- დედამიწას პირველ საოცრებად მამაკაცი მოევლინა, მეორედ კი – ქალი. ნამდვილი საოცრება კი უკანასკნელის მოვლინების შემდეგ დაიწყო.

- დიდ შემოქმედ და სწავლულ ადამიანებზე მათი განვლილი ცხოვრების, შემოქმედებითი და მეცნიერული მიღწევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თვალნათლივ მოჩანს, რომ მათი უმრავლესობა სრულებითაც არ ტკებოდა ბედნიერებით, პირიქით, მწვავედ შეიგრძნობდნენ და განიცდიდნენ ცხოვრების დრამატიზმს. ბედნიერებას ისინი, როგორც ყველა შემოქმედი და სწავლული ადამიანი, შემოქმედებით წვაში და მუხლჩაუხრელ შრომაში განიცდიდნენ. გენიოსებისა და არაორდინალური ადამიანების უმრავლესობა დიდხანს არ ცოცხლობს, იშვიათად თუ განიცდიან ცხოვრებისეული ბედნიერებით ტკებობას, მაგრამ ისინი მიზანმიმართული და ნათელი ცხოვრებით გამოირჩევიან.
- ადამიანს ანმყოს შეგრძნება, წარსულის განცდა და მომავლის იმედი უნდა ასულდგმულეზდეს.
- ჩემი დიდებული დედ-მამა – რიმა და რეუბენი, მე და ჩემს არაჩვეულებრივ უფროს ძმებს – ბორისს და ბადრისს გვმოძღვრავდნენ: სიკეთით გველოთ შვილებო! ახლა, როდესაც ისინი და არც ჩემი ანგელოზი იაკო აღარ მყავს, მეც ადრე ჩემს თქმულს ხშირად ვიმეორებ: სანამ ხედავ, გესმის და გრძნობ, სიცოცხლე საამურია. სანამ არსებობ და ხელგენიფება, იჩქარე ქმნა სიკეთისა და მშვენიერებისა. ქვეყნიერებას, მშვენიერებასთან ერთად, სიკეთე და კეთილგონიერება გადაარჩენს.
- ცხოვრება ჭადრაკის დაფასავითაა. შენზეა დამოკიდებული, რა სვლას გააკეთებ.
- არასოდეს მოაშორეთ თვალი საყვარელ ადამიანებს. ისინი თქვენთვის ცოცხლობენ და ლოცულობენ, ისინი თქვენით ხარობენ!

## **GURAM PAATASHVILI**

### **„THE WORLD OF MAESTRO’S THOUGHTS“**

#### **Summary**

It Academician Guram Paatashvili’s „Pages of life and activity“ has been published – the first part. The book goes through the life and activity of the well-known public figure, composer, scientist and publicist, laureate of the international awards academician – Guram Paatashvili’s. Here the collection of his thoughts is presented „The world of Maestro’s Thoughts“. The book is for the wide circle of readers.

We offer the second part of this book.



გამომცემლობის რედაქტორები:

დამკაბადონებელი  
გარეკანის დიზაინერი

**მარინე ვარამაშვილი**

**მარინა ჭყონია**

**ხათუნა ბადრიძე**

**ნინო ებრალიძე**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

